

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



მემონი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

თბილისი
2015



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გ ა ს ა ლ ე ბ ი

VI სტუდენტური რეგიონთაშორისო
რესპუბლიკური კონფერენცია

ურთიერთობათა და კონფლიქტების
დარეგულირებისათვის

ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო
მიმართულების პროექტი

VI სტუდენტური რეგიონთაშორისი
რესპუბლიკური კონფერენცია
მასალები

რედკოლეგია:

თამარ პაიჭაძე (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

კახაბერ ლორია (რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ნინო მინდიაშვილი (კოორდინატორი) პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორები: ირაკლი ყანდიაშვილი, ეკა ფირცხალავა, რევაზ ჯორბენაზე, მედეა დესპოტაშვილი, ნინო ჭალაგანიძე, ხატუნა კაჭარავა, ირმა ხარშილაძე, ეკა ნავროზაშვილი, ანასტასია ზაქარიაძე, ნა-თელა მოსიასვილი, ინგა სანიკიძე ნანა გონჯილაშვილი, თამარ შარაბიძე, ქეთევან სიხარულიძე, რტისტან მახაური, სოფიკო ძნელაძე (დოქტორანტი) (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფესორი: თამარ კიკნაძე, მარინა ხიზანიშვილი (კავკასიის უნივერსიტეტი)

პროფესორი: ფრუდე ჰერმუნდსგორდი (ოსლოს უნივერსიტეტი)

ს ა რჩე თ ი

ნინასიტყვაობა.....	7
სოფიო მოდებაძე	
დუმილი, როგორც ესთეტიკური ფენომენი.....	8
ხატია ანდლულაძე	
სივრცის საკრალიზაცია (მამა ვიტალის საფლავის მაგალითი).....	14
შალვა ლევაშვილი	
მეშვიდე გრძნობა – სმენით დანახული სამყარო.....	17
მეგო მამუკაშვილი	
პოსტტრამული ზრდის ფენომენი ბუფერულ ზონებში მცხოვრებ ადამიანებში	21
თეონა ჯიბლაძე	
ბავშვის ადგილი ოჯახში.....	26
გიორგი გაბუნია	
მათემატიკური, ლოგიკური და დროითი პარადოქსები და მათი ახსნის ცდა.....	30
სალომე ფხალაძე	
სოციალური რეკლამის თავისებურებანი.....	34
ლია ზამბახიძე	
პერსონიფიკაცია სამაუწყებლო მედიაში თოქშოუ „პოზიცია“ (საკვლევი პერიოდი 24.01.2014 – 04.04.2014).....	41
ნინო გაჩეჩილაძე	
მშრალი კანონი აშშ-ში კეთილშობილური სოციალური ექსპერიმენტების გლობალური მარცხი.....	46
ნინო გაჩეჩილაძე	
სამოქალაქო ომის მუსიკის-მელოდიები, რომელმაც ამერიკა გააერთიანა.....	51
მაია კვირკველია	
აბრაამის სახე ქართულ ჰაგიოგრაფიაში.....	56
ქეთევან ჭილაძე	
რაზე ლაპარაკობენ კრიპტოგრამები, ფარული ნიშნების კვალდაკვალ.....	59
ნათელა საზანდრიშვილი, ნათია ტერტერაშვილი	
თვითმკვლელობა – გამოსავალი, თუ სასჯელი მხატვრულ ტექსტებში.....	62
მარიამ ბესიაშვილი, მაია მაისურაძე	
წაწლობის ინსტიტუტი გუშინ და დღეს მხატვრულ ტექსტებში.....	66
მარიამ ქელეხსაშვილი, ეკა ხანიშვილი	
ცეკვა, ტრაგიკულ – კომიკური და მხატვრული ტექსტი.....	71
ქეთევან ჭილაძე	
მიხეილ ჯავახიშვილის „კურდლელი“ – ფსიქოლოგიური ანალიზი.....	75
თინათინ ბედუკაძე	
ნიცხეს მარადიული დაბრუნების იდეის გრიგოლ რობაქიძის სული გააზრება.....	79
ირმა გრიგალაშვილი	
ადამიანი ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში.....	82
ირაკლი სალია	
„სასმისის“ განმსაზღვრელი ზოგადი-საკატეგორიზაციონი ნიშნები და შესაბამისი ბაზისური კატეგორია ქართულ ენობრივ სივრცეში.....	85
ეკატერინე ქადაგიშვილი, მარიამ ნავაძე	
მესამე პირდაპირობიერებური პირის მარკირებისათვის ქართულში.....	91

ირაკლი ფერაძე	
დალის ხეობიდან (ზემო აფხაზეთი) დევნილი მოსახლეობის განსახლების არეალი და	
ადაპტაციის პრობლემები.....	97
გიორგი გაფრინდაშვილი	
ერთი ქართველი მონარქის მიჩქმალული გმირობის ისტორია.....	100
რუსულან ბიხანაშვილი	
გორის ისტორია გაქალაქებამდე.....	105
მარიამ ტუხაშვილი	
სკანდინავიის ქვეყნები გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში.....	109
თორნიკე ბუბაშვილი	
საამები სკანდინავიასა და მის მეზობელ ქვეყნებში.....	113
ია ბაკურაძე	
ფემინიზმის ისტორია ნორვეგიაში.....	117
ლაშა მაჭარაშვილი	
შეეძლური კინო–კლასიკა და თანამედროვეობა.....	122
სოფიო მახარაშვილი	
სკანდინავია – დღესასწაულები და საინტერესო ფაქტები	127
თორნიკე ბაქაქური	
სკანდინავიური ქვეყნების გენდერული პოლიტიკა.....	130

ნინასიტყვაობა

ნინამდებარე კრებულში თავმოყრილია 2014 წლის ივნისის თვეში ჩატარებული სტუდენტთა VI რეგიონთაშორისი კონფერენციის მასალები, რომელებიც არჩეულ იქნა კონფერენციის პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ მოხსენებათა შორის, როგორც მათი საუკეთესო და მიზანგასაწევი ნაწილი.

სტუდენტთა VI რეგიონთაშორის რესპუბლიკურ კონფერენციაზე წარმოდგენილი 200-ზე მეტი განაცხადიდან კონფერენციაზე წარსადგენად შეირჩა 16 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მომზადებული 97 მოხსენება. შესაბამისად, წარმოდგენილი მასალების მრავალფეროვნების, მრავალმიმართულებრივი პრობლემატიკის კვალობაზე მუშაობდა 14 სხვადასხვა სასწავლო სამეცნიერო თემატიკის სექცია. წარმოდგენილ მასალათა შორის ნაშრომების კვლევისა და ანალიზის კომპონენტების, ინდივიდუალიზმისა და თავისთავადობის, მეცნიერული, მორალური პოზიციისა და ხარისხის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ კონფერენციაზე, სექციური მუშაობისას, გამოქვეყნებისათვის რეკომენდაცია გაეწია ნაშრომთა ერთ ნაწილს.

შემდგომ სარედაქციო კოლეგიამ იმუშავა შერჩეულ და გამოგზავნილ მასალებზე. სწორედ ამ შერჩევისა და შესრულებული სამუშაოს შედეგები შედეგები აისახა „მერმისის“ ამ ახალ კრებულში. იმთავითვე სარედაქციო ჯგუფისათვის მუშაობისა და შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი – კრებულისათვის იმ წარმომადგენლობითი, მრავალფეროვანი, თავისთავადი და ინდივიდუალური პროფილის შეუნარჩუნება იყო, რომელიც კონფერენციაზე გამოიკვეთა. აქედან გამომდინარე, შეირჩა 30 მოხსენება 11 სხვადასხვა სპეციალობიდან.

ამასთან ერთად, საორგანიზაციო ჯგუფისათვის კვლავ რჩება მთავარ სამუშაო პრინციპად ჩვენი პროექტის: „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ ძირითადი იდეის განხორციელება: ინტერგრირება და თანამშრომლობა სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების მკვლევარებთან და სტუდენტებთან.

ტრადიციისამებრ, „მერმისის“ წინამდებარე კრებულიც ამ ღირებულებათა წარმომჩენია, ამიტომ ვიმედოვნებთ, მისი აუდიტორიის სიფართოვეზე და აქ წარმოდგენილ მასალათა მოტივაციაზეც მომავალი კვლევების, ახალი სამეცნიერო, თუ ინფორმაციული გამოწვევების, თანამშრომლობისა თუ აზრთა გაზიარებისათვის.

თამარ პაიჭაძე

სოფიო მოდებაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, დოქტორანტურა ხელმძღვანელი:
პროფესორი აკაკი ყულიკანაშვილი

დუმილი, როგორც ესთეტიკური ფანერა

კვლევის მიზანია, განვიხილოთ დუმილის ფენომენი ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში კონკრეტული ნიმუშების განხილვის საფუძველზე.

აღსანიშნავია რომ დუმილის ცნება კულტურის ყველა საფეხურზე იყო მნერლობის, ფილოსოფიის, რელიგიის ინტერესის საგანი, დუმილის ცნების შინაარსი სიტყვის ოსტატებმა გააღრმავეს და მრავალგვარი ინტერპრეტაციით, მრავალგვარი ნიუანსით წარმოგვიდგინეს.

განსაკუთრებით, საყურადღებოა, დუმილის შემეცნებითი მნიშვნელობის აღიარება იმ პოეტებთან, რომლებმაც მხოლოდ ლიტერატურული იდეალებით იცხოვრეს და ამაღლებულს უხვად გაუღეს სული, მათ დუმილი აქციეს ინტუიციური ჭვრეტის საშუალებად, შინაგანი ხილვის, სულიერი სამყაროს უღრმეს შრეებთან შეხების, სიტყვის პოვნის გზად.

შემოქმედს სჭირდება არა მხოლოდ ჩვეულებრივი გრძნობის ორგანოები, არამედ სულის თვალი, არამარტო ხილული, არამედ უხილავი, ურთულეს ქვეცნობიერ სამყაროში ჩაწვდომის უნარი, ნათელმხილველობა, შინაგანი ხილვა, რაც მხოლოდ ემპირიულობის ყოველგვარი შთაბეჭდილებისაგან განტვირთვით მიიღწევა.

დუმილის გააბსოლუტების მიზეზი, სიტყვის უკმარობის განცდასთან ერთად, მრავალგვარია. დუმილის საზღვრები შორს მიდის, იგი ინტელექტუალური და ეთიკური სათნოების მიღწევის, პიროვნების სრულყოფის გზაა.

აღიარებულია, რომ არსებობს, ეგრეთნოდებული, „დუმილის ესთეტიკა“, რომელიც ერთის-მხრივ აღძრავს შთაგონებას, ხოლო, მეორესმხრივ, გულისხმობს სათქმელის ბოლომდე ვერ გამოხატვას.

ჩვენ არ ვეთანხმებით იმ შეხედულებას, თითქოს სიტყვიერ ხელოვნებას გამოხატვის თვალ-საზრისით ჰქონდეს ლოკალური საზღვარი და „ვერ თქმის“ ფილოსოფიამდე მივყავდეთ. თუ შემოქმედი აღიარებს, რომ მან სათქმელი ბოლომდე ვერ თქვა, ეს მიგვითითებს მხოლოდ ხელოვნების უსაზღვრო შესაძლებლობაზე.

საინტერესოა აზრი, რომელიც მიიჩნევს, რომ „პოეზია და მუსიკა დუმილის ჰარმონიული დარღვევაა, ესეც მხოლოდ სიჩუმეში ჩნდება“. თუ დუმილს არ შექმნი, სიტყვას ვერ დაბადებ მაშინ... სიტყვა ნაყოფია დუმილის ფესვის...

გარდა ამისა, „პოეზია ესწრაფვის მუსიკას, ანუ ისეთ სფეროს, რასაც სიტყვა ვერ გამოხატავს. მუსიკა გვაგრძნობინებს დუმილის სილამაზეს“. (სირაძე 1983: გვ. 114)

კომპოზიტორი დუმილში ბადებს მუსიკას, მუსიკა იგივე დუმილის ხელოვნებაა, მისი ესთეტიკის უმაღლესი განცდაა, ბეთჰოვენი – მას არ ესმოდა საკუთარი მუსიკა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს დაეწერა მე-9 სიმფონია! გაეგონა ეს საოცარი ხმები, ეს საოცარი მუსიკალობა საკუთარ სიჩუმეში, საკუთარ მდუმარებაში...

მაგრამ აქ, მუსიკაში თუ სიტყვაც გაკრთა სადმე, მხატვრობაში, არქიტექტურაში, სკულპტურაში, აბსოლუტური მდუმარებაა, აქ დუმილია პირველ-ხელოვნება, მაგრამ ეს მდუმარებაც შეიძლება იყოს ხმოვანი მეტყველი, მესაუბრე. აქ არის მუსიკაც და პოეზიაც, „სიტყვაც“ და „წერტილიც“. ეგვიპტის პირამიდები ყველაზე უკეთ გვიყვებიან ჩვენ ძველი ცივილიზაციის დიდებაზე, ძლიერებაზე, კოლიზეუმი ყველა მეცნიერს ჯობნის დაინტერესებულ პირთან რომის იმპერიაზე საუბარში.

ადამიანს არ ესმის, არც მზის ხმა და არც მთვარის ხმოვანება, მისთვის ორივე მნათობი „დუმილით შემოსილია“, მაგრამ მაინც იმდენად მეტყველი და იმდენად იდუმალი, რომ უშრეტია მათით

შთაგონება. ცნობილი ფილოსოფოსი კანტი ამბობდა: „მაოცებს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და სინდისის ხმა ჩემში“ – საოცარი ინტეგრალია! – თითქოს ერთი მთლიანი, ერთი კონკრეტული სამყარო იყოს ეს ყოველივე, კანტისთვის ასეა – ამგვარი ზეცა კოსმიური საიდუმლოებათა მაცნეა, მისი მხატვრული სახე, ხოლო ”შინაგანი ხმა“ დუმილში განცდილი სულია...“

განსაკუთრებულია სიმბოლისტების ინტერესი დუმილისადმი, სიმბოლისტებმა ერთ-ერთ თავიანთ უმთავრეს ესთეტიკურ პრინციპად დუმილი გამოაცხადეს, რადგან მათ ყველაზე მეტად აწვალებდათ სამყაროსა და ადამიანის შინაგანი სამყაროს დაფარული საიდუმლოებები და შეუცნობთან მიახლოება–გამჟღავნების ერთადერთ უტყუარ საშუალებად დუმილი მიაჩნდათ.

ამასთან, რეალიზმის ეპიგონებთან მებრძოლ სიმბოლისტებს განსაკუთრებით ტანჯავდათ სიტყვის უკმარისობის განცდა, ახალი სიტყვის პოვნის სურვილი.

სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელია კონკრეტული სახის შეცვლა სიმბოლოთი, ირეალური სინამდვილის ძიება, კამერულობა, მაქსიმალური ზრუნვა სიტყვაზე, მუსიკალობის შექმნაზე. სიმბოლიზმი იყო სინამდვილისადმი ოპოზიციის გამოხატვა. მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა დიდი ამაგი დასდეს ლირიკული აზროვნების განვითარებას.

მეტერლინგის წიგნში „მშვიდთა საუნჯე“ (1896 წ.), რომელიც სიმბოლიზმის სახარებად ითვლება დუმილს მინიჭებული ჰქონდა უდიდესი ფუნქცია, მეტერლინგის მიხედვით, დუმილი მიჩნეული იყო ადამიანის დაფარული სულიერი საიდუმლოების, თვით სიკვდილის უხილაობის ამოხსნის ერთადერთ გზად. მეტერლინგის მიხედვით, ადამიანის არსებობის მიზანი ნივთიერ ცხოვრებაზე ამაღლება, უმაღლესი იდეალების მიღწევა უნდა იყოს, ამისათვის კი საჭიროა ჩვეულებრივ მოქმედებასა და სიტყვებზე უარისთესება.

მწერლობა, პოეზია, სულიერი კათარზისია, სულის ზრდის საშუალება, როგორც პოლ ვალერი ბრძანებს: „მწერლობა მხოლოდ მაშინ მაინტერესებს, როცა ის ცდილობს და ხელს უწყობს სულის ზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სევდას მგვრის“ (ვალერი 1983: გვ. 301).

პოეტისთვის მთავარია არა მიწიერი, პრაგმატული, ხელშესახები, ნივთიერი სამყარო, არამედ სულიერება, რწმენა, ზნეობა, ნარუვალი ლირებულებები. (სორდია 2009: გვ. 32)

პლატონის აზრით, პოეტი ღმერთის „მთარგმნელი“ და „განმმარტებელია: თვით ღმერთი მეტყველებს მათი პირით... არცერთი პოეტი სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთის მთარგმნელი და განმმარტებელი. თვითეული მათგანი მისი მპყრობელი ღვთაების ტყვეა და თავისი მეუფის ნებისმყოფელი“. (პლატონი, „იონი, დიდი ჰიპია, მენონი“ 1979: გვ. 30–31)

პოეზია ყველაზე უფრო ღრმად აღნევს ენის არსში, შეგვიძლია გავიმეოროთ ჰაიდეგერის ცნობილი თქმა: არა ენა ჩვენში, არამედ ჩვენ – ენაში! ხოლო როცა ენა გამოდის სცენაზე და ის იწყებს „ლაპარაკს“, ამ დროს ცოცხლდება პოსტმოდერნისტული მეტაფორა „ავტორი მოკვდა“, პოეტი ხდება ღვთაებრივი აზრის გამტარი, მედიუმი... ეს არის ნამდვილი დიალოგი ადამიანურ და ღვთაებრივ ცნობიერებას შორის. სწორედ ამიტომ ხდება საჭირო, რომ აიხსნას ადამიანის მიერ შექმნილი... სხვა შემთხვევაში, ყველაფერი ცხადი იქნებოდა, ანუ ავტორს ყოველთვის გაცნობიერებული ექნებოდა მხატვრული სახეები და შესაბამისად, აღარ იქნებოდა საჭირო კვლევა.

ჭეშმარიტი პოეტები შთაგონებას განიცდიან, როგორც ცასთან „კომინიკაციას“. პოეტის ზეციური დანიშნულების, მისი საღვთო მისის იდეას ავითარებდა ილია ჭავჭავაძე: „... არა მარტო ტქბილ ხმებისთვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა. მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა; ღმერთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. (“პოეტი”) (ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია 1980: გვ. 200).

პოეტი სამყაროში მრავალი, სხვათათვის დაფარული საიდუმლოს ამოცნობის დიდოსტატია, ხოლო ყველაზე განუჭვრეტელი ზესაიდუმლო მაინც თავად ღმერთია: „ზესაიდუმლო რჩება მრავალი და ცნობისნადილს ვერ კვლავ აღუვსებს... მარად ეჭვების ტევრით მავალო, ქვეყნად კვლავ რამდენს ტოვებ აუხსნელს?!“ (“ზესაიდუმლო რჩება მრავალი”). გალაკტიონიც ამაზე წუხდა: „...ამის იქით კაცის გრძნობა და გონება ვერა წვდება“ (“ზელოვნება”) (ტაბიძე 1982: გვ. 8).

ეს სამყარო ბევრ თვალჩაუწვდენელ შრეს ინახავს, სათქმელი და სახე ხშირად საიდუმლოების ბურუსით იბურება, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ენიგმების ამოხსნის სურვილს.

პოლ ვალერი ბრძანებდა: “ყველაზე უკეთესი ქმნილება ის არის, რომელიც ყველაზე დიდხანს ინახავს თავის საიდუმლოს” (ვალერი 1983: გვ. 82).

გვახსენდება ფსევდო-ლონგინი: “ყველაზე უკეთესია ის ფიგურა, რომელიც ყველაზე უკეთ მალავს თავის ფიგურულ აზრს” (ფსევდო-ლონგინი 1975: გვ. 186).

პოლ ვალერი წერდა: “რარიგ უბადრუკი ვიქნებოდით და რა ცარიელი იქნებოდა ჩვენი სული, მთელი ეს მითები, ეს არაკები, ეს ალეგორიები, ეს საკრალიზებული კალამბურები, ეს ჰიპოთეზები, ეს ხატოვანი სიტყვა-თქმები და მეტაფიზიკის ეს ფსევდო-პრობლემები რომ არ არსებობდნენ (ვალერი 1983: გვ. 329).

„ის საიდუმლო, რაც შემოქმედი ადამიანის სულის ნაწილია, მის შემოქმედებაში აირევება და „საიდუმლოც“ მხოლოდ ამ გზით გაცხადდება“. საიდუმლო – მხატვრული შემოქმედების შეუვალი, მისი „ძირითადი კანონია და არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედებისა“ (კალანდაძე 1995: გვ. 148).

ამაღლებულიც საიდუმლოს უკავშირდება, რომელიც მისი ესთეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია: “ამაღლებული ხომ იმითაც არის ამაღლებული, რომ დაფარულიცაა ამავე დროს (ამ სიტყვის საუკეთესო, ამაღლებული გაგებით)” (კალანდაძე 1995: გვ. 610).

რაც შეეხება თანამედროვე ხელოვნებას მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნება უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს აღსარებად, იგი ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე არის ვარჯიში ასკეტიზმში. მასში განიწმინდება ხელოვანი-ჯერ საკუთარი თავისგან, საბოლოოდ კი – საკუთარი ხელოვნების-გან; ხელოვანი (თუ თავად ხელოვნება არა) ჯერ კიდევ ესწრაფვის პროგრესს „კარ გისკენ“. მაგრამ თუ ადრე ხელოვანისთვის უმაღლესი მიზანი იყო დაოსტატება და სრულყოფილება, ახლა უმაღლესი მიზანი იმ წერტილის მიღწევაა, სადაც ზემოთ ხსენებული ბრწყინვალე მიზნები ემოციურად და ეთიკურად უმნიშვნელო იქნება მისთვის; და იგი დუმილით უფრო დაკმაყოფილდება, ვიდრე საკუთარი ხმის პოვნით ხელოვნებაში. დუმილი, როგორც ტერმინი გვთავაზობს ანტიესთეტიკურ განწყობას იმ განწყობილების შესაქმნელად, რაც ასე ნაცნობია ხელოვნების მიერ დუმილის ტრადიციული, სერიოზული გამოყენებისას (შესანიშნავადაა აღნერილი ვალერისთან და რილკესთან) როგორც მედიტაციური ზონა, სულიერი მომწიფებისთვის მზადება, საშინელი განსაცდელი, რაც ლაპარაკის უფლების მოპოვებით უნდა დამთავრდეს. (Sontag 1967: გვ. 3)

რაც უფრო სერიოზულია ხელოვანი, მით უფრო განუწყვეტლივ თან სდევს ცდუნება, განყვითოს დიალოგი აუდიტორიასთან. დუმილი უაღრესად არაა მქევეყნიური ჟესტია ხელოვანის: დუმილით იგი თავისუფლდება ამა სოფლის მონური სახვევებისგან–სოფლისა, რომელიც გამოჩნდება მისთვის, როგორც პატრონი, კლიენტი, მომხმარებელი, ანტაგონისტი, არბიტრი და მისი საქმიანობის დამსახირებელი. (Sontag 1967: გვ. 4)

მოდერნისტი ხელოვანის მიერ არჩეული დუმილი იშვიათად აღნევს სრული გამოცდილების იმ წერტილს, სადაც იგი ზედმინევნით მდუმარე გახდება. სინამდვილეში ხელოვანი აგრძელებს საუბარს, ოლონდ ისეთი მანერით, რომ მსმენელს აღარ ძალუძს მისი გაგება. ჩვენი დროის ყველაზე ღირებული ხელოვნება გაგებულია აუდიტორიის მიერ, როგორც გადასვლა დუმილში (ან გაუგებრობაში, უსმენადობაში, უჩინაროში); იგი აგრეთვე გაგებულია, როგორც ხელოვანის კომპეტენტურობის, მისი მოწოდების პასუხისმგებლობის გრძნობის დაშლა და, შესაბამისად, როგორც აგრესია აუდიტორიის მიმართ.

მოდერნისტული ხელოვნების ქრონიკული ჩვეულებაა უსიამოვნება მიაყენოს, გააღიზიანების საბაბი მისცეს და იმედები გაუცრუოს აუდიტორიას. ყოველივე ეს დუმილის განმსაზღვრელ და შემადგენელ მომენტად შეიძლება ჩაითვალოს; მოდერნისტულ ესთეტიკაში ეს ჩვეულება გამოკვეთილია, როგორც „სერიოზულობის“ უმთავრესი სტანდარტი.

მაგრამ ამავე დროს, ეს ჩვეულება თავისებურად ეწინააღმდეგება დუმილის იდეალის განხორციელებას. იგი წინააღმდეგობრივია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელოვანი მაინც აგრძელებს ხელოვ-

ნების ნაწარმოებების შექმნას, არამედ ამიტომაც, რომ ამ ნამუშევრების სრული იზოლაცია აუდიტორიისგან, საბოლოოდ, შეუძლებელი აღმოჩნდება: დროის მსვლელობასთან და ახალი, გაცილებით რთული ნამუშევრის გაჩენასთან ერთად ხელოვანის დარღვევები თანდათანობით მომხიბლავი და უკვე კანონიერი ხდება. გოთე საყვედურობდა ჰაინრიხ კლასტს „უხილავი თეატრისთვის“ დაწერილი პიესების გამო. მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ „უხილავი თეატრი“ „ხილული“ გახდა. უგვანი და ამღვრეული „მშენიერებად“ გადაიქცა. ხელოვნების ისტორია იღბლიანი დარღვევების თანმიმდევრობაა. (Sontag 1967: გვ. 5)

ნარმოუდგენელია სრული სიცარიელისა და წმინდა დუმილის დაშვება, როგორც კონცეპტუალურად, ისევე ფაქტიურად, რადგან ხელოვნების ნაწარმოები სხვადასხვა საგნებით მოწყობილ სამყაროში არსებობს, ხელოვანმა, რომელიც დუმილს ან სიცარიელეს ქმნის, უნდა აწარმოოს რაღაც დიალექტიკური: სავსე ვაკუუმი, გამამდიდრებელი სიცარიელე, როგორც მრავლისმეტყველი მდუმარება. დუმილი აუცილებლად რჩენა მეტყველების ფორმად (მაგ., უკმაყოფილების ან ბრალდების გამოხატვის) და დიალოგის ელემენტად.

„დუმილი“ არასოდეს ამბობს უარს, იგულისხმოს თავისი ოპოზიტი და დამოკიდებული იყოს მის არსებობაზე: ისევე, როგორც არ შეიძლება არსებობდეს „მაღლა“, „დაბლა“ გარეშე ან „მარცხენა“, „მარჯვენას“ გარეშე; ადამიანმა უნდა აღიაროს ბგერის ან ენის გარემომცველი სფეროს არსებობა, რათა შეიმეცნოს დუმილი. დუმილი არსებობს მეტყველებითა და სხვა ბგერებით აღსავსე სამყაროში; (შონტაგ 1967: გვ. 8)

მე-20 საუკუნის II ნახევრის კომპოზიტორი ჯონ კეიჯი, რომელიც გამოირჩევა ნოვატორობით და გამოგონებლობით წერს: „ჩვენ უნდა მოვუსმინოთ სიჩუმეს ისეთივე ყურადღებით, როგორც ბგერებს“ (ოსტელანეტ 2003: გვ. 180) მისი ამოსავალი წერტილი არის მარტივი, მაგრამ კრიტიკული დაკვირვება, რომ მუსიკა შედგება ბგერებისა და სიჩუმისაგან.

სიჩუმე, როგორც სივრცე, რომელიც უკვე დაავადებულია ბგერებით და პირიქით, სიჩუმესა და ბგერას შორის ურთიერთობა ხდება უფრო კომპლექსური. კეიჯისთვის უკვე აღარაა საკმარისი იმის მტკიცება, რომ სიჩუმე და ბგერა ერთმანეთზეა დამოკიდებული, არც იმის, რომ ბგერა იბადება სიჩუმისგან. კეიჯი ატრიალებს იდეას: სიჩუმე უღერს ბგერებში. სიჩუმე ხდება უფრო აშკარა, როდესაც მისი ნაკვალევი ხმებში შეიმჩნევა. „მუსიკა უკვე ფლობს უხმობას (სიჩუმეს)“ – წერს კეიჯი (Kostelannet 2003: გვ. 24).

განვიხილოთ კეიჯის კომპოზიცია 4:33. მისი მოკლე აღნერა ასეთია: შემსრულებლები ან შემსრულებელი ჯდება დასაკრავად და 4 წუთისა და 33 წამის შემდეგ დგება. მუსიკა კი ის ბგერებია, რაც ამ დროის მონაკვეთში ისმის დარბაზში. ეს შეიძლება იყოს ჩახველება, ჩოჩქოლი, ჭრიალი, თას-მის შეკვრის ხმა და ნებისმიერი ქმედება რომელიც რაიმე სახის ხმას გამოსცემს.

კეიჯმა დაიჟინა არ არსებობს არავითარი დუმილი, რაღაც ყოველთვის ხდება, რაც ხმას გამოსცემს“ (კეიჯმა აღნერა, როგორ გაიგონა ჰერმენეტიკულ დახურულ ოთახში ორი ხმა: საკუთარი გულისცემისა და საფეთქლებში სისხლის დინებისა). ასევე არ არსებობს არც ცარიელი სივრცე, სანამ ადამიანის თვალს ხედა შეუძლია, დასანახიც აუცილებლად იარესებებს.

ასევე დუმილსაც, პიდაპირი გაგებით, არ შეუძლია იარსებოს, როგორც ხელოვნების ნაწარმოების ერთადერთმა საკუთრებამ – თვით ისეთი ნამუშევრის დუმილსაც კი, როგორიც არის დიუშამის „რიდემეიდები“ ან კეიჯის „4: 33“, სადაც ხელოვანი ჯიუტად აღარ აკეთებს არაფერს ხელოვნების ნებისმიერი დადგენილი კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად და მხოლოდ გალერეაში სერიული ნარმოების საგნების მოთავსებით და საკონცერტო სცენაზე ნარმოდგენის გამართვით კმაყოფილდება. (Sontag 1967: გვ. 7)

ჯონ კეიჯის შემოქმედებაზე საუბრისას მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მე-20 საუკუნის ფრანგი მხატვარი ივ კლაინი, რომელიც „ახალი რეალიზმის“ ერთ-ერთი ფუძემდებელია. „ახალი რეალიზმი“ – გულისხმობდა ახლებურ მიდგომებს განსაზღვრული რეალობის მიმართ. კლაინიც კეიჯის მსგავსად იკვლევდა სიჩუმის და სიცარიელის ფენომენებს. მას ეკუთვნის უზარმაზარი მონოგრაფუ-

რი სიმფონია რომელიც 20 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი გაბმული ნოტისაგან შედგება. რაც წინამავალი მოვლენა იყო ჯონ კეიჯის „4:33“ მუსიკალური კომპოზიციისა, რომელიც სიჩუმის ფენო-მენს იკვლევდა.

კლაინი კარგადაა ცნობილი როგორც ფოტომონტაჟიორი. „ნახტომი სიცარიელეში“ (შაუტ დანს ლე კიდე) ეს ფოტომონტაჟი ასახავს კედლიდან მხტომარე კაცს, რომელსაც მკლავები გადაშლილი აქვს და ტროტუარისკენ ეცემა. ამ ფოტოთი კლაინს სურს გამოსახოს ადამიანი როგორც მოგზაური სივრცეში. მისი აზრით, ეს ფოტო უნდა გავიგოთ როგორც „ხელოვნების“ ნახატი, მუსიკა კომპოზიციის და შინაარსის გარეშე, ნიგნი – სიტყვების გარეშე. კლაინს სურდა რომ მისი ნამუშევრები მისი მიღმური ბუნების და არყოფნის ანაბეჭდი ყოფილიყო. ავტორის აზრით, მისი შემოქმედება უნდა გავიგოთ, როგორც თეორიულ – სახელოვნებათმცოდნეო, ასევე ფილოსოფიურ - მეტაფიზიკურ ჭრილში. მან სცადა რომ აუდიენციის გამოცდილება ისე გამოეყენებინა, რომ იდეა ნახვისთანავე ეგრძნოთ, უკეთეს შემთხვევაში კი გაეგოთ – გაეანალიზებინათ.

ჩვენი დროის ხელოვნება ხმაურით მიემართება დუმილისაკენ. კეკლუცი ხალისიანი ნიპილიზმი, ადამიანი ხვდება დუმილის გარდუვალობას, მაგრამ, რატომდაც მაინც აგრძელებს ლაპარაკს. როდესაც აღმოაჩენს, რომ აღარაფერი აქვს სათქმელი, ადამიანი ახლა ამის გამოთქმას ცდილობს.

ბეკეტმა გამოთქვა იმის სურვილი, რომ ხელოვნებამ უარყოს მოვლენათა წესრიგში არაბუნებრივი ჩარევის ჩვეულება, რასაც იგი ადრე ყოველთვის აკეთებდა იმ მოსაზრებით, რომ რეალიზებული უნდა ყოფილიყო ყოველგვარი შესაძლებლობა. ხელოვნება უნდა განუდგეს „მომაბეზრებლად ზუსტ გამოკვლევებს, რაიმეს შემძლებ პრეტენზიას, ძველის ოდნავ უკეთესად კეთებას, ამ მოსაწყენი გზის კიდევ უფრო შორს გაყვანას“. „ყველაფერი უკვე გაკეთებულია, ნათქვამია, დაწერილია“. აღარაფერი რჩება გადათამაშების, უკან დაბრუნების, სიცილისა და გართობის მეტი. როგორც ნიც-შე ამბობს, სიცილი მხოლოდ მას შეუძლია, ვინც მაღლიდან დაბლა ჩამოდის (მაღლა ამსვლელს სიცილისათვის არ სცალია). მოდერნიზმმა ნერვები უკიდურესობამდე მიიყვანა – სიცარიელემდე, დუმილამდე, თეთრ ფურცლამდე, ავტომატურ წერამდე.

ალტერნატიულია ხელოვნება, რომელიც შედგება „იმის გამოხატვისაგან, რომ აღარაფერია გამოსახატავი, აღარაფერია, რაც შეიძლება გამოხატოს, აღარ არსებობს გამოხატვის არავითარი ძალა, სურვილი და ვალდებულება“.

საიდან წარმოსდგება ვალდებულება? როგორც ჩანს, სწორედ სიკვდილისაკენ სწრაფვის ეს-თეტიკა წარმოშობს რაღაც ჯიუტად სასიცოცხლოს. (Sontag 1967: გვ. 9)

ბეკეტის მთელ შემოქმედებას თან სდევს ადამიანური არსებობის უაზრობის განცდა. ადამიანი დაბადებიდანვე აბსურდისთვისაა განწირული და ეს ქმნის ტრაგიზმს.

ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებისა და ადამიანური არსებობის ტრაგიზმი მთელი რადიკალურობით წარმოდგება „გოდოს მოლოდინში“. სცენაზეა ორი მანანნალა – ვლადიმირი და ესტრაგონი, რომლებიც ერთი ხის ქვეშ, უკაცრიელ ადგილას, თავადაც არ იციან რატომ, ელოდებიან მისტიური პერსონაჟის, ვინმე გოდოს გამოჩენას, რომელიც არც არასოდეს უნახავთ და არც იციან მოვა თუ არა საერთოდ. ეპოქა, ადგილი, ვინაობა პიესაში საერთოდ არ არსებობს, ინტრიგა მხოლოდ მოლოდინია. პერსონაჟებს სიტუაციაზე ზემოქმედება არ შეუძლიათ, ამიტომ მათ მოლოდინს დასასრული არა აქვს. ასე რომ, მოლოდინის მდგომარეობა საყოველთაო აბსურდულობას გადმოსცემს.

მაგრამ ცხოვრების ბოლომდე გავლა მაინც საჭიროა, რადგან, როგორც ჰამი ამბობს პიესის ბოლოს, „უნდა გაგრძელდეს, ყველაფერი უნდა გაგრძელდეს“. აზრი იმაშია, რომ ეძებო, ეძებო ყველაფრის მიუხედავად.

ბეკეტის პიესების უმრავლესობაში მეტყველებას დაკარგული აქვს საკომუნიკაციო მნიშვნელობა. აქ მთავარია კონტაქტის შენარჩუნება, თუნდაც უაზრო, მაგრამ ფრაზის დამთავრება. პერსონაჟთა უამრავი რეპლიკა არანაირ ინფორმაციას არ იძლევა, არც დიალოგს ავითარებს. ამით იქმნება ტრაგიზმით სავსე კომიკური სიტუაცია.

მეტყველება ერთდროულად ფუჭია, რადგან აზრს არ ატარებს, მაგრამ მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რადგან მნიშვნელობის იღუზიას ქმნის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების გამოფიტვის ეს პროგრამები არ უნდა იქნეს გაგებული, უბრალოდ, როგორც ტერორისტული საყვედური მაყურებლისადმი, არამედ, როგორც სტრატეგიები აუდიტორიის გამოცდილების გასამდიდრებლად დუმილის, სიცარიელის, რედუქციის ცნებები იძლევა ახალი რეცეპტის მონახაზს ხედვისთვის, სმენისთვის და ა.შ. – რაც ხელს უწყობს ხელოვნების უფრო უშუალო, გრძნობით გამოცდას ანდა უპირისპირდება ხელოვნების ნაწარმოებს გონისმიერი და კონცეპტუალური გზით.

ლიტერატურა:

1. ვალერი 1983: პ. ვალერი, „რჩეული პროზა”, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, „ნაკადული”, თბ., 1983
2. კალანდაძე 1995: ა. კალანდაძე, ორტომეული, ტ. 2, თბ., 1995.
3. პლატონი, „იონი, დიდი ჰიპია, მენონი”, თბ., 1979.
4. სირაძე 1983: რ. სირაძე, სახისმეტყველება „ნაკადული“ თბილისი 1983წ.
5. სორდია 2009: ლ. სორდია, „ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები“ თბილისი 2009
6. ტაბიძე 1982: გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982.
7. ფსევდო-ლონგინე, „ამაღლებულისათვის”, თბ., 1975.
8. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
9. Kostelanetz 2003: R. Kostelanetz „Soho : the rise and fall of an artists' colony“, New York : Routledge, 2003.
10. Sontag 1967: S. Sontag, The Aesthetics of Silence, 1967

ხატია ანდლულაძე
ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: ქეთევან ხუციშვილი

სივრცის საკრალიზაცია

(მამა ვიტალის საფლავის გაგალითი)

ადგილი არის გეოგრაფიული სივრცე, რომელიც გარკვეული კულტურული, პოლიტიკური, რელიგიური თუ სოციალური ფაქტორების გამო იძნეს შესაბამის მნიშვნელობას. ეთნიკური ჯგუფები კი სივრცეში, გარკვეულ ტერიტორიაზე არსებობენ.

ნებისმერ ეთნოსს გააჩნია გამორჩეულობის შეგრძნება. თითოეულს თავისი მიღწევები და თვითმყოფადი კულტურა აქვს. ამასთან, ყველა კულტურას თავისი ეთნიკური სტანდარტები გააჩნია, მაგრამ ეს სტანდარტები ერთნაირ ღირებულებებს არ ეყრდნობა და არ გამოხატავს.

კულტურა არ არის მზა სახის. მრავალი დეფინიცია არსებობს, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა. თითოეული მათგანი ადასტურებს რომ, კულტურაა ყველგან სადაც არის ადამიანი.

კულტურა ფართე ცნებაა, ეთნოგრაფიული გაგებით იგი შედგება ცოდნის, რწმენა-წარმოდგენების, ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებებისა და ზოგი სხვა უნარ-ჩვევისაგან, რომელიც შეძენილია ადამიანის, სოციალიზაციის პროცესში და გამოვლენილია სივრცესა და დროში. კულტურის შიდა ელემენტებსა და ფორმირებაზე გავლენას ახდენს დრო, ადგილი და ხალხი. „სივრცე კულტურის განზომილებას წარმოადგენს და მისი ორგანიზების ფორმებში კულტურის მახასიათებლები იკითხება“ (ხუციშვილი: 2013:367).

საინტერესოა, როგორ ხდება ადგილი გამორჩეული, საკრალური და როგორია ურთიერთმიმართება ადამიანებსა და სივრცეს შორის. ადგილს სიწმინდეს ანიჭებს რელიგიური ტრადიციები და რიტუალები. რაც შეეხება რიტუალს, იგი წინასწარ განსაზღვრული და მკაცრად რეგლამენტირებული როლების შესრულებას გულისხმობს, საიდანაც ყოველგვარი გადახვევა, განსაკუთრებით საკრალურ რიტუალებში, დაუშვებელია. რიტუალის შემსრულებელმაც ზუსტად იცის, რას აკეთებს ან რა უნდა გააკეთოს. მორწმუნე ადამიანს სჯერა, რომ ასეთი ქმედება „ღვთაებრივთან“ კომუნიკაციის საშუალებაა. რიტუალური ქმედების ფუნქცია გარკვეული მსოფლმხედველობრივი თუ ქცევის ნორმებისა და წესების გათავისება და მათი დემონსტრაციაა. რიტუალი კი დაკავშირებულია კონკრეტულ სივრცესთან, რომელიც ასევე წინასწარაა გარკვეული ნიშნით განსაზღვრული.

ე. დურკჰეიმის განმარტების თანახმად, საკრალური მოიცავს იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც თაყვანისცემისა და გაფრთხილების ობიექტებია. რელიგიის შესაწვლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკრალურად მიჩენულ საგნებს. (სოც./პოლიტ. ლექსიკონი: 2004:259).

ადგილს საკრალურობას რელიგიური რიტუალები და ადამიანთა დამოკიდებულებები ანიჭებს. მარტივად, რომ ვთქვათ, რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული ჩვეულებები საკრალურია.

თითოეულ ადგილს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. სივრცესთან მიმართებაში კი სიმბოლო არის როგორც აღმნიშვნელი ანუ იქშიფრი“, ე.ი. იგი ხსნის რეალობას. რელიგიურ სიმბოლოებს ადმინისტრაციის ფუნქციონალური დატვირთვა გააჩნია, ამ სიმბოლოებით ხდება კომუნიცირება, ინფორმაციის გაზიარება, ჩართულობის უზრუნველყოფა და მეხსიერების უწინევების უზრუნველყოფა. ასეთი დატვირთვა შეიძლება კონკრეტულ ადგილსაც მიენიჭოს.

ტრადიცულია მოსალოცად სიარული, სხვადასხვა მონასტრებში. ასევე, წმინდანთა საფლავების მოლოცვა. წმინდანთა საფლავების მოლოცვა ზოგჯერ სასწაულებსაც უკავშირდება. არსებობს შეხედულება, რომ ასეთი ადგილების სამჯერ მოლოცვით მორწმუნებები მაღლი გადმოდის.

წმინდა ადგილებისა თუ საფლავების მონასტრება, მოლოცვა რელიგიურობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა. XX საუკუნის დაქართველოს დიდ სასულიერო მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ბეთანიელ მამებს (გიორგი-იოანე მხეიძეს, იოანე მაისურაძეს) და გაბრიელ ურგებაძეს. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა. მორწმუნები თავს ვალდებულად თვლიან მოინახულონ მათი მოღვაწეობის ადგილი და საფლავები. ამ წმინდანთა თანამედროვე და მრევლის მხრიდან წმინდანად მიჩნეული მამა ვიტალი სიდორენკოს საფლავიც, თბილისში, ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში მომლოცველობის ადგილად იქცა.

მამა ვიტალი სიდორენკო დაიბადა კრასნოდარის მხარეში 1928 წელს. როცა მისი დედა, ალექსანდრა (შემდგომში – მონაზონი ანდრონიკა), ორსულად იყო მასზე, უფალს ევედრებოდა: „ღმერთო, ისეთი შვილი მომეცი, შენც სათნო გეყოს და ხალხსაცო“. გადმოცემით მან უარი თქვა საბჭოთა პასპორტზე. საბუთების უქონლობის გამო კი დევნიდნენ. 5 წლის განმავლობაში იგი ქართულ ოჯახში საიდუმლოდ ცხოვრობდა, ადამიანებისა და ხელისუფლებისგან მაღულად. მხოლოდ იშვიათად ჩნდებოდა ღვთის მსახურების დროს ალექსანდრე ნეველის ტაძარში. მამა ვიტალი კავშირი არ გაუწყვიტავს რუსეთთნ, ხოლო 1980 წელს საბოლოოდ დაფუძნდა საქართველოში. ავადმყოფობის შედეგად კი 1992 წლის 1 დეკემბერს გარდაიცვალა, დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში. (ambioni.ge.)

მომხდარი სასწაულების შესახებ გავრცელებული ნარატივების გამო, მრავალი ადამიანი მიდის საფლავზე მოსალოცად, იმ რწმენით რომ მათ ლოცვას შეისმენს წმინდა ვიტალი. თითოეული მათგანი სთხოვს შემწეობას, თან მოაქვთ ხატები, ფოტოსურათები, პირადი ნივთები – ძირითადადი ჯვარი, საქორნიო ბეჭდები ან ლოცვანის წიგნები. ამ ყველაფერს აწყობენ საფლავზე და ლოცულობენ. ანთებენ სანთელს, შემდეგ იცხებენ ზეთს, ემთხვევიან ჯვარს. საფლავზე მოჰყავთ, როგორც მცირენლოვანი ბავშვები, ასევე მოდიან უფრსები, ქალებიც და მამაკაცებიც, ძირითადად ჯანმრთელობის ან სხვა სახის პრობლემის მქონენ. მოსულთა უმრავლესობა დიდ ხანს ლოცულობს საფლავზე, შემდეგ მინას, რომელსაც წმინდა მინად მიიჩნევენ და განსაკუთრებულ თვისებებს მიაწერენ ყრიან საფულეში ან ჩანთაში. ეკლესიის მრევლი ამბობს, რომ მრავალი სასწაული სმენიათ, რაც აქ გულით მლოცველებს გადახდენიათ. მაგალითად, თვალის ჩინის დაბრუნება, ასევე უშვილო წყვილები მოდიან ხშირად და ბევრი მაგალითია, როდესაც შვილი უჩნდებათ. თუმცა, მოსულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოდიან სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად. მრევლის ერთ-ერთმა წევრმა, აღნიშნა, რომ საფლავთან არსებულ ყუთში შესაძლებელია წერილის მოთავსებაც კი. აღნიშნავენ რომ მამა ვიტალი არის მსწრაფლშემსენები და ეხმარება ყველას. ურჩევენ სხვებს რომ ხშირად იარონ და რწმენით ილოცონ, შემდეგ კი ყველაფერი კარგად იქნება. ხშირად ამბობენ შემდეგ ფრაზას, რომელიც მამა ვიტალის მიენერება – „მოდით ჩემს საფლავზე, მიამბეთ ყველაფერი, როგორც ცოცხალს და მე დაგეხმარებით“. საფლავს ოთხი წელია უვლის ქალი, (ფატინე) რომელიც დადიოდა ამ ეკლესიაში დიდი ხანია და აქვს ეს მორჩილება. ფატინე დაბადებულია საქართველოში, თუმცა ეროვნებით რუსია.

ეკლესიაში წირვ-ლოცვა რუსულად მიმდინარეობს. თუმცა უშუალოდ მამა ვიტალისთან მოსულებს შორის ქართველებიც არიან და რუსებიც.

მამა ვიტალის საფლავი არის საინტერესო მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება გაკრვეული სივრცის ადგილად ქცევა და საკრალიზაცია. სწორედ მამა ვიტალისთან დაკავშირებულმა ნარატივებმა, მისმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ მნიშვნელობებით დატვირთა და ფუნქციური გახადა მისი საფლავი, ტაძრის ეზოში.

შეიძლება ითქვას, რომ მამა ვიტალის საფლავზე მომლოცველობა ტრადიცულ ქმედებას დაემსგავსა, ვინაიდან უკვე გრძელდება წლებია. მომლოცველთა რაოდენობა იზრდება საკრალური ადგი-

ლების დაკვირვება, შესწავლა საუკეთესო საშუალებაა, რელიგიურობის პრაქტიკულ გამოვლინებაზე დასაკვირვებლად. დღეს მამა ვიტალის საფლავი თაყვანისცემის ობიექტია და ამ სახითაა ჩართულია ყოველდღიურობაში: „ყოველ პარასკევს დავდივარ“, იკ როდესაც თავს ცუდად ვგრძნობ და აქ მოვალ, სიმშვიდეს ვპოულობ“, იკაც ვცხოვრობ და ყოველდღე დავდივარ, ვესაუბრები ხშირად“ – აცხადებენ მომლოცველები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მამა ვიტალის საფლავის საკრალიზაცია, გამოიწვია რიტუალურმა ქმედებებემა და კონკრეტული პირის სასულიერო მოღვაწეობამ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონიდცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.; გამომც.: ლაშა ბერაია] – თბ.: ლოგოს პრესი, 2004 – 351 გვ.
2. ხუციშვილი ქ. სივრცისა და მატერიალური ობიექტების საკრალურობის კონსტრუქცია (იშეიხ ისა-ეფენდის საფლავის მაგალითზე), კრ. ვერა ბარდაველიძე – 110, უნივერსალი, თბილისი, 2013 გვ. 367–379.
3. დანელია დ. „მოდით ჩემს საფლავზე, მიამბეთ ყველაფერი, როგორც ცოცხალს და მე დაგეხმარებით“, www.ambioni.ge. 28.06.14

შალვა ლეკიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: თამაზ მძინარაშვილი

მეშვიდე გრძელება – სმენით დანახული სამყარო

ოცდამეტეთე საუკუნე ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციების საუკუნეა, მეცნიერულმა აღმოჩენებმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია და სრულიად მოიცვა ჩვენი ცხოვრება. დღესდღეობით თანამედროვე ადამიანები, იმდენად ვართ განებივრებულნი უახლესი კომპიუტერული აპარატურით, რომ ვფიქრობთ, რომელმა გამოგონებამდა შეიძლება გაგვაკვირვოს, ჩვენ ხომ ყოველდღე ვსარგებლობთ ტექნოლოგიური სასწაულებით, მაგრამ შევეცდები ერთი უახლესი მიღწევა გაგაცნოთ. თანამედროვე მეცნიერების ერთდერთ ყველაზე მნიშვნილოვან კვლევის საგანს ნარმოადგენს კიბერნეტიკული ორგანიზმების შექმნა, ეს არის ადამიანი, რომელშიც შერჩყმულია კომპიუტერული და ცოცხალი ორგანული ნაწილები. კვლევა მოიცავს რამდენიმე მიმართულებას, მათ შორის ტექნოლოგიების მეშვეობით ახალი შეგრძნებების შექმნას, სწორედ ეს გახლავთ ჩვენი დღევანდელი მოხსენების თემაც.

ეიბორგი არის სხეულისკიბერნეტიკული აპარატი, რომელიც მაგრდება ადამიანის თავზე და შექმნილია იმისათვის, რომ უსინათლოებს და აქრომატოფსიით დაავადებულებს, რომლებიც ფერებს ვერ არჩევენ და სამყაროს ნეგატივში ხედავენ, საშუალება მიეცეთ, ფერები აღიქვან ხმოვან ტალღებად.

ეიბორგი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან. შუბლის მხარეს ანტენაზე დაყენებულია კამერა, რომელიც უძრავია და მხოლოდ მის წინ არსებული სხეულების ფერებს აფიქსირებს, ხოლო მეორე მხარეს ბოლოვდება ჩიპით, რომელიც თავის ქალას კეფის წილშია ჩამონატაჟებული, სწორედ ჩიპში ხდება ფერების გარდაქმნა ხმოვან ტალღებად. ტალღები ვრცელდება პორიზონტალურად, ჩიპის გასწვრივ, ორივე მხარეს და გარეთა სასმენი მილის გაუვლელად, პირდაპირ ძვლის გავლით, შედის შუა ყურში, საიდანაც გადადის ლოკოკინაში, აქ ხდება რეცეპტორების გაღიზიანება და სმენის ნერვით აგზნების მიტანა ტვინის ქერქის საფეთქლის წილში. საბოლოოდ ადამიანი აღიქვამს გარკვეული სიხშირის და ტონალობის ბგერას, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ ფერს. რაც უფრო კაშკაშაა ფერი, მით უფრო მაღალია ბგერის ტონალობა.

ხმოვანი სიგნალებისა და ფერების დამაკავშირებელი პირველი სკალა შეიქმნა 2003 წელს, მას ჰარბისონის სონოქრომატულ მუსიკალურ სკალას უწოდებენ. ეს არის მიკროტონალური და ლოგარითმული სკალა 360 ნოტით ოქტავაში, თითოეული ნოტი შეესაბამება ფერის გარკვეულ ინტენსივობას. 2005 წელს შეიქმნასახალი სკალა, რომელსაც ჰარბისონის წმინდა სონოქრომატული სკალა ეწოდება. ის აღარაა ლოგარითმული, აქ უკვე განსხვავებული მექანიზმია, რომელიც სინათლის სიხშირების ბგერით სიხშირეებზე გადატანაზეა დაფუძნებული. 2010 წლიდან ეიბორგების მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ თვითონ გადაწყვიტონ, თუ რომელი სკალით სურთსარგებლობა.

აპარატის შექმნის ისტორია ასეთია: 2003 წელს ნარმოშობით ესპანელი, ინგლისის ერთდერთი ხელოვნების კოლეჯის 21 წლის სტუდენტი, ნილ ჰარბისონი, რომელიც ბავშვობიდან აქრომატოფსიით იყო დაავადებული და შავდეთერ ფერებში ხედავდა სამყაროს, დაესწრო ლექციას სახელით „ტექნოლოგიების გამოყენებით სამყაროს ახლებურად დანახვის საშუალება“. ლექციის დამთავრების შემდეგ ის მივიდა მომხსენებელთან, ახალგაზრდა კიბერენტიკოს ადამ მონტანდონთან და უამბოთავის შესახებ. ჰკითხა არსებობდა თუ არა რაიმე საშუალება, რომლითაც მისთვის ფერების აღქმა შესაძლებელი გახდებოდა. ამ ყველაფრის შემდეგ მონტანდონი ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ დახმარებოდა ჰარბისონს. მას რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა. მაგალითად, აპარატის გამოგონება, რომელიც ხმამაღლა იტყოდა ფერის სახელს, მაგრამ მას სურდა რაღაც უფრო ჯადოსნური.

საბოლოოდ ის დაფიქრდა სინათლისა და ბგერის ფიზიური მსგავსებების შესახებ. მისი თქმით, სინათლე არის ტალღის სიგრძე, რომელიც ძალიან სწრაფად მოძრაობს, ხოლო თუ მის სიჩქარეს საკმარისად შევანელებთ, ის გახდება უხილავი, მაგრამ გახდება სმენადი. ბატონი მონტანდონის ჩემი დიდი პატივისცემისდა მიუხედავად არ შემიძლია არ აღვინოშნო, რომ ეს შეხედულება მცდარია, რადგან სინათლის ტალღა განივ ტალღებს მიეკუთვნება, ხოლო ბგერითი დგრძივს და ასე პირდაპირ სიჩქარის შემცირებით სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ, თუმცა რა თქმა უნდა სინათლის სიხშირეების ბგერით სიხშირეებზე გადატანა ნამდვილად შესაძლებელია და ამას კომპიუტერული მექანიზმებიძალიან ადვილად აკეთებენ ტალღების ენერგიების მეშვეობით. თითოეულ ფერს თავისი ენერგია აქვს, რომელიც შესაბამისი ენერგიის მქონე ბგერით ტალღად გადაითარგმნება.

მონტანდონმა და ჰარბისონმა ორკვირიანი ერთობლივი მუშაობით შექმნეს მოწყობილობა, რომელიც სინათლის ტალღებს, სხვადასხვაფერს რომ შეესაბამება, გადაიყვან და გარკვეული ტონალობის ბგერით ტალღებად. აპარატის მექანიზმიძალიან მარტივი, უბრალო, იაფიდა, რაც მთავარია, ადვილად დასამზადებელი იყო. მათ გამოიყენეს კომპიუტერის ვებდკამერა და ძველი ყურსასმენები, რომლებიც ლეპტოპთან იყო დაკავშირებული. სწორედ ლეპტოპში ხორციელდებოდა მთავარი პროცესი, ფერის გარდაქმნა ბგერად. ესყველაფერი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მოწყობილობას თავისი ფუნქცია კარგად შეესრულებინა. რათქმაუნდა, აპარატი პირველად ჰარბისონმა გამოსცადა. ის სკოლის დერეფანში დიდი წითელი საინფორმაციო დაფის წინ იდგა და მონტანდონი აცნობდა თითოეული ფურცლის ფერს. ჰარბისონმა ძალიან სწრაფად აითვისა ფერებისა და ბგერების ტონალობების ასოციაციები და აღფრთოვანებული გავარდა სკოლის შენობიდან, რათა ახალი თვალით დაენახა სამყარო. ის ყველას და ყველაფერს აკვირდებოდა და უსმენდა, ის უსმენდა სახლების ფერებს ქუჩებზე, დადიოდა მარკეტებში, რომ მოესმინა ხილისა და ბოსტნეულის ფერებისთვის. მისი თქმით, ეს ელექტრონული მუსიკის მოსმენის მსგავსია. ჰარბისონი იმდენად იყო გაოცებული ახალი შესაძლებლობებით, რომ ორი კვირის განმავლობაში არც კი გამოიურთავს მოწყობილობა, მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ისე ადვილი იყო ამ აპარატთან შეგუება, რადგან მის მიერ გამოცემული ხმები ადრეულ ხანებში თავის ტკივილს და გულისრევის შეგრძნებასაც კი იწვევდა. მას ხუთი კვირა დასჭირდა იმისათვის, რომ საბოლოოდ გაევლო თავის ტკივილებს და ავტომატური გამხდარიყო ეს ყველაფერი.

იმის გამო, რომ გამოგონება არცთუ ისე მოსახერხებელი იყო სატარებლად, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა იმუშავეს მის დასახვეწად. 2007 წელს სლოვენიელმა მეცნიერმა პიტერკესემ, რომელიც კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებაზე მუშაობს, გააუმჯობესა ეიბორგი, რის შემდეგაც ფერების აღქმა შესაძლებელი გახდა სინათლის ყველა სპექტრში და ფერთა ტონალობების რაოდენობა გაიზარდა 360დმდე, ასევე შესაძლებელი გახდა მის დარეგულირება, თუ რომელი ინტენსივობის ფერების დანახვა გსურს და რომლის არა. 2009 წელს მათია სლიზანამ, კატალონიელმა სტუდენტმა, ეიბორგის საბოლოო სახე წარმოადგინა. მანმოწყობილობას დაუმატა ჩიპი, რომელიც ადამიანი სსხეულის ნაწილი ხდება და თავიდან აცილებს მის მომხმარებელს იმ დისკომფორტს, რომელსაც ყურსასმენების გაკეთება დალეპტოპის ზურგჩანთით ტარება იწვევდა. ჩიპიან თანამედროვე ეიბორგს, ძველი პროტოტიპისგან განსხვავებით, კიდევ ერთი ძალიან დიდი უპირატესობა აქვს, მისი მეშვეობით ბგერები ყურის ნიუარის გაუვლელად, პირდაპირ თავის ქალას ძვლებში გავლით შედის შუაყურში. ამგვარად, შესაძლებელი ხდება ნამდვილი გარემოდან ჰაერის მეშვეობით მიღებული, ხმოვანი ტალღების და ჩიპში გარდაქმნილი ტალღების ერთმანეთისგან გარჩევა.

დღესდღეობით ნილ ჰარბისონის შესაძლებლობები სხვაჩვეულებრივი ადამიანების შესაძლებლობებს აღემატება, ეს კი ეიბორგის დამსახურებაა. მას სინათლის ინფრანიტელი და ულტრაიისფერი სპექტრისფერების აღქმა შეუძლია, რაც ჩვენთვის უხილავია, ადამიანის თვალს ასეთი ფუნქცია არ აქვს. ძირითადად ეს უნარი ცხოველებს, ფრინველებს და მწერებს აქვთ. ყველამ ვიცით, რომ ულტრაიისფერი სხივები კანს აზიანებს. ჰარბისონს შეუძლია ეს დააფიქსიროს და გაერიდოს ჯანმრთელობისთვის მავნე გამოსხივებას. მას ეიბორგის და მისი წარმოსახვის მეშვეობით შეუძლია ააგოს

ისეთი სურათი, რომლის დანახვაც არავის ძალუძს. ნილპარბისონის თქმით, ეიბორგის პროცესორი და მისი ტვინი იმდენად შეთანხმებულად მუშაობს, რომ ეს ტალღების გარდაქმნა გრძნობასავით ჩა-მოყალიბდა. მას უკვე ჰგონია, ეს პროცესი მისავე ტვინში ხდება, ბერების გაგონებისას უკვე აღარ სჭირდება ფიქრი, იმაზე, თუ რომელ ფერსშეესაბამება ესა თუ ის სიხშირე, ის უკვე ავტომატურად გრძნობს ფერებს, ამიტომაც ამ უნარს მეშვიდე გრძნობასაც უწოდებენ. მისი მეშვეობით ჰარბისონი ხელოვნების სფეროში აქტიურად მოღვაწეობს, წერს მუსიკას ფერებიდან მიღებული ხმოვანი სიგნა-ლებით. განსხვავებით სხვ აკომპოზიტორებისაგან, რომლებსაც თავიანთ გონებაში წარმოქმნილი მუსიკა გადმოაქვთ ნოტებზე, ის მზა, ბუნებაში არსებული ფერთა მუსიკით სარგებლობს და ამგვა-რად ქმნის ნაწარმოებებს.

დროთა განმავლობაში ფერების გარდაქმნამ ბერებად, შებრუნებული სახეც მიიღო. ჰარბი-სონი ამბობს, რომ როდესაც სამხატვრო გალერეაში მიდის, უსმენს პიკასოს, ხოლო როდესაც სა-კონცერტო დარბაზშია, უსმენს ფერთა მრავაფეროვნებას. მაგალითად, მისთვის ბახი და მოცარტი ყვითელია, ბეთჰოვენის მუსიკაში ლურჯი და იისფერი ჭარბობს, ვივალდის ოთხი სეზონი კი განსა-კუთრებით გამოირჩევა ფერთა სიუხვით. გაზაფხული და შემოდგომა, მუსიკალური გადასვლებიდან გამომდინარე, ფერადია, ზაფხულში ყვითელი დომინანტობს, ხოლო ზამთარი ცისფერით იწყება. ჰარბისონის თქმით, სუპერმარკეტში სიარული დამის კლუბში ყოფნას ჰგავს, იქაურობა სავსეა სხვა-დასხვა მელოდიებით. ჰარბისონი ფერწერულ ნამუშევრებსაც ქმნის, მას დახატული აქვს რამდენიმე ცნობილი მუსიკალური ნაწარმოები, მაგალითად ლუი არმსტრონგის ნონდერფულ ნორლდ, ბახის, ვერდის, ვივალდის, რახმანინოვის და სხვათა კომპოზიციების დომინანტი ფერები.

ნილ ჰარბისონი, ეიბორგის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ადამიანების სახეებზე დაკ-ვირვებით ინიშნავს ნოტებს, შემდეგ კი ქმნის ხმოვან პორტრეტებს. ყოველი სახე გარკვეული ტონა-ლობის ჟღერადობით გამოირჩევა, მაგრამ ზოგიერთი ერთმანეთსაც ჰგავს, მაგალითად ნიკოლ კიდ-მანის და პრინცი ჩარლზის სახეები, მათი თვალისფერი ერთნაირია, ამიტომ ისინი მსგავსად ჟღერს.

ნილ ჰარბისონი მთავრობის მიერ ოფიციალურად აღიარებული პირველი ეიბორგია მსოფლიო-ში. დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციით, პასპორტის სურათის გადაღება ელეტრონული მოწყობილო-ბის თანხლებით აკრძალულია. ამის გამო მას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდა იმის დასამტკი-ცებლად, რომ კიბერნეტიკული აპარატი მისი სხეულის ახალი ნაილია, მისი ტვინის გაფართოებაა. ეიბორგი მის პასპორტის სურათში 2004 წლიდანაა დაფიქსირებული.

ჰარბისონმა 2010 წელს დაარსა კიბორგების ფონდი. ორგანიზაციის მიზანია სხეულის კიბერ-ნეტიკული ნაწილების დახვენა, განვითარება, ახალი იდეების მოძიება, სხეულში ტექნოლოგიების ჩამონტაჟებით ახალი შეგრძნებების შექმნა, ეიბორგების და სხვა ამდაგვარი მექანიზმების მთელ მსოფლიოში გავრცელება. ფონდის წევრებს სჯერათ, რომ ეიბორგი არ უნდა ითვლებოდეს მოწყო-ბილობად, ის აღიარებული უნდა იყოს სხეულის ნაწილად. ამის გამო ის არიყოდება, საჭიროების შემ-თხვევაში მხოლოდდამხოლოდ საჩუქრად გადაიცემა. უკვე რამდენიმე წელია ფონდი თანამშრომ-ლობს ევროპის, აზიის და ამერიკის უსინათლოთა საზოგადოებებთან, ეხმარება მათ, რომ განავითა-რონ ფერების შეგრძნება. კიბორგების ფონდმა ხელშეკრულებები დადო სხვადასხვა ქვეყნის მთავ-რობებთან და უნივერსიტეტებთან, რათა მასიურად დაიწყონ ეიბორგების დამზადებადა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელება.

და ბოლოს, მინდა მოგახსენოთ ჩემი აზრი ამ გამოგონებასთან დაკავშირებით, ვფირობ, დღეს-დღეობითები ბორგსთავისიშესაძლებლობებიდან გამომდინარეანალოგი არ ჰყავს, არ არსებობს სხვა მექანიზმი, რომლითაც ფერების აღქმა იქნება შესაძლებელი, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს მოწყობილობა ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ადამიანისთვის, ასევე საჭიროა დაინერგოს სპეციალური ტრენინგები, რომელთა მეშვეობითაც ეიბორგის მომხმა-რებლები სწრაფად აითვისებენ ფერების შეგრძნებას.

ვფიქრობ, რომ უახლესი ეიბორგის კიდევ უფრო დახვენაც შესაძლებელია, ამისათვის პირველ რიგში საჭიროა კამერა შემცირდეს ზომაში და პირდაპირ კანში ჩაიდგას, ასევე ანტენის მაგივრად,

ჩიპთან დამაკავშირებელი ელექტროგაყვანილობაც კანის ქვეშ გატარდეს. მაგრამ ისმება კითხვა ღიირს კი ასეთი დახვენა, მართალია ამგვარი ეიბორგი ნამდვილად უფრო მოსახერხებელი იქნება, მაგრამ აქ უკვე სხვა პრობლემების წინაშე ვდგებით, თავში ჩასამონტაჟებლად სერიოზული ქირურგიული ჩარევები გახდება საჭირო, კანის მთელ სიგრძეზე გაჭრა, შუბლის მხარეს კანის პატარა ნანილის ამოჭრა. ეს ყველაფერი კიდევ ცალკეულ პრობლემებს გამოიწვევს, შეიძლება ნაკერების ადგილზე თმის საფარი აღარ განვითარდეს, ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ეიბორგის მქონე ადამიანი თმას ვეღარ გაიზრდის, რადგან გრძელი თმა შეიძლება ჩამოეფაროს კამერას და დისკომფორტი გამოიწვიოს. ეს რა თქმა უნდა ჩემი ვარაუდებია, მეცნიერება კი ისეთი ტემპებით მიიწევს წინ, რომ ადვილი შესაძლებელია სულ მალე ახალი ყველაზე ოპტიმალური ეიბორგის ვარიანტი შეოგვთავაზონ კიბერნეტიკოსებმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.the-scientist.com/?articles.view/articleNo/32029/title/The-Sound-of-Color/>
2. <http://www.harbisson.com/>
3. <http://en.wikipedia.org/wiki/Eyeborg>
4. <http://www.telegraph.co.uk/health/alternativemedicine/3313425/Eyes-opened-to-sound-of-socks.html>
5. <http://www.newscientist.com/blogs/culturelab/2012/06/cyborg-makes-art-using-seventh-sense.html>
6. <http://www.wired.com/2008/02/cyborg-enables-color-blind-artist-to-hear-his-palette/>
7. http://bits.blogs.nytimes.com/2012/07/02/a-surgical-implant-for-seeing-colors-through-sound/?_php=true&_type=blogs&_php=true&_type=blogs&_r=1
8. <http://eyeborg.wix.com/neil-harbisson#!videoart>
9. <http://en.wikipedia.org/wiki/Cyborg>
10. <http://www.theverge.com/2012/8/8/3177438/cyborg-america-biohackers-grinders-body-hackers>

მეგი მამუკაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერტიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: ლილი ხეჩიაშვილი

პოსტტრამპული ზრდის ფანოგენი გულერულ ზონები მცხოვრებ აღამიანები

დიდად მატრამვირებელმა მოვლენებმა ან ძირითადმა ცხოვრებისეულმა ტრავმამ, ისეთმა, როგორიცაა სერიოზული დაავადება, გამოცდილებაში არსებული საგზაო შემთხვევა, საყვარელი ადამიანის დაკარგვა, უმშევრობა, განქორნინება და ა.შ. შეიძლება მიიყვანოს ადამიანი ნეგატიურ ქცევით, ფსიქოლოგიურ ან ემოციურ მდგომარეობამდე (Taku, Cann, Tedeschi, & Calhoun, 2009). ტრავმამ შეიძლება იმდენად ნეგატიური გავლენა მოახდინოს ინდივიდზე, რომ გამოიწვიოს ისეთი ფსიქოლოგიური მოვლენები, როგორიცაა დისტრესი, დეპრესია, შფოთვა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობაც კი. უფრო მეტიც, ტრავმული მოვლენის შედეგი შესაძლოა იყოს ინდივიდში ნეირობილოგიური ცვლილებები, ეჭვიანობა და პარანოია, სიცარიელის და უიმედობის შეგრძნება, იმპულსურობა. სტრესულ და მატრავმირებელ მოვლენებს თან სდევს ასევე კონცენტრაციის უნარის დაქვეითება, ძილთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა.

ადამიანის სხეულსა და გონებას საფრთხეზე რეაგირების მნიშვნელოვანი მექანიზმების სისტემა გააჩნია. საფრთხის ამოცნობის შემთხვევაში ეს დამცავი სისტემა ამოქმედდება, რომელიც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პასუხების ერთობლიობით ვლინდება. საფრთხესა და საშიშროებაზე ყველაზე ცნობილ რეაქციას შებრძოლების ან გაქცევის (ფიგჰტ ორ ფლიგჰტ) რეაქციას უწოდებენ. სტრესული რეაქცია ფსიქო-ფიზიოლოგიური ბუნებისაა; ის ორგანიზმს ქმედებისათვის ამზადებს. ეს მზაობა ორგანიზმის საპასუხო რეაქციის – შეტევაზე გადასვლის ან გაქცევის – საფუძველია.

ადამიანზე სტრესის ზემოქმედება და ზიანის მიღება-არ მიღება დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, კერძოდ, თავად მოვლენაზე, ინდივიდის პიროვნულ თავისებურებებზე, სტრესის დაძლევაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობაზე, მოვლენის აღქმა-ინტერპრეტაციაზე და ა.შ.

ადამიანზე დიდ გავლენას ახდენს ტრავმა. სტრესული მოვლენებისაგან ტრავმა განსხვავდება უარყოფითი (დისტრესული) ზეგავლენის სიძლიერით. ტრავმა არის შოკისმომგვრელი ზემოქმედების მქონე ისეთი უეცარი და მოულოდნელი მოვლენა, როგორიცაა ახლობლის გარდაცვალება, სიცოცხლის ხელყოფის ან სხეულის დაძიანების საფრთხე, შიშისა და უსუსურობის სუბიექტური განცდა (American Psychiatric Association, 2000, პ. 463).

ინტენსიურმა ან დიდი სიძლიერის სტრესული მოვლენის გადატანამ შესაძლოა გამოიწვიოს პოსტტრავმული სტრესული აშლილობა(თშ). თუმცა ნარსულში მიაჩნდათ, რომ PTSD-ს ომის შედეგად განვითარებულ ნევროზს ან ომის დროს მიღებულ ფსიქიკურ ტრავმას უწოდებდნენ და, ძირითადად, მას ყოფილ სამხედრო პირთა მკურნალობისას ეცნობოდნენ. თუმცა დღეს ამ PTSD-ის დიაგნოზის დასმა ისეთ ადამიანებთანაც გვხვდება, ვისაც რაიმე დიდი ტრავმული მოვლენა გამოიყვლია.

პოსტტრამპული ზრდა კი არის პოზიტიური ცვლილება ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც დაკავშირებულია დიდ ცხოვრებისეულ კრიზისთან გამკლავებასთან. თუმცალა ზრდა ტრავმის პირდაპირი შედეგი არაა. ეს არის ინდივიდის ბრძოლა ტრავმის შემდგომ ახალ რეალობასთან შეგუების-თვის, რაც დიდ როლს თამაშობს პოსტტრავმული ზრდის ტიპის განსაზღვრაში. ხშირად ამ პროცესს მეტაფორულად მიწისძვრასაც უწოდებენ ხოლმე (Calhoun & Tedeschi, 1998).

ამ შემთხვევაში ტერმინები: კრიზისი, ტრავმა, სტრესული მოვლენა გამოიყენება, როგორც სი-ნონიმები (ე.გ., მერიცან სყვარებისა და სისტემური მოვლენების შესახებ, 2000).

გარკვეულმა პიროვნულმა მახასიათებლებმა, ისეთებმა, როგორიცაა ექსტრავერტულობა, გა-მოცდილებისადმი ღიაობა და ოპტიმისტურობამ შეიძლება პოსტტრავმული ზრდა გახადოს უფრო მოსალოდნელი.

ტედერისა და კალპოუნის, პოსტტრავმული ზრდის წამყვანი მკვლევარებისა და მოდელის ავ-ტორების მიხედვით, პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლებია: სიცოცხლის უფრო მეტად დაფასება, გაუმჯობესებული ინტერპერსონალური ურთიერთობები, ინდივიდის სიძლიერის განცდის მატება, გადაფასებული პრიორიტეტები, უფრო გამდიდრებული და გაღრმავებული სულიერი ცხოვრება.

მრავალი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ მატრავმირებელი მოვლენები დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ტრავმული მოვლენების ნეგატიუ-რი შედეგი მრავალი კვლევით არის დადასტურებული, თუმცა ძალიან ცოტა მასალა არსებობს ნეგა-ტიური მოვლენებით გამოწვეული პოზიტიური შედეგების შესახებ.

ტედერისა და კალპოუნის მიხედვით პოსტტრავმულ ზრდაში ცენტრალური ადგილი უკავიათ კოგნიტურ პროცესებს, რადგან ტრავმის შემდეგ ყოველთვის ხდება ერთგვარი კოგნიტური გადას-ტრუქტურირება/ გადაწყობა, ხოლო ზრდა სწორედ ამ გადაწყობის შედეგია. ისინი თვლიან, რომ კოგნიტური გადამუშავება უნდა იყოს მუდმივი და უწყვეტი, რათა მოხდეს ზრდა. თუმცა ბონანოს და კელნერის კვლევის შედეგები (Bonanno & Kaltman, 1999) აჩვენებს, რომ არაა აუცილებელი პოს-ტტრავმულ ზრდას წინ უძლოდეს კოგნიტური პროცესები.

მიუხედავად იმისა, რომ პოსტტრავმული ზრდის ცნება ახალია, იდეა იმის შესახებ, რომ დიდ განსაცდელს ნამდვილად შეუძლია გარკვეული სარგებლის მოტანა, უძველესი დროიდან არსებობს, რაც კულტურასა და ფოლკლორში კარგად არის ასახული. ამის ერთ-ერთ დადასტურებად ხალხური გამონათქვამიც გამოდგება: „რაც არ გელავს, გაძლიერებს“.

პოსტტრავმული ზრდა ყველაზე გამოყენებადი კონსტრუქტია იმ პოზიტიური ცვლილებების აღსანერად, რომელიც განიცდება, როგორც გარკვეული სახის გამოწვევასთან გამკლავებისას ფსი-ქოლოგიური და კოგნიტური ძალისხმევის შედეგი (Calhoun & Tedeschi, 2001). როგორც ტედერი და ქალპოუნი აღნერენ (Tedeschi and Calhoun, 2004), პოსტტრავმული ზრდა არის ინდივიდის მცდელობა შეეგუოს ტრავმის შემდგომ ახალ რეალობას.

ტიპიური ნეგატიური რეაქციები მატრავმირებელი მოვლენების მიმართ

მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი გაკეთებულია ნეგატიური და მატრავმირებელი მოვლენების შემდეგ პოზიტიურ ზრდაზე, აუცილებელია ალინიშნოს, რომ რთულმა ცხოვრებისეულმა სიტუაციებმა შეიძლება გამოიწვიოს დისტრესი ან სხვადასხვა სახის ნეგატიური შედეგი.

როგორც წესი, როდესაც ადამიანები დგებიან დიდი კრიზისის წინაშე, ისინი განიცდიან ნეგატიურ ემოციებს/ტანჯვას. რა თქმა უნდა, შთოთვის და შიშის განცდა დამახასიათებელია ყველა იმ მოვლენათა ჯგუფის გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ფიზიკურ თუ სულიერ კეთილდღეობას. ამ გრძელების სანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ხანს გასტანს ამა თუ იმ სახის ფიზიკური საშიშროების არსებობა. თუკი ასეთი კრიზისული სიტუაცია გაგრძელდება დიდხანს, მაშინ შთოთვითი მდგომარეობა შესაძლოა შენარჩუნდეს მას შემდეგაც, რაც საფრთხის შემცველი სტიმული აღარ იარსებებს. ასეთ მატრავმირებელ სიტვაციას შეიძლება მოჰყვეს ასევე მწუხარებისა და დეპრესიის მდგომარეობაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი ტრავმის მიმართ ტიპიური რეაქციებია, მაგრამ არა აუცილებელი/გარდაუვალი (Wortman & Silver, 2001).

ტრავმასთან ბრძოლის პოზიტიური ასპექტები

მოსაზრება, რომ დისტრესმა და ტრავმამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდში პოზიტიური ცვლილება, რამდენიმე ათასი წლის წინაც არსებობდა. ამის მტკიცებად შეიძლება ჩაითვალოს ძველი ბერძნების, ძველი ქრისტიანების იდეოლოგია და მოსაზრებები. ინდუიზმისა და

ისლამის სწავლებანი აგრეთვე შეიცავენ მტკიცებას, რომ მტანჯველ მოვლენებს აქვს ტრანსფორმაციის უნარი (Tedeschi & Calhoun, 1995).

მაგალითად, ქრისტიანული მოძღვრების მთავარ თემას წარმოადგენს ის, რომ ქრისტეს აღსრულებას აქვს ტრანსფორმაციული ეფექტი – ძალა იმისა, რომ მოახდინოს სხვების გარდაქმნა.

ისლამური ტრადიციის მიხედვით კი წამება განხილულია როგორც ალაპის მიზნების მიღწევის ინსტრუმენტი (Bowker, 1970).

პოსტტრავმული ზრდის ფარგლები

ფაქტორული ანალიზის საფუძველზე ტედეჩი და ქალჰუნი პოსტტრავმულ ზრდას აღწერენ 5 მიმართულებით (Tedeschi & Calhoun, 1996, 2004):

1. ცხოვრებისადმი დიდი მადლიერება და გადაფასებული პრიორიტეტები – ტრავმული მოვლენების შემდგომ, აფასებს რა ინდივიდი, რომ მას არ შეუძლია გარკვეული მოვლენების წინასწარმეტყველება და კონტროლი (Calhoun & Tedeschi, 2001), აცნობიერებს სიცოცხლის ამაოებას და ინყებს მოვლენებისთვის სხვადასხვა მნიშვნელობების მიწერას. მან შეიძლება ყურადღება მიაქციოს ისეთ მოვლენებს, რომელიც ტრავმამდე უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა (Tedeschi & Calhoun, 2004).

2. ადამიანებთან უფრო თბილი ურთიერთობა – კრიზისის შემდეგ ადამიანი ხვდება ტრავმის გამომწვევ მიზეზებს და ცდილობს გაუმკლავდეს მათ. ამ დროს მას ჭირდება ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ახლობლების დახმარება (Tedeschi & Calhoun, 1996). ამ დროს ერთგვარად ძლიერდება სხვებთან ახლობლობის განცდა და ინდივიდი ცდილობს სხვებისაგან მიიღოს დახმარება (Calhoun & Tedeschi, 2001).

3. სიძლიერის განცდა – უფრო მეტი სიძლიერის აღქმა უკავშირდება სამომავლო სირთულეებისა და გამოწვევების გამკლავებას. ასევე იმას, რომ პიროვნებამ შეცვალოს ის, რაც შესაცვლელია (ინდისტრომ ეტ ალ., 2013).

4. სულიერი განვითარება – ტრავმაგადატანილი ინდივიდები შესაძლოა მეტად ღიანი იყვნენ რელიგიური ან ისეთი საკითხების მიმართ, რაც სულიერებას უკავშირდება (Lindstrom et al., 2013). ეს შესაძლოა იყოს ერთგარი კოგნიტური მექანიზმი, რომლითაც ინდივიდები ცდილობენ ახსნა მოუძებნონ მატრავმირებელ მოვლენის მიზეზს.

5. ახალი შესაძლებლობები – სტრესთან გამკლავების განმავლობაში, ინდივიდმა შეიძლება აღოაჩინოს ახალი შესაძლებლობები (Lindstrom et al., 2013), რადგან ცხოვრების ახალი გზის დასახვა დაკავშირებულია განსხვავებულ ცხოვრებისეულ ფლოსოფიასთან და რწმენებთან, რომელიც წინ უძღვის ისეთ შესაძლებლობებს, რაც სხვა შემთხვევაში არ ექნებოდა ინდივიდს (Tedeschi & Calhoun, 1996, 2004).

მეთოდი, კვლევის ინსტრუმენტები

- მატრავმირებელი მოვლენები

ჩვენ გამოვიყენეთ მატრავმირებელი ცხოვრებისეული მოვლენების კითხვარი, რომელზეც კვლევის მონაწილეებს უნდა მოენიშნათ ის მოვლენა/მოვლენები, რომელიც მათ გამოცდილებაში იყო. სულ მატრავმირებელი მოვლენების ჩამონათვალი შეადგებოდა 18 დებულებისგან, თუმცა მონაწილეებს ჰქონდათ საშუალება მიენიშნებინათ ის მოვლენებიც, რომელის მათთვის მატრავმირებელი იყო, მაგრამ ჩამონათვალში არ აღმოჩნდა. ჩამოთვლილი მოვლენებიდან მონაწილეები არჩევდნენ ერთ, ორ ან სამ მათთვის მნიშვნელოვან მოვლენას, რომელსაც თვლიდნენ, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათ ცხოვრენაზე. შერჩეული მოვლენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანს მიენერებოდა ციფრი “1”, შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანს ციფრი “2”, შერჩეული მოვლენებიდან ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანს ციფრი “3”.

- პოსტტრავმული ზრდის კითხვარი

იმისთვის, რომ შეგვეფასებინა ცვლილება ტრავის გადატანიდან–პოსტ ტრავმულ სიტვაციამდე, ჩვენ ვთხოვეთ მონაწილეებს, რომ შეევსოთ პოსტტრავმული ზრდის კითხვარი. ამ

შემთხვევაში ყურადღება უნდა გაემახვილებინათ იმ სრტესულ მოვლენაზე, რომელიც მათვის ყველაზე მატრავმირებელი აღმოჩნდა (მოვლენა, რომელიც მათ ციფრი “1”-ით შეაფასეს).

პოსტტრავმული ზრდის კითხვარი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც აფასებს იმ პოზიტიურ შედეგს, რომელსაც აღწერენ სტრესგამოვლილი ინდივიდები. ეს კითვარი ზომავს განფენილობას/ინტენსივობას იმისას, რაც ინდივიდებს სწამთ, რომ შეიცვალა მათ ცხოვრებაში დადებითი მიმართულებით, როგორც ტრავმის შედეგი. კითხვარში მოცემული იყო სულ 21 დებულება, რომლის გასწვრივ კვლევის მონაწილეებს უნდა შემოეხაზათ ის ციფრი, რომელიც კრიზისის შედეგად მათ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების ინტენსივობას შეესაბამებოდა. (0 – არავითარი ცვლილება არ მომხდარა, 1 – ძალზე უმნიშვნელოდ შეიცვალა, 2 – მცირედით შეიცვალა, 3 – ზომიერად შეიცვალა, 4 – მნიშვნელოვნად შეიცვალა, 5 – ძალზე მნიშვნელოვნად შეიცვალა).

კითხვარი მოიცავს სულ 5 სუბსკალას: 1. სხვა ადამიანეთან ურთიერთობა(7 დებულება. მაგალითად, „სხვებთან მეტ სიახლოვეს ვერძნობ“) 2. პიროვნული ძალა (4 დებულება. მაგალითად, „აღმოვაჩინე, რომ იმაზე ძლიერი ვარ, ვიდრე მეგონა“) 3. ახალი შესაძლებლობები (5 დებულება. მაგალითად, „ცხოვრებაში უკეთესი საქმეების კეთება შემიძლია“) 4. სიცოცხლის მადლიერება (3 დებულება. მაგალითად, „უფრო მეტად ვაფასებ თითოეულ დღეს“) 5. სულიერებაში ცვლილება (3 დებულება. მაგალითად, „უფრო მეტად მორწმუნე გავხდი“).

კვლევის მონაწილეები:

კვლევის მონაწილეები დაჯგუფებულ იქნენ ორ კატეგორიად. პირველი ჯგუფი, რომელიც სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა, შედგენილი იყო შემთხვევითად შერჩეული 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისგან. შერჩევა განხორჩილდა ქ. გორის სამ სხვადასხვა იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებაში.

რაც შეეხება კვლევაში მონაწილე მეორე (საკონტროლო) ჯგუფს, შერჩევა ამ შემთხვევაშიც იყო შემთხვევითი. ამ ჯგუფს შეადგენენ ქ.თბილისში მცხოვრებნი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. psychology and Health Research Unit, I&D, ISPA d University Institute, Lisbon, Portugal., Posttraumatic Growth in the Aftermath of Trauma
2. Affleck, G., & Tennen, H. (1996). Construing benefits from adversity: Adaptational significance and dispositional underpinnings. *Journal of Personality*, 64, 899–922. doi:10.1111/j.1467–6494.1996.tb00948.x
3. Camille B. Wortman, Department of Psychology State University of New York at Stony Brook, Posttraumatic Growth: Progress and Problems
4. Bonanno, G. A., Field, N. P., Kovacevic, A., & Kaltman, S. (2002). Self-enhancement as a buffer against extreme adversity: Civil war in Bosnia and traumatic loss in the United States. *Personality and Social Psychology Bulletin*, 28, 184d196.
5. Bonanno, G. A., & Kaltman, S. (1999). Toward an integrative perspective on bereavement. *Psychological Bulletin*, 125, 760d786.
6. McMillen, C., Smith, E. M.,& Fisher, R. H. (1997). Perceived benefit and mental health after three types of disaster. *Journal of Consulting and Clinical Psychology*, 65, 733d739.
7. McMillen, C., Zuravin, S., & Rideout, G. (1995). Perceived benefit from child abuse. *Journal of Consulting and Clinical Psychology*, 63, 1037d1043.
8. PSYCHOLOGICAL SCIENCE, Research Article, Does Self–Reported Posttraumatic Growth Reflect Genuine Positive Change?
9. American Psychological Association. (2004). The road to resilience. Retrieved July 18, 2008, from <http://apahelpcenter.org/featuredtopics/feature.php?id=6>

10. Tedeschi, R., & Calhoun, L. (1996). The Posttraumatic Growth Inventory: Measuring the positive legacy of trauma. *Journal of Traumatic Stress, 9*, 455d471.
11. Psychological Inquiry 2004. Vol. 15. No.1. 1–18, TARGET ARTICLE Posttraumatic Growth: Conceptual Foundations and Empirical Evidence Richard G. Tedeschi and Lawrence G. Calhoun Universityo f NorthC arolinaC harlotte, Copyright <!> 2004 by Lawrence Erlbaum Associates, Inc.
12. Richard G. Tedeschi and Lawrence G. Calhoun, The Posttraumatic Growth Inventory: Measuring the Positive Legacy of Trauma, *Journal of Traumatic Stress, Vol 9, No. 3, 1996*
13. Crciwne, D. P., & Marlowe, D. (1960). A new scale of social desirability independent of psychopathology. *Journal of Consulting Psychology, 24*, 349–354.
14. Greenwald, A. G. (1980). The totalitarian ego: Fabrication and revision of personal history. *American Psychologist, 35*, 603–618.
15. Tedeschi, R. G., & Calhoun, LG. (1995). *Trauma and transfonnation: Growing in the aftermathof suffering*. Newbury Park, CA: Sage.

თეონა ჯიბლაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: ლია ქურხული

პავლი ადგილი ოჯახი

ოჯახი სოციალური სისტემაა, რომელიც მუდმივ ურთიერთქმედებაშია გარემოსთან. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ორგანიზმი, სადაც უწყვეტად მიმდინარეობს სხვადასხვა პროცესები, ცვლილებები და მოვლენები. თავისებური გარემოთი და ჩვეული ფსიქოლოგიური კლიმატით (მისი წევრების ემოციური მდგომარეობა) ოჯახი დიდ გავლენას ახდენს ბავშვთა საერთო ემოციურ განწყობაზე. იგი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია ბავშვის სოციალიზაციაში. ის განსაზღვრავს მის ფიზიკურ და ემოციურ განვითარებას, ახდენს გავლენას ბავშვის ფსიქოლოგიური უნარების ფორმირებაზე, აქვს წამყვანი როლი ბავშვის გონებრივ განვითარებაში. სწორედ ოჯახში ნანახს და გაგონილს გამოიყენებს ის საკუთარი მე-ს საშენ მასალად. „თუ ბავშვი არ გრძნობს მშობლის თანადგომას და მეურვეობას, მასში გაუცხოების ნიადაგზე აღმოცენდება სხვადასხვა უარყოფითი თვისებები, სულ უფრო ძნელდება მათი დამოკიდებულება თანატოლებთან და უფროსებთან და მკვეთრი აგრესიული რეაქციები ვლინდება მათთან დამოკიდებულებაში“.

ა. მუდრიკი აღნიშნავს კონკრეტული ოჯახის რიგ პარამეტრებს:

➤ დემოგრაფიული – ოჯახის სტრიქტურა (დიდი ოჯახი – ითვლება დედა-მამა, შვილი, სხვა ნათსავებიც ან ნუკლეარული – მხოლოდ შვილები და მშობლები, ერთშვილიანი, მრავალშვილიანი).

➤ სოციალურ-უფლტურული – ოჯახის წევრთა საგანმანათლებლო დონე, მათი მონაწილეობა საზოგადოებრის ცხოვრებაში.

➤ სოციალურ-ეკონომიკური – ქონებრივი მახასიათებლები და ოჯახის წევრების რაოდენობა.

➤ ტექნიკურ-ჰიგიენი – ყოფითი პირობები, საცხოვრებლის მოწყობილობა, ცხოვრების წესის თავისებურებანი.

როდესაც, მშობლები თბილებია არიან, ბავშვები თხოვნას უსრულებენ, ხოლო, როდესაც მშობლები დისციპლინას უხეშობითა და მოუთმენლობით ამყარებენ, ბავშვები წინააღმდეგობას უწევენ და მეამბოხეები ხდებიან.

ცალკეულ ოჯახებში დამკვიდრებულ ურთიერთობათა მიხედვით ჩამოყალიბდა ოჯახური ურთიერთობის სტილის კლასიფიკაცია, თითოეული მათგანი განსხვავდება ბავშვისადმი დამოკიდებულებით. ეს სტილებია:

ავტორიტარული – გულისხმობს მკაცრ ხელმძღვანელობას, ინიციატისვის ჩახშობას და ძალის გამოყენებას, რასაც ამართლებენ უცილობელი მორჩილებით, ყვირილითა და ფიზიკური დასჯის მუქარით. უფროსები ხელმძღვანელობენ შემდეგი პრინციპით: ყველაზე საუკეთესო საშუალებაა, აიძულო ადამიანები, მოიქცენე ისე, როგორც შენ გინდა ან შეანუვეტინო ქმედება, როცა შენ არ გხურს. ამისთვის საკმარისია, ძლიერად გააჩნა მათ. ამგვარ ოჯახში იზრდებიან ან საკუთარ შესაძლებლებებში ურწმუნო, ნევროტული ბავშვები ან აგრესიული, თავისი მშობლების მსგავსი ავტორიტარები.

დემოკრატიული ურთიერთობის სტილი – ბავშვის აღზრდის შედარებით ეფექტური სტილია. იგი გამორჩევა ბავშვთან დამოკიდებულებები მრავალფეროვანი რეფლექსიებითა და პასუხისმგებლობით. ამგვარ ოჯახში იგრძნობა ბავშვის მიმართ გამოხატული სიყვარული და კეთილგანწყობა ზომიერების ფარგლებში. უფროსები მასთონ ერთად თამაშობენ, ესაუპრებიან მისთვის საინტერესო თმებზე, ეხმარებიან დაბრკოლებათა გადალახვაში, ზედმეტად არ ანებივრებენ და შეახსენებენ რომ ანგარიში გაუნიოს სხვებს. მას კარგად ესმის სიტყვა „უნდა“ და შეუძლია თვის შეკავება. ასეთ ოჯახ-

ში იზრდება სრულფასოვანი, საკუთრი ღირსებების შეგრძნებითა და ახლობლების მიმართ პატივის-ცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის მატარებელი ბავშვი.

ლიბერალურ – მიშვებული – ბავშვებთნ დამოკიდებულება ეფუძნება შენდეგ პრინციპებს: მისთის ყველაფერი დასაშვებია, არაფრის აკრძალვა რა შეიძლება. ამგვარ ოჯახში აღზრდილ ბავშვ ბრძანებლური დამოკიდებულება აქვს ყველასა და ყველაფრის მიმართ, რომელსაც გამოხატვის ერთმნიშვნელოვანი ფორმა ახასიათებს: „მომე!“, „მინდა!“, „ეს ჩემია!“. ხშირ შემთხვევაში იგი ჯიუტი და ჭირვეული ხდება. ზედმეტ ლიბერალობას საქმე იქამდე მიჰყავს, რომ არ ხდება ბავშვის პოზიტიური განვითარება და სოციალური მომწიფება. მას აკლია სოციალური განვითარებისთვის აუცილებელი რამ – სიტყვა „მინდა“-ს სწორი გაგება. მსგავს ოჯახში ფორმირდება გარშემომყოფების მიმართ მუდმივად უკმაყოფილო, ეგოისტი ბავშვი, რომელიც ვერ ამყარებს ურთიერთობებს სხვებთან – ის რთული და კომფლიქტურია. ამ ოჯახიდან გამოსული ბავშვი განწირულია თვის თანატოლებთან და უფროსებთან დაძაბული, კრიზისული ურთიერთობისთვის. სოციალური ეგოცენტრიზმი ბავშვს არ აძლევს შესაძლებლობას დაეუფლოს ნორმალურ, ადამიანურ ურთიერთობებს და ხშირ შემთხვევაში ამგვარ ოჯახში აღზრდილი ბავშვიც აგრესიული ხდება.

ჰიპერმეურვეობითი სტილი – დასაწყისიდანვე უსპობს ბავშვს დამოკიდებლობას, აფერ-ხებს მის ფიზიკურ, ფსიქიკურ, სოციალურ განვითარებას. ამ შემთხვევაში ოჯახს მთელი ყურადღბა გადააქვს ბავშვზე. საკუთარი შვილის მიმართ იყენებს შეფასების უმაღლეს კრიტერიუმებს: „პატარა ვუნდერკინდი“, „პატარა გენიოსი“ და ა. შ. მშობლები მთლიანად ბავშვის ცხოვრებით ცხოვრობენ. ასეთ ოჯახში გაზრდილი ბავშვი მთლიანად ემორჩილება თავის განცდებს. შესაძლებელია იგი თანატოლების მხრიდან ხშირი დაცინვის მიერთონ გახდეს. ინფანტილურ და დამოკიდებლობა გამოცლილ ბავშვს არ გამოსდის ურთიერთობები და იგი მფარველს და მეურვეს ეძებს.

გაუცხოების სტილი – გულისხმობს უფროსების გულგრილ დამოკიდებულებას ბავშვის პიროვნების მიმართ. მსგავს ოჯახებში მშობლები ან ვერ „ხედავენ“ საკუთრ შვილს ან ფაქტობრივად გაურბიან მათთან ურთიერთობას და ურჩევნიათ მათგან მოშორებით ყოფნა. მშობლების მხრიდან შვილის განვითარების მიმართ გამოხატული გულგრილი დამოკიდებულება ბავშვს გადააქცევს მარტოსულად, უბედურად. შედეგად ვიღებთ აგრესიულ, თანატოლების მიმართ გაუცხოებულ ბავშვს. ამგვარი ბავშვები არ არიან საკუთრ თავში დარწმუნებულები, არიან ნევროტიულები.

ოჯახური დამოკიდებულების ზემოაღნიშნული სტილები გვიჩვენებს, რამდენად მძიმე და რთულია ბავშვის პიროვნების განვითარების გზა.

ოჯახში ბავშვის ადგილის დასადგენად კვლევა ვაწარმოეთ PAT– ნახატების აპერცეპტული ტესტის მიხედვით, რაც კარგი საშუალებაა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პიროვნული პრობლემის შესასწავლად, ასევე გამოვიყენეთ რენე ჟილიეს ტესტი რომელიც გამოხატავს შიდაოჯახურ დამიკიდებულებას. ბავშვებს მიენოდებათ ფურცლები, რომელზეც დახატულია მაგიდა, მის გარშემო განლაგებულ სკამებზე ჩამომსხდარი ოჯახის წევრებით. ყოველი დაკავებული სკამის გვერდით დგას ცარიელი სკამი და ასევე განცალკევებით დგას ცარიელი სკამები, ბავშვმა უნდა ჩახატოს საკუთარი თავი იმ სკამზე რომელზეც სურს დაჯდომა. თუკი ბავშვმა საკუთარი თავი დახატა ყველა თავისუფალ სკამზე, ეს, როგორც წესი ნიშნავს, რომ მისი მდგომარეობა ოჯახში სრულყოფილია. ყველაზე კარგი დამოკიდებულება აქვს იმასთან, ვის გვერდითაც დახატავს საკუთარ თავს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვმა საკუთარი თავი ცალკე გამოყოფილ სკამზე დახატა, უფროსები სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ – მათი ბავშვი ოჯახში ემოციურ დისტრესს განიცდის, აკლია სულიერი სითბო და ოჯახური მზრულველობა. წარმოგიდენთ ჩვენი კვლევის შედეგებს და ბავშვების ნახატებიდან რამდენიმეს (დანართი 1.). ჩვენ ასევე ვთხოვეთ ბავშვებს თავადვე დაეხატათ საკუთარი ოჯახი (დანართი 2.), ისინი ოჯახის წევრებიდან იმათ ხატავდნენ რომელიც მათთვის მეტად მნიშვნელოვანია, ყუდარღება უნდა მივაქციოთ ზომებს, იმ მშობლისა თუ ოჯახის წებისმიერი წევრის ზომა, რომელიც გაცილებით დიდია დანარჩენებთან შედარებით ნიშნავს, რომ ის მისთვის ავტორიტეტულია და ყველაზე კარგი დამოკიდებულება მასთან აქვს...

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოჯახური ძალადობა და ფიზიკური დასჯა ანგრევს ბავშვის ფსიქიკას. ოჯახის ინსტიტუტი ბავშვთა აგრესიული ქცევის პირველი სამეცადინო მოედანია. იმ ოჯახის ბავშვები, სადაც მშობლებს შორის ურთიერთობაში ხშირია ფიზიკური და ვერბალური აგრესიის გამოვლენა, მძაფრად რეაგირებენ მშობლებისა და სხვა უფროსების ბრაზიან ინტონაციებზე, ვიდრე მშვიდი უკონფლიქტო ოჯახის ბავშვები. ხშირად მსხვერპლი თვითონ იწყებს აგრესიული ქცევის მოდელირებას და თვითონ ხდება მოძალადე, რადგან მასზე განხორციელებულ დასჯას თავად ვერ მოუნახა ახსნა, ამიტომ მნიშვნელოვანია, როდესაც მშობელი ბავშვს უყვირის ან იყენებს სხვადასხვა დასჯის მეთოდს აუხსნას მას ამის მიზეზი. ბავშვს უნდა შევთავაზოთ ქცევის ალტერნატიული ფორმა. ავუხსნათ, როგორი საქციელი იმსახურებს დასჯას და როგორი შეიძლება იყოს ალტერნატიული ქცევა. მაგალითდ, ბავშვი ხშირად აწყვეტინებს უფროსებს ერთმანეთთან საუბარს. თუ მშობლები დასჯიან პატარას შესაბამისი ახსნა-განმარტების გარეშე, მან შეიძლება იფიქროს, რომ ეკრძალება ლაპარაკი და გახდეს მორცხვი, გაუბედავი. თუ მშობელი შესაბამის განმარტებას გამოიყენებს ბავშვთან ურთიერთობისას, ამით პატარას განუვითრებს ანალოგიურ სიტუაციაში ქცევის ადექვატურ ჩვევებს.




საყურადღებოა არსრულ ოჯახში აღზრდილი ბავშვების მდგომარეობა. გოთინგი ამტკიცებდა, რომ მცირებლოვანი მკვლელები ხშირ შემთხვევაში კონფლიქტურ ან არასრულ ოჯახში აღზრდილი ბავშვები არიან. იმ შემთხვევაში როდესაც ბავშვს უხეში დამოკიდებულება აქვს რომელიმე მშობელთან აკლია მშობლის მხრიდან ყურადღება და თანადგომა, ადვილი შესაძლებელია, იგი დანაშაულებრივ სამყაროს დაუახლოვდეს. დედის მხრიდან უყურადღებოდ დარჩენილი ბავშვი ადვილად ხვდება ცუდ წრეში და მასში აქტიურ პოზიციას იკავებს. ზოგიერთი ბავშვისთვის მშობლების გაყრა განსაკუთრებულად მტკიცნეულად ალიქმება და კიდევ უფრო მეტად მტკიცნეული შეიძლება აღმოჩნდეს ახალი ქორნინება. ხოლო, როდესაც ოჯახის დაშლის შემდეგ მშობლები კონტაქტს არ წყვეტენ და ერთად აგვარებენ ბავშვთან დაკავშირებულ პრობლემებს, ბავშვი შედარებით იოლად ეგუება აღნიშნულ სიტუაციას.

ოჯახური, ცოლ-ქმრული და თითოეული მშობლის პრობლემები მხოლოდ მათი პირადი საქმე როდია, არამედ პირველ რიგში, შვილის პიროვნული განვითრების მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ერთი მხრივ, ოჯახში არსებული გაუგებრობა და უთანხმოება, მეორე მხრივ კი შეგონება-დარიგებანი წესიერებაზე, ზნეობაზე და სათნოებაზე, ბავშვის არსებობაში დაბნეულობას და უხასიათობას იწვევეს. ამიტომ დედამ და მამამ, ამასთან ოჯახის დანარჩენმა წევრებმა (ბებია-ბაბუა, მამიდა და ა.შ) არასდროს არ უნდა დაივიწყონ, რომ მათ გვერდით არის პატარა, რომელიც დანახულსა და გაგნილს საკუთარი საზომებით აფასებს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი მოსწავლეა და ოჯახში დანახული და გაგონილი ის გაკვეთილია, რომელიც მასზე დიდ გავლენას ახდენს. ბავშვი იმ გარემოს მიხედვით ვითარდება და ფორმირდება სადაც დაიბადა და გაიზარდა, მასზე გაცილებით უფრო დიდ განლენას ახდენს ოჯახში მოსმენილი და ნახული ვიდრე ყველა ზეპირი შეგონება. ასე რომ მშობლებმა უნდა გააანალიზოს ყოველი ქმედება რასაც კავშირი აქვს ბავშვთან.

ლიტერატურა:

1. ლორა ბერკი – ბავშვის განვითარება;
2. ლია ქურხული – ბავშვთა აგრესია;
3. სკოლისა და ოჯახის როლი მოზარდის სოციალიზაციაში (<http://www.nplg.gov.ge>); http://www.-islam.ge/rf/index.php?option=com_content&view=article&id=86%3A2011-03-10-11-25-50&catid=3%3A2009-09-30-02-27-47&Itemid=4&lang=ka.

დანართი 1.



დანართი 2.



გიორგი გაბუნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, დოქტორანტურა

მათემატიკური, ლოგიკური და დროითი პარალეპსიზი და მათი ახსნის ცდა

პარადოქსი ბერძნული სიტყვაა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ის ნიშანს: „საყველთაოდ მიღებული, ყველას მიერ აღიარებული შეხედულების საწინააღმდეგო; რაც, ჩვეულებრივ აზრს უპირისპირდება (ზოგჯერ მხოლოდ გარეგნულად).“¹ არსებობს განმარტება, რომლის მიხედვითაც ის „რწმენის/დაჯერების მიღმას“ აღნიშნავს.² რეალურად პარადოქსი ეწოდება მოვლენას, რომლის დროსაც ჭეშმარიტ (ან ერთი შეხედვით ჭეშმარიტ) გამონათქვამებზე აგებულ, გამართულ მსჯელობას წინააღმდეგობასთან მივყავართ.

ცხადია, რომ ეს თემა ოდითგანვე პოპულარული იყო ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს შორის, მოგვიანებით კი მათ რიგს მწერლებიც შეუერთდნენ. შესაბამისად, დოკუმენტირებულია მრავალი პარადოქსი, თითქმის ყოველი სფეროდან, რაც კი არსებობს. ამ ნაშრომში განვხილავთ სამ კატეგორიას: ლოგიკურ, მათემატიკურ და დროით პარადოქსებს. განხილულია შემდეგი ტიპის პარადოქსები³

ლოგიკურ პარადოქსთა კატეგორია:

მატყუარას, სოკრატეს, გროვის, თეზევსის გემის, მატერიალური იმპლიკაციის, ყორნის, შეუჩერებელი ძალის და ყოვლისშემძლეობის პარადოქსები.

მათემატიკურ პარადოქსთა კატეგორია:

ზენონის პარადოქსი, მონტი ჰოლის პრობლემა, გალილეოსა და ჰილბერტის სასტუმროს პარადოქსები.

დროის პარადოქსთა კატეგორია:

რაც შეეხება მესამე, დროით კატეგორიას, ის უფრო ფიქციურია, ვიდრე მეცნიერული და ფილმებსა თუ ლიტერატურაში უფრო ვხვდებით, ვიდრე ნამდვილ სამყაროში, მათგან შემდეგ პარადოქსებს განვიხილავთ: ონთოლოგიურს, ბედისწერისა და ბაბუის პარადოქსებს.

აგრეთვე, შევეცდებით შემოგთავაზოთ პარადოქსალურობის გადაჭრა, სადაც ეს შესაძლებელია, მაგალითად, იმის ჩვენებით, რატომ გვეჩვნება რაიმე წინააღმდეგობრივად. ხოლო სადაც გადაჭრა შეუძლებელი იქნება, იქ ავხსნით, თუ რა იწვევს პარადოქსალურობას და რატომ არის შეუძლებელი მისი „ამოხსნა“.

ლოგიკური პარადოქსები

- მატყუარას პარადოქსი

მატყუარას პარადოქსი და მისი ვარიაციები ერთ-ერთი უძელესია კაცობრიობის ისტორიაში. მისი ყველაზ გავრცელებული ვარიანტია „ეს წინადადება ტყუილია“.

შეუძლებელია ვთქვათ, ჭეშმარიტია თუ არა გამუქებული წინადადება: თუკი ის ჭეშმარიტია, ესე იგი ის ტყუილი უნდა იყოს, რაც წინააღმდეგობაა. და ანალოგიურად საპირისპირო შემთხვევაში. ანალოგიური პარადოქსია, თუ რა დაემართება პინოქიოს ცხვირს, როდესაც ის იტყვის, „ახლა ცხვირი გამეზრდება“ . თუკი მას ცხვირი მართლა გაეზიარდა, ე.ი. მისი წინადადება სიმართლე ყოფილა

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, <http://ena.ge/explanatory-online>.

² <http://www.duden.de/rechtschreibung/paradox>

³ იხ. მაგ. <http://brainden.com/paradoxes.htm>

და ცხვირი არ უნდა გაზრდოდა – მას ხომ მხოლოდ ტყუილის შემთხვევაში ეზრდება ცხვირი. ანალოგიურად, თუკი მას ცხვირი არ გაეზარდა, მას ტყუილი უთქვამს და ცხვირი უნდა გაზრდოდა.

ამ პარადოქსის მიზეზია თვითმიმართება: წინადადების ჭეშმარიტება–მცდარობის შეფასება ხდება ე.წ. „მეტა–ენის“ დონეზე. ხოლო როდესაც წინადადება საკუთარ თავს აფასებს, ირევა მეტა–ენის და ჩვეულებრივი ენის დონეები და წარმოიქმნება თვითმიმართება, რაც გვაძლევს პარადოქსს.

სოკრატეს პარადოქსი

ეს პარადოქსი ყველასთვისაა ცნობილი: „**მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი**“. წინადადების პირველი ნაწილი ამბობს, რომ მან რაღაც იცის. დაზუსტებისას ის ამბობს, რომ მან არაფერი არ იცის. ანუ გამოდის, რომ მანდ ერთი რაღაც მაინც იცის და მთელი წინადადება პარადოქსალურია: თუკი მან ერთი რაღაც მაინც იცის, ე.ი. „არაფერი არ ვიცი“ ტყულია. მაგრამ მაშინ მას ეს ერთი რაღაცაც კი არ სცოდნია და სწორია მისი ნათქვამი, არაფერი არ ვიციო. აქაც მატყუარას პარადოქსის მსგავსი სიტუაციაა: თვითმიმართების და მეტა–ენისა და ჩვეულებრივი ენის არევა იწვევს პარადოქსალურობას.

• გროვის პარადოქსი

თითქოს ყველამ იცის, თუ რას ენოდება გროვა: 1000 ხორბლის მარცვალზე ყველა იტყვის, რომ ეს ხორბლის მარცვლების გროვაა, 10 მარცვალს კი გროვას არავინ უწოდებს. მაგრამ თუკი თითო მარცვალს დაუმატებთ, და 11, 12 და ა.შ. მარცვალზე იკითხავთ, პასუხი მაინც არ შეიცვლება: 15 მარცვალი გროვაა? 16? 600? თუკი 600-ი უკვე გროვაა, მაშინ იქნება თუ არა 599? ერთ მარცვალს აქვს იმის ძალა, რომ გროვიდან არაგროვობაზე გადაიყვანოს რაიმე? როდის ხდება ნივთების რაოდენობა გროვა? ამაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. არ არსებობს კონკრეტული რიცხვი, რის მერეც ობიეტების ერთობლიობას გროვა ეწოდება.

ეს ყველაფერი იქიდან გამომდინარეობს, რომ გროვა არ არის ზუსტი, კონკრეტულად განსაზღვრული ტერმინი. ის დაახლოებითია, ზოგადი, და მასში ჩაძიება და დაწვრილებით გამოკვლევა იწვევს დაბნევას და გაურკვევლობას.

• თეზევის გემის პარადოქსი⁴

მითის მიხედვით, ბერძენი გმირის, თეზევის გემი მისმა ხალხმა მუზეუმში შეინახა. დროთა განმავლობაში გემს ნაწილები ულპებოდა და უცვლიდნენ. რაღაცა დროის მერე აღმოჩნდა, რომ გემს ყველა ნაწილი შეცვლილი ჰქონდა და გაჩნდა კითხვა: იყოს თუ არა ეს გემი იგივე, რაც თავიდან შეინახეს? თუ არა, მაშინ როდის გახდა გემი სხვა, ერთი ნაწილის შეცვლისთანავე? გემი ხომ ერთი ნაწილის შეცვლით არ შეცვლილა.

ხოლო თუ კი, რა მოხდებოდა, ყველა ნაწილი ერთბაშად რომ შეგვეცვალა? მაინც იგივე გემი იქნებოდა? თუ არა, რატომ, ორივე შემთხვევაში ხომ გემი სულ ახალი ნაწილებისაგანაა შემდგარი? ხოლო თუ კი, მაშინ ძველი ნაწილებისაგან ზუსტად ისეთივე გემი რომ აგვეშენებინა, რომელი იქნებოდა „იგივე“?

აქაც, წინა შემთხვევის მსგავსად, ტერმინი „იგივე“–ს უზუსტობა არის პარადოქსალურობის მთავარი მიზეზი.

• მატერიალური იმპლიკაციის პარადოქსი

ფორმალურ ლოგიკაში „თუ მაშინ“ წინადადება ყოველთვის სწორია, თუკი მცდარია. მაგალითად, „თუ იწვიმებს, სკოლას გავაცდენ“ – თუკი არ იწვიმა, სკოლა გინდ გამეცდინა, გინდ არა, წინადადება მაინც ჭეშმარიტი იქნებოდა. მაგრამ ამის გამო ისეთი წინადადებები, როგორებიცაა: „თუ ცამნვანეა, მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო“ ჭეშმარიტი გამოდის.

აქ პარადოქსი იმაშია რომ ფორმალური ლოგიკა არის მსჯელობისა და დასკვნების სისწორის შესახებ და არა იმაზე, რამდენად შეესაბამება ეს წინადადებები რეალურ ფაქტებს.

• ყორნის პარადოქსი

ვთქვათ მოცემულია პიპოთეზა „**ყველა ყორნი შავია**“. და თუკი ჩვენ ვნახავთ შავ ყორნს, ეს ფაქტი განამტკიცებს ჩვენს პიპოთეზას. რაც მეტ შავ ყორნს ვნახავთ, მით უფრო განმტკიცდება იგი.

⁴ <http://www.logicalparadoxes.info/theseus-ship/>

ლოგიკაში ამ ჰიპოთეზის ეკვივალენტურია წინადადება „**ყველაფერი, რაც არაა შავი, არაა ყორანი**“. ამ ჰიპოთეზის განმტკიცება კი, ცხადია, შესაძლოა არაშავი წივთების შემოწმებით: ვთქვათ, ვნახეთ მწვანე ვაშლი. ის არაა შავი და არაა ყორანი. ანუ განამტკიცებს ჰიპოთეზას, რომ „**ყველაფერი, რაც არაა შავი, არაა ყორანი**“. ხოლო ეს ჰიპოთეზა საწყისის ეკვივალენტია.

ანუ, გამოდის, რომ მწვანე ვაშლის ნახვითაც ისევე მტკიცდება ყორნების შესახებ თეორია, როგორც შავი ყორნის ნახვით. ანუ საგანზე ვასკვნით რაღაცებს ისე, რომ ვაკვირდებით მასთან არა-ნაირი შეხების მქონე ობიექტებს, რაც პარადოქსალურია.

- შეუჩერებელი ძალისა და აუმოძრავებელი ობიექტის პარადოქსი

რა მოხდება, თუკი შეუჩერებელი ძალა შეხვდება აუმოძრავებელ ობიექტს? პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან შეუჩერებელი ძალა ვერაფერმა ვერ უნდა შეაჩეროს, მაგრამ აუმოძრავებელი ობიექტის დაძვრა ასევე შეუძლებელი უნდა იყოს.

ამ პარადოქსს აქვს „**ამოხსნა**“: შეუჩერებელი ძალის არსებობა, განსაზღვრებიდან გამომდინარე, გამორიცხავს ისეთი ობიექტის არსებობას, რომელსაც ეს ძალა ვერ დაძრავს. ანალოგიურად, თუკი არსებობს აუმოძრავებელი ობიექტი, ვერ იარსებებს შეუჩერებელი ძალა. შესაბამისად, ერთდროულად მათი არსებობა ერთ სამყაროში შეუძლებელია, ისინი გამორიცხავენ ერთმანეთს და პარადოქსში აღნერილი შემთხვევა ვერ მოხდება.

- ყოვლისშემძლების პარადოქსი

შეუძლია თუ არა ყოვლისშემძლე არსებას შეზღუდოს თავისი ყოვლისშემძლეობა? მაგალითად, შექმნას ლოდი, რომელსაც ის ვერ აწევს. თუკი მას არ შეუძლია, ე.ი. ყოვლისშემძლე არ ყოფილა. ხოლო თუკი მას ეს შეუძლია, ის მაინც არ გამოდის ყოვლისშემძლე: მას იმ ლოდის აწევა აღარ შეეძლება.

მათემატიკური პარადოქსები

- აქილევისა და კუს პარადოქსი.

ეს პარადოქსი ბერძენ სოფისტს, ზენონს, მიენერება. მისი შინაარსი შემდეგია: აქილევისი და კუ ეჯიბრებიან სირბილში, სწორ გზაზე. აქილევი 10–ჯერ სწრაფია კუზე, მაგრამ კუ 100 მეტრით წინ იწყებს სირბილს. როდესაც ისინი სირბილს დაიწყებენ, როცა აქილევი მივა კუს საწყის წერტილამდე, კუ რაღაცა მანძილით იქნება წინ წასული. შემდგომ, როდესაც ის მივა ის მწერტილამდე, სადაც კუ იყო, კუ რაღაცა მანძილით კიდევ წავა წინ. და ასე, ყოველთვის იქნება რაღცა, თუნდაც ძალიან მცირე მანძილი, რომელიც აქილევს ექნება გასავლელი კუმდე მისასვლელად. შესაბამისად, ის ვერასოდეს გადაასწრებს კუს.

ცხადია, რომ რეალობაში ეს ასე არ ხდება, პრაქტიკული შემოწმება გვაჩვენებს, რომ ზენონის თეორია მცდარია. მაგრამ მსჯელობაში თითქოს არანაირი შეცდომა არაა.

ეს პარადოქსი „**ამოხსნა**“ კალკულუსის შექმნასთან ერთად. ზღვარზე გასვლის შედეგად შგვიძლია დავასკვნათ, რომ დროის რაღაცა მომენტში კუ და აქილევი ერთ წერტილში იქნებიან, ანუ აქილევი მოახერხებს კუსთვის გასწრებას.

- მონტი ჰოლის დილემა⁵

წარმოიდგინეთ, რომ ხართ სატელევიზიო თამაშში: არის სამი კარი, ერთის უკან მანქანაა, ორის უკან – თხა. თუ მანქანიან კარს გამოაღებთ, ის თქვენია. თქვენ ირჩევთ ერთ კარს. ამის შემდეგ წამყვანი დარჩენილი ორი კარიდან ერთ-ერთს გამოაღებს და გაჩვენებთ, რომ იქ თხა არის. ამის შემდეგ გაქთ არჩევანი: შეცვლით არჩეულ კარს თუ არა? ერთი შეხედვით, ორი კარია დარჩენილი და 50–50–ზეა შანსი, თუ სად იქნება მანქანა, ანუ აზრი არ აქვს, შეცვლით თუ არა კარს. მაგრამ რეალურად ასე არაა:

კარის არჩევისას 1/3 შანსია, რომ მის უკან მანქანაა, ხოლო 2/3 შანსი, რომ თხაა, ანუ მანქანა დარჩენილი ორი კარიდან ერთ-ერთშია. ანუ, იმ ორი კარის ერთად გამოღებისას 2/3 შანსია, რომ მანქანა მოიგოთ, ვიდრე თქვენი არჩეულის გამოღებისას. ეს ლოგიკურიცაა: ორი კარის გაღებისას ორჯერ მეტი შანსი გექნებათ. და კარის შეცვლის შემთხვევაში ზუსტად ეს ხდება: იმ ორი კარიდან ორივე იღება, ერთი თქვენ მიერ, მეორე კი – წამყვანის. ანუ ორჯერ მეტი იქნება შანსი, რომ მოიგოთ მანქანა.

⁵ <http://montyhallproblem.com/>

• გალილეოს პარადოქსი

ნატურალური რიცხვების სიმრავლეში ზოგი რიცხვი სხვა ნატურალური რიცხვის კვადრატია, ზოგი კი არა. ამის მიუხედავად, ნატურალური რიცხვებისა და კვადრატების რაოდენობა ტოლია: ყოველ ნატურალურ რიცხვს შეიძლება შევუსაბამოთ მისი კვადრატი, ისე, რომ არც ერთი რიცხვი არ დარჩება დაუწყვილებელი.

ეს ძალიან არაინტიუტიურია ადამიანის გონებისათვის, მაგრამ ძალიან მარტივია მათემატიკურად. პრობლემას ქმნის უსასრულობს ცნება: ნატურალური რიცხვების რაოდენობა უსასრულოა, ანუ რა რიცხვიც არ უნდა მოძებნოთ, ყოველთვის იქნება ამ რიცხვის კვადრატიც, რომელიც ამ სიმრავლეში შედის.

დროითი პარადოქსები

• ონთოლოგიური პარადოქსი

ნარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს თქვენთან მოვიდა ვიღაცა ადამიანი და მოგცათ ბეჭედი. როდესაც გაიზარდეთ, აღმოაჩინეთ დროის მანქანა, გადახვედით ნარსულში და თქვენს ახალგაზრდა თავს მიეცით იგი. ჩნდება კითხვა: საიდან გაჩნდა თავდაპირველად ეს ბეჭედი?

• ბედისწერის პარადოქსი

ეს ეწოდება შემთხვევას, როდესაც ნარსულში რაიმე მოვლენის შეცვლის მცდელობა იწვევს ამ მოვლენის მოხდენას. მაგალითად, გადადიხართ ნარსულში, რომ თქვენს ოთახში გაჩენილი ცეცხლი ჩააქროთ, სანამ ის ხანძარში გადაიზრდება და შემთხვევით ანთებულ სიგარეტს დააგდებთ ფარდაზე, რაც ხდება იმ ხანძრის მიზეზი.

აქ პარადოქსალურობას იწვევს ის კითხვა, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი „თავიდან“, სანამ ნარსულში გადახვიდოდი.

ამის ვარიაცია „თვითალსრულებადი წინასწარმეტყველების“ პარადოქსი, რომელიც ბერძნულ მითებში გვხვდება ხშირად. კერძოდ, წინასწარმეტყველების თავიდან არიდების მცდელობა იწვევს მის აღსრულებას, რაც აჩენს კითხვას, რა იქნებოდა, თუკი არავინ მოისმენდა ამ წინასწარმეტყველებას. ამის მაგალითია ოიდიპოსის ისტორია, რომელიც მშობლებმასასიკვდილოდ დატოვეს, რადგან, წინასწარმეტყველების თანახმად, მას უნდა მოეკლა მამა და ცოლად შეერთო დედა. მაგრამ ოიდიპოსი გადარჩა და რაკი არ იცოდა მშობლების ვინაობა, შემთხვევით აასრულა წინასწარმეტყველება.

• ბაბუის პარადოქსი⁶

რა მოხდება, თუკი გადახვალთ ნარსულში და მოკლავთ ბაბუათქვენს მანამ, სანამ მას შვილი ეყოლებოდა? თუკი ბაბუათქვენი მოკალით, თქვენ ვერ უნდა დაბადებულიყავით. ხოლო თუკი თქვენ ვერ დაიბადებოდით, მაშინ ბაბუათქვენი არ მოკვდებოდა უდროოდ. და ასე უსასრულოდ.

პარადოქსები ყოველთვის იზიდავდნენ ადამიანებს და ცდილობდნენ მათ ამოხსნას სხვადასხვა გზით. სტატიაში შემოთავაზებულია მათი ამოხსნის ჩვენეული გზები.

ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, <http://ena.ge/explanatory-online>.
2. <http://www.duden.de/rechtschreibung/paradox>
3. <http://brainden.com/paradoxes.htm>
4. <http://www.logicalparadoxes.info/theseus–ship/>
5. <http://montyhallproblem.com/>
6. <http://timetravelphilosophy.net/topics/grandfather/>

სალომე ფხალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: მარინე ლომიძე

სოციალური რეკლამის თავისებურობანი

სოციალური რეკლამა – ამერიკულად საზოგადოებრივი სერვისის რეკლამა (public service advertisement) – შეიცავს საზოგადოებრივი ინტერესის შეტყობინებებს, რომელიც გადაიცემა ტელე-ვიზიონით, რადიოთ გაზეთებით თუ სხვა მედიასაშუალებებით. ის ემსახურება საზოგადოების ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას სოციალურ საკითხებზე; ახდენს გავლენას დამოკიდებულებებზე და სასურველი ქცევების სიმულაციას. მედიის დრო და სივრცე ასეთი რეკლამებისთვის უფასოდ არის გამოყოფილი...

საზოგადოებრივი სერვისის რეკლამების კამპანია მოიცავს კვლევის ჩატარების, კრეატიული სტრატეგიის შექმნის, პროდუქტის შექმნის(იქნება ეს ვიდეორგოლი, ბილბორდზე განსათავსებელი მასალა თუ სხვა), პროდუქტის დისტრიბუციუსა და საბოლოოდ მისი შეფასების პროცედურებს. მოკლედ რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი სერვისის რეკლამები ისევე მზადდება, როგორც კომერციული, მაგრამ აქ საქმე უფრო რთულადაა, რადგან მიზანი არა საბაზრო წილის ზრდა და პროდუქტის რაც შეიძლება მეტი ოდენობით გაყიდვაა, არამედ საზოგადოებრივ ქცევებსა და პიზიციებზე გავლენის მოხდენაა.

საზოგადოებრივი სერვისის რეკლამების კამპანიის პროექტის შექმნამდე, ორი ფუნდამენტური ფაქტორი უნდა განისაზღვროს: რა არის მთავარი პრობლემა ან ქცევა და სამიზნე აუდიტორიის ფსიქოლოგიული და დემოგრაფიული დეტალები. ამ ფაქტორების განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია კამპანიის მესიჯის შექმნა.

ადრეული საზოგადოებრივი სერვისის რეკლამები აშშ-ში გაჩნდა; სამოქალაქო ომის დროს მთავრობა ცდილობდა უფასო საგაზირო რეკლამების გამოყენებას ობლიგაციების გასაყიდად და ამით საომარი თანხების მოგროვებას.

პირველი არასამთავრობო საზოგადოებრივი სერვისის რეკლამები აშშ-ში უკვე ერთი საუკუნის შემდეგ, 1900-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა, როდესაც გაზეთები უფასო რეკლამებს ბეჭდავ-დნენ ბავშვთა შრომითი უფლებების კანონდარღვევებზე.

პირველი მსოფლიო ომის დროს, აშშ-ში ვუდრო ვილსონის პრეზიდენტობისას შეიქმნა საჯარო ინფორმაციის ფედერალური კომიტეტი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად და ომის მიზეზების დრამატიზებისთვის. კომიტეტს სათავეში უურნალისტი ჯორჯ კრილი ედგა. სწორედ ამ პერიოდში შექმნა ჯეიმს მონტგომერ ფლაგმა ცნობილი პოსტერი: „ბიძა სემს შენ სჭირდები.“

საზოგადოებრივი სერვისის რეკლამებმა მე-2 მსოფლიო ომის დროსაც დიდი როლი ითამაშეს აშშ-ში. ომის რეკლამირების საბჭო იყენებდა პროპაგანდას რათა საომარი ფრონტი მოახალისებით შეევსო და საზოგადოებას ამაგდროულად გაეგრძელებინა ქვეყნის განვითარებისთვის მუშაობა. ამ დროს პოვარდ მილერმა შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საომარი პროპაგანდის პოსტერი „ჩვენ ეს შეგვიძლია“; მასზე გამოსახული ქარხნის მუშა ქალბატონი გახდა იმ ქალების ხატი, რომლებიც მზად იყვნენ სახელოები აეკეცათ და ემუშავათ ომის პერიოდში.

ომის შემდგომ ომის რეკლამირების საბჭო(War advertising council) რეკმალირების საბჭოდ - (Advertising council) გადაკეთდა; უფასო მედიის სივრცეს და დროს კანონიერი სტატუსი მიენიჭა და

პროპაგანდის მაგივრად ისეთ სოციალურ საკითხებს დაეთმო, როგორებიცაა ჯანდაცვა, გარემოს დაცვა და სხვა...

ამერიკულმა გამოცემამ თჲე უფლინგტონ ოსტ გამოაქვეყნა 10 კლასიკური საზოგადოებრივი სერვისის რეკლამა, რომლებმაც ამერიკელთა ცხოვრება შეცვალა.

1942 წლიდან არასამთავრობო რეკლამირების საბჭო (დვერტაისინგ ცოუნცილ) რეკლამის ძალას იყენებდა სოციალური სიკითისთვის და მნიშვნელოვან თემებზე ამერიკელთა ინფორმირებისთვის.



Ads For Good From Ad Council

Loose Lips Sink Ships (1942)

„Loose Lips Sink Ships“ 1942 წლის რეკლამა იმ კამპანიის ნაწილია, რომლის მიზანს ომის დროს აშშ-ში ინფორმაციის დაცვა წარმოადგენდა. 1944 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო და მოსახლეობის უმრავლესობამ უკვე იცოდა ომის დროს და რა სახის ინფორმაცია შეეძლოთ გაეცათ, რაზე შეიძლებოდა ესაუბრათ და რაზე არა.



Ads For Good From Ad Council

US Savings Bonds (1942)

რეკლამირების საბჭოს ყველაზე გრძელვადიან სარეკლამო კამპანია აშშ-ის შემნახველი ობ-ლიგაციებისთვის 1942 წლიდან 1984 წლამდე მინდინარეობდა. ობლიგაციები ყველაზე უსაფრთხო ინვესტიციად ითვლებოდა რომელთაც მხარს აშშ-ის მთავრობა უჭერდა და ნაკლებ რისკებს შეიცავდა. 1982 წლისთვის 20 მილიონ ოჯახს ის უკვე შეძენილი ჰქონდა.



Ads For Good From Ad Council

Womanpower (1942)


ეს არის ამერიკის ისტორიაში ყველაზე წარმატებული რეკლამა ახალწეულთა რიგების შესავსებად, რომელმაც აშშ-ის საომარი ეკონომიკის მხარდასაჭერად 2 მილიონი ქალი სამუშაო ძალა გახადა. დასაქმება პატრიოტული პასუხისმგებლობა გახდა, როგორც დამსაქმებლებისათვის, ისე ქალებისთვის. ამ რეკლამამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა ქალებსა და სამუშაოს შორის ურთიერთმიმართებაზე. სახლის გარეთ სასაქმება ამიერიდან არა მხოლოდ სოციალურად მისაღები, არამედ სასურველიც გაცდა.



Ads For Good From Ad Council

Kid in Upper 4, (1943), for Pullman

„Kid in Upper 4“ ერთ-ერთი პოპულარული რეკლამაა აშშ-ის რკინიგზაზე, რომელიც მე-2 მსოფლიო ომის პერიოდში 1943 წელს შეიქმნა. ზოგადად, ომის დროს რეკლამირების საბჭო ხშირად პარტნიორობდა ბრენდულ სახელებთან, მაგალითად ისეთთან როგორიც იყო „ulmanis“ სარკინიგზო კომპანია.



Ads For Good From Ad Council
Forest Fire Prevention (1944)

“Smokey Bear” ანუ გაკვამლული დათვი იმ სარეკლამო კამპანიის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავდა ამერიკელების ინფორმირებას, თუ როგორი საფრთხის შემცველია ადამიანთა უყურადღებობის გამო გამოწვეული ტყის ხანძარი და რა ზარალი მოაქვს მას; აშშ-ში 10 დან 9 მოზარდი ცნობს რეკლამის სახეს – გაკვამლულ დათვს და 4-დან 3 მოზარდს შეუძლია გაიხსენოს მისი გზავნილი: „მხოლოდ შენ შეიძლია თავიდან აიცილო ცეცხლის გავრცელება“. ამ შეტყობინებამ ტყის უამრავი აკრი ხანძარს გადაარჩინა.



Ads For Good From Ad Council
American Red Cross (1945)

რეკლამირების საბჭომ და ამერიკულმა წითელმა ჯვარმა თანამშრომლობა 1943 წელს დაიწყო. ამ დროიდან რეკლამირების საბჭო დაეხმარა წითელ ჯვარს უამრავი სათემო სერვისის

წარმატებაში, მაგალითად, ისეთების როგორებიცაა: სისხლის დონაცია, უბედურებების შემცირება, მოახლისეთა მიღება სხვათა დასახმარებლად... რეკლამების მეშვეობით 1 თვეში 30 000 ადამიანი დარეგისტრირდა მოხალისედ. ორ წელში კი კამპანიამ იმ მოზარდების რიცხვი, რომლებიც წითელი ჯვრის საქმიანობაში ჩართულები იყვნენ 37 %-ით გაზარდა.

„შეიკარი ღვედი უსაფრთხოებისთვის“ – ეს რეკლამა ეროვნულ უსაფრთხოების საბჭოსთან თანამშრომლობით 1945 შეიქმნა, რათა ამერიკის ქუჩებსა და გზატკეცილებზე ავტოავარიების რიცხვი შემცირებულიყო.



Ads For Good From Ad Council

Buckle Up For Safety (1945)

„თავი დააღწიე პოლიომიელიტს“ – მას შემდეგ რაც აღმოჩინეს, რომ პოლიომიელიტის შემთხვევა აუცრელებელი უფრო მეტი იყო, რეკლამირების საბჭომ 1959 წელს დაიწყო კამპანია, რომელიც ამერიკელებს ვაქცინაციისკენ მოუწოდებდა; 1960 წელს ვაქცინაციათა რიცხვმა 91 მილიონს მიაღწია.



Ads For Good From Ad Council

Stamp Out Polio (1958)

პრეზიდენტ ჯონ კენედის ადმინისტრაციის მხარდაჭერით რეკლამირების საბჭოსა და მშვიდობის კორპუსის ერთობლივი სარეკლამო კამპანია 1961-დან 1991 წლამდე გაგრძელდა. იზანს – მშვიდობის კორპუსის მოხალისეებით შევსებას – მაღევე მიაღწიეს.



Ads For Good From Ad Council
Peace Corps (1961)

ამერიკის ეკონომიკის სისტემის მხარდასაჭერად 1975 წელს შეიქმნა ინფლაციის საწინააღმდეგო სარეკლამო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ბუკლეტების მეშვეობით საზოგადოების გათვიცნობიერებას იმაში, თუ რა იწვევს ინფლაციას და რით შეიძლება მისი აღმოფხვრა. სულ დარიგდა 13 მილიონი ბუკლეტი.



Ads For Good From Ad Council
American Economic System/ Anti-Inflation (1975)

სოციალური რეკლამა წრმატებულია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში, მაგრამ ტიპობრივად მას არ შეუძლია გრძელვადიანად ქცევის შეცვლა, ამ უკანასკნელის მისაღწევად იყენებენ სოციალურ მარკეტინგს. სოციალური მარკეტინგი საზოგადო მარკეტინგის თეორიებსა და კონცეფციებს სოციალურ და ჯანმრთელობის საკითხებს არგებს ანუ ის კომერციული მარკეტინგის პრაქტიკას არაკომერციული საზოგადოებრივი ინტერესების მისაღწევად იყენებს.

ალან ანდრეასენის მიხედვით, სოციალური მარკეტინგის საბოლოო მიზანს წარმოადგენს სამიზნე ინდივიდებისა ან საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა და არა მარკეტინგებისთვის ანუ ბაზარზე მომუშავებებისთვის. გაუმჯობესებული საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად, სოციალური მარკეტინგი ცდილობს ქცევაზე გავლენის მოხდენას და მის შეცვლას. სამიზნე აუდიტორიას სოციალურ მარკეტინგში პირველი ადგილი უჭირავს.

- სოციალური რეკლამა და საქართველო:

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ: სოციალურ რეკლამას განმარტავს როგორც საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამას, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო და არ შეიცავს კერძო სამარ-

თლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ განეული მომსახურების რეკლამას...

სოციალურ რეკლამაში არ უნდა იყოს მოხსენიებული კომერციული ორგანიზაციები და ინდივიდუალური მეწარმეები, მათი საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკულები), აგრეთვე იმ საქონლის კონკრეტული მარკებიმოდელები, არტიკულები), რომელიც წარმოადგენს არაკომერციული ორგანიზაციების დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის შედეგს...

საქართველოში სოციალური რეკლამების დიდი უმრავლესობა საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადის. საქართველოს ყოფილი პირველი ლედის, სანდრა რულოვსის ჯანსაღი ცხოვრების წესის ინიციატივის პროექტს დ ონეტ ჭორრყ, ე ეალტჰყდის ფარგლებში მომზადდა სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მასალები და ვიდეოროგოლები, შეიქმნა სპეციალური თოჯინა-პერსონაჟები დ ნიკა და ნუცა, რომლებიც მოზარდებს მოწევის მავნებლობაზე, ჰიგიენის ნორმების დაცვასა და ფიზიკურ აქტივობაზე ესაუბრებოდნენ. თითოეული სარეკლამო რგოლის ხანგრძლივობა 1 წუთზე ნაკლებია; მხიარული მუსიკის ფონზე ნიკა და ნუცა მაყურებლებს ლაკონიურ და კონკრეტულ შეტყობინებებს უგზავნიან, მაგალითად ერთ-ერთი კლიპში ისინი მწევლებს მიმართავენ: „ შენს კვამლს სხვებიც სუნთქვენ! ნუ უქმნი საფრთხეს ჩვენს ჯანმრთელობას, იფიქრე სიცოცხლეზე, ნუ იქნები გულგრილი. “ მეორე კამპანია საჭესთან სიფრთხილეს ეზღვნება და მისი ლოზუნგია: „არ ღირს, ნუ მიუჯდები საჭეს ნასვამი“.

პატივი ეცი სიბერეს, ეს შენი მომავალია!

ეს რეკლამა იწყება ბიჭის შეძახილით, რომელსაც აივანზე გამოსული მეგობარი თავისთან სახლში ფილმის საყურებლად პატივებს , ამის შემდეგ ქვემოთ მყოფი ეკითხება მარტოა თუ არა სახლში ? მისი პასუხი კი ასეთია: “არავინ, სახლში ბებიაჩემია“. კადრი გადადის ბებიაზე, რომელიც სახლში გაზეთს კითხულობს და მთავრდება სლოგანით: “პატივი ეცი სიბერეს, ეს შენი მომავალია!“

ნუ დააბინძურებ გარემოს!

ეს სოციალური რეკლამა ვაკის პარკთან ავტობუსების გაჩერების კადრით იწყება, რომელსაც 30 წლამდე მამაკაცი სენდვიჩის ჭამით უახლოვდება. ასევე გაჩერებაზე დგანან დედაშვილი ტრანსპორტის მოლოდინში. გოგონას ასაკი დაახლოებით 8 წლამდეა . როდესაც ეს პიროვნება ჭამას ასრულებს თითქოს შეუმჩნევლად ნაგავს იქვე აგდებს, ბავშვი დედას ხელს უშვებს სწრაფად იღებს ნაგავს და ხელში აწვდის მამაკაცს შემდეგი სიტყვით: “დაგივარდათ“. ეს სოციალური რეკლამა მთავრდება მამაკაცის დარცხვენილი სახით და წარწერით: „დაგივარდათ?!“

სულ ახლახან შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ბიოს“ მოხმარების წინააღმდეგ საგანმანათლებლო ანტინარკოტიკული კამპანია დაიწყო და შესაბამისი ვიდეოროგოლიც მოამზადა. ვიდეოროგოლში საუბრობენ იმაზე, თუ რას იწვევს „ბიოს“ მოხმარება

ლიტერატურა:

1. Goodwill, B. Public service advertising— background and future <http://www.psaresearch.com/>
2. 10 Classic Public service ADS that changed the nation. 20 June, 2011.
3. http://www.huffingtonpost.com/2011/06/20/10-vintage-public-service_n_869730.html#s285761&title=American_Economic_System
4. Andreasen, Alan (1995). Marketing Social Change: Changing Behavior to promote Health, Social development, and the Environment. San Francisco: Jossey-Bass.
5. Goodwill, B. Effective public service Ad campaigns. http://www.psaresearch.com/images/public-service_ad.pdf
6. საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ <http://garb.ge/files/რეკლამის — შესახებ.პდფ>
7. ჯანსაღი ცხოვრების წესის სარეკლამო რგოლები <http://www.youtube.com/watch?v=oWjZmluKFzM>
https://www.youtube.com/watch?v=BavChF__oqk

ლია ზამბახიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო ჭალაგანიძე

პერსონიფიკაცია სამაუწყებლო მედიაში თოქშოუ „პოზიცია“

(საკვლევი პერიოდი 24.01.2014 დ 04.04.2014)

სატელევიზიო კომუნიკაციის ხმოვან-ხედვითმა ხასიათმა კომუნიკატორსა და აუდიტორიას შორის პირადი კონტაქტის ჩამოყალიბება მოითხოვა. ამის მიზეზი კომუნიკატორზე და თვით შეტყობინების დამაჯერებლობაზე სწორი შთაბეჭდილების შექმნა იყო.

ზემოთხსენებულით აიხსნება აუდიტორიისათვის სატელევიზიო ინფორმაციის ავტორისა და მოვლენის თანამონაწილეთა პერსონიფიცირების მნიშვნელობა და მიმზიდველობა. მსოფლიოს უმსხვილესი ტელეკომპანიები ცდილობენ ჰყავდეთ მუდმივი წამყვანები და რეპორტიორები რომელთა პიროვნება მაყურებლის სიმპატიასა და ნდობას დაიმსახურებს.7

მედიასივრცეში შესაძლოა გამოვყოთ პერსონიფიცირების სამი საფეხური: დაბალი – როდესაც ინფორმაციას კორესპონდენტი გადასცემს; მეორე დონეზე დგას საინფორმაციო გამოშვების წამყვანები; ინფორმაციის „გაპიროვნების“ უმაღლეს საფეხურად კი მიიჩნევა საკუთარი გადაცემა – ტოქშოუ.

სატელევიზიო გადაცემათა სიჭრელის გამო, ნაცნობი სახე ტელეეკრანზე მაყურებელისთვის იმ ორიენტირად იქცევა, რომელსაც თავისთავად უნდა მოჰყევს კონკრეტული მაყურებლისათვის საინტერესო ინფორმაცია. როგორც უკვე ვახსენეთ, პერსონიფიკაციის დონე მით უფრო მაღალია, თუ უურნალისტი ეკრანული ქმედების მონაწილეა და ამავე დროს თანაგრძნობითი იდენტიფიკაციის ობიექტიც ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაყურებელი თანაუგრძნობს მას, საკუთარ თავს ერთგვარად დრამატული ქმედების «დადებით გმირად» წარმოიდგენს.

პერსონიფიკაციის ყველაზე მაღალი დონე – როდესაც ტელემაყურებელი უურნალისტს ელოდება თვითონ მისი პირადი თვისებების გამო, როგორც აზრის ლიდერს რთულ პრობლემებში გარკვევისათვის. პერსონიფიკაცია დაკავშირებულია არა მარტო საავტორო გადაცემის უურნალისტთან, არამედ ტელერეკლამასა და ტელეთამაშების წამყვანებთანაც. ტელე-შოუ და ტელეთამაშები, სადაც მონაწილეებს საშუალება ეძლევად საჯაროდ გამოთქვან თავისი აზრი, მაყურებელთა თვალში განასახიერებენ ჩვენს თანამედროვეებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს (დადებითსაც და უარყოფითსაც) ამით აუდიტორიას საშუალებას აძლევენ საკუთარი – ტიპიური სახე იხილონ ეკრანზე.⁸

სწორედ აქედან გამომდინარე, თანამედროვე ტელევიზიამ განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა წამყვანს. მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აუდიტორიისათვის მიწოდებული ინფორმაციის აღქმის ხარისხი.

„წამყვანი ყველაზე ხშირად ჩანს ეთერში, მისი საშუალებით ხდება საინფორმაციო პოლიტიკის მაყურებლამდე მიტანა. ამდენად, წამყვანი განსაკუთრებული თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოვე-

⁷ ალექსანდრე ვახტანგოვი – «ვიდეოარტის განვითარების ტენდენციები და თანამედროვე ტელევიზია» 34გვ.

⁸ ალექსანდრე ვახტანგოვი – «ვიდეოარტის განვითარების ტენდენციები და თანამედროვე ტელევიზია» 34-35გვ.

ბული. ეკრანული (და არა ლამაზი) გარეგნობის გარდა, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ხმის ტემპი, არ უნდა მეტყველებდეს მონოტონურად, უნდა გააჩნდეს ლოგიკური აზროვნება და ფლობდეს ლექსიკოლოგიის კანონებს, არ უნდა ჰქონდეს მეტყველების დეფექტი. აზრის გადმოცემისას უნდა იყოს დამაჯერებელი და კომპეტენტური. უნდა შეეძლოს მოკარნახე მონიტორზე ტექსტის შეუცდომლად კითხვა, პირდაპირ ეთერში მუშაობა, რეპორტიორებისა და სტუმრებისთვის კითხვების დასმა. წამყვანის გამომწვევემა ჩატარებისამ და თმის ვარცხნილობამ, შესაძლოა მოწყვიტოს მაყურებლის ყურადღება მნიშვნელოვან ინფორმაციას, ამიტომ საინფორმაციო პროგრამების წამყვანების გარეგნული იერსახის შემუშავებისას გასათვალისწინებელიაყველა ის დეტალი, რომელიც აუდიტორიას დაეხმარება ახალი ამბების აღქმაში და არა პირიქით.⁹

ზოგადად, ამ კრიტერიუმებით ყალიბდება პროფესიონალ წამყვანად, ვისგანაც მონდებული ინფორმაცია აუდიტორიისათვის ყოველთვის გასაგები, საინტერესო და დამაჯერებელი უნდა იყოს. ასე იქმნება არხის რეიტინგი. მას ქმნის საზოგადოება, რომლისთვისაც დღეს საინტერესო არა მხოლოდ ახალი ამბების მიწოდება, არამედ თავად ამბის მიმწოდებელთან კომუნიკაციაა. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალი საავტორო გადაცემის დროსაა. საინტერესოა, რამდენად დიდი ყურადღება ეთმობა გადაცემის პერსონიფიცირებას საქართველოს წამყვან ტელევიზიებში. ამას „რუსთავი 2“ ის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ტოქშოუს და მის წამყვანის მიხედვით დავადგენთ.

“მივიღე გადაწყვეტილება დროებით შევაჩერო ჩემი საქმიანობა მედია სივრცეში. ამ გადაწყვეტილებას არანაირი პოლიტიკური სარჩული არ აქვს და ძალიან ვთხოვ ყველას, არ აქციონ ეს პოლიტიკური სპეციალისტის თემად. ჩემი გადაწყვეტილების ერთადერთი მოტივაცია პირადი და ოჯახური მდგომარეობითაა ნაკარნახევი. დიდი მაღლობა მინდა გადავუხადო ყველა ჩემს თანამშრომელს, მის გენერალურ დირექტორს და “რუსთავი 2“-ს მთელ გუნდს ამდენი წლის განმავლობაში წარმატებული მუშაობისთვის. ვრჩები ამ არხის ყველაზე დიდ გულშემატკიცრად და მჯერა, რომ პროფესიონალების დიდი გუნდი, რომელიც ამ ტელევიზიაში მუშაობს, შეინარჩუნებს პირველობას ქართულ მედია სივრცეში. დიდი მაღლობა ჩემს ერთგულ მაყურებელს, რომელიც მთავარი სტიმული იყო ჩემს პროფესიულ საქმიანობაში“ – ნინო შუბლაძემ თავისი გადაწყვეტილება საზოგადოებას ფეისბუქის საშუალებით გააცნო. (დანართი 1).

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მოადგილემ ტელეკომპანია 2014 წლის 12 მაისს დატოვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე ტოქშოუ ყოველ პარასკევს, 9 საათიანი კურიერის დასრულებისთანავე გადიოდა ეთერში.

„პოზიცია“ კვირის მნიშვნელოვან მოვლენებს ეხებოდა. გადაცემაში სტუმრად საკმაოდ მაღალი რანგის პოლიტიკურ ფიგურებს იწვევდნენ. დებატებისას ნინო შუბლაძე ცდილობდა, ყოფილიყო მოდერატორი და ორივე მხარის წარმომადგენელს თანაბრად დაეთმო დრო. გადაცემის მსვლელობისას წამყვანი ყურადღებით ეკიდებოდა მაყურებელთან შესაბამისი დისტანციის დაცვას, ქცევის დამაჯერებლობასა და იმიჯს. მსგავსი მიდგომა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, XXI საუკუნის მაყურებლისთვისაა, რომელისთვისაც არ არის საკმარისი მხოლოდ ინფორმაცია. დღეს ყურადღების ეპიცენტრში თავად ახალი ამბების მიმწოდებელი პიროვნება, მისი გარეგნობა, მიმიკა, კომუნიკაბელურობა და მეტყველებაა.

ტელემაყურებელი ურნალისტს ელოდება, როგორც აზრის ლიდერს რთულ პრობლემებში გარევევისათვის. საინტერესო რამდენად ამართლებდა მაყურებლის მოლოდინს „პოზიციის“ წამყვანი ნინო შუბლაძე.

„პოლიტიკური ტოქშოუ „პოზიცია“ პირველად ეთერში 2009 წელს გავიდა.

2013 წლის 22 იანვარს ნინო შუბლაძე და „პოზიცია“ შესვენების შემდეგ რუსთავი 2-ის ეთერში კვლავ დაბრუნდა. ტოქშოუ ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებსა და თემებს ეხებოდა და მაყურებელს საფუძვლიანი ანალიზის საშუალებას აძლევდა.

⁹ გიორგი ჩართოლანი „ტელე-რადიო ურნალისტიკა“ გვ. 32.

ტოქშოუ გვთავაზობდა განსხვავებულ პოზიციებსა და დებატებს სხვადასხვა მხარეს შორის. „პოზიცია“ ეთერს უთმობდა ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელიც იმ პერიოდისთვის აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.¹⁰

კვლევის პროცესში გადაცემაში შემდეგი თემები განიხილეს:

- იუსტიციის მინისტრის პოზიცია;
- მუხროვანის ამბოხი;
- სკანდალური მასალები ახალიას მოწმე;
- შედგება თუ არა შეხვედრა პუტინსა და მარგველაშვილს შორის;
- პრეზიდენტის საპარლამენტო ანგარიში;
- კვირის მთავარი პოლიტიკური თემები საკანონმდებლო ცვლილებები თვითმმართველობის არჩევნები;
- ბრძოლა თბილისისთვის;
- ხმაურიანი ბრალდებები;
- უვანიას საქმე;
- პრეზიდენტის პოზიცია;
- თათუხაშვილის საქმე; ბოკერია პროკურატურაში; მერობის ახალი კანდიდატი.

არ შეინიშნებოდა წამყვანის მხრიდან მიკერძოება რომელიმე კანდიდატის მიმართ. ყველასთან კონსტრუქციული და საკმაოდ მომთხოვნი კითხვები ჰქონდა, იქიდან გამომდინარე თუ ვისთან რა კითხვები იყო უფრო აქტუალური. წამყვანი არ იყენებდა სიძულვილის ენას ან შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს.

იმის გარდა, რომ წამყვანი მაქსიმალურად მიუკერძოებელია, შეიძლება ითქვას რომ კარგად ფლობს დებატების ტექნიკას. ის უხეშად არასდორს ერევა დისკუსიაში და ცდილობს სტუმრებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძებლობა თანაბრად მისცეს. იმ შემთხვევაში კი თუ სიტუაცია უკონტროლო ხდება, ის სარეკლამო პაუზით სიტუაციის განმუხტვის მეთოდს იყენებს. ასეთი იყო მაგალითად 2014 წლის 14 თებერვლის, გადაცემა სადაც დავით ბერძენიშვილსა და გიორგი გაბაშვილს შორის დებატების გამო ჩხუბის ფონზე დასრულა გადაცემა. (დანართი 2)

ნინო შუბლაძე ერთი მხარის არსებობის შემთხვევაში ოპონირებასაც უწევს სტუმარს. ასე იყო თეა წულუკიანისა და გიორგი მარგველაშვილის სტუმრობის პროცესში. ის პირდაპი უსვამს კითხვებს წულუკიანს ყველაზე აქტუალურ საკითხებზე (24 იანვარი, 2014). მთავარი პროკურორის, ფრაცხალაძის მაგივრად დანიშნულ, გიორგი ბადაშვილზე, კეზერაშვილის ექსტრადიციაზე, სუროგაცია და ამ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქოს პოზიციაზე, იუსტიციის სახლის სარემონტო სამუშაობზე და სხვ. (დანართი 3)

საკმაოდ პირდაპირია პრეზიდენტთან საუბრისასაც. გიორგი მარგველაშვილთან დიალოგისას მთავარი თემა პუტინთან შესაძლო შეხვედრა იყო. პრეზიდენტს კვირის მთავარი თემის – ყოფილი პრეზიდენტის პროკურატურაში დაბარებისა და მისი უარის შეფასებაც სთხოვა. მთავრი კითხვას, რაც შეეხება ის შემდეგნაირი იყო: შეძლებს თუ არა ხელისუფლება საზოგადოების დარწმუნებას, რომ ეს არ არის პოლიტიკური მიზნით დანიშნული დაკითხვა.

კითხვები შეეხებოდა ასევე უვანიას საქმეს, ხელახალ გამოძიებას, ყოფილი პრემიერისა და პრეზიდენტის ურთიერთობას.

„აისახა თუ არა პრემიერის ურთერთობებზე შენიშნვენბი. არის თუ არა დაპირსიპირება... აისახა თუ არა საჯარო შენიშვნები ურთიერთობაზე... უთანხმოება არსებობს?“ – აღნიშნულ კითვაზე პასუხისთვის თავის არიდების გამო წამყვანმა ის ორჯერ დაუსვა (28 მარტი, 2014). (დანართი 4)

¹⁰ რუსთავი2 http://www.rustavi2.com.ge/news/programs_rug.php?l=77.

მოყვანილი მაგალითები კი ადასტურებენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წამყვანი ორინეტი-რებულია მთავრ კითვებზე შესაბამისი, ამომწურავი პასუხების მიღებაზე. ის საკმაოდ პირდაპირი, ხისფი და მომთხოვნია სტუმრების მიმართ, განურჩევლად მათი რეგალიებისა.

გადაცემაში თემის აქტუალურობის მიხედვით ხშირია უურნალისტების ჩართვები შემთხვევის ადგილებიდან. ეს იქნება უკრაინაში მიმდინარე მოვლენები თუ პროკურატურაში განვითრებული მოვლენები.

წამყვანი ყოველთვის მომზადებულია გადაცემისთვის. ამას მიუთითებს ციტატები, საბუთები, ზუსტიდ წარმოდგენილი თემატური დოკუმენტაცია. ერთ-ერთი ასეთი 14.03.2014 გადაცემა, სადაც სტუმრად მიხეილ სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია ჰყავდა. წამყვანი არ ერიდაბა პირდაპირ წარუდგინოს ის ბრალდებები, რომელზე პასუხიც აინტერერსებს, კერძოდ საქმე ეხება პრემიერ-მინისტრ, ირაკლი ლარიბაშილის ბრალდებას: „ჩემი ინფორმაციით ის კაგებეს ყოფილი პოლკოვნიკია... ყოფილები ხომ იცით არ არსებობენ“... იარაღის უკანონოდ შენახვასა და ა.შ. (დანართი 5).

ეს რაც შეხება შინაარსობრივ, ვერბალურ მხარეს. როგორც დანარჩენ შემთხვევაში, აქაც პერსონიფიცირებისას არანაკლებ, და შეიძლება ითქვას მეტად, მნიშვნელოვანი არავერბალური მახასიათებლებია. ეს არა მარტო წამყვანს იქ არსებულ გარემოსა და ინტერიერსაც ეხება. გადაცემის ქუდი და მუსიკა დინამიურია, რაც თვიდანვე ქმნის განწირებას და თავიდანვე გვეუბნება, რომ გადაცემა აქტურალურ, ყველაზე სერიოზულ, ხშირად დაძაბულ საკითხებს ეხება. საკითხებს, რომელიც განსაზღვარავს ქვეყნისა და მოქალაქეების ბედს. სტუდიის დიზინი ჩვენი მონიტორინგის პროცესში შეიცვალა. უცვლელი დარჩა ფერები და გადაცემის ქუდი. შეიცვალა მაგიდა, რომელიც მეტად მრავალნახნაგოვანი გახდა, თვად გადაცემის შეინაარსის მსგავსად. ინტერიერის მკაცრი ფორმები ტოქშოუს შინაარსობრივ მხარეზეც მიუთითებს. მსაგვსი ტიპის გეომეტრიული ფიგურები სისწორეზე, პირაპირობაზე და სიმკაცრეზე მიანიშნებენ. გადაცემის მსვლელობისას წამყვანი და სტუმრები მაგიდის გარშემო სხედან. (დანართი 7).

ახლა რაც შეეხება არავერბალური მხარის დანარჩენ მახასიათებლებს: ჟესტიკულაციას, მიმიკას, კომუნიკაცებულობას, გამომსახველობასა და დინამიკურობას.

წამყვანი გადაცემის პირველივე წუთებიდან დაუწებული, პირდაპირი მზერით ცდილობს დაამყაროს ახლო ურთიერთობა მაყურებელთან. ხმის ტემრბითა და თხრობის მანერით აგრძნობინებს მათ, რომ გადაცემა სერიოზულ თემებს ეხება და სწორედ მასთან განხილვის პროცესშია შესაძლებელი გამოიკვეთოს გამოსავალი ან გზა პრობლემების თვიდან ასაცილებლად. საუბრის პროცესში წამყვანს არ ახასიათებს ზედმეტი მოძრაობა, მიმიკა ან ჟესიკულაცია. რაც შეეხება უშუალოდ გადაცემის პროცესს, ის ყოველთვის ხელებით ცდილობს სტუმრების დამშვიდებას დებატებისას. მონიტორინგის პროცესში რამდენჯერმე ტოქშოუს დასრულება დისკუსიის პარალელურად მოუხდა კიდეც.

არავერბალურ მახასიათებლებზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ წამყვანს ხშირად ხელში კალამი უჭირავს. ეს მისი განუყოფელი ატრიბუტია. ზოგადად კალმის მეშვეობით მოსაუბრე მსმენელის მზერას აკონტროლებს. კვლევები გვიჩვენებს, რომ ინფორმაციის 87% ადამიანის ტვინში მხედველობითი რეცეპტორების საშუალებით აღწევს, 9% სასმენი, ხოლო 4% გრძნობის დანარჩენი ორგანოების მეშვეობით, ამიტომ მსმენელის ყურადღებაზე მაქსიმალური კონტროლის დასამყარებლად გამოიყენება კალამი ან სხვა თვალსაჩინო საშუალება. ამით ის რესპონდენტების ყურადღების მიქცევას და მაყურებელზე ზემოქმდებას ახერხებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა სიტუაციის განასმუხტად და ყურადღების მისაქევად. ეს განსაკუთრებით აუცილებელია აღნიშულ ტოქშოუში, ოპონენტებსა და საპირისპირო პოზიციის მქონე სტუმრებს შორის დაძაბული სიტუაციის განსამუხტად და ყურადღების გადასატანად.

გადაცემის მსვლელობის პროცესი ნინო შუბლაძე რესპონდენტის პასუხის მოსმენისას ხშირად თავს ქვემოთ ხრის. ქვევით დახრილი თავი – ეს მოწმობს იმას, რომ ადამიანის დამოკიდებულება უარყოფითი და გამკიცხავია. მაყურებლისთვის ამაგვარი პოზა უარყიფითად აღიქმება და თუ დიდ-ხანს გასტანს ის დაკარგავს ინტერესს. ეს სწორედ ის შემთხვევაა როცა რესპონდენტები კამათს და ჩხუბს გააბამენ. ამ ჟესტით წამყვანი საკუთარ გულწრფელ პოზიციას აფიქსირებს სიტუაციის მი-

მართ, რომელიც შემდეგ უკვე კონტროლს არ ექვემდებარება და ისიც იძულებული ხდება რეკლამით განმუხტოს სიტუაცია. საკმაოდ ხშირია ხელით ცხვირზე შეხება, რაც ემოციების დაფარვის კარგი საშუალებაა. ესეც, სავარაუდოდ, რესპოდენტების მხრიდან დაუმორჩილებლობის გამო, სიბრაზის დასაფარად გამოიყენება (დანართი 6, 7, 8).

„ეკრანის ნებისმიერმა პერსონაჟმა – რამდენადაც იგი სისტემატიურად მიმართავს მასობრივ აუდიტორიას – თავის თავში უნდა გააერთიანოს ინტელექტი და დემოკრატიულობა, განსაჯოს და-მოუკიდებლობა და აღიარებულ ფასეულობათა მიმართ თანმიმდევრობა“.¹¹

აღნიშნული კრიტერიუმებით და განხილული მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, ნინო შუბლაძე პასუხისმგებლობით ეკიდება აუდიტორიის მოთხოვნებს. ის ცდილობს სწორი წარმოდგენა შექუმნას მაყურებელს როგორც კომუნიკატორზე ისე შეტყობინების დამაჯერებლობაზე.

ინფორმაციის სწორად პერსონიფიცირება და ისე მიწოდება აუდიტორიისთვის აუცილებელია გახდეს პროდიუსერების პრიორიტეტი. ამ კუთხით თავად უურნალისტებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა, საკუთარი სურვილები და ინტერესები და მოერგონ აუდიტორიას... იშრომონ პერსონიფიკაციის არავერბალური მახასიათებლების გამოსწორებაზე. ამ მხრივ პროფესიონალების რჩევა ასეთია: „ეკრანის ნებისმიერმა პერსონაჟმა – რამდენადაც იგი სისტემატიურად მიმართავს მასობრივ აუდიტორიას – თავის თავში უნდა გააერთიანოს ინტელექტი და დემოკრატიულობა, განსაჯოს და-მოუკიდებლობა და აღიარებულ ფასეულობათა მიმართ თანმიმდევრობა.“ შესაბამისად, მომგებიანი იქნება ტელევიზიებმა სათანადო მნიშვნელობა მიანიჭონ ინფორმაციის სწორად პერსონიფიცირებას, თორემ თუ მაყურებელს წამყვანი არ მოსწონს, ყოველთვის შეძლებს მსგავსი ინფორმაციის სხვა არხზე ნახვას. ამას გარდა, მომგებიანი იქნება, გავითვალისწინოთ CNN-ის გამოცდილება და დავუჯეროთ პრინციპს რომ, „ტელევიზიას ქმნის არა ტექნიკა, არამედ ინტელექტი“.

ლიტერატურა:

1. ვახტანგოვი ა. „ტელენამყვანი და აუდიტორია“; „ტელე-რადიო უურნალისტიკის საკითხები“ თბილისი 2006 წ.
2. თათარაშვილი ნ. „ტელეურნალისტიკის საკითხები“ თბილისი 2003 წ.
3. იბერი ე. „რადიო უურნალისტიკა“ თბილისი 2003 წ. გვ 92–98
4. იბერი ე. „ახალი ამბების განვითარების დინამიკა საქართველოს ტელევიზიაში (1959 – 2004)“ თბილისი 2012 წ.
5. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-რადიო უურნალისტიკის კათედრა „სატელევიზიო უურნალისტიკა“, „ახალი ამბების წამყვანი“ თბილისი 1998წ. გვ. 325–329.
6. პიზი ა. „სხეულის მოძრაობის ენა ანუ როგორ წავიკითხოთ სხვათა აზრები მათი შესტებით“ . თბილისი 1988 წ.
7. ჩართოლანი გ. „ტელე-რადიო უურნალისტიკა“ თბილისი 2009 წ.
8. ჭალაგანიძე ნ. „ტელენამყვანი და აუდიტორია“; „ტელე-რადიო უურნალისტიკის საკითხები“ 2003 წ. გვ. 86–96.
9. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00—off-0period—00-1—0-10-0—0-0—0prompt-10—..4—4—0-11-11-ru-10—10-preferences-50—00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c1=CL2.15&d=HASH99832756ae716e6886908c.5.1> (25.04.2014)
10. რუსთავი 2 http://rustavi2.com/news/programs_rug.php?l=16&rec_start=10 (05.05.14)
11. პოზიცია – [http://www.youtube.com/user/Rustavi2Pozicia\(24.01.2014 d 04.04.2014\)](http://www.youtube.com/user/Rustavi2Pozicia(24.01.2014 d 04.04.2014))

¹¹ „სატელევიზიო უურნალისტიკა“, „ახალი ამბების წამყვანი“ გვ. 329.

ნინო გაჩეჩილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: შიხეილ ბარნოვი

მშრალი კანონი აშშ-ში კათილშობილური სოციალური ეკსპერიმენტის

გლობალური მარცხი

XX საუკუნისის 20-ანი წლები შესაძლოა ყველაზე სენსაციურ და სკანდალურ თარიღად მივიჩნიოთ ამერიკის ისტორიაში, რადგან სწორედ ამ პერიოდში სფერიციური მიზეზების გამო სახელმწიფო „იძულებულ იქნა“ მოქალაქეთა კეთილდღეობის მიზნით მიღლო ერთობ მოულოდნელი გადაწყვეტილება – „მშრალი კანონის“ შემოღების შესახებ. ისმის კითხვა, კი მაგრამ რამ განაპირობა მისი მიღება? რა გახდა „დემოკრატიული“ სახელმწიფოს ყველაზე არადემოკრატიული ქმედების მიზეზი ანდაც საბაბი, რითაც კანონმა შეზღუდა თითოული მოქალაქის თავისუფალი ნება? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის უკეთ გასაცემად უმჯობესი იქნება გამოვკვეთოთ თემის მიზანი. ჩემი განხილვის საგანს წარმოადგენს იმ ვითარების გადმოცემა და დახასიათება რამაც აუცილებელი გახადა ფედერალური ხელისუფლების მიერ კანონის მიღება და იმის ჩვენება თუ რა იყო მასში თავიდანვე ისეთი წინააღმდეგობრივი, რის გამოც 12 წლის განმავლობაში ვერსგზით ვერ მოხერხდა მისი დამკვიდრება და განხორციელება.

პირველ რიგში, წარმოგიდგენთ ზოგად ანალიზს უნდა იმ ვითარებისა, რომელმაც ხელი შეუწყო მშრალი კანონის შექრას ადამიანთა ცხოვრებაში. როგორც ფედერალური ხელისუფლება განმარტავდა, აშშ-ში ალკოჰოლის მიღებამ კოლოსალური მასშტაბები მოიცვა, მან თავის გავლენის სფეროში მოაქცია მოსახლეობის ნახევარზე მეტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად აფერხებდა ის ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს; ამ დებულებებს შემდეგი არგუმენტაცია ახლდა თან, მუშა ხელი ღამით სალუნში ყოფნის და ალკოჰოლის გადაჭარბებით მიღების შემდეგ სამსახურში არასასურველ მდგომარეობაში მიდიოდა, ფაქტობრივად აღარ შეეძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება, ამასთან მათი თანხის უდიდესი ნაწილი სწორედ სალუნებში იხარჯებოდა, ნასვამი მამაკაცები ასევე ხშირად მიმართავდნენ აგრძესას გარშემოყოფა, კერძოდ კი ოჯახში შვილებისა და მეუღლეების მიმართ. საჭირო იყო გარკვეული ზომების მიღება ანდაც რაიმე სახის ლონისძიებების ჩატარება, ასევე ერთ-ერთ გადასაჭრელ პრობლემად რჩებოდა სალუნების სისტემა, რომელიც რამენაირად უნდა აღმოფხვრილიყო. როგორც შექმნილმა ვითარებამ გვიჩვენა, თითქოსდა ყველა პირობა იყო შექმნილი, რათა მშვიდობიანად გატარებულიყო მშრალი კანონი ე.ნ. „პროპიბიცია“, თუმცა ყველაფერი ისე იოლი არ აღმოჩნდა როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს (კაჭარავა, 1991:18–19). (კაჭარავა, 2008:283). 1920 წლის 16 იანვარს კანონი ოფიციალურად შევიდა ძალაში, რაც აშშ-ს ტერიტორიაზე ყოველგვარი ალკოჰოლური სასმელის ყიდვა–გაყიდვას, ტრანსპორტირებასა და გამოყენებას კრძალავდა, შეიძლება ითქვას, ფედერალურმა ხელისუფლებამ შტატების სუვერენიტეტში შექრით, კეთილი მიზნით, საპასუხოდ მიიღო პოლიტიკური მანიფესტი, რაც გამოიხატა შტატების მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ კონსტიტუციის მე–18 შესწორების უგელებელყოფით, რამაც მთლიანობაში შეარყია და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კანონებისადმი მორჩილება და პატივისცემა (კაჭარავა, 1991: 9–10).

როდესაც საქმის არსში გავერკვევით, ისმის კითხვა, კი მაგრამ პროპიბიციის პრობლემის გარდა ქვეყანაში არსებობდა სეგრეგაციული სისტემა, ახლად ჩამოყალიბებულ ფემინისტთა ორგანიზაცია, ასევე რაც თითქმის ყველასთვის აღმაშფოთებელია ადამიანთა ლინჩის წესით გასამართლება, რამაც მეოცე საუკუნის შუა ხანებამდე იარსება, აღბათ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა განვიხილოთ შემდეგი ფაქტორი.

ამერიკელები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნიდან გადმოსახლდნენ ახალ სამყაროში, პირველ რიგში თავისუფლების მოპოვების და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით და რომლებმაც სახელმწიფო ააშენეს ინდივიდუალიზმის პრინციპით, უფლებას ვერ მისცემდნენ ვერავის, მათ შორის ფედერალურ ხელისუფლებას გაეკონტროლებინათ მათი პირადი ცხოვრება, თითოეული ნაბიჯი, მითუმეტეს რომ შტატები სუვერენული იყო და პირიქით, უმაღლეს ხელისუფლებას მხოლოდ შტატების და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მიეღო გადაწყვეტილებები.

პროპიბიციის მიღებამდე ასე უცებ და შეიძლება ითქვას საფუძვლიანად გაუაზრებელმა კანონმა (მოგასენებთ, რომ სენატში მე-18 შესწორების მიღებას სულ რაღაც ცამეტსაათიანი დებატები დასჭირდა) ადამიანის ალმოროვება გამოიწვია. შეიძლება ითქვას, რომ მრავალი წლის წინათ, სანამ კანონი ოფიციალურ სახეს მიიღებდა, პირველმა მანიფესტმა ე.წ პროტესტმა სასმელის აკრძალვის წინააღმდეგ იფეთქა პენსილვანიაში, რაც პოლიტიკური ნიშნით „მონათლეს“, თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გამოსვლა გახდათ, ერთი სიტყვით. ე.წ „ვისკის ამბოხის“, უფროსწორად კი „აჯანყების“ ჩასახშობად პენსილვანიაში ჩავიდა 13-ათასიანი შეიარაღებული არმია, რა თქმა უნდა ამან მოსახლეობის გაკვირვება გამოიწვია და არც არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწიეს, თუმცა კი დაიღუპა სამი ადამიანი, ორი სიკედილმისჯილი კი ჯორჯ ვაშინგტონმა ვითარების გარევევისთანავე გაანთავისუფლა. როგორც ვნახეთ კანონის მიღებამ ჯერ მხოლოდ შტატის დონეზე გამოხმაურება ჰპოვა პირველსავე წლებში, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისის დასაწყისი იყო, აკრძალვას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საერთაშორისო სახე და საყოველთაო მასშტაბები, ყველაფერი ჯერ წინ იყო (კაჭარავა, 1991:9-17), (კაჭარავა, 2008:285-287).

როგორც ცნობილია, პროპიბიცის მოწინააღმდეგეთა რიცხვმა არნახულ მასშტაბებს მიღწია, პროტესტის ნიშნად ალკოჰოლის მიღება იმ ნაწილმაც დაიწყო ვინც საერთოდ არ ეკარებოდა ამ „მავნე სასმელს“, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კანონის სისრულეში მოსაყვანად დიდი როლი შეასრულა რელიგიურმა ერთეულებმა, ასევე ახლად აღმოცენებულმა ფემინისტური მოძრაობის წევრებმა, რომლებიც ზეწოლას განიცდიდნენ ნასვამი ქმრებისაგან, ეს აქტივისტი ქალები საკუთარი ინტერესებიდან გამდინარე მოქმედებდნენ და აფასებდნენ შექმნილ სიტუაციას, როგორც ვიცით, მათ არანაირი უფლება არ ჰქონდათ სახელმწიფო საქმეში და სხვადასხვა საკითხებში, თუმცა ამის განხილვა ჩვენი მთავარი თემისგან დაგვაშორებს, უბრალოდ ისიც საკმარისია აღვნიშნოთ რომ პროპიბიციას ქალები საკუთარი მიზეზებიდან გამომდინარე უფრო ემსრობოდნენ, ვიდრე მართლაც ალკოჰოლის ე.წ. „სიძულევილის“ გამო (კაჭარავა, 1991:23–28; 80–81), (კაჭარავა, 2008:289–290).

მოკლე დროში პროპიბიციამ საერთაშორისო სახე მიიღო, მიღებულ შეზღუდვებს ვერ ეგუებოდნენ თვით სამართალდამცავებიც, რადგან მიუხედავად იმისა რომ ისინი ფორმალურად პროპიბიციის ერთგულ დამცველებად ითვლებოდნენ და მოწინააღმდეგეთა გამოაშეარავებაზე ფიქრობდნენ, ხშირად შეუმჩნევიათ სალუნებში, ასევე უმაღლესი ხელისუფლების წევრები, მათ შორის პრეზიდენტი ჰარდინგი რომელთა სუფრას კანონის მიღების შემდეგაც მუდამ ამშვენებდა ვისკი, ეს რამდენად მართალია არ ვიცით, რადგანაც უარყოფდნენ რა საკვირველია, მაგრამ თუ ზემოთ ნათქვამი სიმართლეს შეესაბამება, აღარ იწვევს გაკვირვებას თუ რატომ ვერ მოხერხდა პროპიბიციის დამკვიდრება მოსახლეობაში, რაკი უმაღლესი ხელისუფლების ნარმომად-გენლები ასე „პირნათლად“ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. (კაჭარავა, 1991:58–60; 84–86)

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, სალუნების ინსტიტუტის ამოძირვას და აღმოფხვრას სახელმწიფო თავის უმთავრეს პრიორიტეტად თვლიდა, საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ ანტისალუნურმა განწყობილებამ მოიცვა და გააერთიანა მაშინდელი აშშ-ს მოსახლეობის ნაწილი, შეცდომა იქნება ვთქვა მთლიანად ქვეყნის მასშტაბი, რადგან უმეტესი მათგანი ფედერალური ხელისუფლების ქმედებას შტატების სუვერენიტეტის ხელყოფად თვლიდა (ისინი ფიქრობდნენ რომ ფედერალური ხელისუფლება ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა თავისი გავლენის სფეროების გაფართოებას და შტატების სუვერენიტეტის აღმოფხვრას) და მაქსიმალურად არღვევდა მიღებულ ზომებს. ამან ფედერალური საბჭოს მიმართ გარკვეული ანტაგონიზმით განაწყო მოსახლეობა. ეს იყო არა შეიარაღებული შტატის

კება და კატეგორიული მოთხოვნა ხელისუფლებისადმი კანონის აღკვეთისა, ყველაფერი მარტივად მოხდა, მოქალაქეებმა უბრალოდ უარი თქვეს მის მიღებაზე, მათ არ მისცეს უფლება პროპიბიციას შექრილიყო მათ პირად განზომილებებში და ამიტომ უგულებელყველები. ამასთან, როგორც ჩანს პროპიბიციური ინსტიტუტი არ იყო გამართული და ცენტრალიზებული სისტემა, 1786 პოლიციელი 122 მილიონი მოსახლის წინააღმდეგ ცოტა შეუსაბამოდ უდერს. (თუმცა ამასაც რომ თავი დავანებოთ, სამართალ-დამცავებისთვისაც ცხოვრების ჩვეულ წესად იყო ქცეული ალკოჰოლი, ხშირად ქრთამ-საც იღებდნენ სალუნის მეპატრონებისაგან, ამიტომ არც ისინი გახლდნენ წმინდა პროპიბიციონის-ტები, ისევე როგორც სხვა მაღალჩინოსნები). (კაჭარავა, 1991:28–29; 46–48).

შეიძლება ითქვას რომ ამერიკელებმა ვერ გაითავისეს, ვერ დაუშვეს რომ ალკოჰოლი არ შეიძლებოდა მიეღოთ, ეს შეზღუდვა ვერ წარმოიდგინეს. ამასთან როგორც ვიცით, ახალ სამყაროში ჩასახლებულმა ევროპელებმა ალკოჰოლი თავად ჩაიტანეს ახალ კონტინენტზე, რაც გვიჩვენებს რომ ეს სასმელი მათვის უცხო ხილი წამდვილად არ იყო. როდესაც სასონარკვეთილება შეიპყრობდათ ანდაც სამსახურის შემდეგ დაღლილები, შველას სასმელში პპოვებდნენ და ეს ყოველდღიური ამბავი იყო, ის რის გარეშეც ცხოვრება უბრალოდ წარმოუდგენელი იქნებოდა მათვის. მითუმეტეს, ქვეყანაში არ იყო მთლად სახარბიელო მდგომარეობა, მათ პირად უბედურებებს თან ახლდა ადგილობრივი ინდილებთან პერიოდული დაპირისპირებანი, აკლიმატიზაციის პროცესი, ველური გარემო რომელსაც ეტაპობრივად ითვისებდნენ ახლად-ჩამოსულები, რამაც შეიძლება ითქვას ამ ეტაპზე გამოიწვია გარკვეულწილად მათი დემორალიზაცია. ამ ყველაფრისგან თავის დასაღწევად ისინი ალკოჰოლს მიმართავდნენ და როგორც ჩანს წუთიერი განცხრომაც სალბუნად ედებოდათ, ამიტომაც ცხადი იყო და ასეც მოხდა, მათ ვეტო დაადეს მიღებულ პროპიბიციას და მხოლოდ ფორმალურად მოხდა მისი აქტივატიზაცია. (კაჭარავა, 1991:18–20).

საყურადღებოა შემდეგი ფაქტორიც, ღომინანტი რელიგიური ერთეულების პროპიბიციური მოწოდებების მიუხედავად მაინც ვერაფრით შეცვალეს ამერიკელთა დამოკიდებულება მშრალი კანონის მიმართ, რამაც მკაფიოდ გამოკვეთა მათი ხასიათი, ეს იყო ხალხი რომლებიც არა რელიგიური მრნამსისგან, არა რაიმე გაბატონებული დოგმებიდან, არამედ საკუთარი ინდივიდუალური გადმოსახედიდან აფასებდნენ და აკრიტიკებდნენ მდგომარეობას, ისინი ცხოვრებას არა ვინმეს შეხედულებებიდან არამედ საკუთარი მსოფლმხედველოდებიდან გამომდინარე წარმართავდნენ და დღესაც ასეა, სწორედ ამ თვისებებმა ააშენა დღევანდელი აშშ, დღევანდელი ერი-ამერიკელები. დიახ, ახალი სამყარო გახდა მათი ახალი ბინა, სადაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოსპობილიყო ძველი სამყაროს შეხედულებები, წარმოდგენები, ის, რასაც თავი დააღნიეს „ყოფილმა ევროპელებმა“, აღარ უნდა განმეორებულიყო, მათ როგორც ჩანს, თავიდანვე ჰქონდათ მკვეთრი იდენტიფიკაციის უნარი ისინი „იქცნენ ამერიკელებად“, სხვა ერად, არანაირი წარსულით, მხოლოდ და მხოლოდ მომავლის ხედვით, უკეთესი მომავლის იმედით შეიიარაღებული, მომართული უკეთესი პირობების, უკეთესი სამყაროს შექმნისაკენ და ისეთ ელემენტარულ შეზღუდვას, როგორიც სასმელის მიღება იყო მათთან ხელი არ ჰქონდა, არ შეიძლებოდა ახალი სამყარო ძველი სამყაროს პირობების ტრადიციული სავანე გამხდარიყო. (კაჭარავა, 2008:319–321).

კი მაგრამ ხომ შეიძლებოდა რამეინაირად სისრულეში მოეყვანათ პროპიბიცია და გაეტარებინათ მოსახლეობის ცხოვრებაში? წუთუ არ შეიძლებოდა დაწესებულიყო თუნდაც ჯარიმა? შესაბამისად ჯარიმაც არსებობდა 1000 დოლარის ფარგლებში ხშირად აპატიმრებდნენ კიდეც მოქალაქებს, მაგრამ ნათელია, ყველას ვერ დაიჭერ, კანონი ვერ გატარდება თუ უმრავლესობის მხარდაჭერა არ ახლავს თან, ერთეულები ვერ წავლენ ასეულებისა და ათასეულების წინააღმდეგ, ვითარება არ იყო 50/50ზე, პროპიბიციას მოსახლეობის ნახევარიც არ უჭერდა მხარს. მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი, 1919 წელს ჯერ კიდევ კანონის ძალაში შესვლამდე პოლიციამ სასმელის გადაჭარბებული რაოდენობით მიღებისთვის დააპატიმრა 16 813 ადამიანი, 1921 წელს – 21 850, 1925 წელს კი მათმა რიცხვმა 51 361 ადამიანი შეადგინა. კოლუმბიის ოლქში თუ 300 მდე სალუნი იყო, 1930 წლისთვის – 700–ს გადაჭარბა. თავად პროპიბიციური მოძრაობის ლიდერებიც არ მაღავდნენ რომ მშრალმა კანონმა, რო-

მელიც თითქოსდა დემოკრატიის სამსახურში ჩააყენეს, პირიქით უარყოფი შედეგები გამოიღო, გაიზარდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, არნახულ მასშტაბებს მიაღწია დანაშაულებრივმა აქტებმა, პატიმართა რიცხვმა კი კოლოსალური რაოდენობა შეადგინა. (კაჭარავა, 1991:43–45) (კაჭარავა, 2008:307–308).

1929 წელს აშშ-ს პრეზიდენტის ჰერბერტ ჰუვერის მიერ შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გამოკვლევა და შესწავლა მიზეზებისა, რომლებმაც გაართულა კანონის მოსახლეობაში გატარება. ეს კომისია 18 თვის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა და ვფიქრობ მართლაც საფუძვლიანად შეისწავლეს საქმის ვითარება. ისინი აღნიშნავდნენ რომ პროპიბიციამ ძალზე შორს შეტობა მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევით, მათ გამოკვეთეს მშრალი კანონის უარყოფითი მხარეები, ეს იყო ერთადერთი პრეცენდენტი, როდესაც ფედერალური ხელისუფლება შეიქრა შტატების სუვერენიტეტში და მოახდინა შტატების პოლიციის პრეროგატივის მიტაცება, ამასთან შეუძლებელი იყო შტატების მხარდაჭერის გარეშე რაიმე კანონის დამკვიდრება, შტატებს უნდა გაეზარდათ მონაწილეობა პროპიბიციის კონტროლის საქმეში. (კაჭარავა, 1991:115–120) (კაჭარავა, 2008: 334–335)

ასე იყო თუ ისე, როგორც ვნახეთ, მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებას, ვფიქრობ ყველაზე დემოკრატიული პრინციპების დამცველი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა ყველაზე აბსურდული ღონისძიება, რაც თავიდანვე აშკარა იყო რომ არ გაამართლებდა და სასურველ შედეგს არ გამოიღებდა. მე მაინც ვთვლი რომ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი რამაც გაართულა პროპიბიციის მოსახლეობაში გატარება, გახლდათ გულგრილობა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლების მხრიდან, რა თქმა უნდა, არის სხვადასხვა მიზეზები რაც დასწყისშივე აღვნიშნე მაგრამ ჩემი პირადი მოსაზრებით ამ ფაქტორმა ყველაზე გადამწვეტი როლი შეასრულა და გააძნელა კანონის სისრულეში მოყვანა. მშრალი კანონის არსებობის თორმეტმა წელიწადმა წარმოაჩინა ხალხის ძალაუფლების უნიკალურობა და უსაზღვროება, სწორედ ისინი წყვეტილ და განაგებენ საკუთარი ქვეყნის ბეჭ-ილბალს. პროპიბიციის პერიოდში ოთხი პრეზიდენტი შეიცვალა, და მიუხედავად მათი ძალისხ-მევისა, კანონი აქტიურად განიცდიდა რეგრესს, რამაც აუცილებელი გახადა მისი აღმოფხვრა და გაუქმება.

დღევანდელი თანამედროვე ხედვით პროპიბიცია ამერიკის ისტორიაში კიჩია, ისეთივე კიჩი, როგორც დღესდღრეობით თამბაქოს აკრძალვა, ადამიანთა ე.წ. „ყოველდღიურობის შეზღუდვა“, რაც ცხადია შედეგს ვერ გამოიღებს და განმეორდება XX საუკუნის 20-ანი წლების ამერიკა.

შესაძლოა სახელმწიფოს მართლაც საუკეთესო სურდეს თავისი მოქალაქე-ებისათვის, მაგრამ ამ საუკეთესოს შემოტანა, ალტერნატიული გზების ძიება და დამკვიდრება ისეთი ფორმით უნდა მოხდეს, რაც არ შეურაცხყოფს და არ შეიქრება ხალხის პირად კომპეტენციაში. ყველაფერს დაფიქრება და მართებული გზების ძიება სჭირდება, როგორც ვნახეთ ყველაზე დადებითი კანონი ყველაზე უარყოფითად იქცა და მოუცილებელ ლაქად აღიბეჭდა აშშ-ს ისტორიაში. ამასთან მსურს პარალელი გავავლო საბჭოთა კავშირის მიერ მიღებულ მშრალ კანონთან, რომელიც 1985წელს იქნა შემორებული მიხეილ გორბაჩივის მიერ იგივე მიზეზების გამო რაც აშშ-ს ჰერნდა, მან აკრძალა არყის გამოხდა, მიღება-ტრანსპორტირება და ა. შ. ა. მ კანონის მიღებას ისეთივე აუიოტაჟი მოჰყვა როგორიც შეერთებულ შტატებში, არა მხოლოდ იმ მოქალაქეებისაგან, რომლებიც უშუალოდ ეტრფოდნენ სასმელს, არამედ იმათგან ვინც საერთოდ არ ეკარებოდა ალკოჰოლს, ტოტალიტარული რეჟიმის სახელმწიფოში ვერ შეძლეს ამ კანონის გატარება და ცხადია აშშ-ში მისი მარცხი აღარ იწვევს გაკვირვებას. ამბობენ რომ სწორედ ასეთი სოციალური საკითხებით გამოწვეული დესტრუქციული მუხტი-უფრო მეტად ამწვავებდა რევოლუციურ სიტუაციას. მშრალი კანონი ნიკოლოზ მეორესაც მიუღია 1917 წელს რასაც 3 წლის შემდეგ რევოლუცია მოჰყვა.

იქნებ მართლაც, ზემოთ აღნიშნულმა მიზეზებმაც შეიტანეს წვლილი საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და 1917 წლის რევოლუციური გადატრირიალების საკითხში? როგორც არ უნდა ყოფილიყო, სამივე ფაქტი ნათელ მაგალითს ნარმოადგენს იმისა, რომ ყველაზე დიდი ძალაუფლება ხალხის ძალაუფლებაა, გაერთიანებულ ძალას ვერანაირი იარაღი და ვერნაირი კონსტიტუცია ვერ მოაქცევს

თავის გავლენის სფეროებში, თუმცა როგორც მოვლენებმა დაგვანახა ამერიკამ ყველაზე მშვიდობიანად და ლიბერალურად გადაწყვიტა შექმნილი „კრიზისი“, რასაც არანაირი სახელწიფოებრივი გადატრიალება თუ სხვა სახის დაპირისპირება არ მოჰყოლია.

ლიტერატურა:

1. კაჭარავა 1991, ვ.კაჭარავა „მშრალი კანონი ამერიკაში“, თბილისი–1991.
2. კაჭარავა 2008, ვ.კაჭარავა „1920–იანი წლების ამერიკა“, თბილისი–2008.
3. Thornton1991, M.Thorthon: Cato Institute Policy Analysis No.157: “Alcohol Prohibition Was A Failure”, გვ. 1991.
4. <http://www.pbs.org/kenburns/prohibition/unintended-consequences/>
5. <http://library.brown.edu/cds/temperance/essay.html>

ნინო გაჩეჩილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ხელმძღვანელი პროფესორი: მიხეილ ბარნოვი

სამოქალაქო ომის მუსიკის–მელოდიები, რომელმაც ამარიკა გაართიანა

სამოქალაქო ომი ამერიკულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ყველაზე წინააღმდეგობრივ და მწვავე კონფლიქტადაა შერაცხული. მან უდიდესი გავლენა იქონია მთლიანად შეერთებული შტატების შემდგომ ცხოვრებაზე, შეიქრა თითქმის ყველა სფეროში, მოიცვა როგორც ქვეყნის შიდა, ამასთან საგარეო პოლიტიკურ–ეკონომიკური, დიდწილად კი კულტურულ–სოციალური არეალი და სახელმწიფო მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა. სწორედ ამ დაპირისპირებისა და მრავალი სხვა პრობლემის ფონზე, ჩატეხილი ხიდის გამრთელებისა და ურთიერთობათა გაჯანსაღების ერთ–ერთ საუკეთესო გზად მხოლოდ მუსიკა რჩებოდა. (შილბერ, 1960. პ. 7–8)

მუსიკა გახლდათ არა მხოლოდ გასართობი, თავშესაქცევი თამაშობის დანიშნულების მქონე საშუალება, არამედ მან თავიდანვე შეიძინა სამხედრო–პოლიტიკური თუ სოციალური დატვირთვა და მაპროფილებელ ძალად გადაიქცა სამოქალაქო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში, ის ერთადერთ სინათლედ რჩებოდა არსებულ წყვიადში. (10)

ძმათა შორის ხუთწლიანი ყველაზე სისხლიანი დაპირისპირების პერიოდში მუსიკა იმედი გახლდათ ორივე მხარისთვის, იგი იქმნებოდა განუზომელი მასშტაბით, მოიცავდა ურიცხვ მასებს, სცდებოდა ყოველგვარ თემატიკას. მისთვის არ არსებობდა დადგენილი საზღვრები, იქნებოდა ყოველგვარ სიტუაციაში. განუყრელი დღესასწაულის მსგავსად იგი მარად თან სდევდა წინასაბრძოლო თუ მის მომდევნო პროცესის, შაშხანისა და ზარბაზნის გამაყრუებელ ხმაურს–ბუკისა და ვიოლინოს საამო ჰანგები ახშობდა, კომპოზიცია ისმოდა და სპონტანურად იქმნებოდა ყველგან და ყველა დროს, თავად ბრძოლის ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიც კი. მუსიკა იყო კოსმოსი, რომელიც ყველას შთანთქავდა თავის განზომილებაში და აერთიანებდა მათ სულს, მათ ყოველდღიურობას, მათ მიზანს თუ მოქმედებას, იგი ყველას ნოსტალგიის ბურუსში ახვევდა. მუსიკა მებრძოლთათვის, მიუხედავად თუნდაც ყველაზე კარდინალური განსხვავებებისა, ერთადერთ სასწაულებრივ ედემად იყო ქცეული, მისი გაგონებისას ყველას მხოლოდამხოლოდ ერთი მიზანი თუ ამოძრავებდათ, მიზანი მშვიდობისა და სახლში დაბრუნებისა. (შილბერ, 1960. პ. 10–11)

სამოქალაქო ომის მუსიკამ განვითარების დიდი გზა განვლო, იგი ომის სიმბოლოდ სრულიად ბუნებრივად იქცა. ცხადია მისი თავდაპირველი ფესვების განხილვა შორს წაგვიყვანს, ამიტომ განვიხილავთ გადამწყვეტი მომენტებს განვიხილო და იმ ფაქტებს, თუ ძირითადად რა დანიშნულების მატარებელი გახლდათ ის მთელი ომის განმავლობაში.

ამერიკული მუსიკის ისტორია ერთმნიშვნელოვნად ევროპულ სამყაროსთანაა გადაჯაჭვული. ალბათ, მართებული იქნება ითქვას რომ იგი ევროპის წიაღში ჩაისახა. მასზე უდიდესი გავლენა იქონიეს ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით კი დაწინაურებული ქვეყნებიდან, მათგან დომინანტები კი გახლდათ დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ირლანდი და იტალია. საოცრად დიდია ვირჯინიელი პოლკოვნიკის ჯორჯ როჯერს კლარკის დამსახურება რომელმაც რეკომენდაცია გაუწია მაშინდელი გერმანიის უდიდეს ვირტუოზს ფრიდრიხ ვილიამ უიპრეხტს, ასევე ამერიკული საზღვაო ფლოტის ლიდერი იტალიელი ფრანც სკალას გავლენა, რომელიც გულით ატარებდა იტალიის ტრადიციებს და მან ტრადიციული ფოლკლორის ურიცხვი კომპონენტი შესძინა

ამერიკულ მუსიკას, ასევე ფართო გამოყენებაში შემოიტანა კლარნეტი, ირლანდიულმა მუსიკოსმა ჩრდილოეთის არმაში მოღვაწე პატრიც სანსფილდ გილმორმა კიდევ უფრო თავშესაქცევი გახადა სასულე საკრავით კომპოზიციის შესრულება, დაუმატა მას მილაკები მეტი იმპროვიზაციისთვის, ამასთან მაშინ ძალზე იშვიათი იყო მცირე ფლეიტების გამოყენება სასულე საკრავებთან და ამის გამო, კრიტიკოსთა ნაწილი ინოვატორად მიიჩნევს. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს კი-ალბათ იგი ყოველმხრივ მნიშვნელოვანი წარმმართველი გახლდათ ამერიკული მუსიკის, თუმცა შესაძლოა ითქვას ძალზე დიდი განსხვავებებითაც კი ამერიკულ სამოყვარულო ე.წ ბრასს ბენდებში სოციალური დიფერენცია ისეთი მკვეთრი არ გახლდათ როგორც ბრიტანეთში სადაც პროფესიონალი მუსიკოსებისგან შემდგარი ბენდების მოსმენა მხოლოდ არისტოკრატთა თავშესაქცევს წარმოადგენდა, ამასთან ბრიტანეთის საზღვრები მიგრანტებისთვის ჩაკეტილ გახლდათ, განსხვავებით ანგლო-ამერიკული თანამემამულებისა რომლებიც თითქმის ყველას იღებდნენ ამ ეტაპზე საკუთარ ქვეყანაში, ამიტომაც მაობრივმა სიჭრელემ ყველაფერთან ერთად კულტურული მრავალფეროვნებაც შექნა, და ახლად დაბადებულ მუსიკასაც დამატებითი ელფერი და უღერადობაც შესძინა. იტალიელთა, -გერმანელთა და ირლანდიელთა და სხვათა უწყვეტმა მიგრაციამ კი ყველაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია ამერიკული მუსიკის პოპულარიაზაციასა და რაც მთავარია პოლიფონიურობაში, იგი მეტად იმპროვიზაციული გახდა სხვადასხვა ლემენტების დამატებით, რაც კიდევ უფრო ემტად განასხვავებდა მას ევროპული ტრადიციისგან. ამიტომაც ამერიკაში ყველა ბენდი ე.წ პრედომინანტი იყო, -რადგან სოციალურ ჯგუფები დაყოფილი არ გახლდათ გარკვეული შეზღუდვების მიხედვით და ყველა მათგანი ერთად თანაარსებობდა კიდეც და მრავალ სიახლეს სთავაზობდა მსმენელებს. ევროპაში მუსიკას ამაღლებული ხელოვნების დანიმუშებება ჰქონდა, ამოტომ ამ საქმიანობას მხოლოდ გამოცდილი მუსიკოსები იღებდნენ საკუთარ თავზე, ერთის მხროვ ამერიკელებს სწორედ ამის გამოცულებების ამრეზით რომ აქ არავინ განირცეოდა ამის მიხედვით, აღსანიშნავია რომ სწორედ ასეთმა განწყობმა ჩაუყარა შემდგომ საფუძველი ხმაურიან ჯაზს. რაც შეეხება ევროპელებს, მათ ამინდის შესაბამისი პროგნოზირება ვერ შეძლეს. (cornelius, 2004, პ.4-5)

ჩასაბერ ინსტრუმენტზე დამკვრელთა პირველი ბენდები ბოსტონში, მასაჩუსეტში ჩამოყალიბდა 1840-ან წლებში. მათი პირველი შეკრების ადგილი გახლდათ თანამედროვე მეტოდისტთა ტაძრები და ძირითადად აქ მოხდა მათი ფორმირებაც. ბენდების ჩამოყალიბება ვიჯინიდან რამოდენიმე წელიწადში სამხრეთის სხვა შტატებშიც გავრცელდა და უამრავი ადამიანი მოიცვა, წამყვანი შტატები მასაჩუსეტთან ერთად გახდნენ ნიუ ჰემპშირი, ნიუ ჟერსი, მერილენდი, სამხრეთ და ჩრდილოეთ კაროლინა და ა.შ. მთავარი სული ამერიკის სასულე საკრავების ბენდებისა კი აღბათ ყველა დროის ისტორიკოსის მიერ აღიარებული-გახლავთ სამოქალაქო ომამდე მცირე ხნით ადრე ჩამოყალიბებული ფიშერვილის კორნეტის ბენდი, რომელთა კომპოზიციები თითქმის სრული სახით მოღწეულია ჩვენთან ჯონ ლინკენის შეგროვებულ კოლექციებში. ასევე გამორჩეული იყო ნიუ იორკის მეშვიდე პოლკის ბენდი, რომელმაც 1852 წლისთვის ხის სასულე ინსტრუმენტებიც დაუმატა თავიანთ საკრავებს. ამიტომაც ამერიკული მუსიკის ფენომენალურად ზრდადი სისწრაფის გაგება აღბათ ერთადერთი ტექნოლოგიური განვითარებით თუ აიხსნება, ძირითადად ჩასაბერი ინსტრუმენტები რომელთა ფორმა ეტაპობრივად იცვლებოდა და ემატებოდა სხვადასხვა ნაწილები. რაც შეეხება მასალას ინსტრუმენტები ძირითადად ნატურალური რქისაგან და მეტალისგან მზადდებოდა, ეს გახლდათ უმეტესად, რქა და სპილენძი. ესენია: კლარნეტი, საქსოფონი, პოპოი, ვიოლინო და სხვადასხვა დასარტყამი ინსტრუმენტები. ამ ბენდების ჩამოყალიბების იდეა ადრეულ ხანაში თომას ჯეფერსონსაც ამოძრავებდა, რომლებსაც გართობის დანიშნულება ექნებოდა ისე ზოგადად ხალხის და შემდგომ უკვე ომის ჯარისკაცების. ამრიგად ევროპული არისტოკრატიის მუსიკა ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდებოდა. სულ მალე მან ქალაქის ქუჩებიდან სამხედრო ბანაკში გადაინაცვლა კიდევ და კიდევ უფრო მეტი მასშტაბით და შემართებით. (12)

1850 წლისთვის ამერიკაში მუსიკა დიდი და მომგებიან ბიზნესად იყო ქცეული, ორივე-მოყვარულთა თუ პროფესიონალთა ორგანიზაციები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. ჯონ სალივან დუ-

აითი ბოსტონის მუსიკის ჟურნალის დამაარსებელი გზას უკვალავდა და ხელს უწყობდა მუსიკის პოპულარიზაციას სამოქალაქო ომის წინა თუ შემდგომ პერიოდშიც. თუმცა როდესაც მუსიკამ სულ მცირე ხანში ძალზე მერკანტინული სახე მიიღო მან საყვედურით მიმართა საზოგადოებას, 1852 წელს: „როდის გვექნება მუსიკა ხალხისთვის? მუსიკა რომელსაც ყველა გაიგონებს, ყოველგვარი ფულისა და ფასის გარეშე, რომელიც თავისუფალი იქნება ყველა მსმენელისთვის, როგორც ბოსტონის მოციმციმე შადრევანი ყველა თვალისთვისაა.“ მართლაც, სულ მალე მუსიკა ხორბლის მარცვალივით მოედო იქაურობას, ნაყოფიც გამოიღო და მოიცვა ყველა მათგანი. (12).

სამოქალაქო ომის დაწყების წინ 1861 წლისთვის, უკვე არსებობდა მცირე რაოდენობის სამხედრო მუსიკალური პენდები, ესენი იყვნენ: ფედერაციის საზღვაო პენდი, სხვადასხვა წვრილ-წვრილ ლეგიონთა პენდები და შტატების სამხედრო აკადემიის პენდი ვესტ პოინტში. ცხადია, კიდევ უფრო მეტი პენდებიც არსებობდა რომელიც გაფანტულნი იყვნენ სხვადასხვა შტატებში, თუმცა ისეთი კარგი პატრონაჟი არ ჰყავდათ როგორც ზემოთ ხსენებულთ ე.ნ. მოხალისეთა სარეზერვო პენდებს. მათი დამტინანსებლები დიდაღ თანხასაც იხდიდნენ და უმაღლესი ხარისხის ინსტრუმენტებითაც ამარაგებდნენ თავიანთ ჯგუფებს, მოგება კი კიდევ უფრო მეტი პენდათ. მათ გამოცდილი რეზერვისტები ჰყავდათ პენდებში, მაგ: დიდი პატრიკ გილმორი 24-ე მასაჩუსეტსის პენდიდან, ჯოზეფ გრინი როდ აილენდის პირველი ქვეითი ჯარიდან, ვაშინგტონ გრეის მარშის ცნობილი კომპოზიტორი კლადიო ს. გრაფულა და სხვები. დასაწყისში ტერმინი მუსიკოსი-წარმოადგენდა საველე (მინდორზე მყოფ) მესაყვირეს, მებუკეს და მედოლეს, რომელიც ამცნობდნენ სიგნალს და საცერემონიალო მუსიკას ასრულდებდნენ. ამასთან, უკვე შემდგომ ეს პენდები ართობდნენ არმიელებს (ჰოსპიტალში თუ ბრძოლის ველზე ყოფნის პროცესშიც კი) და სამოქალაქო თავშეყრის ადგილებზე მოქალაქეებს. პროლიტერაციამ კი, მოყვარულ ლეგიონთა, მათი გადანაწილებისა და შემცირების საკითხი დააყენა. სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ მართალია კონგრესმა ატორიზაცია მიანიჭა ლეგიონალურ პენდებს რეგულარულ არმიაში, თუმცა გადაჭარბებული რაოდენობის გამო სულ მალე 1861 წლის 31 ივლისს კონგრესის მიერ გამოცემულ იქნა 48-ე ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, პენდთა რაოდენობა შეზღუდულ იქნა 24 წევრამდე ქვეით ჯარში და 16 კაცამდე არტილერიაში. როგორც წყაროებიდან ვიგებთ თითოეულ კორპუსს 26-დან 40-მდე პენდი ჰყავდა სწორედ ზემოთ ნახსენები შემადგენლობით. მხოლოდ ფედერალურ არმიაში 40 000-დე მუსიკოსი იქნა განვეული. (3)(7)

კონცერტების შესახებ ცნობებს, რომლებიც იმართებოდა მთელი ომის მანძილზე ვიგებთ არმიელების მიერ სახლში გაგზავნილი წერილებით. ისინი დეტალურად აღწერდნენ თან ძალიან ხშირად, მათ შესახებ. მუსიკის როლის კიდევ უფრო წარმოსაჩენად ორ ფაქტს მოვიყვანთ, როდესაც იგი გადამწყვეტ ფაქტორად იქცა კერძო შემთხვევაში. (12)

როგორც ცნობილია, სამოქალაქო ომის პერიოდში 10 000 მდე კომპოზიცია შეიქმნა ეს კი მსოფლიო რეკორდული რაოდენობაა, მათგან ყველაზე პოპულარული gaxlidaT Dixie land, Lorena, Aura le, the yellow rose of Texas, bonne blue flag da home, sweet, home. ამ უკანასკნელს კი ბადალი არ ჰყავს. (ჩორნელიუს, 2004, პ. 28–35)

ფრედერიკს ბერგის ბრძოლიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ (1862 წლის 13 დეკემბერი) ფედერაციის დაახლოებით 100 000 მებრძოლი და კონფედერაციის 70 000 არმიელი მდინარე რაპაპონაჟის საპირისპირო მხარეს იყვნენ დაბანაკებულნი და ჯერ კიდევ მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდნენ. უნდა ითქვას რომ ბრძოლის პერიოდში არმიელებზე არანაკლებად ზარალდებოდნენ თავად მუსიკოსებიც. ეს კი გახლდათ ბრძოლა სადაც ორივე მხარემ ერთად 17 000 ათასზე მეტი მებრძოლი დაკარგა, ისინი უიმედობას ჰყავდა შეპყრობილი, უსაზღვრო იყო მათი შურისძიების სურვილიც. დაბაბულობის გასანეიტრალებლად, ტრადიციისამებრ შებინდებისას ბანაკში საღამოს კონცერტები იმართებოდა. ხშირად ორივე ბანაკის ბენდები ერთდროულად უკრავდნენ და ყოველი მათგანი ცდილობდა ჩაეხსმო მეტოქის ხმა და კიდევ უფრო აემაღლებინა მებრძოლთათვის პატრიოტული განწყობილება. გამაყრუებელი ხმაური იყო ამ დროს. ამ ღამეს კი ყველაფერი სხვანაირად მოხდა. საღამოს კონცერტის მინურულს, ჩრდილოელთა მუსიკა ძალზე ცოცხალი და ნაზი მოსასმენი შეიქნა, ამ კონ-

კრეტულ ღამეს ფედერაციის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბენდი სამოქალაქო ომის ნომერ პირველ კომპოზიციას ასრულებდა. სამგლოიარო ნოტები ჰაერში იჭრებოდა და ავსებდა სივრცეს თავისი მიმზიდველი და მაცდური ტექსტით, ეს იყო მომენტი როდესაც ორივე მხარე გრძნობდა მხოლოდ ერთს-ნოსტალგიას. სახლში დაბრუნების დაუძლევენ ჟინს. ეს მუსიკა და სიტყვები უანგბადივით ავსებდა მათ ფილტვებს, სხეულის ყველა უჯრედში შედიოდა და უღინთავდა მათ საამო განწყობითა თუ ოცნებებით, მუსიკა ყველაზე სხვა იარაღზე უფრო დამატყვევებელი და ძლიერი საშუალება გახლდათ ადამიანთა გულისა და გონების მოსაქცევად.(11)

იქ უსაზღვრო სიამოვნების სასახლეებში შეიძლება იხეტიალო, თუმცა დაე დამამცირებელი იყოს ამის თქმა სახლზე უკეთესი ადგილი არ არსებობს, ცა რაც მას ახურავს თავზე, ღვთის წიაღს გავს, რომლის მსგავსაც ვერასდროს ვერსად შეხვდები სახლი, სანუკვარი სახლი, არ არსებობს მსგავსი ადგილი მთელს დედამიწაზე...

და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. ამ მელოდიას კონფედერაციის ბენდიც შეუერთდა და მთელი ღამე მეტოქეთა გამაერთიანებელი კომპოზიცია იკვრებოდა ორივე მხარის მიერ, შეთანხმებულად. აღარ არსებობდა სხვა ხმა, არსებობდა მხოლოდ მუსიკა და ეს ამერიკელთა საერთო სურვილის დემონსტრირებას ემსახურებოდა.(11)

როგორც პირველი სამხრეთ კაროლინის მოყვარულთა ბენდის წევრი ფრანკ მიქსონი იხსენებს, პირად ჩანაწერებში-ევერყონე წენტ ცრაზყ. იგი წერს, რომ მსგავსი სანახაობა არასდროს უნახავს, კომპოზიციის შესრულებისას ორივე მხარე შესახილებითა და ქუდის ჰაერში ასროლით გამოხატავდა კმაყოფილებას. როგორც მიქსონი წერს რომ არა მათ შორის გამყოფი მდინარე ისინი სიხარულით გადაეხვეოდნენ ერთმანეთს და მათ ამაში ხელს აღარავინ შეუშლიდაო. ამ შემთხვევის შემდგომ ყველამ აიტაცა ეს კომპოზიცია და იგი ორივე შემადგენლობისთვის საკულტო ჰიმნად იქცა. ფედერალური არმიის გენერლებს იმის ეშინოდათ რომ ამ სიმღერის მოსმენით იმდენად დაავადებოდნენ არმიელები რომ ყველა სახლისკენ გაიფანტებოდა და ხშირად უშლიდნენ მის შესრულებას თუმცა მეზობელი ბანაკი კვლავ აგრძელებდა ამ ნოტების გაუღერებას და ყოველ საღამოს რამოდენიმე საათით ისევ აერთიანებდა მათ სულს, გულს, გონებას... მუსიკა აახლოვებდა ჭრელ ადამიანებს, მიუხედავად რასობრივი თუ ეროვნული განსხვავებებისა, ფერადკანიანებსა და თეთრებს. (სილბერ, 1960.3.3)

ომის პერიოდში კონფედერაციის ბენდები განთავსებულნი იყვნენ ხეებზე და ომი ხშირ შემთხვევაში სწორედ მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა. დამარცხების მიუხედავა კონფედერაციის ბენდი გამაყრუებელი ხმით უკრავდა თავიანთ ინსტრუმენტებზე. ვილიამსბურგის ბრძოლაში უამრავი მუსიკოსი დაიღუპა და დაიჭრა და ფედერალური კორპუსის გენერლის სამუელ პეინცელმანის მიმართვას დამარცხების უამს არმიელებისადმი: „play! play! itks ალლ ყოუკრე გოოდ ფორ, პლაყ! დამნ იტ-! პლაყ სომე მარცჰინგ ტუნე! პლაყ “Yankee Doodle” or any doodle you can think of, only play something” ყველა დაემორჩილა. ასევე შანსელორვილთან ფედერაციის ბენდებმა შეასრულეს არაჩვეულებრივი კომპოზიციები მაშინ როდესაც ორივე მხარეს ცეცხლი ქონდა გახსნილი გარშემო კი მთებით იყო ჩახერგილი სივრცე, მუსიკა სრულდებოდა ზარბაზნებისა და შაშხანების ფონზე. ეს შესრულება ბრწყინვალე ფურცელს წარმოადგენს სამხედრო ბენდების ისტორიაში.(13)(14).

რობერტ ლიმ ერხელ აღნიშნა რომ მუსიკის გარეშე არანაირი არმია არ იარსებებდა(ხალხის ომში მისაზიდად პრეზიდენტმა ლინკოლნმა დადგენილებაც გამოსცა რომ ბენდებს გაიწვევდა ჯარში). მუსიკამ როგორცავლიშნეთ, ძალიან დიდი როლი შეასრულა ორივე მხარის მებრძოლთა ცხოვრებაში. გადმონთხვევა თუ ამოფეთქვა პატრიოტული მუსიკისა ეს გახლდათ მთავარი სასიცოცხლო ძარღვი რომელზეც უნდა აგებულიყო მორალი და გამყარებულიყო ახლად ჩამოყალიბებულ შტატებს შორის ურთიერთობა. მათ უნდა გაეგოთ რომ სწორედ ერთი მიზანი ამოძრავებდათ და ერთნი იყვნენ, გასაყოფი კი არაფერი ქონდათ. სამოქალაქო ომშა გაშალაამერიკელ ხალხში დაუძლეველი მამოძრავებელი იმპულსი. განსხვავებული ყვავილებივით გაბნეული მოქალაქეები ერთ მუშტად შეკრა. მუსიკა კატალიზატორად იქცა მათვის და მან ცალსახა გზა გაუკვალა ახალი ერის დაბადებას.

ამიტომაც გაერთიანებული ძალებით უნდა დაეწყოთ უკეთესი სახელმწიფოს შენება. ეს არ გახდათ ინსტრუმენტთა უაზრო და ყურისნამღები ხმაური, იგი არხევდა არმიელთა სულს და ცვლიდა, აყალიბებდა მათ საერთო წარმოდგენას მომავალზე, ამ ყველაფერთან ერთად კი სამოქალაქო ომის კომპოზიციებმა შექმნა ომის თაობა-გენერატიონს ოფ წარტიმე მუსიც. მუსიკამ ისევე როგორც სხვა მრავალმა კომპონენტმა, გზა გაუკვალა ამერიკელებს და ისინი მომავლის ადამიანებად აქცია...(15)

ბიბლიოგრაფია:

1. Cornelius, Steven. ~*Music of the Civil war Era*. Publisher:Greenwood,2004.
2. Silber,Irwin, ~*Songs of the Civil war*. Publisher Courier Dover Publications,1960.
3. <http://www.civilwar.org/education/history/on-the-homefront/culture/music/music.html>
4. <http://militaryhistory.about.com/od/americancivilwar/p/jeb-stuart.htm>
5. <http://www2.uncp.edu/home/canada/work/allam/17841865/history/music.htm>
6. <http://parlorsongs.com/issues/2008-10/thismonth/feature.php>
7. <http://histclo.com/essay/war/cwa/cwa-music.html>
8. <http://www.americansongwriter.com/2013/07/ato-records-to-release-commemorative-civil-war-tribute-album/>
9. <http://www.zounds.com/edu—civilwarmusic>
10. <http://www.worldmilitarybands.com/civil-war-bands/>
11. <http://www.historynet.com/home—sweet—home—soldiers—favorite—song—may—96—americas—civil—war—feature.htm>
12. <http://memory.loc.gov/ammem/cwmhtml/cwmpres03.html>
13. <http://civilwarpoetry.org/music/index.html>
14. Thompson,Jerry, *Civil War to the Bloody End: The Life and Times of Major General Samuel P. Heintzelman*, Texas A&M UniversityPress,2006.
15. <http://www.civilwar.org/education/history/on—the-homefront/culture/music/music.html>

მაია კვირკველია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: ლელა ხაჩიძე

აბრაამის სახე ეართულ ჰაგიოგრაფიაში

მონოთეისტური რწმენა, ძველი აღთქმის თანახმად, სათავეს იმ გამოცხადებიდან იღებს, რო-
მელიც მამამთავარმა აბრაამმა მიიღო მესოპოტამიის ქალაქ ხარანში ცხოვრების დროს. აბრაამის
სახელს უკავშირდება სამი მსოფლიო რელიგია – იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. ბიბლიაში აბ-
რაამს „ყველა მორწმუნის მამა“ ეწოდება (რომაელები 4:19). აბრაამი ის ადამიანია, რომელიც ბიბლი-
აში ღვთის მეგობრად არის მოხსენიებული (ესაია 41:8, იაკობი 2:23).

ქართულ ჰაგიოგრაფიაში აბრაამის სახე სხვადასხვა კონტექსტშია ნახსენები. პირველად აბ-
რაამი მოხსენიებულია „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ (VI საუკუნის 70-იანი წლები). ავტო-
რი არ აიგივებს პერსონაჟს აბრაამთან, მაგრამ, ფაქტია, რომ აბრაამი ევსტათი მცხეთელისა და „წა-
მების“ ავტორისათვის მთავარი პარადიგმაა.

აბრაამია მოხსენიება იოანე საბანისძის „აბოს წამებაშიც“ (786–790 წწ). ამ ნაწარმოებში აბრა-
ამის ხსენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აბრაამი უშუალოდ აბოსთანაა შედარებული და
ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ისინი უფლის მოწოდების შედეგად ტოვებენ თავიანთ საცხოვრე-
ბელს.

გიორგი მერჩიულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აბრაამი ოთხჯერ არის ნახსენები: გრი-
გოლ ხანძთელი გაურბის ხორციელ დიდებას და აბრაამის მსგავსად ტოვებს სამკვიდროს; გრიგო-
ლის მიერ გაპრიელ დაფანჩიულის ოჯახის წევრების დალოცვისას; აშოტ კურაპალატთან საუბრისას
მისი ნარმომავლობის აღსანიშნავად; საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შორის ურთიერთობების
ხაზგასასმელად.

აბრაამის სახის გააზრება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ აგიოგრაფიულ ნაწარმო-
ებთა შესწავლისათვის.

პირველი ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომელშიც აბრაამია მოხსენიებული არის „ევსტათი მცხე-
თელის მარტვილობა“, რელიგიის შეცვლის გამო შეპყრობილი ევსტათი ვეჟან ბუზმირის წინაშე ყვე-
ბა ქრისტიანობაზე მოქცევის ისტორიას: „მრქუა მე სამოელ არქედიაკონმან : კაცი ერთი იყო უბინოვ
და ღმრთისმოყვარე სოფლისა სპარსთასა და ქალაქსა ბაბილონელთასა, და სახელი ერქვა მას აბრა-
ამ. და ეჩვენა მას ღმერთი ჩვენებასა ლამისასა და ჰერქვა აბრაპამს : – გამოვედ შენ მაგიერ ქვეყანით
და წარგიყვანი შენ სხვად ქვეყანად და განვარავლო შენ და აგალორძინო შენ დიდად ფრიად და გყო
შენ მამად ნათესავთა მრავალთა და ერთა ურიცხვთა. ხოლო აბრაპამს ჰრწმენა სიტყვად იგი ღრმთი-
სად.....და აბრაპამ ყო ეგრეთ ვითარცა უბრძანა მას ღმერთმან“. ტექსტიდან ირკვევა რომ აბრაამი ევ-
სტათისთვის მისაბაძი მაგალითია. რადგან ისიც აბრაპამის მსგავსად ტოვებს თავის ძველ ცხოვრე-
ბას და უფლის მოწოდებით ახალ ღმერთს იმეცნებს.

მეორე ძეგლი, რომელშიც აბრაამია მოხსენიებული არის „აბოს წამება“ პირველი თავის დასას-
რულს ნათქვამია: „რამეთუ არა ხოლო ბერძენთა სარწმუნოებად ესე მოიპოვეს ,არამედ ჩვენცა,შო-
რიელთა მათ მკვიდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყვის:„ მოვიდოდიან აღმოსავალით და დასა-
ვალით და ინახიდგმიდენ წიაღთა აბრაპამისთა , ისაკისთა და იაკობისთა“ აბრაამის წიაღი უკავშირ-
დება უფლის აღთქმას აბრაპამის მიმართ: „ეს მე ვარ და აპა,ჩემი აღთქმაც უამრავ ხალთა მამა შეიქ-
მნები“ (დაბადება 17:4) „მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას,სამარადი-
სო აღთქმას,რომ შენი და შენი შთამომავლობის ღმერთი ვიქწები“ ამდენად, აბრაამის წიაღში ყოფნა
ნიშნავს უფალთან სიახლოვეს და გამორჩეულობას,პატივს, რომლის დამსახურება რწმენით არის

შესაძლებელი . იოანე საბანისძე აბოზე ამბობს, რომ : „ სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთა-ითა, ძეთა აბრაჟამისთა ნაშპობთა აგარისთა „.... „ამიერ ჩვენდა სოფლად გამოსვლაში იგი არა თუ თა-ვით თვისით განიზრახა, არამედ ვითარცა – იგი უფალმან ჰრქუა ნეტარსა მას აბრაჟამს მასვე ქვეყა-ნასა შინა ქალდეველთასა“ ავტორი მოცემულ კონტექსტში ხაზს უსვამს აბოს განსწავლულობას და კეთილგონიერებას, აბრაამს ადარებს აბოს და მისი მოქცევა ქრისტიანობაზე უფლის ისეთივე მოწო-დების შედეგად მიაჩნია როგორიც ძველი აღქმის პირველ წიგნშია მოცემული : „უთხრა უფალამა აბ-რაამს: წადი შენი ქვეყნიდან ,შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ „ (დაბადება 12:1) „ნავიდა აბრაამი,როგორც უბრძანა მას უფალმა“ (დაბადება 12:4) აბოს წამების მეოთხე თავში, რომელიც წმინდანის ქებას წარმოადგენს მოცემულია: „შენ ქვეყანამან მსხვერპლად წმიდად და სათნოდ მიგიპყრა ღმერთსა,მას ზედა დაწვითა პატიოსნისა გვამისა შენი-საქთა, რამეთუ გექმნა შენ ,ვითაცა საკურთხეველი იგი აბელისი, ენუქისი, აბრაჟამისი და ელიასი, რომელი – იგი მრგვლიად დასაწველთა მათ ტარიგთა შესწირვიდეს ღმერთისა.“ დასახელებული ბიბლიური პირები გამოიჩინებინ იმით რომ უფალმა მიიღო მათი ძღვენი: „აბელმაც მიართვა თავისი ნათავარი და რჩეული პირუტყვი .მიჰედა უფალმა აბელს და მის ძღვენს“ (დაბადება 4:15) ძველი აღტქმის არც ერთ წიგნი არ მოგვითხრობს ენუქის მიერ უფლისადმი მსხვერპლშენირვაზე ,მაგრამ პავლე მოციქულის ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ ნათქვამია: „რწმენით გარდაიცვალა ენოქი ისე რომ არ უხილავს სიკვდილი; სიკვდილამდე მიიღო მოწმობა რომ ესათნოვა ღმერთს“ (ებრაელთა მი-მართ 11:5). აბრაამის მსხვერპლი კი საკუთარი შვილია, რომელიც უფლის მოწოდების შედეგად უნდა შეეწირა მისთვის: „მიადგნენ იმ ადგილს ღმერთმა რომ უთხრა და აღმართა იქ აბრაამმა სამსხვერ-პლო, დააწყო შეშა, შეკრა ისაკი ,თავისი შვილი და დასვა იგი სამსხვერპლოზე, შეშის ზემოთ“ (დაბა-დება 22:9)

რაც შეეხება ელიას, „ მესამე მეფეთაში“ აღწერილია : „მსხვერპლშენირვის დრომ რომ მოაწია, ახლოს მოდგა ელია წინასწარმეტყველი და თქვა: ...ხმა გამეცი ,უფალო,ხმა გამეცი, რათა გაიგოს ამ ხალმა ,რომ შენ ღმერთი ხარ , უფალო , და რომ შეგიძლია უკუმოაქციო მათი გულები იკ (მესამე მე-ფეთა 18:36-37) „ჩამოვარდა უფლის ცეცხლი და შთანთქა აღსავლენი მსხვერპლი, შეშა, ქვები და მტვერი; ამოლოკა წყალიც, არხში რომ ესხა“ (მესამე მეფეთა 18:38) ამდენად აბოს მსხვერპლიც აბე-ლის, ენუქის, აბრაამისა და ელიას მსხვერპლის მსგავსად მიიღო უფალმა, მისი რწმენისა და სიყვა-რულის გამო.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მამამთავარი აბრაამი ოთხჯერ არის ნახსენები: ნეტარი გრიგოლი ხედავს საკუთარ თავს ხორციელ დიდებაში და აბრაამის მსგავსად ტო-ვებს საკუთარ ხალხს: „ხოლო ნეტარმან გრიგოლ ვითარცა იხილა თავი თვისი ხორციელად დიდებასა შინა, ფრიად წუხდა გული მისი და განიძრახა ფარულად სილტოლვაზ თვისით ქვეყანით საღმრთოე-თა წოდებითა,რომელიცა უძლოდა მას მამამთავრისა აბრაჟამის სახედ, და ვითარცა ისრაელნი უდაბნოდ“, „უთხრა უფალამა აბრაამს: წადი შენი ქვენიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ“ (დაბადება 12:1) , „ადექი და კიდით კიდამდე მოიარე ქვეყანა რადგანაც შენთვის მომიცია იგი“ (დაბ 12:17) თუმცა მთავარი განმასხვავებელი ამ შემთხვევაში აბ-რაამსა და გრიგოლს შორის ისაა, რომ აბრაამი ურწმუნო ხალხს განაშორა უფალმა, გრიგოლი კი „კე-თილმსახურისა ქვეყნისაგან „ნავიდა, რათა უდაბნოში გამობრწყინდეს დაუვსებელი სანთლის“ მსგავსად.

გრიგოლი ლოცავს გაბრიელ დაფანჩულის ოჯახის წევრებს: „უფალო! ...ვითარცა აკურთხე სახლი წოვე მართლისათ და აბრაჟამ მამამთავრისაძ და ყოველთა ნებისმყოფელთა შენთავ ,ღმერთო დიდებისაო, იგივე კურთხევაზ საუკუნოი დაამკვიდრე ამათ შორის და უხვად მიანიჭე კეთილი ქვე-ყანისაი დღერგძელებასა შინა“...

ასევე მნიშვნელოვანია აშოტ კუტაპალატის მიმართ ნათქვამი სიტყვები: „გაკურთხენინ ყო-ველი პირმან ქრისტესამან და ყოველთა წმინდათამან, რამეთუ ჭეშმარიტად სამართალ არს სიტყ-ვაზ ესე: „სადა არს პატივი მთავრობისად, მუნ არს მსგავსებაზ ღმრთებისად... და ვითარცა-აბრაჟა-

მისთვის უფალი იტყვის, ვითარმედ – „აბრაჰამსა სწადოდა ხილვა ნათლისა ჩემისა, იხილა და განისარა“, მსგავსად აბრაჰამისა მეცა, გლახაკსა, მწადოდა ხილვა და თაყვანისცემა თქვენი და ან სიხარულითა საკსე ვარ და ძღვნად შევსწირავ ლოცვასა“. აქ იგულისხმება ის დიდი სიხარული, რომელიც განიცადა აბრაამმა უფლის გამოცხადების შემდეგ, გრიგოლიც თავს მას ადარებს და ამით აშოტის ოჯახიც მაღალ რანგში აჰყავს.

აბრაამისა და დავით წინასწარმეტყველის სახეები იხსენიება საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შორის ურთიერთობების ხაზგასასმელად. გრიგოლი ეუბნება აშოტის შვილებს: „გულისხმა ყავთ, ვითარცა – იგი აბრაჰამ მამამთავარმან და დავით წინასწარმეტყველმან სწორედ მეპომეთა მისცა ნატყვენავთა მათგან ნაწილი, ეგრეთვე კეთილთაგან თქვენთა გლახაკნი და ეკლესიანი ნაწილეულ არიედ მარადის, ვითარცა ლევიტელთათვის უფალი ბრძანებს – ნაწილი მათი მე ვარო“. „ყოველი მეათედი მიწისა, მიწის ნათასისა, ხის ნაყოფისა უფლისაა, უფლის წმიდაა. („ლევიანნი 27:30) ასევე დავით წინასწარმეტყველმაც დაადგინა წესი, რომ ბრძოლაში მოპოვებული სიმდიდრე თანაბრად უნდა გაყოფილიყო: „ვინ მოგცემთ დასტურს მაგ საქმეში? რადგან რა წილიც ნაბრძოლებ კაცს უდევს, იგივე წილი უნდა ხვდეს ბანაკში დარჩენილს, ყველას უნდა ხვდეს წილი. ასე იყო იმ დღიდან და მერეც. ეს არის მისგან დადგენილი წესად და რჯულად დღეასამომდე“ (პირველი მეფეთა 30:24–25). მოცემული სიტყვებით გრიგოლი ხაზს უსვამს ბაგრატიონთა მეფურ შთამომავლობას და მოუნოდებს მათ, რომ წინაპრების მსგავსი კეთილგონიერებითა და სიბრძნით იმოქმედონ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა მოცემულ მაგალითში თავს იჩენს ავტორის განსაკუთრებული დამოკიდებულება მამათავარ აბრაამის მიმართ. გააზრებულია ის განსაკუთრებული პატივი, რომელიც უფალმა მოიღო მასზე: „ერწმუნა უფალს და მან სიწრფელეში ჩაუთვალა ეს“ (დაბადება 15:6). ამდენად, აბრაამის სახის გააზრება მეტად მნიშვნელოვანია გარკვეული კონტექსტების სწორად გასაგებად.

ლიტერატურა:

1. „ქართული მწერლობა“, ტომი I, „ნაკადული“, თბილისი, 1987
2. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 1989

ქეთევან ჭილაძა
ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: ნესტან სულავა

რაზე ლაპარაკობენ პრიპოგრამები, ზარული ნიშნების პალდაკვალ

ფარული ნიშნები, საიდუმლო დამწერლობა, დაფარული ამბები ამის გაგონებისთანავე ჩნდება დაუცხრომელი ინტერესი თუ რა იმალება ამ დაფარულსა და დაშიფრულს მიღმა. სწორედ ამ დაფარულ ინფორმაციას შეისწავლის მეცნიერების ერთ-ერთი დარგი-კრიპტოგრაფია.

სანამ უშუალოდ ქართული საიდუმლო დამწერლობის შესახებ დავიწყებდე საუბარს, მანამდე ორიოდე სიტყვით თავად ამ მეცნიერების შესახებ მოგახსენებთ. კრიპტოგრაფია საუკუნეების წინ გამოიყენებოდა რაღაც საიდუმლოს დასაცავად, რომელიც გარკვეული სიმბოლოების სახით იყო გადმოცემული.

კრიპტოგრამული შიფრის კლასიკური ტიპებია **გადანაცვლებადი შიფრი** (ტექსტში ხდება სიმბოლოების გარკვეული გადაადგილება) და **ჩანაცვლებადი შიფრი** (ტექსტში ხდება ერთი სიმბოლოს ან სიმბოლოების ჯგუფის სხვებით შეცვლა). ჩანაცვლებადი შიფრის პირველი ცნობილი მაგალითია **ოულიუს კეისარის შიფრი**, რომელშიც ლათინური ანბანის ყოველი ასო იცვლებოდა მისგან მარჯვნივ 3 პოზიციით დაცილებული სიმბოლოთი.

გვიანანტიკურ ხანასა და ადრექრისტიანულ საუკუნეებში ანბანი საიდუმლო ჰერმეტულ მოძღვრებებთან იყო დაკავშირებული. ანბანი განიხილებოდა როგორც „გამოუთქმელ საიდუმლოთა საწყალი“ (ს. ავერინცევი). იგი კრიპტოგრაფიული და კაბალისტიკური ახსნა-განმარტების საფუძველსა და საშუალებასაც წარმოადგენდა და ამიტომ მაგიისა და მისტიკის სფეროსაც განეკუთვნებოდა (იხ. ფრანც დორნზაიფის წიგნი: „მაგია და მისტიკა ანბანში“, ლაიცციგი, 1925). წინა თაობის მეცნიერთა მიერ მთელი სილრმით არ იყო გაცნობიერებული ანბანის, როგორც სტრუქტურის, როგორც რიცხვული სისტემის, და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტების, სპეციფიკა. რის გამოც გათვალისწინებული არ იყო, თუნდაც ვარაუდის სახით, იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ცნობა პირდაპირი ინფორმაციის გარდა შეიძლება შეიცავდეს არაპირდაპირ, დაშიფრულ ინფორმაციას, რომლის მოძიება ანბანის რიცხვული სისტემის საფუძველზევე იქნებოდა შესაძლებელი. ამ ცნობის ანალიზისას ყველაფერი ეს ყურადღების სფეროდან იყო გამორჩენილი, ან უკეთეს შემთხვევაში, კრიტიკულად განწყობილი გონების ირონიულ დამოკიდებულებას იმსახურებდა.

ძველმა ქართულმა საიდუმლო დამწერლობამ, ანუ ქართულმა კრიპტოგრაფიამ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიიქცია მკვლევართა ყურადღება. დღემდე გამოქვეყნებულია ქართული კრიპტოგრაფიის მხოლოდ ცალკეული ნიმუშები.

ძვ. ქართული საიდუმლო დამწერლობა საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების საიდუმლო დამწერლობათა მსგავსად თავიდანვე გარკვეულ სისტემად ჩამოყალიბებულა. კრიპტოგრამული მინანერების ამოხსნამ საგულისხმო ცნობები მოგვაწოდა ქართულ ხელნაწერებზე. გამოავლინა დღემდე უცნობი მრავალი ხელნაწერის გადამწერი და მფლობელი, გადაწერის ადგილი და თარიღი.

საიდუმლო მინანერები დასტურდება აგრეთვე ისტორიულ დოკუმენტებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში. ეს იმის დამადასტურებელია, რომ ძვ. საქართველოში საიდუმლო დამწერლობა ძალიან გავრცელებული ყოფილა.

გადამწერები, ან ხელნაწერთა მფლობელები რომელიმე სისტემის მათვის საჭირო საიდუმლო ანბანს ზოგჯერ ჩანერდნენხოლმე ხელნაწერებში. ასე შემოგვინახა ხელნაწერთა ერთმა წყებამ კრიპტოგრამული ანბანი.

უძველესი ქართული კრიპტოგრამები მეათე საუკუნით თარიღდება, თუმცა მათი წარმოშობა უფრო ადრეა სავარაუდებელი, ამას ისისც ადასტურებს, რომ მე-10 საუკუნის საქართველოში უკვე რამდენიმე სისტემაა გავრცელებული. ეს სისტემებია:

- ანჩინური;
- სათვალავადი;
- სარკისებრი;
- სხვადასხვადანერილობისა;
- აკროსტიქული; და სხვ.

თავდაპირველი და ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება ძვ. ქართული საიდუმლო დამწერლობისა, სხვა ქვეყნების კრიპტოგრაფიის მსგასად, პოლიტიკური უნდა ყოფილიყო, მაგრამ პოლიტიკური შინაარსის არც ერთ უძველეს კრიპტოგრამას ჩვენამდე არ მოულწევია.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი კრიპტოგრამები ძირითადად ხელნაწერთა გადამწერებს ეკუთვნით. ხშირად იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც გადამწერები თავმდაბლობის გამო ცდილობდნენ საკუთარი თავის იგნორირებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ანბანში ასოები გარკვეული რიგით, გარკვეული თანმიმდევრობით არის დალაგებული, და იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თითოეული ასონიშანი რიცხვსაც ასახიერებს, ანბანი ამასთანავე, რიცხვულ სისტემას წარმოადგენს. ქართული ანბანიც ასეთსავე რიცხვულ სისტემას წარმოადგენს, კერძოდ ძველი ქართული ანბანის პირველი ცხრა ასონიშანი ასახიერებს ერთეულებს 1-დან 9-მდე, მეორე ცხრა ასონიშანი ათეულებს 10-დან 90-მდე, მესამე ცხრა ასონიშანი ასეულებს 100-დან 900-მდე და მეოთხე ცხრა ასონიშანი ათასეულებს 1000-დან 9000-მდე. ასეთი ცხრილი ჯერ კიდევ საბას აქვს გამოქვეყნებული თავის „სიტყვის კონაში“ სათაურით „ქართულ ანბანთა რიცხვთა სწავლანი, თუ რომელნი, რაოდენთა რიცხვთა იტყვიან“.

ანბანებისათვის ნიშანდობლივმა სწორედ ამ ფაქტმა წარმოშვა კრიპტოგრაფიის „ხელოვნება“, ანუ იდუმალდამწერლობა, ასე რომ ამ უკანასკნელს ანბანის სპეციფიკა განაპირობებს. ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“ ცალკე პარაგრაფს უთმობს კრიპტოგრაფიას და გარდატჰაუზენის წიგნზე დაყრდნობით განმარტავს მას.

არსებობს კრიპტოგრაფიის ორი სახეობა: პირველი – სიტყვის ან სახელის ნაცვლად მათი შემადგენელი ასოების რიცხვით მნიშვნელობას ასაჩინოებს, მეორე – სიტყვას ან სახელს ასოთა რიცხვული ჯამით გამოხატავს (იზოფსეფია). პირველი შემთხვევისათვის ივ. ჯავახიშვილს მოაქვს X ს. ხელნაწერში შემონახული მიქაელ მოდრეკილის სახელის კრიპტოგრამა, რომელიც ანბანური სათვალავის რიცხვებით არის გადმოცემული „მიქაელ მოდრეკილს რამდენიმე საგალობლისათვის... წაუნერია: ამასვე დღესა ნათლითა შემოსილისა უფლისა ნათლისძებასა დასდებელი აკროსტიხონი აღბეჭდული, თქუმული ორმეოცისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისანი... ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები სიტყვებით დაუწერია მიქაელ მოდრეკილს და ასე შეუდგენია კრიპტოგრამა თავისი სახელისათვის“ 40-ს ქართულ ანბანში მ ასაჩინოებს, 10-ს ი, 600-ს ქ, 1-ს ა, 5-ს ე, 30-ს ლ. ამრიგად, ასორიცხვებმა მოგვცა სახელი მიქაელ.

რაც შეეხება იზოფსეფიას, იგი სახელს „მიქაელ“ მისი შემადგენელი ასოების რიცხვთა ჯამით გამოხატავს: $40+10+600+1+5+30=686$. მაშასადამე, სახელის „მიქაელ“ იზოფსეფია უდრის 686-ს. სიტყვა-სახელების ამგვარი განმარტება დიდად ყოფილა გავრცელებული ძველ დროსა და შუა საუკუნეებში, იმდენად, რომ მას მთელი ტრაქტატები ეძღვნებოდა.

ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ხანაში ფიქრობდნენ, რომ თუ ტექსტში თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის აღნერილი რაიმე ამბავი, საეჭვოა, მკითხველი ჩაუკირდეს იმას, რომ აქ პირდაპირი, „ადვილად მისაწვდომი“ აზრის გარდა სხვა აზრიც არის საგულვებელი. ამიტომ ტექსტში გან-

ზრას შეპქონდათ ხოლმე „დაბრკოლების ქვები“ – ერთგვარი უაზრობანი, რომ მათზე ფეხნამოკრულ მკითხველს გაეაზრებინა ტექსტის ფარული მნიშვნელობა. ამიტომ სიმბოლიკური ენის ცოდნა საჭიროდ ითვლებოდა ზემხედველისათვის. ბრძნენთა თვისებაა, ამბობდა გრამატიკოსი დიდიმი, გონივრულად მოიხმონ სიმბოლო და ჩაწვდნენ საიდუმლოს, რომელიც მის წიაღ არის დაფარული. სხვა მხრივ, სიმბოლიკურმა ფორმამ ისე „მარჯვედ უნდა დაფაროს საიდუმლო, რომ ამ დაფარვით საჩინოყოს და იდუმალყოფით გამოავლინოს იგი“. იგაუურმა ფორმამ უნდა შეუნარჩუნოს მკვლევარს შემეცნებისადმი სწრაფვა და გონების სიფხიზლე, ვინაიდან ჭეშმარიტება მხოლოდ ენიგმების, სიმბოლიკური ალეგორიების, მეტაფორებისა და სხვა მსგავსი სახეების (ტროპოსი) მეშვეობით გადმოგვეცემა ხოლმე (ვ. ვ. ბიჩკოვი).

თავდაპირველად საიდუმლო დამწერლობას მხოლოდ გადამწერები ხმარობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ის ისეთი პოპულარული გამხდარა, რომ გადამწერთა გარდა ის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს შეუსწავლიათ და ხელნაწერებზე მრავალი კრიპტოგრამული წარწერა მოუთავსებიათ.

კრიპტოგრამების შესწავლა დაიწყო მე-19 საუკუნეში, მისი პირველი მკვლევარი იყო მარი ბროსე, ასევე საგულისხმო ნაშრომები ამ სფეროში ეკუთვნით მ. ჯანაშვილსა და ა. შანიძეს მათ დაიწყეს კრიპტოგრამათა სისტემური კვლევა.

და აი სხვა მრავალ ხელნაწერთან ერთად აი რა აღმოაჩინეს:

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ნომერ პირველ ხელნაწერში, კრიპტოგრაფიულ გასაღებებზე მიწერილ სხვა ავტორებთან ერთად მოხსენიებულია სულხანი. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ის სულხან-საბა უნდა იყოს.

სწორია თუ არა ეს ცნობა?

საფიქრებელია, რომ სულხან საბა მართლაც იყო ამ ანბანის შემდგენელი.

„ქართული ლექსიკონის“ უძველეს ავტოგრაფიულ ნუსხაში განსამარტი სიტყვების ერთი წყება საბას საიდუმლო ანბანით დაუწერია, ხოლო შემდგომ ამოუფხეკია რამდენიმე სიტყვა და ზემოდან წაუწერია იგივე სიტყვები ამჯერად საიდუმლო ანბანით. ამ ტიპის დანარჩენ განსამარტ სიტყვებს საბა ხელნაწერში შემდგომ ჩანს იმავე საიდუმლო ანბანით.

რა ხასიათისაა ეს სიტყვები, რომელსაც საბა გამოყოფს ცალკე? ან რისთვის დასჭირდა მას ამის გაკეთება?

კრიპტოგრამების გაშიფვრის შედეგად გაირკვა, რომ საბას საიდუმლოდ ჩაუწერია ე. წ. „უბადო სიტყვები“ ამ სიტყვების ლექსიკონში შეტანის აუცილებლობას აბა რა თქმა უნდა გრძნობდა, რათა ქართული ენის ლექსიკური მარაგი მთელი სისრულითა და სიზუსტით გადმოეცა, ამის გამო მიუთითებდა ის თავის ანდერძში;

„ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი უბადონი და ცუდნი. არათუ კიცხევისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრული-სათვის აღვსწერე“.

ლიტერატურა:

1. ათანეიშვილი 1982. ლ. ათანეიშვილი „ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა“ თბილისი. 1982
2. დანელია 1997 კ. დანელია, სარჯველაძე ზ. სარჯველაძე „ქართული პალეოგრაფია“ 1997 წ.
3. ჯავახიშვილი 1989. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია“, თბ. 1989
4. კეკელიძე 1982 კ. კეკელიძე „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტომი II, 1982 წ.
5. ჩხერიმელი. თ. ჩხერიმელი „ქართული ანბანი და მეფეთა ცხოვრება“ (ლიტერატურული ძიებანი).

ნათელა საზანდრიშვილი, ნათია ტერტერაშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ გოგოლაძე

თვითმავლელობა – გამოსავალი, თუ სასჯელი მხატვრულ ტექსტებში

„სიყვარული, ბუნებასთან კავშირი და სიკვდილი – აი დიდი საგნები, რომელსაც ეხება მსოფლიო ლირიკა და ქართული ლირიკული ლიტერატურაც აღსავსეა მაღალ–ნიჭიერი და დიდებული ლექსებით, რომელთაც აქვს შინაარსად ბუნებისა და სიყვარულის გამოხატვა. მაგრამ სიკვდილ–სიცოცხლე კი ნაკლებად იპყრობდა ქართველ მგოსანთა ყურადღებას. ეს არის მისი ბრალი, რომ ქართველები მეტად ნაკლები ფილოსოფოსები ვართ, ძალიან გვაკლია სიღრმე ბუნებისა“ (6:237) – ნერდა კიტა აბაშიძე თავის „ეტიუდებში“. ამ სტრიქონების ნაკითხვისას, მკითხველი უთუოდ დაფიქრდება ამაზე და გონების თვალით გადახედავს ქართულ მწერლობას და მას, ალბათ, სიკვდილის ხსენებაზე ალექსანდრე ყაზბეგის შედევრები მოაგონდება. ის წერს სიკვდილზე–გარდაცვალებაზე, ანუ ბუნებრივ სიკვდილზე, მკვლელობაზე და თვითმკვლელობაზე.

ალექსანდრე ყაზბეგს თვითმკვლელობის თემა განვითარებული აქვს „ხევისბერ გოჩასა“ და „ე-ლეონორაში“. მოთხოვთ „ხევისბერი გოჩა“ პირველად გამოქვეყნდა 1884 წელს გაზეთ „დროებაში“ (1171–238). შემოქმედებითი ექსტაზისა და თვალთახედვის ნაყოფს ნარმოადგენს „ხევისბერი გოჩა“, ნაწარმოები, რომელიც აღ. ყაზბეგის შემოქმედების უმაღლეს მწვერვალად გვევლინება როგორც შინაარსის სიღრმით, ისე–მხატვრული სრულყოფითაც. ამ ნაწარმოების მთავრი გმირები არიან გოჩა, ონისე და ძიძია. გუგუა ამ ნაწარმოებში პირველხარისხოვან როლს არ ასრულებს. იგი ჩვეულებრივი მოხევეა თავისი ვაჟკაცობითა და პირდაპირობით. გუგუა უდიდეს პატივს სცემს თემის მიერ მიღებულ წესსა და კანონს და არავის მისცემს უფლებას, ფეხქვეშ გათელოს წინაპართა ზნე–ჩვეულებანი. თავად ავტორისათვის ეს პერსონაჟი ამ თვისების გამო არის ახლობელი, რაგდან ალექსანდე ყაზბეგი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა თიელი ხალხის ზნეს, ხასიათსა და ჩვეულებებს. ყაზბეგი პედანტური სიზუსტით სწავლობდა საუკუნეებით განმტკიცებულ ხალხურ ზნეჩვეულებებს. ის თემიდან თემში დადიოდა და ინერდა ყველა თქმულებას, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა ხალხის სულთან.

გუგუა დროის პირმშოა, ასეთ ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით უნდა იყოს შექმნილი „ხევისბერი გოჩაც“. გუგუას არ შეუძლია გულგრილად უყუროს ცოლის ღალატს. დიმიტრი ბენაშვილის აზრით, გუგუა გრძნობს, თუ როგორ ირლვევა მისი ოჯახის მთლიანობა, მაგრამ ვერ პოულობს ამ რღვევის ნამდვილ მიზეზებს; ვერ იგბს, რომ მოზეზი ამ რღვევისა მისი ცოლი ძიძია კია არ არის, არამედ თემის ძველი მორალური წესები და კანონებია. საქორწილო ცერემონიალი ისე ხდებოდა, რომ „ქალს ერთხელაც არ ეკითხებოდნენ: უყვარდა, თუ არა, ის ადამიანი, რომელზედაც ჯვრისწერას უპირებდნენ. სიყვარული ასეთ მდგომარეობაში მოვალეობას ემორჩილება და არა ბუნებრივ განცდას“ (5:48). ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას. ძიძიასგან თანხმობა ჰქონდა გუგუას და მხოლოდ შემდეგ გადაწყდა ჯვრისწერა, ასე რომ ძიძია წეს–ჩვეულებათა „მსხვერპლი“ არ არის: „ძიძია თხოვდებოდა თავისი სურვილით“ (1:260).

გუგუას, რომელსაც თემი უყვარს და პატივს სცემს თემის მორალსა და წესს, ვერ წარმოუდგენია უსიყვარულობა ცოლისა. ...და მაინც რას გრძნობს გუგუა მაშინ, როცა ცოლისაგან სიცივეს გრძნობს?! ის წეს–ჩვეულებათა გამო ალბათ ერთადერი არ იყო, რომელიც ცოლს არ უყვარდა, მაგრამ მთავარი პრობლემა ეს მაინც არ იყო – მის ცოლს მათი ხელისმომკიდე, ონისე, უყვარდა. ეს კი დასაგმობი იყო წეს–ჩვეულებისა და ზნეობის კუთხითაც. სწორედ ამან განაპირობა გუგუას აფექ-

ტური მდგომარეობა. მან ვერ გაუძლო იმ ტკივილს, რასაც გრძნობ ქმარი, რომელსაც ურალატა ცოლმა-ცოლმა, რომელიც მისთვის ძვირფასი იყო ბოლომდე, მიუხედავად ყველაფრისა: „მოხევე ებ-რძოდა თავის გრძნობას და არ უნდოდა ამ ქალის სახელი მოყივნებინა, რომელიც მაინც კიდევ ქვეყანას ერჩივნა“ (5:51). ამ სულიერმა ტრაგიზმმა გადააწყვეტინა გუგუას თვითმკვლელობა. ბედმა ესეც არ აკმარა და თემმა, რომელიც მას ხატად გაეხადა, მოღალატეობა დასწამა. მან ვერ აიტანა ეს ბრალდება. მართალია, ის გაამართლეს საბოლოოდ, მაგრამ „ვაჟუაცი ერთხელ გადაფურთხებულს ვეღარ ალოკას“ და გუგუამ „მაგგვარის ცილის შენამების შემდეგ“ აღარ იცოცხლა თავი.

მისი უკანასკნელი სიტყვების შემდეგ შესაძლოა მკითხველმა იფიქროს, რომ თვითმკვლელობის გადაწყვეტილებამდე გუგუა მიიყვანა უსამართლო ბრალდებამ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი იყო, რამაც უბიძგა სულის წაწყმედისაკენ. ჯერ არც ბრძოლა იყო დამთავრებული და არც თემის განაჩენი გამოტანილი, როცა გუგუა ფიქრობდა თავისმოკვლაზე. მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ძირია მას ვერასდროს შეიყვარებდა, ის ასე დაემუქრა მას: „ლვთის მადლმა. შენც მოგკლავ, იმასაცა, ჩემს თავსაც ზედ დაგაკლავთ და შენით კი არავის ვახარებ“ „ლვთის მადლი“ ერია თუ არა მის ძრახვებში ეს სადაოა, მაგრამ ამის შემდეგ თვალნათლივი ხდება კიდევ ერთი, და, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო ძლიერი, მიზეზი თვითმკვლელობისა—ეჭვიანობა და ჭვიანობით გამოწვეული აგრესია.

შეიძლებოდა კი გუგუას პერსონაჟს თავი არ მოეკლა?! ჩვენ ვფიქრობთ, არა! პერსონაჟი, რომელიც მთელი ცხოვრება ემსახურებოდა თემს, მისგან ღალატის შენამების შემდეგ აუცილებლად განადგურდებიდა. მისი არსებობა გამართლებული იყო ზენე-ჩვეულებების დაცვის აუცილებლობით და, რადგან ძნე-ჩვეულებების დამცველს, გუგუას, უსაყვარლესი ცოლი უღალატებს, მისი არსებობა უნდა შეწყვეტილიყო. თუმცა, „გუგუას დაღუპვა“ ავტორს სხვისი ხელითაც შეეძლო, მაგრამ მას თავს აკვლევინებს. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ გუგუა ანდიპოდია ონისესი და მან თავისი თვითმკვლელობით კიდევ უფრო მეტად გაამწვავა ონისეს საქციელის აღქმა.

მეორე მოთხრობაში, „ელეონორა“, ალექსანდრე ყაზბეგმა კვლავ წამოჭრა თვითმკვლელობის თემა. ეს მოთხრობა მან გამოაქვეყნა 1884 წელს „დროების 246–280 ნორებში. „ხევისპერი გოჩას“ მსგავსად, აქაც თვითმკვლელობას სჩადის არა მთავარი გმირი, არამედ მეორეხარისხოვანი, თუმცა მისი ამაგვარი მოქმედება უნდა მივიჩნიოთ ნანარმოების კულმინაციად. თავს იკლავს ლევან კრეჭიაშვილი, ელეონორას მამის აზნაური. მას თავდავიწყებით უყვარდა ელეონორა, მაგრამ საპასუხო გრძნობის იმედი არ ჰქონია, რადგან ელეონორასთვის არასდროს არაფერს წარმოადგენდა. „გაბან-ჯგლული წვერ-ულვაში, დიდი თავი, ორივ თვალებით დაელმებული ლევან ელეონორას გულში უფრო სიცილს ალძრავდა ხოლმე, როცა კი შექვდებოდა“ (1:327). მიუხედავად ამისა, „(ლევან) შესჩვეოდა თავის პატრონს, ითმენდა ყოველსავე უსამართლობას, დამცირებას, სატანჯველს და მაინც ძალლსავით ერთგულად ექცეოდა“ (1:327).

კახელი მებატონის, ვახტანგ ხელთუბნელის ერთადერთ ქალიშვილს, მშვენიერ ელეონორას, თავდავიწყებით უყვარს კახეთის დაუძინებელი მტერი, ასლან-გირეი. ელეონორას უცნაური ამპარტავნობის გამო ასლან-გირეისთან ხელჩართულ ბრძოლაში სათითაოდ იღუპებიან ქართველი ვაჟეცები. ამაყი ელეონორა, მიუხედავად თავისი სიყვარულისა, უარს ამბობს მის ცოლობაზე და თავის ხელს იმ რაინდს ჰპირდება, რომელიც მას ასლან-გირეის თავს მოუტანს. ელეონორას ხელის მსურველი არაერთი ჭაბუკი იყო, მათ შორის ლევანიც, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ განაცხადა თავისი სურვილი. „სისხლით გამაძლარმა ელეონორამ ბოლოს მიმართა მისდამი უიმედო სიყვარულით შეპყრობილ ლევან კრეჭიაშვილს, რომელსაც არც გვარიშვილობა, არც შეძლება და არც შეხედულება ნებას არ აძლევდა ელეონორას საპასუხო გრძნობაზე ეოცნება“ (1:327).

კრეჭიაშვილი კლავს ასლან-გირეის, იგი გამარჯვებული ბრუნდება ციხე–სიმაგრეში, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, უარს ამბობს ელეონორას ხელზე. მისი სიტყვით, „ქალი, რომელიც ამ-დენ მოძმეს შესწირავს თავმოყვარეობისათვის, ქართველის ცოლობის ღირსი არ არის“. ლევანი მტკიცე ნაბიჯით მიდის კარებისაკენ, მაგრამ გზაში უეცრად შედგება და სიტყვებით „საზილარი ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ“, — გულს ორად გაიპობს. კრეჭიაშვილივე ასახელებს თვითვმკლველობის მიზეზს—მას არ შეუძლია ელეონორას გარეშე ცხოვრება. თუმცა ამით ბოლომდე მაინც არ არის გარკვეული ნამდვილი მიზეზი. მას შეეძლო ელეონორასთან ერთად ეცხოვრა და გამხდარიყო მისი ქმა-

რი, მაგრამ ამის უფლება სხვისი სისხლის დაღვრით მოიპოვა. კრეჭიაშვილი ოცნებობდა ელეონორაზე, მაგრამ უნდოდა, ელეონორას შეყვაებოდა იგი, აღარ დაეცინა მისთვის. ლევან კრეჭიაშვილი თვითმკველობამდე მიიყვანა ორი გრძნობის, – სიყვარულისა და სიძულვილის, – ურთიერთშეჯახებამ. მას თან სძულდა და თან უყვარდა ელეონორა და ამ ორი გრძნობის ბრძოლამ მის არსებაში იგი მიიყვანა თვითმკველელობამდე.

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა შორის „ხევისბერი გოჩა“ და „ელეონორა“ მხატვრული გააზრებით ენათესავებიან ე.წ. „შექსპირული რეალიზმის“ სულს, ვახტანგ კოტეტიშვილის შეხედულებით. ამ ნაწარმოებთა პერსონაჟები, ისევე როგორც შექსპირის გმირები, შეპყრობილნი არიან უაღრესად მძაფრი და ძლიერი ემოციებით, მათთვის უცხოა ნახევარ გზაზე შეჩერება, რადგან მათი სურვილები, ნებისყოფა და მოქმედება ერთ მთლიან ჯაჭვს შეადგნს. და მათი ვნებები წინააღმდეგობაში ექცევიან მათსავე ეთიკურ მრწამსთან, ეს წინააღმდეგობა შეურიგებელ ხასითს იძენს და ტრაგიკული კატასტროფით მთავრდება. ტრაგიკული კატასტროფა არის ორი გამიჯნურებული კაცის, განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამინების, გუგუასი და ლევან კრეჭიაშვილის თვითმვლელობა.

აღნიშნულ პერიოდში კიდევ ერთი ცნობილი ნაწარმოები შეიქმნა: ესაა აკაკი წერეთლის (1840–1915) პოემა „გამზრდელი“. 1898 წლიდან მოყოლებული, პოემა სისტემატიკურად იპეჭდებოდა როგორც ავტორის თხზულებათა კრებულში, ისე ცალკე გამოცემის სახით. პოემა ადრევე შევიდა სასკოლო სახლების და საყვარელოებში და საყვარელოებში და საყვარელოებში, როგორც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე მხატვრული თხზულება.

„ანეტა იურკევიჩი, რომელიც აკაკის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მასთან იყო, იხსენებს ერთ ეპიზოდს: „აკაკი მიმითითებს სახატეზე და მეუბნება: „აქ ჩემი ნაწერებია, გამოიღე და წამიკითხე რამეო“. მეც ბევრი რამ წაუკითხე იმ ღამეს, და, სხვათა შორის, „გამზრდელის“ კითხვა დავიწყე. როდესაც დასასრულს მიუახლოვდი ეს ტაეპი წავიკითხე:“

მაგრამ უსუბ ეუბნება:

„შენ სკივდილს რა ღირსი ხარ?!

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,

რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“

საყვრელმა მოძღვარმა ქვითინი დაიწყო. ვინ გამოიცნობს ამ ძვირფასი ცრემლების მიზეზს?.. ეგებ ავტორმა უსუბის როლში იგრძნო თავი და უკანასკნლი, მწარე ცრემლები დააფრქვია საფარ-ბეგისთანა უზნეო და უღირსის გაზრდისასთვის...“ (7:84).

„გამზრდელი“ კომპოზიციურად მტკიცედ შეკრული პოემაა, რომელშიც მოქმედება უწყვეტი თანმიმდევრობით ვითარდება. ნაწარმოებში გამოყვანილი ხუთი მოქმედი პირი: მაღალი მორალური შეგნების მქონე ადამინები: ბათუ, ჰაჯი-უსუბი და ნაზიბროლა, ხოლო ამორალური პიროვნებები : საფარ-ბეგი და ზია-ხანუმი.

ბათუ, როდესაც შეიტყობს, თავისი ძუძუმტის, საფარ-ბეგის, ქმდებას მის ცოლთან დაკავშირებით, ძუძუმტეს გაგზავნის თავის გამზრდელთან, ჰაჯი-უსუბთან, რათა პასუხი თავის საქციელზე აღმზრდელისაგან მოასმენინოს. ჰაჯი-უსპის პიროვნებას კი ავტორი ასე გვიხატავს:

„არც გვარით, არც ვაჟკაცობით,

არც სიმდიდრით, არც ქონებით,

ჰაჯი-უსუბ ცნობილია

მხოლოდ ჭკუით და გონებით...

...სადაც კია გვარიშვილი,

ყველა მისი გაზრდილია“.

პოემა გვამცნობს, რომ ჰაჯი-უსუბი საყვარელთაოდ აღიარებული პიროვნებაა. რა შეცდომა დაუშვა ჰაჯი-უსუბმა საფარ-ბეგის აღზრდაში? დამნაშავეა თუ არა ჰაჯი-უსუბი საფარ-ბეგის უზნეო საქციელში? ავტორი ცდილობს უსუბი დამნაშავედ არ გამოიყვანოს და იშველიებს ამ სიტყვებს:

„მაგრამ მარტო წვრთვნა რას უზამს,

თუ ბუნებამაც არ უშველა?“

„მაგრამ უსუბ ეუბნება:

შენ სიკვდილის რა ლირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!
ნარმოსთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთამბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...“

საფარ-ბეგი ბათუმ დასაჯა იმით, რომ გამზრდელთან გაგზავნა, მან კი უფრო დაამძიმა მისი
მდგომარება, რადგან მის თვალინ თავისმა გამზრდელმა თავისი მიზეზით სული განუტევა. იბადება
კითხვა: რატომ მოიკლა თავი ჰაჯი-უსუბმა და არ მოკლა საფარ-ბეგი? ცხელი ტყვია რატომ დაიხა-
ლა თავში და არ დაიხალა გულში? ჰაჯი-უსუბი, გონიერი პიროვნება, თავის აღმზრდილს იმიტომ არ
კლავს, რომ დამნაშავედ მხოლოდ თავის თავს მიჩნევს, „ბუნებას“ არც რევს სიტუაციაში. თავში იმი-
ტომ იხლის ტყვიას, რომ მან საფარ-ბეგი ვერ აღზარდა გონიერ და ზნეობრივ პიროვნებად. საფარ-
ბეგი მხოლოდ თავისი „გონებით“ იყო ცნობილი და, ამრიგად, ამ მარცხს ვერ შეეგუა.

ამრიგად, აკაკიმ თავის პოემა „გამზრდელში“ მხატვრული სიტყვის მთელი ძლიერებით გააშუ-
ქა და ცხადჰყო ადმიანის კეთილშობილური მოვალეობა მაღალი მორალური სიწმინდის დასაცავად.

თვითმკვლელობა, სუიციდი, არჩევანია სიცოცხლის შემდგომ გაგრძელებასა თუ, მომენტა-
ლურ სიკვდილს შორის. ამის ასახვა ლიტერატულურ ტექსტებში სპეციფიკურია და უმეტეს შემთხვე-
ვაში დაკავშირებულია თვით ავტორის განწყობილებასა თუ ფაბულასთან. საანალიზოდ შერჩეული
ნაწარმოებიდან ყაზბეგის მოთხოვნებში თვითმკვლელობის გარეშე გამოსავალი არ არსებობს, ხო-
ლო აკაკი წერეთლის „გამზრდელში“ – სუბიექტური არჩევენი. სწორედ „გამზრდელთნ“ დაკავშირე-
ბით მიგვაჩნია, რომ ჰაჯი-უსუბის საქციელი არაა გამოსავალი. თვით მისი პედაგოგიური პრინციპე-
ბიდან გამომდინარე დანაშაული დასჯადია, მაგრამ მიმტევებლობა ჰაჯი-უსუბთან უფრო სწორხა-
ზოვანია და იმ პრინციპს დაქვემდებარებული, რომ საფარ-ბეგმა უნდა იცხოვროს მოარული სინდი-
სით დედამიწაზე.

ლიტერატურა:

1. ყაზბეგი 1955.ალ. ყაზბეგი. წლის მოთხოვნები და რომანები თბილისი 1955.
2. წერეთელი 1978.ა.წერეთელი.წლის ქართული პოეზია ტVIII თბილისი 1978.
3. კოტეტიშვილი 1965.ვ კოტეტიშვილი.წლის რჩეული ნაწერები წიგნი I თბილისი 1965.
4. 1974.ქართული ლიტერატურის ისტორია ტ.IV თბილისი 1974.
5. ბენაშვილი 1939. დ. ბენაშვლი.ალექსანდრე ყაზბეგი თბილისი 1939.
6. აბაშიძე 1962.კ. აბაშიძე ეტიუდები თბილისი 1962.
7. მახარაძე 1957.ა. მახარაძე ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტ. I თბილისი 1957.

მარიამ ბესიაშვილი, მაია მაისურაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ გოგოლაძე

თანამდებობის ინსტიტუტი გუშინ და დღეს მხატვრულ ტექსტები

ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობა საქართველოში საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა ტრადიციის, ეთიკის, რელიგიისა თუ გვარტომური ჩვეულებების, სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, მაგრამ განსხვავებული მდგომარეობა იყო ბარად და მთაში, რამდენადაც ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ბარში, ეს ურთიერთობა უფრო თავისუფალი იყო და, ამდენად, შეინიშნებოდა ყოველგვარი „კანონების“ რღვევის პროცესიც.

საქართველოს მთიანეთში (მხედველობაში გვაქვს ფშავ-ხევსურეთი) ჩამოყალიბებულმა თემურმა წყობამ, რამდენადმე განსაზღვრა სწორედ მისთვის შეაბამისი თავისუფლება ქალსა და კაცს შორს, რომელიც არც ეთიკურ ნორმებს არღვევდა და სასიამოვნოც იყო ოჯახის შექმნამდე ახალგაზრდების ურთიერთლტოლვის „მოსაწესრიგებლად“.

ხევსურეთში და ფშავში ქალსა და მამაკაცს შორის საინტერესო ურთიერთობა არსებობდა, ხევსურეთში-სწორფრობის, ხოლო ფშავში-წანლობის სახელწოდებით. [თ. შარაპიძე, 1998 : 119]

აღნიშნულ საკითხებზე, კერძოდ, ფშავში-წანლობის ინსტიტუტზე ჯერ კიდევ 1886 წელს ყურადღება გაამახვილა ვაჟა-ფშაველამ თავის პუბლიცისტურ წერილში „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზის გამოხატულებით“. ჩვენი აზრით, ამ წერილით ვაჟას სურდა ქართველი ფართო საზოგადოებისთვის მიერთოდებინა აქამდე მისთვის უცნობი ინფორმაცია. ამავე პერიოდში დაინერა ვაჟას ძმის, ბაჩანას (ნიკო რაზიკაშვილის) პოემა „წანლობა“ (1924 წ.) . ეს პოემა რეალურ ფაქტზეა დამყარებული და იგი ერთგვარად თვით პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთ ეპიზოდს უკავშირდება.

ვაჟა-ფშაველა ასე განმარტავს წანლობას: „რაკი ასაკში მოვა ფშაველი ქალი, ის მაშინვე წანალს გაიჩენს, მშობლების წინაშე დაუმალავდა, აშკარად, წანალთან წოლასაც არ მოერიდება. ქალი ეძახის ვაჟს წანალს და ნაძმობს, ვაჟის ქალს წანალს და ნადობს“.

ფშავში წანალობა წმინდა მოვალეობად მიაჩნდათ, ფშაველი ამბობს: „წანლობა ლაშარის ჯვარის ყმას მოუდისო“. ფშაველები ამ ჩვეულებას უკავშირებენ ზეპირგადმოცემას, რომ ვითომ წანლობა შემოეღოს ლაშა-გიორგის და თუ არ შემოიღო, უეჭველია გაუმაგრებდა ფესვებს მაინც. ფშავში წანალ ქალსა და კაცს ჰქონდათ ერმანეთის მიმართ გარკვეული მოვალეობები: ვაჟი უკეთებს წანალს ხელობისთვის საჭირო იარაღს, ქალი კი უქსოვს ვაჟს, რაც საჭიროა ტანზე ჩასაცმელად ან ცხენის მოსართველად. [ვაჟა-ფშაველა, 1964: 18]

ძალზე საინტერესო ვაჟა-ფშაველასეული ახსნა-განმარტება წანლობის ანუ ერთად წოლის წესისა. ის თავის პუბლიცისტურ წარილში, აღნიშნავს, რომ გასათხოვარი ქალი წვება უცოლო ვაჟთან, უცხო უცხოსთან, ნათესავი ნათესავთან, ცოლიანი მამაკაცი და ქმრიანი დედაკაციც ბევრი წანლობს, ყველამ იცის ეს ამბავი თემში, ამის დაფარვა საჭირო არ არის. ვაჟას თქმით, ამ ბოლო დროს ხალხი გაუეჭვიანდა წანლობას, იგი უცოდველ, უმზაკვრო წმინდამად აღარ მიაჩნიათ, როგორც ეს იყო 15–20 წლის წინად.

წანლობას წოლის დროს თავისი წესი და რიგი აქვს. ქალი და ვაჟი უნდა ცდილობდეს ფეხები და გულ-მკერდი შორს ეჭიროთ, მხოლოდ პირი პირთან უძევთ და ქალი ვაჟის გაშლილ მკლავზე წევს. წანლებს არ აქვთ მიზნად გარყვნილობა, წანალი თავისი დღეში ვერ შეუუდლდება წანალს, არც მომხდარა ამისი მაგალითი. ფშაველს ხორციელი და სულიერი წათესაობა ფრიად სწამს. არამც თუ

ნათესავს ნათესავი ვერ შეირთავს, თუნდ ძლიერ დაშორებულიც და მეზობელი მეზობელს, ერთის სოფლისანიც კი ვერ შეუღლდებიან.

წანლობას დიდი ზეგავლენა ჰქონდა მამაკაცის ვაჟკაცური და გმირულ მოქმედებაზე. იგი მდიდარ მასალას აძლევს ფშაურს რომანულ პოეზიას და თვით ფშაველოს-პოეტურს ხასიათს. [ვაჟა-ფშაველა, 1964:98–100]

ფშავში ახალი ცხოვრების სიომ წანლობაც გაპრყვნა. დღეს ამ თვალთმაქცურ დაძმობას ბევრი ცუდი ემჩნევა. ძველ დროში, როგორც მოხუცებულები ამბობენ, რუსთველური მიჯნურობა ყოფილა, დღეს კი სიყვარულად გადაიქცა. ძველ დროში თუ ნაბომარს გააჩენდნენ, ორივეს ქალსა და კაცს სახალხო ხიდის-ყურზე ჩაქოლავდნენ, რომ გამვლელ-გამოვლელს ენახა. წინად ქალს წანლის ყოლა გათხოვებას არ უშლიდა, დღეს კი უშლის, როგორც მშვენიერების, სიმშვიდის და სიწმინდის წარმომადგენელი. ქალს უყვარს ვაჟი გულადობისთვის, ვაჟკაცობისთვის და დიდი ზემოქმედება ჰქონდათ ქალებს კაცებზე.

ვაჟას დასკვნით, კაცსა და ქალს შორის ეს ურთიერთობა ანუ წანლობა, წარმოადგენს ძველი დროის იდეალს, რასაც კაცობრიობა დროების მოთხოვნების მიხედვით ცვლის.

ფშაველს დრო გმირობის, ვაჟკაცობის წაერთო, ხმალი ძირს დასდო, ქალიც გჩუმდა. მაგარი მკლავი და მაგარი გული თითქმის აღარ არის საჭირო ახალი ცხოვრებისთვის. ცხოვრება გაჭირდა, რამაც ახალი საგნები წამოაყენა და ძველი დროის იდიალს წეს-ჩვეულებებს პარქტიკული დაღი დაასო და შეცვალა. [ვაჟა-ფშაველა, 1964:17–18]

ამ თეორიული განმარტების გვერდით საყურადღებოა, უკვე მისი მხატვრული გაშლა ძმები რაზიკაშვილების მეორე წარმომადგენლის ბაჩანას პოემაში „წანლობა“, სადაც გადმოცემულია საქართველოს მთიანი რაიონების (ფშავ-ხევსურეთის) ყოფა—ცხოვრების ადათები, სახელდობრ, სიყვარულისა და ოჯახის საკითხებთან დაკავშირებული მოვლენები. [ა. მახარაძე, 1955:493]

მკვლევარი გურამ ასათიანის აზრით, ბაჩანას პოემა გაჭიანურებულა და მეტად დაუხვეწავი, ეს წანარმოები ხუთი წლის მანძილზე იწერებოდა (1919–1924 წწ). პოემა ძირითადად ქალთა უფლებების აბუჩად აგდების და უკიდურესობამდე დამცირების შემაძრნუნებელ ფაქტებს პუბლიცისტური პირდაპირობით გვიჩვენებს და ზოგჯე წატურალისტურ შტრიჩებსაც მიმართავს. [გ. ასათიანი, 1974:590]

აღნიშნული პოემა წანილობრივ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, პოემის მთავარი გმირების—იმედასა და ჯავარას ურთიერთობა ავტორს გამოხატული აქვს თავისი დამოკიდებულება მომავალ ცოლთან. [მ. ზანდუკელი, 1986:46]

ბაჩანას ბიოგრაფიული ცნობების მიხედვით, მან ხევსურეთში ყოფნის დროს, ცოლად შეირთო თავისი თემის მცხოვრები მარიამ პეტრე გურასპაულის ასული. ვინაიდან ფშავ-ხევსურეთის ადათის მიხედვით ერთი თემის შვილთ ურთიერთ შორის დაქორწინება სასტიკად ჰქონდათ აკრძალული და ბაჩანამ ეს ტრადიცია დარღვია, ამიტომ მათ თემისაგან უკმაყოფილება დაიმსახურა ბაჩანა იძულებული გახდა დაეტოვებინა თემი. [ბაჩანა რაზიკაშვილი, 1938:8]

პოემაში მკვეთრ ფერებშია მოცემული მთის ყოფის ზოგიერთი დრომორქმული ჩვეულება, როგორიც არის წანლობა, წანალთან შეუღლების აკრძალვა, ხატში დარისხება, წყელვა და ა.შ. ამ ჩვეულებებს ბაჩანა სთვლის ისედაც შებორკილი ხალხის ზნის დამაკნინებელ, მიუღებელ, მავნე მოვლენად.

ბაჩანა ასე ახასიათებს წანლობის ადათს პოემაში:

„სქესური მიზიდულობით
ქალ-ვაჟი ერთურთს იძევდა,
და ღამე ერთად წოლით
კმაყოფილებას იღებდა“.

პოემაში ბაჩანა აღნიშნავს მოწანლეების ასაკსაც, წანლები შეიძლება იყვნენ, როგორც 16–17 წლისანი, ასევე წანლობენ ორმოცი ან სამოცი წლისანიც.

ბაჩანა წაწლობის წესს განმარტავს ისევე დეტალურად, როგორც ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ წერილში. მაგრამ ვაჟასაგან განსხვავებით, ბაჩანა წაწლობას გარყვნილობად მიჩნევდა. ის მოწაწლებს სწორფრებს, ხოლო წაწლობას ძმა-ქმრობას.

პოემაში სამი სახის წაწლებს ვხვდებით: 1. იმედა და ჯავარა, 2. ივანე და გულსუნდა, 3. ნანება და სულხანა, მაგრამ უფრო მეტად საინტერესოა იმედასა და ჯავარას წაწლობა, რაზეც ააგო თავისი პოემა ავტორმა. პოემის მიხედვით მათ ეკრძალებათ ოჯახის შექმნა. ფშავში ერთსოფელთ შერთვაზედ იმედასა და ჯავარას მხარი დაუჭირეს იმედას დედმამამ და ჯავარს დედამ. მათ შეძლეს და „უმსგავსი ჩვეულება“ მოშალეს.

ამ წაწარმოებს თავიდან ბოლომდე გასდევს მისი ავტორის მიზანდასახულობა, რომ წაწლობა მოიშალოს. საბოლოოდ, გამოჩნდებიან გაბედული ადამიანები და შეეწინაღმდეგებიან ამ „დამლუპველ“ წეს-ჩვეულებას. უნდა აღინიშნოს, რომ მწერალს ამ მავნე ადათის მოსპობის ერთადერთ საშუალებად სწავლა-განათლება, ხალხის კულტურის დონის ამაღლება მიჩნია. [ა. მახარაძე, 1955:498]

XX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაშიც გვხვდება ხევსურული სწორფრობის თემა, კერძოდ მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრ საყელოში“. მოქმედება ვითარდება ხევსურეთში და წაწლობის ტრადიციაც ხევსურულია. წაწარმოებში მოხსენიებულია ორივე ტერმინი, როგორც „წაწლობა“, ისე „სწორფრობა“. ჩვენი აზრით, მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი შეხედულება წაწლების შესახებ გადმოგცა წაწარმოების მთავარი გმირის, ვაჟიკაის(ელიზბარის) პირით: „ეხლა კი მივხვდი. გამახსენდა წელანდელი ჩურჩული, ხათუთა მორცხვი სიმღერა, სასტიკი, საამური და მავნე სწორფრობა-წაწლობა-უზენაესი ძმური სიყვარულის ადათი, დღესაც არვიცი, ველური თუ ზეკაცური, ღვთური თუ სატანური“. ფშაური წაწლობისაგან განსხვავებით ხევსურულ წაწლობაში ქალსა და მამაკაცის ურთიერთობას შეიძლება შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს. ხევსური თავისივე გვარის სტუმარს ან ძმადნაფიცს ქალს ჩაუწენეს ლოგინში, მაგრამ დილით ის ქალი ისევ უბინოდ უნდა წამოდგეს. აქ ამ რიტუალს უფრო მამაკაცისა და ქალის წებისყოფის გამოცდა უდევს საფუძვლად. წაწარმოებში წაწლობის წესი შემდეგნაირად არის გადმოცემული: თურმე მკერდ ქვემოთ მდებარ წაწლებს ურთიერთის გაცნობა აკრძალული ჰქონდათ. წაწლებს შორის ხანჯალი იდო. წაწარმოების მთავარი გმირები: ვაჟიკა და ხათუთა არიან ერთმანეთის წაწლები, ისინი ხშირად წვებიან ერთად და რიურაჟზე ხათუთა ქალწულად დგება, მაგრამ ისინი ბოლომდე არ იცავენ წაწლობის წოლა-დგომის წესს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოურიდებლად ეალერსებიან ერთმანეთს.

წაწარმოებში ვითარება მიგვარად მიმდინარეობს, რომ სოფელმა ადათი უნდა დარღვიოს, რათა შეულლბის უფლება მისცენ წყვილს. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის თემი შეიკრიბა, სადაც იყვნენ, როგორც მომხრენი, ისე მოწინააღმდეგები, მაგრამ საბოლოოდ თემის გადაწყვეტილებით ვაჟიკაის და ხათუთას უფლება მისცეს შეულლების. [მ. ჯავახიშვილი, 1959:445]

ჩვენი აზრით, წყვილის მიერ წაწლობის წესის დარღვევა გამოწვეულია ერთის მხრივ იმით, რომ ვაჟიკაიმ არ იცის რა არის „წაწლობა“ და მისი წესები, რადგან ქალაქში ცხოვრობს, ხევსურებისაგან მოშორებით, მეორე მხრივ, კი წაწლებს უყვართ ერთმანეთი და ძნელი იყო თავის შეკავება და წესების დაცვა და მესამეც **XX** საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება წაწლობის ინსტიტუტის რღვევა მთაში.

XXI საუკუნის ლიტერატურული მოღვაწე გოდერძი ჩოხელიც შეეხო წაწლობის თემას თავისი წაწარმოებში „კესანე ბორბალოს მთაზე“, ამ მოთხოვობაში წარმოდგენილია ფშაური წაწლობა, ერთმანეთს წაწლობენ ახალგაზრდა, თექვსმეტი წლის კესანე და ჩალხია. მსგავსად ჩვენს მიერ განხილული წაწარმოებისა, აქაც წაწლებს ერთმანეთი უყვარდებათ, ჩოხელის მიერ აღწერილი წოლა-დგომის წესი ემთხვევა ფშაური წაწლების წესს. წესის მიხედვით კესანე უმანკო უნდა ჩაბარდეს თავის ქმარს, ფშაური ადათ-წესის მიხედვით: „უღელში შებმულ ქალს სიყვარულისთვის აღარავინ მოაცდენს“.

მუხედავად გმირების დიდი სიყვარულისა, ისინი არ აღვევენ „წაწლობის“ წესს, ისინი ადათისა და წინაპართა პატივისცემლები არიან. სამ წლიანი წაწლობის შემდეგ დადგა კესანეს გათხოვების

დრო და საქმროც გამოჩნდა. მშვენიერი კესანე მისცემაი ფიქრს, ის თავის მოკვლაზე არ ფიქობს, რადგან ჩალხიამ უმანკოება შეუნახა, თავი რომ მოიკლას ჩალხიას არაკაცობას დაბრალდება მისი სიკვდილი. ფშავში ხშირად ხდებოდა, როცა წანალი-წანალთან შეცდება, ნამუსახდილი ქალი კი თავს იკლავს.

წანარმოების ბოლოს თხრობა გრძელდება არა რეალურად, ზღაპრულ იერს იძენს და დასას-რულს ვიგებთ, რომ გმირები საბოლოოდ ერთად არიან, არღვევენ წანლობის წესს და ტოვებენ ფშავს.[გ. ჩოხელი, 2000:24]

წანლობაზე საინტერესო წერილი ეკუთვნის პროფესორ თამარ შარაბიძეს, სადაც იგი იკვლევს წანლობისა და სწორფრობის წარმოშობას, მის რაობას, სახელწოდებას, ახდენს შედარებას ფშაურ და ხევსურულ წანლობის(სწორფრობის) წოლ-დგომის წესებთან. ფაშავში წანლობის დროს შუამავ-ლი (ელჩის) როლი არ ჩანს, წანლობისას ვაჟი მიდის ქალთან, წოლა ხდება ძირითადად ქალის სახ-ლში. ფშავში ქალი გათხოვების შემდეგაც წანლობს, თუმცა ეს წებადართული არ არის და ხშირ შემ-თხვევაში ქმრის ოჯახის უსიამოვნებას ინვევს.

თამარ შარაბიძე ბიბლიური სიუჟეტის-ადამისა და ევას სამოთხეში ყოფნის პერიოდთან შედა-რებით სწორფრობასა და წანლობასთან, მიდის იმ დასკვნამდე, რომ სწორფრობა და წანლობა, მხო-ლოდ რომანტიული ჩვეულება არ არის. იგი არის მისტერია პირველი ცოდვის შესამსუბუქებლად, რომელშიც მონაწილეობდნენ: ელჩი (მხოლოდ სწორფრობაში), ქალი და კაცი.

ჩვენ ვეთანხმებით, თამარ შარაბიძის შეხედულებას ბიბლიურ სიუჟეტთან, იქიდან გამომდინა-რე, რომ ადამისა და ევას შემორჩათ ნეტარი ცხოვრებისა და ღმერთან უშუალო კავშირის ხსოვნა და მათ იგრძნეს თავიანთი დანაშაული, ამ ცოდვის შემსუბუქებისათვი და ღმერთან შესარიგებლად პირველი საშუალება იქნებოდა ედემისეული ყოფის დღესასწაულად ასახვა წუთისოფელში. ეს ყოფა მართლაც სხვა რა არის თუ არა წრფელი ურთიერთობა დიალოგით, ზუსტად ისეთი როგორიც სწორ-ფრობა და წანლობაა.[თ. შარაბიძე, 1998 : 124]

ჩვენი აზრით, ადამისა და ევას ბიბლიური სიუჟეტი ახლოსა წანლობასთან იმ მხრივაც, რომ მო-წანლეები, რომლებიც არღვევენ წესს, იკვეთებოდნენ თემიდან, როგორც ადამი და ევა გამოაძევა ღმერთმა ედემის ბალიდან.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ წანლობა და სწორფრობა ძალიან საინტერესო ტრადიციაა, როგორც კულტურული, ასევე სექსოლოგიური თვალსაზრისითაც. ფშაველები, როგორც კი 14 წელს გადააბიჯებდნენ, სასურველ წანლებს ირჩევდნენ. ამის გაკეთება ერთგვარ ვალდებულებადაც კი ითვლებოდა და რაც უფრო მეტი წანალი ჰყავდა ახალგაზრდას, უფრო დაფასებულად ითვლებოდა. თუ ახალგაზრდა წანალს ვერ გაიჩენდა, მას მთელი თემი დასცინოდა, როგორც უხეიროს.

ჩვენი აზრით, როგორც მოყვანილ ტექსტებიდან ჩანს წანლობა-სწორფრობის ინსტიტუტმა ტრადიციულად თავისი როლი შეასრულა საუკუნეების მანძილზე, ახალგაზრდა ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით. მას ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც აისახა კიდეც სხვადასხვა მხატვრულ ტექსტებში.

მიუხედავად იმისა, რომ წანლობის ტრადიცია საქართველოში დღეს არ არსებობს, მისი კვალი XXI საუკუნეშიც კი შეიმჩნევა ქართველ ახალგაზრდობაში, რაც „პეტინგის“ ანუ სექსამდე არ მისუ-ლი გახშირებული სიმრავლით გამოიხატება.

რა თქმა უნდა „პეტინგი“ როგორც ასეთი, სხვა ქვეყნებშიც გავრცელებულია, მაგრამ საქარ-თველოში ამ მხრივ მართლაც გამორჩეული სიტუაციაა, რადგანაც „ქალიშვილობის ინსტიტუტის“ დღემდე არსებობა ერთგვარი გაგრძელება, წანლობის ძველი ტრადიციისა

ლიტერატურა:

1. თ. შარაბიძე: შარაბიძე თ. „სწორფრობისა და წარმობის მისტერია“ ქ. მნათობი 1998
2. ვაჟა-ფშაველა, 1964: ვაჟა-ფშაველა. „პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები“, თბილისი 1964.
3. ბაჩანა, 1938 : ბაჩანა რაზიკაშვილი, „ლექსები, პოემები“, თბილისი 1938.
4. მ. ჯავახიშვილი, 1959 : ჯავახიშვილი მ; „მოთხოვები“ ტომი ღლ, თბილისი 1959.
5. ა. მახარაძე, 1955: მახარაძე ა; „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტომი II, თბილისი 1955.
6. მ. ზანდუკელი, 1986: ზანდუკელი მ; „თხზულებები“, ტომი IV, თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი 1986.
7. გ. ჩოხელი 2000: ჩოხელი გ; „კესანე ბორბალოს მთაზე“, კვირის პალიტრა, 7–13 აგვისტო, 2000.
8. გ. ასათიანი 1974 : ასათიანი გ; „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი IV, თბილისი, 1974.

მარიამ ქელეხსაშვილი, ეკა ხანიშვილი
გორის სახნავლო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ გოგოლაძე

ცეკვა, ტრაგიკულ-კომიკური და მხატვრული ტექსტი

საცეკვაო ხელოვნება ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი გამოვლინებაა. ცეკვას თავიდან რელიგიური, მაგიური, საქორნინო, ხოლო, განვითარებული საზოგადოებისათვის, სოცია-ლური და მხატვრული დანიშნულება ჰქონდა. ცეკვა არის რიტმული მოძრაობა ან მდგომარეობა, რომელიც ჩვეულებრივ მუსიკის თანხლებით სრულდება.

ქრისტიანობამდელ ეპოქაში დღი მნიშვნელობა ჰქონდა რიტუალურ ცეკვებს. ძველი ბერძნული ცეკვები დღემდე ახდენენ ზეგავლენას თანამედროვე ცეკვებზე. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპის ხალხურ ცეკვებს ხანგრძლივი ისტორია აქვთ, აღმოსვლური ცეკვების ტრადიცია მას ბევრად წინ უსწრებს. ყველა ხალხს ცეკვის თავისებური, მისთვის დამახასიათებელი, ფორმა აქვს შექმნილი. წმინდა საცეკვაო ელემენტების შერწყმამ ადათ-წესებისა და თამაშობების რიტუალებთან განაპირობა ისეთი ცეკვების შექმნა, როგორიცაა: „ქართული“, „განდაგანა“, „ხორუმი“, „ფერხულ ორსართულა“, „სამაია“, „ხანჯლური“, „მთიულური“, „მთიულური დავლური“, „ბალდადური“ და სხვა. ეს ცეკვები ხშირად გამოიყენებენ ისეთი გენიალური პოეტები, რომლებიც ცეკვის სახით გადმოსცემს ადამიანის გრძნობებს, განცდებს.

ცეკვა შეიძლება იყოს რიტუალური, მაგრამ მისი ბუნება მაინც უკავშირდება გართობას, მხიარულებას, ამიტომ იგი უფრო კომედეასთანაა დაკავშირებული შემდგომად, ვიდრე ტრაგედიასთან.

ტრაგედია არის დრამატული ნაწარმოები, რომელიც გვიხატავს დიადი მიზნის მქონე ადამიანის თავგანწირულ და სახიფათო ბრძოლას უდიდეს დაბრკოლებებთან, რაც იწვევს მაყურებელში შიშს და თანაგრძნობას. ტრაგედია მიეკუთვნება კომედიის საპირისპირ დრამატულ უანრს, რომელიც გამოირჩევა კონფლიქტის განსაკუთრებული ხასიათით. ტრაგედია გულისხმობს დაბრკოლებებთან ბრძოლის არა ყოველგვარ სახეს, არამედ მხოლოდ ღრმა, იდეურ კონფლიქტს, მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას, რომელსაც თან ახლავს ძლიერი განცდები. ტრაგედია მთავარი გმირის დაღუპვით სრულდება.

რაც შეეხება კომედია, ისეთი სასცენო ნაწარმოებია, რომელიც სასაცილო ფორმებში გვიხატავს ადამიანის უარყოფით მხარეებს და მისი პერსონაჟები ანარმოებენ ბრძოლას შედარებით უმნიშვნელო დაბრკოლებებთან. კომედიის მიზანია დაცინვის გამოწვევის სამუალებით აამაღლოს მაყურებლის, ან მკითხველის ზნეობა უარყოფითი თვისებების მატარებელი მოქმედი პირის ჩვენებით. დაცინვის გამოწვევისათვის კომედიის ავტორები სასაცილო ფორმებში გვიხატავენ მათი გმირების გარეგნობას (მაგ : კაროუნა – „ დარისპანის გასაჭირში“).

კომედია ტრაგედიის მსგავსად, საბერძნეთში წარმოიშვა სახალხო დღესასწაულებთან დაკავშირებით. თვით სახელწოდება კომედია ნიშნავს სიმღერას სვლის დროს. საქართველოში კომედიის ჩანასახს წარმოადგენდა „ყენობა“ – სახალხო დღესასწაული, ლიტერატურაში უფრო მეტად გავრცელებულია კომედიის შემდეგი ფორმები: საყოფაცხოვრებო – მასში იხატება დაცინვა ადამიანთა ყოფაცხოვრების უარყოფითი მხარეებისადმი. სოციალურ-პოლიტიკური ისეთი კომედიაა, რომელშიაც ავტორი დასცინის ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის ან პოლიტიკური წყობილების უვარგისობას. ფსიქოლოგიურ კომედიაში ავტორი დასცინის თავისი გმირის ცუდ ხასიათს, უარყოფით ფსიქიურ თვისებას: სიძუნეს, სიმხდალეს, მედიდურობას და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ტრაგიკომედიის ფორმა განსაკუთრებით აქტუალური ხდება კულტურული ეპოქების გარდამავალ პერიოდებში. იგი გამოხატულებაა ამ პერიოდებისთვის დამახასიათებელი სულიერი კრიზისებისა, როდესაც ცხოვრებისეული კრიტერიუმების გადაფასება ხდება. ტრაგიკულია ძეველის, დრომორჭმულის შეუფერებლობა ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებთან. ტრაგიკომედიას ახასიათებს სერიოზული და სასაცილო მომენტების მონაცვლეობა, ამაღლებული და კომიკური ხასიათები. პერსონაჟებში ხაზგასმულია რომელიმე ტიპიური თვისება. ავტორისეული განაჩენი არ ჩანს. თანამედროვე დრამატურგიაში არსებობს არა იმდენად ტრაგიკომედია თავისი გამოკვეთილი ნიშნებით, რამდენადაც უფრო ტრაგიკომედიური ეფექტი – პერსონაჟისა და სიტუაციის შეუსაბამობა.

შევეხოთ ტრაგიკულსა და კომიკურს, როგორც ესთეტიკური გამოვლენის კერძო ფორმებს.

ტრაგიკული შეიძლება გვხვდებოდეს რომანში, მოთხოვნისაში, პოემაში და საერთოდ ხელოვნების ყველა სფეროში, მაგრამ მისი გამოვლენის ნკაფიო ფორმას მაინც ტრაგედია წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას კომიკურის შესახებაც. კომიკური, ყველაზე სრულყოფილად, კომედიაში ვლინდება. მართალია ტრაგიკული და კომიკური ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, მაგრამ მათ შორის აპსოლუტური ზგვარის გავლება ყოვლად შეუძლებელია. ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება შეიცავდეს საშინელს, შემაზრზენს და სასაცოლოსაც ერთად.

ყოველივე ზემოთმოხსენებული დაგვჭირდა, რათა გვეჩვენებინა, რა ფუნქცია დაეკისრა ცეკვას ტრაგიკული და კომიკური ორ ქართულ მხატვრულ ტექსტში (ე. გაბაშვილის „თინას ლეკური“ და დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“)

ხალხოსანი მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის კალამს ეკუთვნის ერთი პატარა საბავშვო მოთხოვნისა „თინას ლეკური“. „თინას ლეკურში“ იმდროინდელი გლეხობის მთელი ცხოვრების სურათია ასახული. ამ პატარა მოთხოვნის მწერალმა უკიდურესად გაამძაფრა და ტრაგიზმამდე აიყვანა ერთი ლარიბი ოჯახის თავგადასავალი. იშვიათი მხატვრული ზომიერება და ნამდვილი ადამიანური მღელვარება განსაკუთრებით მაღალ დონეზე აყენებს ეკატერინე გაბაშვილის ამ მოთხოვნას.

ბატონების მდიდარი, უზრუნველი ცხოვრების, მათი ლხინის ფონზე საშინელ ტრაგედიად მოჩანს ლარიბი, ავადმყოფი, დაკონკილსამოსიანი მოხუცი თინას სახე, რომელიც იცეკვებს, რათა ამით მაინც შეუგროვოს მშეერ ობლებს მცირეოდენი მოწყალება. ამ სიღარიბესა და განსაცდელში უცებ დუდუკის ხმა შემოიჭრა შორიახლო მდგომი ბატონის სახლიდან, თინა გამოერკვა, თითქოს ძალა შემატა ამ ხმამ : „თინამ პირი დაიბანა, თავზე სუფთა, ათასის საკერებლით დაკონკილი თეთრი ჭალაშის ლეჩაქი მოიხვია ფეხებზე სუფთა ღაზის ნინდები ჩაიცვა, ფლოსტების ნაგლეჯში ფეხები წაჰყო და დუდუკის ხმისკენ გაეშურა“ (2, 459). ისევე, როგორც ახალგაზრდობაში, სიბერეშიც ცეკვით გამოიჩინა თავი თინამ. სიბერეში მისი ცეკვა იყო ახალგაზრდობის გახსენება. მას ამ დროს ახსენდებოდა თავის ყმანვილქალობა, თუ როგორ იცეკვა ორმოცი წლის წინ ბატონიანთ სახლში. ახალგაზრდა თინა ლეკურის დაწყების დროს ძალიან განიცდიდა : „ როცა ჩემი ჯერი მოდგა მუხლები ამიკანკალდა, გული ამითამაშდა, სახეზე ცეცხლი წამეკიდა, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა, გამოველ, აქეთ-იქით დაბლად თავი დავუკარ და მკლავები გავშალე, გავშალე და დავტრიალდი“ (2, 460), თუმცა ის მაინც სიხარულს განიცდიდა, უხაროდა სიცოცხლე. მისი ეს ცეკვა იყო შთამბეჭდავი, დამსწრე საზოგადოება გაღიმებული შესცექროდა, მერე იყო ტაში, ვაშა და შაბაშის ფულების ცვენა.

ამდენად, თინამ ლეკური ცეკვა შესასრულა ახალგაზრდობაში, მაშინ, როდესაც პატარძალი იყო და სიბერეშიც, მაშინ, როდესაც ცხოვრებისგან დაჩაგრულ ჭუჭყიან ძონძებში იყო გამოწყობილი. როგორც აღმოჩნდა, ცეკვას თინასთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ცეკვა მისთვის არის სიხალისის, ბედნიერების გამომხატველი, ასევე შემოსავლის წყაროც, რადგან ახალგაზრდობაში ცეკვის დროს შაბაშს უყრიდნენ მაყურებლები. სიბერეში კი თავისი უკანასკნელი ცეკვით ობოლ შვილიშვილებს ლუკმა გაუჩინა, თუმცა საკითხავია, რამდენ ხანს ეყოფოდათ მათ ეს საზრდო.

ახალგაზრდობის ცეკვა სიბერეში ცეკვისაგან დიდად განსხვავდებოდა, რადგან როდესაც პატარძლის ამპლუა მორგებული თინა ცეკვავდა, იგი არაფერზე არ ფიქრობდა, არაფერი არ აწუხებდა

, მხოლოდ სიხარულს განიცდიდა. სიბერეში კი თინა ამ ცეკვით დამსწრე საზოგადოების დაცინვის ობიექტი გახდა : „სტუმართ ყიჯინი ასტეხეს დართულნი და ბრნყინვალე მანდილოსანნი ისტერიულ-მა სიცილმა შეიპყრო, სახლის პატრონი გაოცებული იდგა და არ იცოდა, რა ექნა, გაეგდებინებინა ლაქებისთვის ეს გამბედავი, კონკებში გახვეული მოხუცი, თუ სხვებთან ერთად დაეწყო სიცილი და აღტაცებული ყიუინი“ (2, 462).

ახალგაზრდობაში თინა თავისი ფენის წარმომადგენლეთან ერთად ცეკვავდა, ხოლო სიბერეში მა-ღალი წრის საზოგადოების ერთ-ერთ წარმომადგენელთან იცეკვა. ამ საზოგადოების წარმომადგენელს წარმოადგენს ახალგაზრდა ყმანვილი, რომელმაც თინასთან ცეკვა არ იუკადრისა : „ თავმოწონე ვაჟუაცი არ შედრება, არ იუკადრისა დაგლევილ, ჭუჭყიან ძმნებში გახვეულ მოხუცთანთამაში. თავისი მომლიმარი თვალები ვითომ არშიყობით დამტკნარ, მკვდრისფრად ქცეულ სახეზე დააშტერა“ (2, 462). ამ ციტატაში შეინიშნება ყმანვილის თავმდაბლობა, რომელიც ხელოვან ადამინას აფასებს და მის სოციალურ მდგომა-რეობს ყურადღება არ მიაპყრო და თინას გამოთამაშება არ იუკადრისა.

ახალგაზრდობაში თინას ცეკვა მხიარულების ფონზე დასრულდა, ხოლო სიბერეში მისი ცეკ-ვის დასასრული ტრაგიკული აღმოჩნდა: „დედაბერი უცებ შესდგა, თვალები გადატრიალა, ჰაერში დაწყვეტილივით მკლავები გადაიქნია, ერთი მძლავრად ამოიფშვინა და იატაკზე დაეცა“ (2, 463). „საკარავის ხმა შეწყდა. მოკიუინე ქალ-ვაჟთ ულმობელი სურათის წინ ბაგე შეეკრათ. მხიარული სახ-ლის პატრონი მთლად დაიბნა“ (2, 463). ეს საოცარი სიჩუმე ისმის თინას მშეერმა, სიცივისგან გა-ლურჯებულმა, ტიტლიკანა ბალდების ხმა : „ბები, ბები! მართლა მოკვდი?! პურს ვინდა გვაჭმევს!“

იქვე ირდვევა აქამდე გამეფებული შემზარავი მდუმარება : „მოწყალება ობლებს!“ – ამბობს ვი-ღაც და გულგალმობიერებული საზოგადოება მოწყალებას გასცემს.

როგორც აღვნიშნეთ, თინას უკანასკნილი ცეკვა ალუძრავს ხალხს ლმობიერებასა და ქველ-მოქმედების სურვილს. თინას უკანასკნელმა ლეკურმა – შეუძლებლის შეძლებამ, შვილიშვილების-თვის გადებულმა მსხვერპლმა – ლუკმა გაუჩინა ობლებს.

ტრაგიკულისაგან განსხვავებით თინას ცეკვა კომიკურიცაა, რადგან როგორც ახალგაზრდო-ბაში, ასევე სიბერეშიც მისი ცეკვის დროს იქ მყოფი ხალხიც იცინოდა, ოლონდ აქ სიცილი მხიარულე-ბის გამოხატულება არის.

ჩვენი აზრით, თინას ლეკური ბოლოს გახდა მდიდარი საზოგადოებისათვის ცხოვრებაზე და-ფიქრების საბაბი. თინამ ამ ქმედებით მათ ქველმოქმედების სურვილი აღძრა და მათ გულში თანაგ-რძნობის გრძნობამ გაიღვიძა.

დავით კლდიაშვილის ერთ – ერთ პიესას წარმოადგენს „დარისპანის გასაჭირი“. „დარისპანის გასა-ჭირი“ ქართულ დრამატურგიაში სრულიად ახალი მოვლენაა, მანამდე ქართული დრამატული მწერლობა სარულყოფილ ტრაგიკომედიას არ იცნობდა. ავტორმა მთელი სიცხადით დაგვანახა აზნაურული წოდების დაკნინება და დაცემა. საქმე იქამდე მისულა, რომ ამ „ბრნყინვალე“ წოდების ოჯახებისთვის თავსატეს და საბედისნერო საქმედ ქცეულა ქალიშვილის გათხოვება, ხოლო შინ დარჩენილი და გაუთხოვრად დაბერე-ბულ ქალის რჩენა-შენახვა კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დასწოლია ამ ოჯახებს.

ამგვარი ყოფით გამწარებულ ადამიანთა სასაცილო და საბრალო ყოფის დამახასიათებელ სუ-რათს ხატავს ავტორი „დარისპანის გასაჭირში“. მართა ქვიტირიძე თავის ნათესავს მოელის სტუმ-რად საცოლო ვაჟს, მსიკიც ხარებაძეს, და გადაუწყვეტია, როგორმე ცოლად შერთოს თავისი ნათლუ-ლი, გაუთხოვრად დარჩენილი ნატალია საბელაშვილი. ნატალიას დედა, ფელაგია, უკიდურესად გამ-ნარებულია იმით, რომ სამი გაუთხოვარი ქალი უზის შინ, ხევნა-მუდარით მიმართავს მართას : „მიშველე, ჩემო ბატონო, ჩემო მწყალობელო!.. იცხონე სული! მოისხი ჩემი შვილების მადლი... (3, 72)

პელაგია ამ სიტყვებით უკე მთელის ძალით არის გამოთქმული ის მწუხარება, ის თავისებური გა-საჭირი, რომელიც თავს დასტეხია ამ კომედიის გმირებს – გაღატაკებულ აზნაურობას. მარტო პელაგია როდია ამ დღეში. დარისპან ქარსაძესაც იგივე გასაჭირი ადგას, მართასათან საუბარში იგი ამგვარად უჩივის ბედს; „ შენ რაღა დაგიმალო, მართა ჩემო, ჩემი სისხლ – ხორცი ხარ აგერაც წელში გავნყდებით.... ნამეტანი გაჭირვებაში ვიმყოფებოდით, მარა ამ ქალისვილებისაგან უფრო გვემატება გასაჭირი, შენ გე-ნაცვალე... ე გოგოები კი გვიყრიან სახლში და გვიბერდებიან საცოდავად სახლში(3, 77).

„დარისპანის გასაჭირში“ გამოკვეთილია სწორედ ცეკვის ეპიზოდი ცეკვას იწყებს პირველად ნატალია. იგი ცეკვას, ცეკვას ოსიკოც. ყველა მონადინებულია დაწყვილების სიმბოლოდ იქცეს ეს ცეკვა. მხოლოდ დარისპანია შეშფოთებული, დანაღვლიანებულია კაროუნა. აღელვებული, სულით ხორცამდე შეძრული დარისპანი თავის ქალიშვილს სთხოვს იცეკვოს, მაგრამ დამკვრელი არავინაა – არაფერიაო, ისევ წამოიძახებს გამნარებული დარისპანი. ქეც დაუკრავს და ქეც ითამაშოსო. კაროუნა „ აჭიჭყინებს გარმონიკას“, ამ დროს მოქმედი პირები აივანზე გადიან. მისი ცეკვა ცარიელ დარბაზში წარმოდგენილ ტრაგედიასა ჰგავს...

დამრცხდა კაროუნა, დამარცხდა ნატალიაც, ამაოდ იწვალეს. მთელი ეს სცენა, რაღაც შემაძრნუნებელი აუქციონია. იყიდება ქალი!...

„დარისპანის გასაჭირს“ აქვს თავისებური, მაგრამ მეტად საინტერესო სცენური ბიოგრაფია. მისი ბედი არაფრით განსხვავდება კლდიაშვილის სხვა პიესების ბედისაგან. აქაც იგივე ორი გზა, ორი ტენდენციაა. საქართველოში თითქმის არ დარჩენილა ქალაქი თუ რაიონი, „დარისპანის გასაჭირი“ რომ არ დაედგათ.

რეჟისორ ლილი იოსელიანის „დარისპანის გასაჭირი“, რომელიც გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრში დაიდგა, მრავალმხრივ იყო საინტერესო. პირველ რიგში გმირთა სწორი ფსიქოლოგიური გააზრებითა და მართალი სცენური ატმოსფეროთი. რეჟისორმა სცადა ზუსტად და-ეცვა ეპოქის კოლორიტი ეთნოგრაფიული დეტალიზაციის გარეშე. წარმოდგენაში ახლებურად გადაწყდა კაროუნასა და ოსიკოს ურთიერთობა. ერთიცა და მეორეც სავსებით ჯანსაღი, ლამაზი ახალგაზრდები არიან. აი, აქ ძევს ტრაგიკულის საფუძველიც. დრომ გააუფასურა მათი სილამაზე. მოვიდა ეპოქა, რომელმაც ქალის ლირსება ორი სიტყვით განსაზღვრა : „აქვს რამე?“ განსაკუთრებით ძლიერია შეჯიბრის“ სცენა. ოსიკოს საამებლად იმართება ცეკვა და ჭიქა ჩაიზე მიპატიჯება, ციბრუტივით ტრიალებს ნატალია, დატრიალდა კაროუნაც, მერე იწყება სიმღერა. დარისპანი ხმას აუწყობს ქალიშვილს, მისი მოძახილი კვნესასავით ისმის ნაძალადევი მხიარულების ფონზე. სასაცილო და სატირალი მთელი სურათი. რეჟისორი საგანგებოდ უსვამს ხაზს ამ „ლხინს“, ნაღმავს დიდი შინაგანი დრამატიზმით, მაგრამ როდი აშარუებს, არამედ ლოგიკურად გამოდის სიტუაციიდან, ნაწარმოების ბუნებიდან, პერსონაჟთა ხასიერებიდან.

საგულისხომოა ის ფაქტიც, რომ პიესის პროგრამას ანერია „ტრაგიკომედია“.

ჩვენი თეატრები შეეცადნენ მეტი სიღმითა და სიძლიერით გამოეხატათ დ.კლდიაშვილის პიესის არსი. მოისინჯა სხვადასხვა ფორმა და საშუალება, რათა ახლებურად გადაეწყვიტათ ეროვნული ტრაგიკულებისა და მეტი რიცხვის გადასაცემა. მიუღწეველი დარჩენილი არის მაგრამ გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვცადეთ ერთ რკალში გაგვერთიანებინა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თემაზე შედგენილი ორი ნაწარმოები. გამაერთიანებელი რკალი არის ცეკვა და მისი ტრაგიკომიკური აღქმა საზოგადოების მიერ. სწორედ ცეკვის ეპიზოდებზე დაყრდნობით მხატვრული ტექსტის აქცენტირება მღერდება.

ლიტერატურა:

1. 6. გაფრინდაშვილი 2011: გაფრინდაშვილი 6; „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბილისი 2011.
2. ე. გაბაშვილი 1953: გაბაშვილი ე; „რჩეული ნაწერები“, თბილისი 1953.
3. დ. კლდიაშვილი 2013; კლდიაშვილი დ; „ჩემი რჩეული“, თბილისი 2013.
4. კ. კაპანელი 1989 : კაპანელი კ; „ფილოსოფიური შრომები“, თბილისი 1989.
5. მესხიკაძე 2011 : მესხიკაძე 6; „ღვანი ივანე მაჩაბელისა“, უნივერსალი 2011

ქეთევან ჭილაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: სოლომონ ტაბუცაძე

მიხეილ ჯავახიშვილის „კურდლები“ – ფსიქოლოგიური ანალიზი

პრესა და საინფორმაციო საშუალებები ხელს უწყობს იმ ადამიანთა დისკრიმინაციას, რომელ-
თაც ფსიქიკური პრობლემები აწუხებთ. ფაქტობრივად, საფუძველს ქმნის კიდევ დიდხანს არ იქნას
ჩამორეცხილი ამ დაავადებათა სამარცხვინო ლაქა.

ადამიანთაგან არც ერთს სირცხვილის გრძნობა არ შეაწუხებდა მათთვის რაიმე სომატური
დაავადებების: შაქრიანი დიაბეტის, ან ჰიპერტონიის დიაგნოზი რომ დაედგინათ. მიუხედავად სულ
უფრო მზარდი ცოდნისა, მაინც უზარმაზარი ნაპრალი ჩნდება იმ ორ წარმოდგენას შორის, რომელიც
მეცნიერებაში არსებობს ტვინთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ და როგორც ფართო სა-
ზოგადოება აღიქვამს იმავე პრობლემებს.

შეგრძნება მაქვს, რომ ადამიანები უკეთ რომ ერკვეოდნენ ფართოდ გავრცელებულ ფსიქიკურ
დაავადებათა პრობლემებში, მართლა რომ ესმოდეთ მათი ბუნება, თუნდაც ის, რომ ამ დაავადებათა
დიდი ნაწილი განკურნებას ექვემდებარება ჩვენც უფრო გულგახსნილი ვიქნებოდით ჩვენს პრობ-
ლემებთან დაკავშირებით. თუმცა მიუხედავად ყველაფრისა-დრო გადის და პრობლემა-პრობლე-
მად რჩება. დღეისათვის მეცნიერებამ უკვე მოახერხა უმნიშვნელოვანესი გარდატეხის მოხდენა
ჩვენს ცნობიერებაში ფსიქიკურ სნეულებებთან დაკავშირებით. დღეს ჩვენ ვიცით რომ ბევრ შემ-
თხვევაში მემკვიდრეობითობა, ან რომელიმე ბიოლოგიური ფაქტორია ამ დაავადებათა გამომწვევი.
ადამიანის ფსიქიკა მუდმივ რეაგირებას ახდენს სუბიექტურ და ობიექტურ გამღიზიანებლებზე.

მხატვრული ლიტერატურული სახეების შემოქმედებითი ფსიქოლოგიური ანალიზი ფსიქოლო-
გიაში საყოველთაოდ აღიარებული ხერხია. წინამდებარე სტატიაც ამ დაუძლეველ პრობლემას შეე-
ხება. ქართულ სინამდვილეში ყველაზე მეტად ვინ, თუ არა მიხეილ ჯავახიშვილი, მწერალი რომელიც
გენიალურად ფლობს ადამიანის ფსიქოლოგიას. მისი მხატვრული სახეები, მისი ლიტერატურული
გმირები ეს პირდაპირ გამზადებული მასალაა ადამიანის ფსიქოლოგიის აღსაქმელად, შესასწავლად,
ჩასალრმავებლად, დასაფიქრებლად და გასაგებად.

კვლევა დაფუძნებულია ჯავახიშვილის ლრმად ფსიქოლოგიურ და უფრო მეტიც, ვიტყოდი
ფსიქობათოლოგიურ მოთხოვნა „კურდლელზე“. სანამ უშუალოდ პრობლემის ფსიქონალიტიკურ
განხილვას დავიწყებდე ორიოდე სიტყვით თავად იმ პრობლემის შესახებ, რომელიც ნაწარმოებშია.

თემა არის შემდეგი შინაარსის: ახალგაზრდა დედა, რომელიც უბედური შემთხვევის შედეგად
კარგავს შვილს, ძლიერი ნერვული სტრესის ნიადაგზე ხდება ავად. ემართება ეგრეთწოდებული „ის-
ტერიული ფსიქიზი“, ასევე ახალგაზრდა ფსიქიატრი, რომელიც წლების წინ ამ გოვონას ლექტორი
გახლდათ იწყებს მის მკურნალობას.

თანამედროვე ფსიქიატრიულ პრაქტიკაში მიღებულია იმ ფსიქიკურ აშლილობათა გამოყოფა,
რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ, სასწრაფო სამედიცინო ფსიქატრიულ ჩარევას. აქ ყველაზე
მნიშვნელოვანია დეპრესიულ მდგომარეობათა ისეთი კლინიკური ფორმები, რომელთა დროსაც ად-
გილი აქვს სუიციდურ აქტივობას, ანუ პაციენტის მიერ თვითმკვლელობისაკენ მიმართულ ცდებს.

სიდონია-ნაწარმოების მთავარი გმირი, რომელიც ჩემი კვლევის ძირითად ობიექტს წარმოად-
გენს არის ჩვეულებრივი პაციენტი, რომელიც ფსიქიატრის დახმარებას საჭიროებს. ტექსტიდან
ჩანს რომ იმ უბედურებამდეც, რაც მას დაატყდა თავს, არაერთხელ უცდია თვითმკვლელობა.

მიზეზი? უბრალოდ წარუმატებელი სიყვარულის ისტორიები, რომლებიც მისი ცხოვრების ნანილს შეადგენდა.

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს რომ ქალები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი სუიციდისადმი, ,ვიდრე მამაკაცები. თუმცა მამაკაცები თვითმკვლელობის უფრო საიმედო ხერხს მიმართავენ, მაშინ როდესაც ქალებში გავრცელებულია მედიკამენტების დიდი დოზით მოწამვლა, რაც საგრძნობლად ზრდის გადარჩენის შანსებს.

საინტერესოა რა ხდება ამ დროს ადამიანის ცნობიერებაში? სიკვდილი პაციენტის მიერ განიხილება, როგორც „დასვენება“, პრობლემის „რადიკალური გადაწყვეტა“. ამ შემთხვევაში ადამიანის ცნობიერებაში იმდენად დიდია სწრაფვა „ყველაფრისაგან განთავისუფლებისა“, რომ ფიზიკური ტკივილის აღქმაც კი მაქსიმალურადაა შემცირებული, ანუ მოტივაცია იმდენად დიდია, რომ ტვინში აღარ მიდის ფიზიკური ტკივილის შეგრძნების იმპულსები.

მოცემულ შემთხვევაში პაციენტს არაერთხელ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.

ზოგი ფსიქიკური დაავადება, კერძოდ კი დეპრესია და შფოთვით-ფობიკური აშლილობა ქალებს უფრო ხშირად ემართებათ-ვიდრე კაცებს. ...და მაიც რა ხდება რაშია პრობლემა? რატომ ერევათ დეპრესია უფრო მეტად ქალებს, ვიდრე მამაკაცებს? ამაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, მაგრამ მკვლევარებმა ეს ზოგად ჰიპოთეზამდე დაიყვანეს მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ორი:

- ✓ **ქალები უფლო მეტად არიან მიდრეკილნი იმისკენ, რომ შველა ითხოვონ;**
- ✓ **შესაძლოა მოქმედებს ჰორმონულ-ბიოლოგიური განსხვავებაც;**

ფსიქოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ, როცა ქალის ცხოვრებაში უსიამოვნება ხდება, ის პირველ რიგში საკუთარ თავს ადანაშაულებს. მსგავსი სიტუაციაა ჩვენს პაციენტთან დაკავშირებითაც. მთელი დროის განმავლობაში სიდონიას არ ასვენებს იმის განცდა, რომ დამნაშავე სწორედ ის არის, სწორედ მან მოკლა საკუთარი შვილი. პირველივე წამიდან, როცა მომაკვდავი ბავშვი მიჰყავს ექიმთან მისი სიტყვებია: „თუ რამე მოხდა მე ხომ არ ვიქნები დამნაშავე“. ის რაღაცნაირად ცდილობს, რომ ეს ერთგვარი ჯვარი აიცილოს თავიდან, შემდეგ კი სულ აქვს იმის განცდა, რომ სწორედ მან მოკლა ბავშვი, მას რომ არ დაეგვიანა, იქნებ ყველაფერი სხვაგვარად ყოფილყო. პრობლემის სათავეც სწორედ აქედან იწყება, მას იმდენად არ უნდა თავად იყოს ამ ყველაფერში დამნაშავე რომ ქმნის ირეალურ სამყაროს, საკუთარ თავს აჯერებს იმაში რომ არაფერიც არ მომხდარა ყველაფერი ძველებურადა, მისი შვილი, პატარა ჯუანშერი ცოცხალია და დროს აჩერებს იმ მომენტზე როცა უკანასკნელად ნახა შვილი.

საქმე გვაქვს ჩვეულებრივ მოვლენასთან, რომელსაც ფსიქიატრიაში ჰალუცინაციას უწოდებენ. რა ხდება ამ დროს? ეს არის უობიექტო აღქმა. ეს არის შემთხვევა, როდესაც წარმოდგენა უტოლდება რეალურ შეგრძნებებს. როგორც წესი, ჰალუცინაციას ახლავს განცდა, რომ ობიექტი, ან მოვლენა რეალურად არსებობს დროის აღმნიშვნელ მომენტში და სრულყოფილად აღიქმება. ჰალუცინაციის ერთ-ერთი სახეა მხედველობითი, როდესაც ერთმანეთში არის არეული ძველი და ახალი მოვლენები, ამ დროს ადამიანი სრულიად დარწმუნებით საუბრობს ირეალურზეც ისევე როგორც სიდონია, რომელიც დაბეჭითებით უმტკიცებს ექიმს, რომ მისი ჯუანშერი ოთახშია და სძინავს. მაგრამ არც ერთი წამით არ აძლევს ექიმს ოთახში შესვლის უფლებას, რადგანაც მან იცის რომ ეს ყველაფერი ირეალურია და მისი შექმნილი სამყაროა. საქმე გვაქვს ეგრეთნოდებულ გაორებასთან მასში ერთმანეთს ებრძვის ორი „მე“. იკვეთება ფსიქიკური აშლილობა, რომელიც იწვევს აბნეულ ფიქრებსა და ემოციებს. მას სამყაროსთან კავშირი აქვს დარღვეული, ჩაკეტილია საკუთარ თავში, ელაპარაკება მხოლოდ გარდაცვლილი შვილის სურათებს, ვერ აღიქვამს წელიწადის რა დროა, არ უნდა ფეხი აუწყოს დროს, ეშინია და გაურბის იმ ავადსახსენებელ რიცხვს, როდესაც მისი შვილი დაიღუპა და როდესაც ექიმი უსვამს კითხვას თუ რა რიცხვია ის ჰპასუხობს 19, ან 21 არამცდაარამც 20, რიცხვი, როდესაც მოკვდა მისი ჯუანშერი. ეს არის შიზოფრენიული ნიშნები, რომელსაც თან ერთვის მოტორიკის მოშლა, მას შემდეგ რაც ჩამოართმევს ექიმი მისი შვილის განუყოფელ სათამაშოს თეთრ კურ-

დღელს, რომელიც სიდონიას შვილის სიკვდილის შემდეგ მუდამ გულში აქვს ჩაკრული ხელი უნებურად ისევ გულთან მიდის და ვერ იმორჩილებს ისევ იმ პოზითაა როგორც ბოლოს იყო როდესაც შვილი ჰყავდა გულზე მიკრული. ამ დროს ადამიანები სრულიად გათიშულნი არიან რეალობისაგან, ისინი ვერც სხვებს ვერ უწევენ მზრუნველობას, ვერც სიდონია ვეღარ ზრუნავს შვილსა და ქმარზე.

ყველაზე საინტერესო კითხვა: რა ხდება ფსიქოპათოლოგიების დროს ადამიანის ტვინში?

მეცნიერები აკვირდებიან ნერვული სისტემის მუშაობას და სწავლობენ თუ რა სახეცვლილებას განიცდის ტვინის უჯრედები ფსიქიკური დაავადებების ზეგავლენით. ტვინის ქერქი როგორც ვიცით მონაწილეობს ფიქრის, მოძრაობისა და შეგრძნების პროცესში. უახლესი ტექნოლოგიებით გადაღებული სურათები აჩვენებს, რომ შუბლის ნილში, ანუ ტვინის ნინა ნაწილში განთავსებული რუხი ნივთიერება—არასდროს ისე აქტიურად არ მონაწილეობს ამ პროცესში, როგორც მსგავს სიტუაციაში მყოფი ჩვეულებრივი ადამიანის შუბლის წილი. არსებობს იმის დასაბუთებაც, რომ ფსიქიური აშლილობის დროს, სითხის შემცველი პარკუჭები, რომლებიც აგრეთვე ტვინშია განთავსებული ფსიქოპათოლოგიების დროს გაცილებით გადიდებულია, რაც დიდია პარკუჭი, მით მცირდება ტვინის რუხი ქსოვილის მოცულობა. დოქტორი ნენსი ანდერსონი აიღვას უნივერსიტეტიდან აღნიშნავს: რომ, შუბლის ნილი, რომელიც მთელი ტვინის 30%-ს შეადგენს, დაკავშირებულია ტვინის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებთან. მისი შემცირება იწვევს სირთულეებს ინფორმაციის ათვისებასთან დაკავშირებით, აზრის მწყობრად ჩამოყალიბების უნარის დაქვეითებას, ფიქრისა და ქცევის ორგანიზების გაძნელებას. ასევე თალმუსი, რომელიც მონაწილეობს ჩვენი აღქმის მიერ ინფორმაციის გაფილტვრასა და დახარისხებაში ფსიქოპათოლოგიების დროს დაპატარავებულია.

ყველა ამ დეფექტის ერთობლიობა აფერხებს ტვინის სხვადასხვა ნაწილებს შორის სრულფასოვანი კონტაქტის განხორციელებასა და გარდაუვალად იწვევს ჩავარდნებს მეხსიერებაში. აგრეთვე აძნელებს ინფორმაციის გადამუშავებას. არსებობს ტვინთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა. ეს გახლავთ დოფამინის ფაქტორი ის ნეიროგადამცემია, რომელიც არეგულირებს მოძრაობას და ზემოქმედებს ადამიანის გუნებასა და მოტივაციაზე.

დადასტურდა, რომ შიზოფრენიით დაავადებულთა ტვინი დოფამინის ჭარბ რაოდენობას შეიცავს. საინტერესოა რომ სწორედ იგივე ხდება ამფეტამინისა და კოკაინის მიღებისას რიგ შემთხვევაში იმიტომაა შიზოფრენიის მსგავსი შემთხვევები, რომ ეს პრეპარატები დოფამინის ჭარბ გამოყოფას უწყობს ხელს.

რატომ არის რომ სტრესი დეპრესიის მიზეზი ხდება?

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ დაძაბულობა ნუშისებრი სხეულის გაღიზიანებას იწვევს. ნუშისებრი სხეული მომწვანო ფერის არებისა და ადამიანის ტვინში, რომელიც ემოციების—განსაკუთრებით სიბრაზისა და შიშის რეგულირებაში მონაწილეობს. ეს მძაფრი შეგრძნების შედეგად მიმდინარე ჯაჭვური რეაქციაა ტვინში. ტვინში ნეიროგადამცემების შემცირება იწვევს დეპრესიას. ეს კი ხშირად სუიციდის მიზეზი ხდება. ეს დაკვირვება კოლუმბიის უნივერსიტეტის ფსიქიატრს, ჯონათან მანს ეკუთვნის. თვითმკვლელობის შედეგად გარდაცვლილი ადამიანების გვამების გაკვეთა სრულად ადასტურებს ამ ვარაუდს. მსხვერპლთა უმრავლესობას ტვინის გარსსა და ზურგის ტვინში აღენიშნებოდათ აღნიშნული ნივთიერების მკვეთრი ნაკლებობა.

ნორმალურ და პათოლოგიურ პერსონოლოგიაში პიროვნების ძალის ერთ-ერთ საზომა-ადგენს გამოცდა გამძლეობაზე. სწორედ ამ კუთხით მოქმედებს ჩვენი ნაწარმოების ფსიქიატრიც, ის ელოდება როდემდე გაუძლებს პაციენტი და თანდათან უფრო და უფრო ძლიერად ზემოქმედებს მასზე. შიშის პრობლემა, რომელიც ესოდენ საინტერესოა ნორმალური და პათოლოგური ფსიქოლოგი-სათვის ნაწარმოებში გაანალიზებულია მაღალ აკადემიურ დონეზე.

იმისათვის რომ სიდონია რეალობას დაუბრუნდეს, საჭიროა დააღწიოს თავი შიშს, რომ ის არ არის შვილის სიკვილში დამნაშავე. გონებამახვილი ექიმი ძალიან კარგად იყენებს სიდონიას საიდუმლოს, მის საყვარელთან დაკავშირებით და ბოლო მომენტში როდესაც ყოველგვარი ცდა სიდონიას „გამოფხიზლებისა“ უშედეგოდ ჩაივლის ბოლო, უმძიმეს დარტყმაზე გადადის, რომელსაც იცის შე-

დეგი აუცილებლად მოჰყვება.ის ეუბნება ქალს,რომ ყველაფერში მისი საყვარელია დამნაშავე, რომელმაც დააგვიანა სპეციალურად, მაგრამ სადარდებელი აღარაფერია, მისი შვილის სიკვდილში დამნაშავე უკვე მკვდარია, სიდონიას მაგივრად შური ნაძიებია.

„თითქოს მიწის გულიდან შადრევანივით ამოხეთქა ოთხი თვის დაგუბებულმა ნალველმა და ვაებამ, გმინვამ და ცრემლმა, ურვამ და ხარხარმა.... ერთი საათის ბორგვითა და ურვით ნაცემ-ნაბეგვი დედა მიბნედილი გდია და ნაწყენი ბავშვის სლუკუნით კვალდა კვალ მისდევს გამარჯვებულ ექიმს“....ხელიც ემორჩილება და აღარც თეთრი კურდღელი აქვს მიკრული, ოთახში თეთრი ზამთარი იხედება და სიდონიაც თეთრ კაბაში გამოწყობილი თვალს უსწორებს რეალობას.

მიზანი მიღწეულია, პრობლემა დაძლეულია, დაავადება განკურნებულია!

ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი 2010; მ.ჯავახიშვილი მოთხრობები თბ.2010 („კურდღელი“).
2. ზურაბაშვილი 1963; ა.ზურაბაშვილი „პიროვნების ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის პრობლემები“ თბ.1963
3. კარტერი 2002; რ. კარტერი „დავეხმაროთ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს“ თბ.2002
4. კორინთელი 1999; რ.კორინთელი სადოქტორო დისერტაცია „სინთეზურ-ჰერმენევტიკული ჯგუფური ფსიქოთერაპია მოსაზღვრე მდგომარეობების“ თბ.1999
5. კორინთელი 2000; რ. კორინთელი „ფსიქიკური ნორმის ცნების შესახებ“ თბ. 2000 (შრომათა კრებული მიძღვნილი მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის დაარსების 75-ე წლისთავისადმი).
6. მაყაშვილი 1998 მ. მაყაშვილი „ადამიანის თავის ტვინის ასიმეტრია“ თბ.1998
7. შარაშიძე 1998 გ. შარაშიძე „მედიცინის დედოფალი, ანუ შფოთიანთა ქალაქი“ თბ.1998
8. ნანეიშვილი 2011. გ.ნანეიშვილი „ფსიქიატრიის მოკლე კურსი“, თბ.2011

თინათინ ბეჭუკაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ხელმძღვანელი პროფესორი: ნანა გულიაშვილი

ნიცვას მარადიული დაპრუნების იდეის გრიგოლ რობაქიძისეული გააზრება

„აქ დიდი კრიზისია: მდგომარეობა თანდათან უარესდება. განსაკუთრებით ლიტერატურულ ფრონტზე. კერ ერთი: ამერიკანიზმი სპობს ნამდვილ ლიტერატურას. პაუზა არ არის, რომ გულდას-მით რაიმე იგ ზნო. გამეფდა მსუბუქი ლიტერატურა, დაძინების წინ წასაკითხი – ან და მოდუნებული სქესის გამაღიზიანებელი. კრიტიკა თანდათან ჰქონდა, რჩება მხოლოდ რეკლამა... ნურავინ იფიქ-რებს, რომ ევროპის სარბიელზე გასვლა მწერლისათვის მაინცა და მაინც სახარბიელო იყოს. მშობე-ლი მინა და მისი თბილი წიაღი ყველაფერია. ჩვენში მინას ჯერ კიდევ აქვს ჯიქანი. ჩვენში წიაღი უშ-რეტია“, ამსიტყვებს 1931 წელს, გერმანიიდან წერდა შენუხებული გრიგოლ რობაქიძე მიხეილ ჯავა-ხიშვილს. წუხილის მიზეზი დაკარგვაა, იმის დაკარგვა რაც „სამყაროს განახლებისკენ“ მოწოდებას მოჰყვა და მონატრება იმისა, რასაც ნამდვილი ვაჟური და ნამდვილი ქალური ჰქვია და რისი ნიადა-გიც ფრიდრიხ ნიცშეს მიერ დიდიხანია შემზადებული იყო ევროპაში, თუმცა გარკვეული სხვაობე-ბით: თუ ნიცშე ნამდვილად ქალურს, ნამდვილად ვაჟურს, მშვენიერსა და სრულყოფილს ანტიკურ ბერძნულ კულტურაში ხედავდა, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ამას ქართული, კავკასიური, ნინააზიური მითოლოგიური სამყაროც დაემატა.

რობაქიძე გატაცებული იყო ნიცშეს შემოქმედებით და მისი გავლენა აშკარაა მის ლიტერატუ-რულ მემკვიდრეობაზე, მსოფლმხედველობაზე. თავადაც შენიშნავდა: „დიონისურმა ფენომენმა და-მატყვევა – და კიდევ უფრო მეტად, – მარადიული დაბრუნების იდეამ“.

როგორც ცნობილია, ნიცშემ ერთი და იმავეს მარადიული დაბრუნების იდეა ღმერთის სიკვდი-ლის კონტექსტში განავითარა და ამდენად, მარადიული დაბრუნების იდეა და ღმერთის სიკვდილის პოსტულატი ერთ დიალექტიკურ მთლიანობად დააფუძნა. ღმერთის სიკვდილის პოსტულატი კი თა-ვის თავში ახალ ონტოლოგიურ ხედვას გულისხმობს: ყოფიერების „დავინწროებას“ და მხოლოდ სა-განთსამყაროდ, მოვლენათა სინამდვილედ გააზრებას, ვინაიდან, იქ, სადაც უარყოფილია ღვთის არსებობა და გაუქმებულია ღმერთის იდეა, ადამიანის არსებობა მხოლოდ ემპირიული სინამდვი-ლით შემოიფარგლება, უქმდება ყოველგვარი ტრანსცენდენტურობა: „გაფიცებთ ძებო, იყავით ერ-თვულნი მინისა და არ უჯეროდეთ, რომელნი საიქიოთი გაიმედებენ!“

ნიცშეს ამ ონტოლოგიური ნინასნარდაშვების თანახმად, ღმერთი/ტრანსცენდენტურობა ის ფიქციაა, რომელიც გაუქმდა და მასთან ერთად გაუქმდა მარადიული სასუფევლის იდეაც. შესაბამი-სად, რჩება მხოლოდ ყოფიერება/საგანთსამყარო. ნიცშეს მიხედვით, სწორედ ამ განზომილებაში ვლინდება სიცოცხლე, როგორც ყოფიერების ერთადერთი და თავისითავად არსებული ირაციონა-ლური საწყისი. შესაბამისად, ყოფიერების, როგორც არსებულის, არსებობის ფორმა დროსა და სივ-რცემი მოცემული კვდომისა და დაბადების მარადიულად განმეორებადი უსასრულო პროცესია და სუბიექტის ეგზისტენციაც სიცოცხლის საფუძველზე ემპირიულ დროსა და სივრცეში უსასრულოდ, მარადიულად მეორდება, როგორც დაბადებისა და კვდომის ერთი და იგივე უსასრულო პროცესი: „ყოველი მიღის, ყოველი ბრუნდებ; მარად ბრუნავს ბორბალი ყოფისა. ყოველი კვდება, ყოველი კვლავ ჰყვავის, მარად რბის წელი ყოფისა. ყოველი წარხდების, ყოველი ახლად ეწყობა; მარად შენ-დება იგივე სახლი ყოფისა. ყოველი განიყრება. ყოველი ახლად შეიყრება; მარად ერთგულია თავისა ნერ ყოფისა... ყოველი საგანნი მარად უკუქცევიან და ჩვენც მათთან, და ჩვენ უკვე დაუსრულებ-

ლად აქ ვიყავით და ყოველი სავანი ჩვენთან... წელნი ესენი ერთმანეთის მსგავსნი არიან დიდით და მცირედითაც. ესე თვით ჩვენც, ... ჩვენივე მსგავსნი ვართდიდი და მცირედითაც”.

ამგვარად, ნიცშემ ადამიანის არსებობა ემპირიული სინამდვილით შემოსაზღვრა. ადამიანის არსებობა განსაზღვრა, როგორც ყოველგვარ საზრისსა და მიზანს მოკლებული ემპირიული ყოფა, რომლის ფარგლებშიც ადამიანი ჩართულია მარად განმეორებად საზრისსმოკლებულ კვდომისა და დაბადების მარადიულ წრებრუნვაში: „ყოფა, ისეთი, როგორიც ის არის, საზრისსა და მიზანსაა მოკლებული, მაგრამ შეუქცევადია და განმეორებადი; ფინალობას მოკლებული, ივი არარაში ისწრაფვის: მარადიული კვლავდაბრუნება. ეს არის ნიპილი ზმის უკიდურესი ფორმა: მარადიული არარა”. ე.ი. ყოფიერების არსებობის ფორმა მიზნის არ ქონაა – სიცოცხლე არის დაუდგრომელი უმიზნო და უსაწყისო წრებრუნვა არარაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრიგოლ რობაქიძე გატაცებული იყო ნიცშეს მოძღვრებით, მაგრამ მას არ მოსწონდა ამ იდეის ახსნა–განმარტება და თავისებურად გაიაზრებდა: არა ერთეულის მარადიული დაბრუნება თავის თავისკენ, არამედ ერთეულში მარადიულის დაბრუნება თავისთავისკენ. ამ იდეამ ხორცი შეისხა გრ. რობაქიძის ექსპრესიონისტულ მითოგრაფიულ რომანში „გველის პერანგი“, კერძოდ არჩიბალდ მეკეშისა და ტაბა ტაბაის ერთ–ერთ ფილოსოფიურ დიალოგში:

„თითოეული და მთელი... მთელი – არა გროვა ცალკეულების – არამედ: სხეული თვითეულების... თვითეული მარტო: თითქო მთელს გამოყოფილი... თვითეული სხვებთან თითქო მთელში გახსნილი... ქვა. მცენარე. წყალი. ცხოველი. კაცი. ყოველი ამ რიგით და ამ სახით... ერთი ჰქმნის მეორეს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს. და ასე ბოლომდის–სანამ რკალი თავის პირველ რკალს არ დაუბრუნდება. [..]– ყველას კი „ერთი“ ჰქმნის... – ერთი. უთუოდ ერთი... უსახელო... მაგრამ ყოველი ქმნილი მემნელშია თვითონ – (გონება მიდის ზევით და ზევით)... ყოველი მენელი ქმნილშია თვითონ – (გონება მიდის ქვევით და ქვევით)... ხოლო ქმნილიც მეტია მენელზე და მენელიც მეტია ქმნილზე... რაც ხდება – ისაა საოცარი და საცნაური – (გონებაში ერთი იბადება).... დიახ: ელოდჰიმ – ერთი და თან მრავალი... რა არის ეს „ერთი“: მატერია თუ სული? – ეს დაყოფა ევროპის ანალიტიკაა... ივი არ არის არც მატერია და არც სული.. ან უკეთ: ივი მატერიაცაა და სულიც.. ან კიდევ უკეთ: ივი ამ დაყოფის მაღლა დგას: მიღმაა იქითა მხარეს..“

ნიცშეს ონტოლოგიური ნინასწარდაშვებისგან განსხვავებით, რომლის თანახმადაც ყოფიერების პირველსაწყისად სიცოცხლეა გამოცხადებული, რომელიც ყვინდება საგანთსამყაროს მარადიულ წრებრუნვაში, რობაქიძის ონტოლოგიური წინასწარდაშვების თანახმად, ზოგადად ყოფიერებას მეტაფიზიკურ–ტრანსცენდენტური/მითოსური პირველსაწყისები უდევს საფუძვლად, რასაც ის აღნიშნავს სიტყვით „თაურსაწყისი“ და რომელიც იდუმალ მყოფობს ყოველ საგანსა და მოვლენაში. ამგვარად, რობაქიძესთან გვაქვს ყოფიერების მითოსური გაგება, რომლის სიმბოლური გამოხატულებაა მარადიული დაბრუნების იდეა.

გრიგოლ რობაქიძის თვალსაზრისით, მითოურმა არ იცის დროის დინება. არ იცნობს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მითიურში მარადიული ანმყოა. ე.ი. ის, რაც მითიურში არსებობდა, არსებობს დღესაც.

მარადიული დაბრუნების იდეა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში კონკრეტულ სახეს იღებს. არჩიბალდ მეკეში, ანუ არჩილ მაყაშვილი ის არის, რაც დიდი თავადი ირუბაქ ირუბაქიძეა. დიდი თავადი ირუბაქ ირუბაქიძე ის არის, რაც არჩიბალდ მეკეში, ანუ არჩილ მაყაშვილია.

ნიცშესგან განსხვავებით, რობაქიძე აფუნდებს ონტოლოგიური სინთეზის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ტრანსცენდენტურობა და ემპირეა ურთიერთგანმსაზღვრევლ მთლიანობაშია გააზრებული, შესაბამისად, მითოსური და ისტორიული სინამდვილე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ ემპირიულ ფენომენში/საწყისში იმთავითვე მოცემული მისივე არაემპირიული პირველსაწყისი.

ნიცშესაგან განსხვავებით, რობაქიძესთან მარადიული დაბრუნება ყოფაში ერთი და იმავე მოვლენის მარადიულ განმეორებას კი არ გულისხმობს, არამედ ტრანცენდენტურ–მეტაფიზიკური ძალებისა და მითოსური პირველსაწყისების მარადიულ ემანაციასა და მოქმედებას ემპირიულ სინამდვილეში.

ერთი და იმავეს მარადიული დაბრუნების საკუთარ ინტერპრეტაციას რობაქიძე გოეთეს პირველმცენარის, ურფენომენის, ანუ პირველმოვლენის იდეაზე აფუძნებს: „არა ცალკეული უბრუნდება თავისთავს მარადიულად, არამედ მარადიული უბრუნდება თავისთავს ცალკეულში, ე.ი. თაურსაწყისი... თაურმცენარე მცენარის მითიური სინამდვილეა – არა ისტორიული ფაქტი, ერთჯერადი მოვლენა, არამედ კოსმიური, რომელიც მუდმივად ვლინდება. თაურმცენარე მითოსის გრძნობად–პოეტური სახეა. [...] ასე თვლემს ყოველ საწყისში პირველსაწყისი და მარადიული ხორცს ისხამს ცალკეულში“ (ბრეგაძე 2011: 172).

„ერთი“ კ/ტრანსენდენტურობა/პირველმოვლენისეული მითოსური პირველსაწყისები მარადიულად ვლინდება მრავალში, ანუ ემპირიული სინამდვილის მრავალფეროვან ფორმებში და პირიქით, მრავალი ისწრაფვის ერთისკენ. ამგვარად, რობაქიძე გოეთეს ურფენომენის მოძღვრებაზე დაყრდნობით ავითარებს ონტოლოგიურ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სუბიექტი თავისი არსიდან გამომდინარე, იმთავითვე ისწრაფვის მეტაფიზიკური პირველსაწყისებისაკენ, ანუ საკუთარი ჭეშმარიტი არსებობისაკენ, ეს მეტაფიზიკური საწყისები კი, სინამდვილეში ვლინდება ორგანული ბუნების მრავალფეროვანი ფორმების სახით. გრიგოლ რობაქიძე იყენებს ცნებას „სხვად ჩემი“, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანს სხვა ადამიანთან, ცხოველთან, მცენარესთან და საერთოდ მთელ სამყაროსთან საიდუმლო მისტიკური ძაფებიაკავშირებს. ისინი ერთნი არიან და მუდმივად ისწრაფვიან ერთმანეთისკენ. ყველაფერი, რაც ადამიანის გარშემოა, არის მისი სხვად. ადამიანის და ცხოველის უცნაური და საიდუმლო ერთიანობის სურათი რობაქიძის თითქმის ყველა რომანში გვხვდება („მეგი – ქართველი გოგონა“ – ნაუ განიცდის ცხენს, როგორც ტოტემს, როგორც ღვთაებრივის სიმბოლოს და იგავს; „ქალღმერთის ძახილი“ – ივლიტე და ცხენი ერთარსებასავით არიან, აქვე ქალისა და ვაჟის თანაყოფა ცხოველისა(ჯიხვის) და ხის ურთიერთობაში სახიერდება; „გველის პერანგი“ – არჩიბალდ მეკეშისა და „ალლანის“ ურთიერთობა). ადამიანი განიცდის გაორებას და მის დასაძლევად მუდმივად ისწრაფვის მთლიანობისკენ, მთლიანობა კი ადამ–კადმონის, ანუ ცოდვით დაცემამდელი, პირველადამი(ანი)სეული თვისება იყო და ადამიანის შინაგან არსში მისკენ მუდმივი სწრაფვაა ჩადებული („გრალის მცველნის“ მიხედვით, სწორედ, ადამიანის გაორება, მთლიანობის უქონლობაა ყოველგვარი ხითათის მიზეზი).

ამრიგად, ნიცშემ მარადიული დაბრუნების იდეით ყოფის აპსურდულ და საზრისმოკლებულ არსზე მიუთითა, ხოლო რობაქიძემ მისეული მარადიული დაბრუნების იდეა გოეთესეული ურფენომენის იდეის პერსპექტივიდან განმარტა და განავითარა საკუთარი ონტოლოგიური და ანთროპოლოგიური თვალსაზრისი: მარადიული დაბრუნების იდეას, ერთი მხრივ, გაიაზრებს როგორც ყოფიერების ერთი და იმავე მეტაფიზიკური/მითოსური პირველსაწყისების მარადიულ და უსასრულო ემანაციას ემპირიული სინამდვილის ფარგლეში, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც სუბიექტის ენტელექტის(შინაგანი არსის) აპრიორული ტრანსცენდირების ერთი და იმავე მარადიულ პროცესს მითოსურ–ტრანსცენდენტური პირველსაწყისებისაკენ, ანუ საკუთარი ჭეშმარიტი ეგზისტენციისკენ. რობაქიძისეული მარადიული დაბრუნების „მითოსური“ და „მისტიკური“ ინტერპრეტაცია გულისხმობს ტრანცენდენტურისა და ემპირიულის, მითოსურისა და ისტორიულის, მეტაფიზიკურისა და ფიზიკურის უსასრულო და მარადიულ დიალექტიკას – ურთიერთგამომდინარეობასა და ურთიერთგანსაზღვრულობას.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე 2003: ბაქრაძე ა. კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვანლი. თბ.: „ლომისი“, 2003.
2. ბრეგაძე 2011: ბრეგაძე კ. ნიცშეს მარადიული დაბრუნების იდეის კრიტიკა გრიგოლ რობაქიძესთან (გვ.169–180). – უურნალი „სჯანი“, 32, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
3. ნიცშე 1993: ნიცშე ფ. ასე იტყოდა ზარატუსტრა. გერმანულიდან თარგმნა ერ. ტატიშვილმა, თ. ბუაჩიძის რედაქციით. თბ.: 1993.
4. რობაქიძე 1989: რობაქიძე გრ. გველის პერანგი. ფალესტრა. თბ.: „მერანი“, თბ.: 1989.
5. რობაქიძე 2013: რობაქიძე გრ. 3 რომანი. თბ.: „არტანუჯი“, თბ.: 2013

ირმა გრიგალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ადამიანი ოთარ ჭილაძის შემოქმედები

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულმა მწერლობამ დიდი საუნჯე შეიძინა ოთარ ჭილაძის შემოქმედების სახით. ჩვენ წინაშეა უჩვეულოდ მრავალფეროვანი უნივერსალური ნაწარმოებები—მხატვრული წნული ღრმა ფსიქოლოგიზმის, ფილოსოფიისა და ისტორიისა. მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებული ნაღვანი მწერლისა, შეიძლება ითქვას მთელი მსოფლიოს სიკეთისა და სათნობის მასაზრდოებელია. ოთარ ჭილაძის ნაწარმოებებში მთელი სიცხადითა ნარმოდგენილი ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკა; ჭირ-ვარამი და ცოდნა-მადლი. შემოქმედის სათქმელის სიმწვავეს თითქმის ერთნაირი სიმძაფრით განიცდის ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელი, რადგანაც იდეა ამ დიდებული ნაწარმოებებისა არის ადამიანი; მისი შინაგანი და სულიერი სამყარო, მისი სატკივარი, საფიქროლი, გრძნობები, განცდები, შეცდომები... „ადამიანი უფრო მეტია ვიდრე ჰერინია, მაგრამ აქამდე ვერ უპოვნია საბრალოს თავი და გადის მისი მოკლე ცხოვრება შურში მტრობასა და სიძულვილში“ – წერს ჭილაძე. სწორედ რომ თავდაკარგული ადამიანის ძიებაა მწერლის ძირითადი საფიქრალი; შერი მტრობა და სიძულვილი კი ის მანკიერებებია, რაც მთელ ქვეყნიერებას უფსკრულისაკენ მიაქანებს, წყვდიადში აცხოვრებს და რასაც ებრძვის ავტორი.

მწერლისათვის ყველა მოკვდავი „ღვთის კალთიდან გადმოვარდნილი“ მარცვალია და სწორედ ამიტომ არის ის „უფრო მეტი“. ადამიანის საწყისი ღვთიურია, წმინდაა, სიკეთისთვისაა მოწოდებული. ამ საწყისის დავინუბება, რელიგიური თუ ეროვნული იდენტობის ვერშეგრძნებაა მთელი იმ ტრაგიზმის სათავე, რაც ოთარ ჭილაძის შემოქმედებაშია. „წნულს ვერ მონახავს ყველა მარცვალი რომ პურად იქცეს“ – ეს სიტყვები თვალსაჩინოდ გამოხატავენ ავტორის სატკივარს – ადამიანი თავს კარგავს და სწორ გზას სცდება, როცა თავის წარმომშობს ივინუბებს. უბედურია კაცი და უაზროა მთელი მისი ცხოვრება, როცა რწმენა არ აქვს, როცა არ იცის, „როგორ იმართლოს ან ვის წინაშე იმართლოს თავი“. უღვთო ადამიანი დაცლილი და გამოფიტულია ამ ქვეყნიურ სათნოებათაგან, გრძნობათაგან. არ აქვს არანაირი ფასეულობა, მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები. ეს ეთიკური უპრინციპობაა რომანის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ მთავარი პერსონაჟის უბედურების მიზე-ზიც. ქაიხოსრო მაკაბელს სიკვდილის ასე განუზომლად ეშინია უღმერთობის გამო... უღმრთოდ ხომ უსაშველო წყვდიადია, სიმარტოვე და სიცარიელეა, შემზარვია სიცოცხლესთან გამოსალმება. ვისაც სამარადუამო სასუფევლის არ სჯერა ის თავდაუზოგავად ცდილობს გაექცეს საკვდილს. ისევე, როგორც მაკაბელი – „ყველა სიკვდილი ერთნაირია, მამაო, ყველა ერთნაირად ყარს“, ასეთ შემთხვევაში სიცოცხლეს მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტიქტი წარმართავს. („ვაუკაცობა თავის გამოდება და სიკვდილი კი არაა, არამედ გადარჩენა, რადაც არ უნდა დაგიჯდეს“) ასეთი კაცის ცხოვრების კრედიტობრივი მხოლოდ საკუთარი თავის მოფრთხილებაა და სხვა არაფერი. ამიტომაც ეკარგებათ ადამიანებს; ერთგულების, პატივისცემის, თავგანწირვის, პასუხისმგებლობისა და სიყვარულის ცნებები. ასეთ ხალხს ვერავინ და ვერაფერი აბრკოლებს ცოდვის ჩადენისაგან. გავიხსენოთ, როგორი თავგამოდებით ცდილობს ქაიხოსრო პატარა გიორგაში უფლის რწმენის ამოძირვას, („იცი რაზე ვნადირობთ მე და შენ? ღმერთზე ვნადირობთ, ღმერთზე“!) რათა უმძიმესი დანაშაული ჩადენინოს. („შენ უნდა მოკლა ის თათარი“) ღვთის უარყოფაა ყველანაირი ბოროტების სათავე.

ოთარ ჭილაძის ნაწარმოებებში ადამიანური ტრაგიზმის კიდევ ერთ საფუძვლად მშობლიური ფესვების დავინუბებაც მიიჩნევა. ეროვნული იდენტობის შეცნობა და თავისთავადობის დაცვა ნაყო-

ფიქრი, აზრიანი სიცოცხლის გამქეზებელი მოტივებია „ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს“ თუკი კაცი ვერ გრძნობს თავს გარკვეული ერის ნაწილად და არ იცის, სადაა მის ადგილი ამ უკიდეგანო სივრცეში-, არ ახსოვს „ვისი გოროსაა“ ფუჭია მისი ცხოვრება, ფუჭი და უხეირო. მწერლის აზრით, სამშობლოს სიყვარული და ეროვნული თვითმყოფადობის შეგრძნებაა ჩვენი ცხოვრების კეთილშობილი აზრით დამტკირთველი. კეთილი საქმის კეთება კი უმთავრესად მას შეუძლია, ვინც „იცის საკუთარ ჭერის და პურის გემო“... მხოლოდ ის დაიცავს ადამიანთა ყველაზე დიდ მონაპოვარს, ყველა ნაყოფზე ტკბილ ნაყოფს – თავისუფლებას...

როგორც უკვე ითქვა, ღვთიური საწყისისა და მშობლიური ფესვების უარყოფაა მთელი კაცობრიობის ზნეობრივი გადაგვარების საფუძველი. ოთარ ჭილაძე თავის ნაწარმოებებში გვიჩვენებს არა მხოლოდ ამ საფუძველს, არამედ სულიერი დევრადირების შედეგსაც. „თუ სიკეთეა სულის საწყისი, ვიღას სჭირდება ამდენი სისხლი“, „რატომ ვერ ძლება ყველას სტომაქი კუთვნილი პურით, წყლით და პაერით?“ ეს ის კითხვებია, რომლებიც ადამიანს ოდითგანვე შეიძლებოდა გასჩენოდა, რადგან შური და მტრობა, გაუმაძლრობა იმთავითვე სუფევდა ხალხში. გაჩნდა ღალატიც, რაც ყველაზე მეტად უკაფავდა გზას ბოროტებას და ზურგს უმაგრებდა მას. ამ თემატიკის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ადსანიშნავია რომანი „გზაზე ერთი კაცი მიღიოდა“ ამ ნაწარმოებში ნათლად ჩანს რომ, სწორედ ადამიანებს მოაქვთ ტანჯვა და ტკივილი საკუთარი თავისთვის, რადგანაც ვერ ეწინააღმდეგენი ან ცდუნებასა და ბოროტებას. ისინი ემონებიან საკუთარ სურვილებს, სიმართლის მხარეზე ყოფნას კი ღალატს ამჯობინებენ. რომანის მიხედვით, საზარელ ვითარებაში აღმოჩნდება უძლეველი კოლხეთის სახელმწიფო, რადგანაც მეფეს საკუთარი ოჯახის ნევრები უდალატებენ. აიეტის ასული მედეა ის უსუსური არსებაა, რომელსაც არ შეუძლია ბედისწერას შეებრძოლოს, უარი თქვას სამშობლოსა და მამის დამღუბველ სურვილზე „ინათა თუ არა მედეამ უკვე იცოდა, უცხოელს რომ უშველიდა და თუ უცხოელი ხელს დაუქნევდა ძალლივით გაეკიდებოდა“ საკუთარი შეცდომის მსხვერპლია აიეტის შუბოსანი უხეიროც. ის პასუხს აგებს იმისათვის, რომ დაუფიქრებლად მიატოვა სამშობლო, უარი თქვა ქვეყნისა და მეფის სამსახურზე. მხოლოდ სიკვდილის წინ და ფეხების დაკარგვის შემდეგ მიხვდა შუბოსანი რომ გაუაზრებელი იყო მისი ქმედებები და რომ სამუდამო სატანჯველი მოუვლინა შთამომავალთ. უხეიროს ვაჟი ფარნაოზი „გაჩენის დღიდან გრძნობდა იმ თოკის ბოლო იყო, რომლითაც აიეტი გაკოჭეს მისმა ერთგულმა მცველებმა, რათა სამუდამოდ გაეთრიათ მშობლიური ქალაქიდან“ არასწორად წარიმართა შვილთა ცხოვრება მამის შეცდომის გამო, ღალატის გამო...

ამავე ნაწარმოებში მკითხველის წინაშე ცხადდება კიდევ ერთი ჭეშმარიტება – ხშირად კონკრეტული პიროვნების ჩანაფიქრებს ეწირება უამრავი ადამიანის სიცოცხლე და პირადი ცხოვრება. უფრო სწორად რომ ითქვას, ისევ და ისევ ხალხი თავისი უმეცრობითა აძლევს საშუალებას ერთ გაიძვერას წარმართოს მისი ბედი. „ყველაფერი ადრევე, აქედან ძალიან შორს, კნოსის სასახლეში ყველაზე დიდი მეფის გონებაში იყო მოფიქრებული და გადაწყვეტილი. მინოსმა იცოდა ხალხს მახვილი კი არა ტყუილი რომ იპყრობდა“. ცბიერმა იცის, როგორ გამოიყენოს ადამიანთა ცდუნებაცა და უცოდინრობაც თავისი მიზნის მისაღწევად. „ოყაჯადო ტახტის კანონიერი მემკვიდრის დროშით შემოვიდა ვანში და ეს დროშა აიეტის მოშუღლეებს, მაგრამ სამშობლოს დანატრებულ ვანელებს ეჭირათ ხელში მათთვის ეს ბრძოლა სამართლიანობისთვის ბრძოლა იყო და არცერთს არ მოსვლია თავში აზრად, რომ უფრო ცბიერი და შორსმჭვრეტელი მტერი, მათივე მეშვეობით სამუდამოდ ართმევდათ სამშობლოს“ უზომოდ ბევრი სისხლი დაიღვრილა კაცობრიობის არსებობის განმავლობაში უმიზნოდ, გაუაზრებლად. უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს ერთი ძალაუფლების მოყვარული, გაუმაძლარი კაცის ინტერესებს. მტანჯველ სისასტიკედ გადაუქცევია ბევრის ცხოვრება ომს. ომს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბოროტების ზემია, კაცზე ეშმას გამარჯვების სიმბოლოა და სასჯელია ადამიანის მიერ საკუთარი თავისთვის გამოტანილი. უსასრულოდ შეიძლება ამ მტკივნეულ თემაზე ვისაუბროთ, ვინაიდან ოთარ ჭილაძის შემოქმედება საკმაოდ ღრმად გვახედებს ადამიანის შინაგან სამყაროში, ააშკარავებს მის ავზნიანსა და ცოდვის ჩადენის წინაშე უსუსურ ბუნებას...

მიუხედავად ბოროტების დაუზოგავი მხილებისა, მოკვდავთა ცხოვრების სიმწარესა და ტრაგიზმს მწერალი უდიდესი თანაგრძნობითა და სიფაქიზით გადმოგვცემს. მკითხველს ინსტიქტურად შეიძლება გაუჩნდეს აგრესიული დამოკიდებულების განცდა შეცდომილი, უარყოფითი პერსონაჟის მიმართ, ავტორის მხრიდან კი არასოდეს იგრძბობა ზიზღი ნაწარმოების გმირებისა. პირიქით მას ებრალება ყოველი გზასაცდენილი, რადგანაც ყველას და მათ შორის უკანასკნელ ნაძირალასაც კი აქვს რაღაც სუფთა, მისი არსებობის საწყისიც ხომ დვთიურია. ყველაზე ცუდი ტიპაჟების ქმედებებსაც კი შეგვიძლია მოვუძებნოთ „გამართლება“, თანაგრძნობის გამომწვევი საყრდენი, რადგანაც მწერალი გმირში მხოლოდ ცუდსა და გასაკიცხს არ დებს. მისი აზრით, არ არსებობს მხოლოდ ბოროტი ან მხოლოდ კეთილი არსება. ადამიანად ყოფნა გაუთავებელი ჭიდილია წმინდა საწყისისა და შავბნელი ძალებისა.. აი ამიტომაც ებრალება მკითხველს გზააბნეული, მშიშარა და უსუსური ქაიხოსრო მაკაბელი, რომელსაც არჩევანის თავისუფლება არ დაუტოვეს და მოწყვიტეს თავის კერას, სისხლისფრად აღუბეჭდეს გონებაში სამშობლო მოძალადეებმა. რაღა გასაკვირია მისგან ნაკლული კაცი რომ, გამოვიდა!? ამდენადვე შესაბრალისს ხდის მწერალი მედეასაც და უნოდებს მას „საწყალ გოგოს“ ეს პერსონაჟი უბრალოდ უგულო მოღალატე კი არაა, ისაა „მსხვერპლი ავანტიურისა“... ისა ჩვეულებრივი ადამიანია, რომელმაც ვერ შეძლო საკუთარ სისუსტეებზე ამაღლება. მკითხველის თანაგრძნობის თვალი ექცევა საწოლზე მიჯაჭვული უხეიროსკენაც. ოდესლაც მძლეთა მძლე ვაჟკაცი ერთ შეცდომას და ბედისწერას მტანჯველი მოგონებების მქარგველ, საცოდავ მოხუცად რომ უქცევია..... მწერალი თანაუგრძნობს მათ მთელი გულწრფელობით. მიზანი მისი ის კი არაა ადამიანი შეგვაჯავროს, მას სურს ცოდვა შევიძულოთ, მოყვასი კი დავაფასოთ და შევიბრალოთ....

კიდევ არაერთი მაგალითით შეიძლება იმის დადასტურება, რომ ოთარ ჭილძის შემოქმედების ამოსავალი წერტილი ადამიანია, „ამქვეყნიურ ვნებათა ცეცხლში ყელამდე მდგარი“ ადამიანი. ჩვეულებრივი მოკვდავი თავისი არაპროგნოზირებადი, უჩვეულო და მუდმივად განმაცვიფრებელი ფსიქიკით, სულითა და გუნებით. „არასოდეს არ ვიცი წინასწარ როდის, როგორ მოიქცევა იგი... და მაინც მე მგონია, სწორედ ესაა მისი მომხიბვლელობა“ – ამბობს მწერალი, ალბათ, ამიტომაცა მისი შემოქმედება ასეთი ახლობელი და ამაღლელვებელი მკითხველისათვის.

და ბოლოს, სხვა ყველაფერთან ერთად შემოქმედის მთავარი საზრუნავი ადამიანის ზნეობრივი განწმენდა, მოფრთხილება და დაცვა. „არც კი წარმომიდგენია უადამიანოდ დარჩენილი სამყარო, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ამიტომ მოდით დროულად შევუდგეთ ადამიანის სულის ხელახლა განაშენიანებას, ხელახლა ჩავყაროთ სიკეთის, სიყვარულის, სათხოების ტყეები, რათა ხვალ და ზეგ სულის აღდგენილ ქანებს კვლავ დაუბრუნდეთ თესლის მიღებისა და აღმოცენების უნარი იკ-წერს ოთარ ჭილაძე

მისი შემოქმედება კი ის წვიმაა, კლდესაც რომ რეცხავს და კაცის გულსაც....

ლიტერატურა:

1. ჭილაძე 1989, ოთარ ჭილაძე, რჩეული, თბილისი 1989, თხზულებანი: „ადამიანი გაზეთის სვეტში“, „გზეზე ერთი კაცი მიდიოდა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ „ილაძე 1992, ოთარ ჭილაძე ესეები, წერილები თბილისი 1992, წერილები: „სიცოცხლისათვის“, „ადამიანი დროისა და სივრცის უსასრულობაში“.

ირაკლი სალია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: რუსუდან ასათიანი

„სასმისის“ განმსაზღვრელი ზოგადი ტ საკატეგორიზაციო ნიშვნები და შესაბამისი პაზისური კატეგორია ქართულ ენობრივ სივრცეში

ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში მეცნიერების ახალი დარგის დ კოგნიტიური ფსიქო-ლოგიის, უფრო ზოგადად კი კოგნიტიური მეცნიერების, განვითარებამ ახალი იმპულსი შემოიტანა ენათმეცნიერებაში. კოგნიტიური მეცნიერება შეისწავლის, თუ როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი, როგორ ღებულობს ინფორმაციას შეგრძენების მეშვეობით, როგორ გადაამუშავებს მიღებულ ინფორმაციას, როგორ უდარებს ადრინდელ მონაცემებს, ახარისხებს და ინახავს მეხსიერებაში. იგი არკვევს, თუ როგორ ხდება მიღებული ინფორმაციის სტრუქტურირება და ენობრივ ფორმებად რეალიზება, როგორ მოვიხმართ ამ ინფორმაციას ფიქრისას და მსჯელობისას. კოგნიტიური კვლევების წარმოებისას ენას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან სწორედ ენითაა გაშუალებული აზროვნებისა და აზრის გადმოცემის პროცესი (ლოგნერი 2010:7).

ინფორმაცია სტრუქტურირდება სხვადასხვა კატეგორიზაცია იმისა, რასაც აღვიქვამთ (ან წარმოვიდგენთ, ან გავიხსენებთ) ნიშნავს, რომ მას აღვიქვამთ გარკვეული სახის (ტიპის) ოდენობას. მაგალითად, თუ ვუყურებთ ადამიანის ფოტოს, მას აღვიქვამთ როგორც „ფოტოს“ ტიპის საგანს, რომელზეც გამოსახულია რაღაც „ადამიანის“ ტიპისა. თუკი ეს ადამიანი შევიცანით, მოვახდენთ მის კატეგორიზაციას, როგორც ამ კონკრეტული ადამიანისა. ყოველივეს, რაც ჩვენს ცნობიერებაში შემოდის, მივაკუთვნებთ ერთ ან რამდენიმე კატეგორიას (ლოგნერი 2010:10).

არსებობს კატეგორიზაციის ორი თეორია: კლასიკური და პროტოტიპული. კლასიკური თეორიის მიხედვით, კატეგორიზაცია ემყარება აუცილებლობისა და საქმარისობის პრინციპს (მაგალითად, პინგვინი მიეკუთვნება ჩიტების კატეგორიას მხოლოდ მაშინ, თუ ის აქმაყოფილებს იმ პირობათა გარკვეულ სიმრავლეს, რომელიც ამ კატეგორიას განსაზღვრავს). კატეგორიებს შორის საზღვრები მკაფიოა, რადგან კატეგორიის განმსაზღვრელი პირობები ბინარულია: ნებისმიერი რამ ან აკმაყოფილებს პირობათა სიმრავლეს, ან არა. პროტოტიპული თეორიის მიხედვით, კატეგორია განისაზღვრება პროტოტიპის მიხედვით, ე.ი. მოცემული კატეგორიის იმ ნიმუშებით, რომლებიც პირველად გვახსენდება და რომლებიც ტიპური წარმომადგენლები არიან მოცემული კატეგორიისა. კატეგორიაში შემავალ წევრებს აქვთ წევრობის განსხვავებული ხარისხი, რაც პროტოტიპთან მსგავსების მიხედვით დგინდება. პროტოტიპის ცნება ყველაზე უკეთ მუშაობს ბაზისური დონის კატეგორიებისთვის, რომელთა წევრების ერთიანი, მარტივი ფორმა და მათთან ჩვენი ურთიერთქმედების ერთნაირი სახე ქმნის პროტოტიპის დიდ ნაწილს. ბაზისური დონის კატეგორიებს ახასიათებს სხვებისაგან გამორჩეულობის განსაკუთრებით მაღალი ხარისხი, სპეციფიკური მახასიათებლების სიმდიდრე, რაც მაღალ სასიგნალო ლირებულებას ნიშნავს. ბაზისურ დონეზე იპერაციები ხორციელდება უფრო სწრაფად, ვიდრე შედარებით დაბალ ან მაღალ დონეზეზე: შესაბამისად, ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებში საპასუხო ქმედების დრო ბაზისურიკატეგორიების შემთხვევაში უფრო მცირეა. (ლოგნერი 2010:8, 28)

ბაზისური კატეგორიის საუკეთესო ნიმუშის დადგენა ძირითადად ორი სახის ექსპერიმენტით ხორციელდება: პირველ შემთხვევაში, ცდისპირებს სთხოვენ ჩამოთვალონ მოცემული კატეგორიის რაც შეიძლება მეტი წევრი. მეორე შემთხვევაში, ცდისპირებს უსახელებენ კატეგორიას და ამ კატე-

გორიის სავარაუდო წევრების სიას, შემდეგ სთხოვენ მათ, ყოველ ნიმუშს მიანიჭონ ქულა იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგი წარმომადგენელია იგი მოცემული კატეგორიისა. უმაღლესი შეფასება ენიჭება კატეგორიის საუკეთესო, უმცირესი კი – კატეგორიის ყველაზე სუსტ ნიმუშს. გარკვეული ნიმუშები კატეგორიის წევრობის გარეთ რჩებიან(კროფტი 2006:13)

ქართულ ლინგვისტურ სივრცეში კოგნიტიური ხასიათის კვლევები იშვიათია. შეუსწავლელია მრავალი კატეგორია, მათ შორის „სასმისის“. ამ კატეგორიის კვლევისათვის ჩავატარეთ ზემოთხენებული ორივე სახის ექსპერიმენტი. „სასმისის“ პროტოტიპული ნიმუშის დადგენა ქართული კულტურის გათვალისწინებით განსაკუთრებით საინტერესოა. ექსპერიმენტმა უნდა აჩვენოს, თუ რას მოიაზრებენ ქართული ენობრივ-კულტურული სივრცის წარმომადგენლები ამ კატეგორიის ფარგლებში დ მხოლოდ ალკოჰოლური სასმელების ჭურჭელს, თუ ზოგადად, ნებისმიერი სითხისათვის განკუთვნილ სასმისა.

სიტყვა „სასმისი“ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შემდეგნაირად არის განმარტებული: **სასმისი-ი** (სასმისისა) ჭურჭელი (ჭიქა, ფიალა, კულა...) ღვინის ან სხვა სასმლის შესასმელად. „დაიჭი! ამ სასმისს მოჰკიდე ხელი!“ (აკაკი). (ჩიქობავა 1950:808)




ფორმის თვალსაზრისით, სიტყვა სა-სმ-ის-ი წარმოადგენს არსებით სახელადქცეულ საობიექტო მიმღეობას, სადაც სა-ის ცირკუმფიქსი დანიშნულების სემანტიკის მანარმოებელია (სა-ხნ-ის-ი, სა-ცხოვრ-ის-ი, სა-ძრახ-ის-ი, სა-ზრ-ის-ი...). (ჯორბენაძე 1988:243)

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა ქართულ ენობრივ სივრცეში სასმისისკატეგორიაში შემავალი წევრები და გაგვერკვია, თუ კონკრეტულად რომელი კონცეპტი წარმოადგენს აღნიშნულისემანტიკური ველის ბაზისურ კატეგორიას.

ამ მიზნით, მასალის მოსაპოვებლად ჩავატარეთ ორი სახის ექსპერიმენტი, რომელშიც მონაწილეობდა 14 ცდისპირი – 7 გოგონა და 7 ვაჟი, 18–დან 23 წლამდე ასაკის. ცდისპირთა სქესის ამგვარი თანაფარდობა განაპირობა ვარაუდმა, რომ კატეგორია „სასმისისადმი“ დამოკიდებულება სასმელის (კერძოდ, ალკოჰოლურის) აქტიურ და პასიურ მომხმარებელთა შორის მოგვცემდა განსხვავებულ სურათს; ასაკი კი შეირჩა ახალგაზრდების ცნობიერებაში არსებული „სასმისის“ კატეგორიის თავისებურებების გამოსავლენად.


პირველი ექსპერიმენტისას, შერჩეულ ცდისპირებს ვთხოვდით ჩამოეწერათ საგნები, რომლებიც უმაღვე აგონდებოდათ „სასმისის“ ხსენებისას. მეორე ექსპერიმენტისას კი ამოცანა ოდნავ გართულებული იყო – მონაწილეებს ევალებოდათ შეეფასებინათ წინასწარ მიწოდებული სია 1–დან 15 ქულის ჩათვლით, იმის მიხედვით, თუ ამ კატეგორიის რამდენად კარგ ნიმუშად მიაჩნდათ თითოეული მათგანი.

საინტერესო შედეგები აჩვენა პირველმა ექსპერიმენტმა, რომლის დროსაც ცდისპირებს ვთხოვთ, თავად ჩამოეთვალათ „სასმისის“ კატეგორიის ნიმუშები. ამ დავალების შესრულებისას ისინი მეტ დროს ხარჯავდნენ, ვიდრე მეორე ექსპერიმენტის ამოცანის გადასაწყვეტად, როდესაც მათ კატეგორიის შეთავაზებულიწევრები უნდა შეეფასებინათ. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ შვიდ შემთხვევაში დაემთხვა ორივე ექსპერიმენტის შედეგი (ცდისპირებმა თხუთმეტი ქულით შეაფასეს ის ნიმუში, რომელიც პირველად დაასახელეს მეორე ექსპერიმენტის დროს). ამავდროულად, ცდისპირებმა დაასახელეს ისეთი ნიმუშებიც, რომლებიც არ იყო მეორე ექსპერიმენტში მიწოდებულ სიაში, მაგალითად, ლამფის შუშა, ლომის ქერქი, ხორცისკები, „შპრიცი“. იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ დაასახელა თითოეულმა ცდისპირმა ესა თუ ის საგანი, შედგა სიხშირეთა მაჩვენებლების შემდეგი ცხრილები:



მეორე ექსპერიმენტის მსვლელობისას, „სასმისის“ საუკეთესო ნიმუშის გამოსავლენად ცდისპირებს (შვიდს მდედრობითი სქესისა და შვიდს – მამრობითისას) მიეწოდებოდათ შემდეგი ლექსემები: **არაყის ჭიქა, „ვაზა“, კათხა, კოლინსი, კრამიტი, ფეხიანი ჭიქა, ფიალა, ფინჯანი, ქალის ფეხსაცმელი, ღვინის ჭიქა, ყავის ჭიქა, ყანწი, ჩაის ჭიქა, ნვენის ჭიქა, ჭინჭლა.**

მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის კატეგორიის საუკეთესო ნიმუში აღმოჩნდა **ყანწი** (საშუალო შეფასება – 13,142), ყველაზე ცუდი კი **ქალის ფეხსაცმელი** (3,857). მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა საუკეთესო ნიმუშად მიიჩნიეს **ნვენის ჭიქა** (საშუალო შეფასება – 10,482), ყველაზე ცუდი მიმუშად კი **ქალის ფეხსაცმელი** (2,714). საერთო ჯამში, გამოკითხულთათვის კატეგორიის საუკეთესო წარმომადგენელი აღმოჩნდა **ყანწი** (10,571), ნევრობის ყველაზედაბალი ხარისხი კი მანიქეს **ქალის ფეხსაცმელს** (3,285). რაც შეეხება დანარჩენ ნიმუშებს, მათი შეფასებების რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგი ცხრილების სახით შეიძლება იყოს შეჯამებული და წარმოდგენილ:



მდედრობითი და მამრობითი სქესის ცდისპირთა მონაცემები მსგავსია მხოლოდ ორ შემთხვევაში: **ღვინის ჭიქას** მეოთხე ადგილი უჭირავს; **ქალის ფეხსაცმელიკი** ბოლო, მეთხუთმეტე ადგილს იკავებს.

ექსპერიმენტების შედეგების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ „სასმისმის“ კატეგორის საუკეთესო ნიმუში, გამოკითხულთა შორის არის ჭურჭელი, რომელიც ალკოჰოლური სასმელისთვისაა განკუთვნილი და ეს სასმელი, ნაცვლად მოსალოდნელი ღვინისა, არის ლუდი, შესაბამისად, „სასმისმის“ საუკეთესო ნიმუშად გამოიკვეთა—კათხა. მეორე და მესამე ადგილიც, ალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილ სასმისებს უჭირავთ: II ადგილი –ყანწი; III ადგილი –ღვინის ჭიქა. მხოლოდ ამის შემდეგ მოდის წყლისა თუ სხვა, არაალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი, მაგალითად, **ფინჯანი**, რომელსაც ცდისპირთა საერთო მაჩვენებლების მიხედვით, მეოთხე ადგილი უკავია.

აღსანიშნავია სხვაობა, რომელსაც მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა მონაცემები აჩვენებს: მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის, სასმისმის კატეგორიის საუკეთესო ნიმუშიალმოჩნდა **ყანწი**, მაშინ როდესაც იგივე **ყანწი**, მამრობითი სქესის ცდისპირთათვის მეათე ადგილზეა; და პირიქით, **ნვენის ჭიქა**, რომელსაც მამრობითი სქესის გამოკითხულები საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევენ, მდედრობითი სქესის ცდისპირებისათვის მეთორმეტე ადგილს იკავებს. საინტერესოა, რომ მდედრობითი სქესის გამოკითხულთათვის პირველი სამი ადგილი ალკოჰოლური სამელებისათვის განკუთვნილ სასმისებს უჭირავს: I – **კათხა**, II – **ყანწი**, III – **ღვინის ჭიქა**, ხოლო მამარობითი სქესისათვის განაწილება შემდეგნაირია: I – **ნვენის ჭიქა**, II – **ჩაის ჭიქა**, III – **ფინჯანი**.

მიღებული შედეგი მოსალოდნელის საპირისპიროა: მდედრობითი სქესის წარმომადგენელებმა საუკეთესო ნიმუშებად მიიჩნიეს სასმისები, რომლებიც ქართული ტრადიციული სივრცისათვის მეტად ნიშანდობლივია. როგორც ჩანს, მათი შეფასებებისას გადამწყვეტი როლი ითამაშა არა პრაქტიკულად ამ სასმისების მოხმარების ფაქტმა (ე.წ. ინდივიდუალურმა დ ყოველდღიურმა, საყოფაცხოვრებო ცოდნამ), არამედ კულტურულმა ცოდნამ. საპირისპიროდ, მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა უპირატესობა მიანიჭეს სასმისებს, რომლებსაც ყველაზე ხშირად მოიხმარენ ანუ, მათ შეფასებები გააკეთეს ყოველდღიური გამოცდილების, ე.წ. ინდივიდუალური ცოდნის შესაბამისად. (ინდივიდუალური და კულტურული ცოდნის შესახებ იხ. ლოებნერი 2010: 40-41) ცხადია, მიწოდებული სიიდან ამგვარი ფუნქციის მქონე საუკეთესო ნიმუში არის **ნვენის ჭიქა**, რომელიც ამავდროულად, წყლისათვის განკუთვნილ სასმისთანაც ასოცირდება.

თუმცა კვლევის ამ ეტაპზე მოცემული ჯგუფების მონაცემების ანალიზით შემოვიფარგლეთ, პერსპექტიულად გვესახება მსგავსი გამოკითხვების სხვა სოციალურ ჯგუფებშიც (ასაკის, პროფესიად საქმიანობის, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის – ქალაქი თუ სოფელი, განათლების დონის, სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებისა, თუ სხვა კრიტერიუმების განსხვავებულ) ჩატარება და სტატისტიკურ მონაცემთა საბოლოო შეჯერებით საერთო ქართულ ენობრივ სივრცეში „სასმისმის“ საუკეთესო ნინუშის, ე.წ. ბაზისური კატეგორიის დადგენა.

ლიტერატურა:

- Grdenfors, P. 2000. Conceptual Spaces: The Geometry of Thought. “A Bradford Book”. Cambridge, Massachusetts, London, England: The MIT press.
- Jackendoff, R. 1997. Semantics and Cognition. In: The handbook of contemporary Semantic Theory. (ed. Shalom Lappin). Massachusetts: Blakwell Publishers. 539–361.
- ამირეჯიბი 2008. რ. ამირეჯიბი. კონცეპტი და მეტაფორული აზროვნება (შიშის ველის მაგალითზე): http://www.icgl.org/Linguistic/koncepti_da_metaporuli_azrovneba.pdf

4. გამყრელიძე, 2008. გამყრელიძე თ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი. 2008.
5. კროფტი 2005. კროფტი უ., კრუზი ა. კოგნიტიური ლინგვისტიკა: ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია, I, თბილისი, 7-52.
6. ლოებნერი 2005. ლოებნერი ს. მნიშვნელობა და შემეცნება: ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია, III, თბილისი, 7-53.
7. ფრომკინი 2009. ვიქტორია ა. ფრომკინი. ლიგვისტიკის თეორიის შესავალი. თბილისი. 2009.
8. ჩიქობავა, 1950. ჩიქობავა ა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VI. თბილისი. 1950.
9. ჯორბენაძე 1988. ჯორბენაძე ბ. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი. 1988

ეკატერინე ქადაგიშვილი, მარიამ ნავაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: თედო უთურგაიძე

მესამე პირდაპირობიერული პირის მარკირებისათვის ჩართული

ზმნა სიტუაციის ამსახველი მეტყველების ნაწილია. მას გააჩნია პირის კატეგორია. რომლობის მიხედვით პირი სამია, რაგვარობის მიხედვით ორი: სუბიექტური და ობიექტური. ობიექტი ორგვარია: პირმიმართი (O^d და O^{in}) და პირმიუმართავი (O^{ind-u}). პირმიმართ ობიექტებს აქვთ თავიანთი ნიშნები ორსავე რიცხვში. ქართული ენა ზმნების უღლების საწარმოებლად იყენებს როგორც პრეფიქსებს, ისე სუფიქსებს. პრეფიქსებიცა და სუფიქსებიც შეიძლება ორგვარი იყოს: სუბიექტური ან ობიექტური. თუმცა ამჟამად ჩვენი კვლევის საგანია მესამე პირდაპირობიერული პირის პრეფიქსები. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, თუ ზმნას დამატება სახელობით ბრუნვაში აქვს, პრეფიქსები მას მხოლოდ პირველსა და მეორე პირში ექნება, თუ ობიექტი მიცემითბრუნვიანია, მაშინ ზმნას პრეფიქსები მესამე პირშიც ექნება. ძველ სალიტერატურო ქართულში ზმნას პირდაპირი ობიექტის აღსანიშნავად მესამე პირში არანაირი ნიშანი არ აქვს. მაშასადამე, ის აქ ნულის ტოლია. მაგრამ გადაიქცევა თუ არა უდამატებო და სახელობით დამატებიანი ზმნა მიცემით დამატებიანად, გაუჩნდება შესაფერისი ნიშანი ფორმაში.

ჩვენი მოხსენება ემყარება ასეთი მორფონოლოგიური ტიპის ცვლილებებს. საზომად აღებული გვაქს მზარდი ნაპრალოვნების სქემა, რომლის მიხედვითაც ხდება სიტყვათა დამარცვლა. თუ დამარცვლა ვერ ხერხდება ფონემატური კანონების დაცვით, მოსალოდნელია ცვლილება. ჩვენი მოხსენება ამ ფონემატურ კანონებს უკავშირდება.

ზმნებში, რომელთაც ნ. მარი „ობიექტური აგებულების“ მქონებად მიიჩნევს, ობიექტური პრეფიქსი ჰ(–) | ს(მ) – საზოგადო წესით იხმარება. ასეთია ჰეთული ტიპის ზმნები. პირველ სერიაში ჰეთული ტიპის ზმნებთან ყოველთვის იქნება ნარმოდებენილი მესამე პირდაპირობიერული პირი თავისი ნიშნით. ასეთი ზმნებია: შეჰკრავს, დაჰლოცავს, დაჰფარავს, ჰეთულებს... თუმცა გარდა ამისა არსებობს ზმნები, რომებშიც ჰაესა და სანის ხმარების წესი განსხვავებულია. ასეთია და-ჰპადა ტიპის ზმნები, რომლებიც ძველ სალიტერატურო ქართულში დამატებას ჩვეულებრივ სახელობით ბრუნვაში მოითხოვენ, მაგრამ მიცემით დამატებიანი ზმნების უღლებას მიჰყებიან. ეს გვაფიქრებინებს, რომ ძველად მათ დამატება მიცემით ბრუნვაშიც უნდა ჰქონოდათ. ე.ო. შესცვლიათ მხოლოდ სინტაქსური კონსტრუქცია, მორფოლოგიურად კი ვერ მოუსწრიათ. ძველ ქართულში მათ ეწყობათ ორი პირი: სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი. ა. შანიძის აზრით, მათ აკლიათ ირიბი ობიექტი. მართალია, დაჰპადა ტიპის ზმნებში ობიექტი პირდაპირია, მაგრამ ნიშანი დაკარგული ირიბი ობიექტი-საა. ასეთი ზმნებია: დასთესა, დაჰპეჭდა, დაჰნერგა, დასთხია... მსგავსი ტიპის ზმნების სამპირიანობას ადასტურებს კონვერსიული პასივის ნარმოებაც. დაჰპადა ტიპის ზმნათა კონვერსიული პასივი არის ე- პრეფიქსიანი: დაეთესა, დაებეჭდა, დაენერგა, დაეთხია... წესით კი უნდა იყოს ერთპირიანი, ი- პრეფიქსიანი. გამონაკლისია მხოლოდ დაჰპადა ზმნა, რომელიც –დ სუფიქსიანია. ამ ზმნაში ნარმოდგენილია ირიბობიერული პირის ნიშანი. შემდგომში ეს ზმნებიც ი- პრეფიქსიან ნარმოებაზე გადავიდნენ: დაითესა, დაიბეჭდა, დაინერგა, დაითხია და ა.შ.

ა. შანიძე გამოყოფს ქადაგებს ტიპის ზმნებს და ამბობს, რომ ასეთ ზმნებში მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტის ნიშანი არ არის ნარმოდებენილი. ქადაგებს ტიპისაა: ჭამს, ზრდის, შობს, ზრუნავს, თლის... რაც შეეხება მეოთხე – შერეული ტიპის ზმნებს, ასეთ ზმნებში ხან იქნება ნარმოდ-

გენილი ობიექტური პირის ნიშანი, ხან – არა. შერეული ტიპის ზმნებია: ჰმეის//მკის, ჰგმობს//გმობს, ჰკაფს//კაფს...

მეცნიერის აზრით, გამოიკვეთება ორი დიალექტური მიმართულების ბრძოლა: ერთი მიისწრაფის, რომ ზმნას ნიშანი გაუჩინოს იმის მიხედვით, ობიექტი რომელ ბრუნვაშია. არ აქვს მნიშვნელობა, ობიექტი პირდაპირია თუ ირიბი (ჰყოფს ტიპი). ხოლო მეორე ზმნას სწორედ ობიექტის რაგვარობის მიხედვით უჩენს ნიშანს (ქადაგებს ტიპი). სწორედ ამ დიალექტთა შერევის შედევია ქადაგებს და ჰყოფს ტიპის ზმნების თანაარსებობა.

ა. შანიძის მიხედვით, ქართლურ, კახურ, ქიზიურ კილოებში მეორდება ძველი სალიტერატურო ენის წესი. ზმნა მხოლოდ მაშინ იჩენს ნიშანს, თუ დამატება მიცემით ბრუნვაში დგას. სახელობით დამატებიან ზმნათა წარმოებისას აღარ შეიმჩნევა ისეთი მერყეობა, როგორც ძველ ქართულში. ვ–ის ნიშნად გამოდის, რომელიც სუსტი ბგერაა და ხშირად იკარგება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თანხმოვანს მოსდევს.

ფშაური კილო „ენისწვერისმიერი ბგერებისა და აფრიკატების წინ ჩეს გამოთქმა იმდენად უახლოვდება სანისას, რომ მასთან ერთად რთულ ბგერას წარმოადგენს“, რომელის დასაწყისია ქე, და-სასრული კი სანი (ga—leavws).

თუშურ კილოში თუ ზმნას აქვს დამატება მიცემითში, იჩენს ნიშანსაც. პირველი სუბიექტური პირის ფორმასთან კი შეიძლება დაიკარგოს თანხმოვნების ერთად დაჯგუფების გამო.

სამწუხაროდ, მეორე დებულების საილუსტრაციო ფორმები ნაშრომში წარმოდგენილი არ არის.

თ. უთურგაძის ინფორმაციით, **ვხფხრენ** „ვფხრენ“, **ვხპატრონობ** „ვპატრონობ“ (მას), **ვხპრანჭავ** „ვპრანჭავ“, **ვლპრძანებდივ** „ვპრძანებდიო“ (მე მას)... ტიპის ფორმებში, სადაც /ვ-/–ს (შ₁) არ შეეძლო მეტათეზისის განხორციელება ფუძისეულ ბაგისმიერთა გამო, ვ–ის ნიშანი ყველან იხმარება – მორფოლოგიურად ის აუცილებელია ვ–ის ხმარების საერთო წესით, როგორც ეს პირველ დებულებაშია წარმოდგენილი.

ხევსურულ კილოს თავისებური მიდგომა აქვს პრეფიქსებისადმი როგორც მორფოლოგიურად, ისე ფონოლოგიურად. მთავარ თავისებურებას გვიჩვენებს Օვ–ის გამოხატვის დროს. ზემოთ განხილული კილოები უფრო მარტივად წყვეტენ საკითხს. მესამე ობიექტურ პირს ნიშანი მუდმივად აქვს, თუ ობიექტი მიცემით ბრუნვაშია და თუ მასში ფონეტიკა არ ერევა. რაც შეეხება სახელობითდამატებიან ზმნებს, ისინი განსხვავებულად იულლებიან ნამყო სრულსა და აწმყოში, რადგანაც აწმყოში ამ ზმნებს ეცვლებათ სინტაქსური კონსტრუქცია და მიცემითდამატებიანები ხდებიან. ხევსურულ კილოში კი ნიშანი მხოლოდ ისეთ ზმნებს მოეპოვებათ, რომლებიც მიცემითდამატებიანებად რჩებიან ნამყო სრულშიც. მაგალითად: **სთხოვს** მას მას, **სთხოვა** მას იგი.

რაც შეეხება დასავლურ კილოებს, აქ საქმე უფრო მარტივადაა. ნიშანი მთლიანად დაიკარგა.

არნოლდ ჩიქობავა ფიქრობს, რომ ძველ ქართულში თუ ობიექტი სახელობითშია, მისი პირი არ აღინიშნება, მრავლობითობა – კი. მიცემითი ბრუნვის პირი აღინიშნება, მრავლობითობა – არა.

ეს დებულება სწორია იმ სამპირიანი ზმნებისათვის, რომელთაც ირიბი ობიექტი აქვთ პირცვალებადი. თუ სამპირიან ზმნაში პირცვალებადია პირდაპირი ობიექტი, მას უთუოდ ექნება პირის ნიშანი და სიმრავლეც აღენიშნება, თუ, რა თქმა უნდა, ეს ობიექტი **–ნ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი [მაგ.: მი=გუ=ც=ნ=ეს (მათ **ჩუენ** მას/მათ; მი=გ=ც=ნ=ე=ნ (მათ **თქუენ** მას/მათ)].

ზ. სარჯველაძის მოსაზრებით, პირველი სერიის მნკრივებში პირდაპირობიექტური პირი შეიძლება გამოხატული იყოს ნიშნით. ის ზმნებს ჰყოფს ორ ჯგუფად: 1. მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილი არ არის (ქადაგებს იგი მას, მოილებს იგი მას, ...), 2. მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილია (ხ-ყოფს იგი მას, დახნერს იგი მას, ...) ხანმეტ ტექსტებში

ხყოფს ტიპის ზმნებს მესამე პირდაპირობიერტური პირის ნიშანად აქვთ /ხ/, ჰაემეტ ტექსტებში – /ჴ/. ქადაგებს ტიპის ზმნებს არც ხანმეტ და არც ჰაემეტ ტექსტებში ნიშანი არ აქვს.

ი. იმნაიშვილის აზრით, როცა პირდაპირი ობიექტი სახელობითშია, მას მესამე ობიექტური პირის ნიშანი არა აქვს: მან იგი თარგმნა, მოკლა, შეკრიბა და ბევრი სხვა. ხოლო როდესაც პირდაპირი ობიექტი მიცემითშია (ე.ი. სათანადო ზმნა I სერიის რომელიმე მწკრივში დგას), მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ზმნა ზმნისნინით არის წარმოდგენილი თუ უზმნისნინოდ. თუ ზმნა ზმნისნინიანია მას ორის ნიშანიც აქვს, თუ უზმნისნინოა, მას არა აქვს პირის ნიშანი. ამიტომ ძველი ქართული ენის ურყევი კანონია: თხზავს, მაგრამ შესთხზავს; კლავს, მაგრამ მოჰკლავს და სხვა.

ძველი ქართულისათვის ყოვლად შეუძლებელია ჰელავს ან მოკლავს, სწერს ან დასწერს. ზმნისნინიანს პირის ნიშანი აუცილებლად უნდა, ხოლო უზმნისნინობს კი იგი არ სჭირდება. მესამე პირდაპირობიერტური პირის ნიშნის გაჩენა ფორმაში ზმნისნინის დამატებასთანაა დაკავშირებული და ზმნისნინის ზმნასთან შეხორცებასთან ერთად მოხდა.

ივანე იმნაიშვილს მოჰყავს სათანადო მაგალითები ძველი ტექსტებიდან. სანიმუშოდ დავასახელებთ შემდეგ ზმნებს:

კ ა ფ ა

რომელი კაფდა შეშასა: სინ. 35, 277 რა, 1–2 რომელი–იგი შეშასა კაფდა: იქვე.

მაგრამ: სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან: მ. 21, 8; მრ. 11, 8; და დაილინეს იგინი, რომელნი მოჰკაფდეს მათ: სინ. 261, 33.

კ ო დ ა

მოილებდა წყალსა და კოდდა შესასა და სახლსა და ეზოსა: პარს. 677 ა

მაგრამ: აღმოსხმიდა წყალსა და დაჰკოდდა შეშასა და განგვიდა ეზოსა: სინ. 11, 191 ვ, 2 ქვ; და დაჰკოდდეს კარსა: სინ. 6, 191 ა 7.

მაგრამ საკითხი ასე მარტივად არ წყდება. ზოგიერთ ზმნას არ შეუძლია ზმნისნინის დართვა.

ერთი შეხედვით, რადგანაც ზმნა ზმნისნინს არ ირთავს იგი უნიშნოდ უნდა იყოს წარმოდგენილი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ როცა ზმნას არა აქვს უნარი ზმნისნინის დართვისა, იგი პირდაპირი ობიექტის ნიშანს ირთავს. ასეთი ზმნები ცოტაა და ეტყობა ერთ–ერთი ძველი დიალექტის შემონატანი უნდა იყოს. ეს ზმნებია: ჰელემს. ჰელემს, სტანჯავს, სცავს, სცნობს და სხვა.

უფრო ცოტაა ისეთი ზმნები, რომელთაც ობიექტური პირის ნიშანი ორივე სახის ფორმებში აქვთ წარმოდგენილი – უზმნისნინობშიც და ზმნისნინიანებშიც: სდევნის–წარსდევნის, ჰემობს–განცემობს, ფარავს–დაჰფარავს და სხვა. ეს წესი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში რომელი–ლაც კილოდან უნდა იყოს შემონატანი. ზოგიერთ ფორმას შეიძლება სხვა ახსნაც მიეცეს. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ობიექტის ნიშანი სამპირიან ფორმაშია: სთხოეს–ხითხოვს, ხრეკს–ხირეკს. ზოგ შემთხვევაში ჰელემს, ს შეიძლება ირიბისა იყოს და სხვ. ძველი ქართულის ეს წესი დღეს შემონახულია თუშურში. აქ ჩვეულებრივია ასეთი წყვილ–წყვილი ფორმები: ხელავს–მოხკლავს, ღგლეჯს–მოღგლეჯავს ... მაგრამ ამას უფრო გამოწვლილვითი შესწავლა სჭირდება.

რაც შეეხება ძირითად წესს, რომ ზმნაში მესამე პირდაპირობიერტური პირის ნიშანი ზმნისნინიან ფორმებში ჩნდება, უზმნისნინობში კი არა, იგი სუფთა სახით დაცულია დღევანდელ ხევსურულში. აქ როგორც ძველ ქართულში, უზმნისნინო ფორმები ყოველთვის უნიშნოდ არის წარმოდგენილი, ხოლო ზმნისნინიანებს მუდამ აქვთ პირის ნიშანი.

თამაზ გამყრელიძე ძველ ქართულში უკვე დაკარგულად მიიჩნევს მესამე პირდაპირობიერტურ პირის ნიშანს. მისი აზრით, თავდაპირველად ნიშანი უნდა დაკარგულიყო ისეთ კონსტრუქციებში, სადაც კომბინირებდა მესამე ირიბობიერტურ პირთან ერთად, რადგან პირდაპირობიერტური პირი ნაკლები სიმძლავრით ხასიათდება. შემდგომში კი დაკარგულა იქაც, სადაც ირიბობიერტური პირის გავლენას არ განიცდიდა. „დაირღვა სტრუქტურული პარალელიზმი, რადგან მანამდე სამივე ობიექტური პირის მარკირება ერთნაირად ხდებოდა“.

ლელა ციხელაშვილი მიიჩნევს, რომ „პირველ სერიაში მდგარი ვა—ის მარკირების ის სურათი, რომელიც გვაქვს ძველ ქართულში, ვერ ასახავს ამოსავალ ვითარებას და შესაძლოა, ენაში მიმდინარე გარკვეულ პროცესებში ლიტერატურული სკოლების ხელოვნური აღრევისა და სისტემატიზაციის ცდის შედეგი იყოს“. ხანძეტი და ჰაემეტი ძეგლების მონაცემთა საფუძველზე ის ამბობს, რომ ი—პრეფექსიანი ვწებითი გვარის ფორმებში დაახლოებით ნახევარი ჰ— წარმოდგენილია სეგმენტის გარეშე. მაგალითად: იყვნეს, განიკურნა, იქნებიან... ხოლო ხ— სეგმენტაციის გარეშეა წარმოდგენილი ი—პრეფექსიანი ვწებითის პირველ პირში: განვიძანეთ, ვიქცეოდი, ვიდოდი, ვიყო... ამ შემთხვევაში ის უფუნქციო ელემენტი გამოდის, რადგან მორფოლოგიური ფუნქცია არ ეძებნება. გარკვეული თვალსაზრისით, ხ—, ჰ— შ2—ის ნიშანია. მაგრამ რადგან არსებული ნიშნები სამსავე პირში მეორდება, ლელა ციხელაშვილი ერთნაირ კვალიფიკაციას აძლევს. მისი აზრით, ხ—, ჰ— ასპირაციის ნიშანია და შეგძლივება პირის ნიშნად გადააზრება.

თედო უთურგაიძის აზრით, „მსგავსად პირველი და მეორე პირებისა, ობიექტურ მესამე პირთა ნიშნებიც იდენტური იყო და არის ძველსა და თანამედროვე ქართულში.“ (თ. უთურგაიძე „გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში“, გვ.27) ის ფიქრობს, რომ „ქადაგებს“ და „ჰყოფს“ ტიპის ზმნები წარმოადგენდნენ მხოლოდ მორფონოლოგიური ცვლილების მიხედვით განსხვავებულ ჯგუფებს. ვა—ს ნიშანი მოეპოვებოდა არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე სერიაშიც. „რადგან სვანურში მარკირებულია ვანდ, უთუოდ მარკირებული იქნებოდა ვა—ც.“ (თ. უთურგაიძე „გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში“, გვ.45) თ. უთურგაიძე მიიჩნევს, რომ ვა—ის მარკირების გაქრობა მორფონოლოგიური პროცესების შედეგია. სწორედ მორფონოლოგიურმა პროცესებმა, ასე ვთქვათ, გაამართლა ა. შანიძის კანონი, უზმნისწინო ზმნებთან სახელობითდამატებიან ობიექტთა ნიშნის არარსებობის შესახებ.

ვა— ის ნიშნად I სერიაში რეგულარულად ხმარებული ხ— ან ჰ— პრეფექსი, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, არარეგულარულად გხხვდება II სერიაში.

სამპირიან ფორმებში, სადაც ირიბი ობიექტი პირუცვლელია, პირდაპირი ობიექტი კი — პირ-ცვალებადი ($\dot{\text{შ}}_1\text{ა}\text{ვ}\text{ა}\text{ნ}\text{დ}$, $\dot{\text{შ}}_2\text{ა}\text{ვ}\text{ა}\text{ნ}\text{დ}$, $\dot{\text{შ}}_3\text{ა}\text{ვ}\text{ა}\text{ნ}\text{დ}$), ამ კომბინაციებში მხოლოდ პირდაპირი ობიექტის ნიშნებია გამოხატული.

- | | |
|----------------|-------------------------|
| I მი—მ—ცემ—ს | [იგი მე (ვა) სიკუდილსა] |
| II მი—გ—ცემ—ს | |
| III მი—ხ—ცემ—ს | |

რადგან ზმნისწინიან ფორმებში ხანმეტ პერიოდში და მის შემდეგაც გამოიხატებოდა ვა—, ნიშანი პირცვალებადი პირდაპირი ობიექტისა გამოდის და არა ოირუცვლელი ირიბისა. ანალოგიური ვითარება წყვეტილაშიც: ხ— პრეფექსი ჩანაცვლებულია მ—, გ— პრეფექსებს (მი—მ—ცა, მი—გ—ცა, მი—ხ—ცა).

ნიშანთა რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანია ამ ბერის ადგილი, მისი პოზიცია მარცვლის ფარგლებში. ნიშნის გაჩენა დაკარგვა ეფუძნება ფონეტიკას. „ქართული ენის თანხმოვანთა სინტაგმატიკურ მიმართებაში ბუნებრივია **მზარდი ნაპრალოვნება:** ყოველი მომდევნო თანხმოვანი წინას აღმატება ნაპრალოვნებით, განეკუთვნება თანხმოვანთა სხვა კლასს და იცავს ჰომოგენურობას ჩეამიერთა შორის, სონორიან კომპლექსებში კი ჰომოგენურობის პრინციპი ჭარბია.

ოთხიკლასისთანამოვნები (I —/ბფპმვ/, —.დთტძცნჯჩზსჟშ/, II —/გქქბლხყ/, III — /რლნ/) მზარდი ნაპრალოვნების მიხედვით ასე ლაგდებიან:

ჩეამიერები:

1. ხშული თანხმოვნები
 2. ზსუშ
 3. ღხყ
 4. ვგ
- სონორები:

5. რლნ

ხშულებს აქვთ ნულოვანი ნაპრალოვნება . ნაპრალოვნება იზრდება ზემოდან ქვევით.

ა. შანიძისა და ი. იმნაიშვილის მიერ გაანალიზებული მასალის მიხედვით ცხადი ხდება, რომ მიცემით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის (ჲ) ნიშნის ხმარება მესამე პირში დაკავშირებულია ზმნისწინის ქონა-არქონასთან: უზმნისწინო ფორმებში ვა-ს ნიშანი არა აქვს (ქადაგებს-ტიპი: ჭამს, მკის, ხატავს, რწყავს...); იგივე ფორმები – ზმნისწინით ვა- ნიშანს უთუოდ იჩენდნენ (შე=ჲ=ჭამს // შე=შ=ჭამს, მო=ჲ=მკის, და=ჲ=ხატავს, მო=ჲ=რწყავს*)

ი. იმნაიშვილის ნაშრომებში ვა- – ის {ჲ-} – ს ალომორფთა დისტრიბუცია, უზმნისწინო და ზმნის-წინიან ფორმებში გახსნილია სრულად, მაგრამ ასევე სრულად არ არის გახსნილი დისტრიბუციის მე-ქანიზმი: რატომ ალინიშნება ვა- მხოლოდ ზმნისწინიან ფორმებში ან რატომ გვხვდება აქა-იქ ეს ნიშანი ({ჲ-} / ჲ- / ს- / ვ- / შ- /) უზმნისწინო ფორმებშიც?

თ. უთურგაიძე ვა- ნიშნის ხმარების მიხედვით უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმების დაპირისპირებას ხსნის **მორფოლოგიური ცვლილებით:** (1) უზმნისწინო ფორმებში ვა- – ის ნიშანი / ჲ =/ და მისი ვარიანტები / ს- / და / შ- / **არაბუნებრივ კომპლექსებს ქმნიდნენ** ზმნათა ფუძისეულ თანხმოვნებთან: ჲჭამს, ჲმკის, ჲხატავს, ჲრწყავს... (ჲჭ-ს ჲქონდა ჲჭ- ვარიანტი -- ჲჭამს, ხოლო ჲჲ-ს ჲქონდა სწ- ვარიანტი -- სწერს). ამ არაბუნებრივ კომპლექსებში – V პოზიციაში (სიტყვის თავკიდურად) იკარგებოდა პირის ნიშანი; (2) ზმნისწინიან ფორმებში ეს ფონემატური წინააღმდეგობა მოხსნილი იყო: არაბუნებრივი კომპლექსის შემქმნელი ფონემები სხვადასხვა მარცვალში ექცეოდა, კერძოდ: პირის ნიშანი მისდევდა ზმნისწინს, ფუძისეული თანხმოვანი კი ფუძისეულ თანხმოვანთან რჩებოდა: ჲჲ-ჭამს // ჲჲ-ჭამს, მოჲ-მკის, დაჲ-ხატავს, მოჲ-რწყავს... ამ გზით ხდება თანხმოვანთა არაბუნებრივი კომბინაციების აცილება ერთი მარცვლის ფარგლებში. ანალოგიური სიტუაცია იქმნება მი–, მო– (შემო–, აღმო, განმო...) შე–, და– (დამო–, გარდა–, გარდმო–) ზმნისწინიან ფორმებშიც.

თანხმოვნებით დაბოლოებულ გან-, წარ-, აღ– ზმნისწინებსაც აქვთ ხმოვნით დაბოლოებული განმო–, წარმო–, აღმო– რთული ფორმები და ხელს უწყობენ პირის ნიშნისა და ფუძისეული თანხმოვნების მიერ შექმნილ არაბუნებრივი კომპლექსების კომპონენტთა სხვადასხვა მარცვალში გადანაწილებას.

მასალის მიხედვით ჩანს, რომ თვით გან-, წარ-, აღ– ზმნისწინიანი ფორმები, რომლებშიც ეს ზმნისწინები ბუნებრივ დამარცვლას ვეღარ დაეხმარებოდნენ, გაჲყვნენ სხვა ზმნისწინიან (ხმოვნით დაბოლოებულ) ფორმათა წესს და ვა- – ის ნიშანი შეინარჩუნეს ზმნათა ფორმებში თავის მომდევნოდ.

შეიძლება დავასკვნათ: თუ ვა- – ს ნიშნები უფრო ძველია, ვიდრე ვა- – ს ნიშანი აქვთ, გამართლებულია ისტორიულად. მაშასადამე, ყურადღებას უნდა იქცევდეს (ე.ი. ახსნას საჭიროებს) მხოლოდ ის ფორმები, რომელთაც ვა- – ის ნიშანი არა აქვთ (მაშინ როცა ვა- და ვა- ყოველთვის მარკირებულია). ამის ახსნა შესაძლებლად მივიჩნიეთ ფონემატურ წესთა გათვალისწინებით: ფონემათა სინტაგმატური განაწილების ენაში მოქმედი ბუნებრივი კანონზომიერებითა და დამარცვლის შესაბამისი წესებით.

ლიტერატურა:

1. აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976;
2. აკაკი შანიძე, თხზულებანი, II ტომი, თბილისი 1981;
3. აკაკი შანიძე, თხზულებანი, III ტომი, თბილისი 1980;
4. ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი, 2004;
5. ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984;

6. ივანე იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბილისი, 1971;
7. ივანე იმნაიშვილი, ვახტანგ იმნაიშვილი; ზმნა ძველ ქართულში, თბილისი, 1966;
8. თედო უთურგაძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი, 2002;
9. თედო უთურგაძე, ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფონოლოგია და მორფოსინტაქსური ასპექტები, თბილისი 2013;
10. თედო უთურგაძე, სალექციო ჩანაწერები;
11. გიორგი გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბილისი 2010;
12. ლელა ციხელაშვილი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის გენეზისისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი XIX, თბილისი, 2005

ირაკლი ფერაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწევდებულის

სახელობის უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი პროფესორი: რომელთა გუჯევიანი

დალის ხეობიდან (ზემო აფხაზეთი) დევნილი მოსახლეობის განსახლების არეალი და ადაპტაციის პროცესი

უძველესი საისტორიო წყაროებით (ბერძნული, რომაული, ბიზანტიური) დღევანდელი ზემო აფხაზეთი, რომლის ისტორიული სახელწოდებაა დალის სვანეთი (უცხოური წყაროებით მისიმიანეთი) და რომელსაც მოგვიანებით კოდორის ხეობაც ეწოდა, ძველთაგანვე სვანეთის შემადგენლობაში შედიოდადა, და ცხადია, მუდამ საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. დალის ხეობა ოდითგანვე ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფით—სვანებით—იყო დასახლებული, ამას ადასტურებენ ძველი ბერძნიავტორები (აგათასქოლასტიკოსი, მენანდრეპროტექტორი, თეოდოსიგანვრები...). ისინი ამ მხარეს მისიმიანეთს უწოდებენ (გეორგიკა 1941: 236). ესასახელწოდებაა მამირძველიქართულიჯგუფის — სვანების — დიალექტურისახელიდან — მუშანნიდან მომდინარეობს (ქალდანი 1999). დალის სვანეთის სოფლები ძირითადად საკუთრივ მდინარე კოდორისა და მისი შენაკადების (საკენი, გვანდრა, ჩხალთა) ნაპირებზე მდებარეობს. მდინარე საკენის ხეობაში ყველაზე მაღლა სოფელი საკენია, მის ქვემოთ ომარიშარაა, მდ. გვანდრას ხეობაში სოფელი გვანდრაა გაშენებული. საკუთრივ მდინარე კოდორზე გაშენებულია სოფელები ხუტია, მარჯვენა და მარცხენა გენწვიში. კოდორის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულია სოფლები ქვემო და ზემო აჯარა//აუარა, ხოლო მარცხენა მხარეს — პატარა სოფელი ბრამბა. მდ. ჩხალთის შესართავთან კი სოფელი ჩხალთა, უფრო ზევით, მდ. ჩხალთის ხეობაში სოფელი პტიში. მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე სოფელი შაბათკვარაა, ხოლო მარჯვენა ნაპირზე — სოფელი ქვაბჩარა. უფრო ქვემოთ ლათა იწყება, ლათას ქვემოთ მდინარე ვინ-როვდება და დალის ხეობაც სრულდება (გუჯევიანი 2009: 15).

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციამ განახორციელა საქართველოს ოკუპაცია, რასაც მოჰყვა ზემო აფხაზეთის დაცლა ადგილობრივი მოსახლეობისაგან, დალის ხეობის მოსახლეობა დევნილობაში აღმოჩნდა.

აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის მონაცემებით 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად კოდორის ხეობიდან დევნილია 929 ოჯახი (2514 სული). ამჟამად დალის ხეობაში 40–მდე ქართული ოჯახი ცხოვრობს. ეთნიკურ ნიადაგზე ქართველების შევიწროვება არ ხდება. 27 ქართველი დასაქმებულია ადგილობრივ ჰიდროელექტროსადგურზე. ამ მოსახლეობის ხეობაში დარჩენის ერთ-ერთი მიზეზი არის დევნილობაში მყოფი ცოლ-შვილის რჩენა.

სახელმწიფო პროგრამით კოდორიდან დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი უზრუნველყოფილ იქნა როგორც ბინით, ასევე ერთჯერდი ფულადი კომპენსაციით. 200 ოჯახს (447 სული) სახელმწიფოსაგან არაფერი მიუღია და მათი დიდი ნაწილი ქირით ან ახლობელთან ცხოვრობს. 370–მა ოჯახმა (975 სული) სახელმწიფოსაგან მიიღო ფულადი კომპენსაცია. ხოლო დარჩენილი 359 ოჯახი (1092 სული) ბინით უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. კოდორიდან დევნილი მოსახლეობისის ნაწილი, რომლებიც ბინით უზრუნველყოფილი იქნენ, კომპაქტურად ცხოვრობენ შემდეგ ადგილებში: ქუთაისში – 100 ოჯახი (336 სული); თბილისში – 130 ოჯახი (445 სული); თეთრინქაროს რაიონის სოფლებში: წინწყაროში–65 ოჯახი (201 სული); აბელიანში, ირაგაში, ალექსევკაში, დუმანის შიდა ნავთიანში ერთად–40 ოჯახი. ასევე კოდორის ხეობიდან დევნილები ცხოვრობენ ბოლნისის რაიონის სოფელ ქვემო ბოლნისში, დმანისში, კოდაში, გარდაბანში და საგარეჯოს

რაიონში. დალის ხეობიდან დევნილ მოსახლეობას უამრავი ყოფითი პრობლემა აწუხებს, ჩვენ, ყურადღებას გავამახვილებთ დალიდან დევნილი ქართველების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე-ახალ გარემოსთან ადაპტაციის მიმდინარეობის საკითხზე. ცხადია, ადაპტაცია რთული პროცესია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მთიელების ბარში იძულებით, ომის გზით, ჩამოსახლებას. დალის ხეობას რთული ისტორია აქვს, მიზეზი კი ამ მხარის სტრატეგიული მდებარეობაა (მუსხელიშვილი 2004: 111). ეს არა მარტო ისტორიული და არქეოლოგიური წყაროებით მტკიცდება, არამედ ეთნოგრაფიული მონაცემებითაც. საუკუნეების წინ (XVI–XVIII სს.) გამოდევნილმა დალის ხეობის ქართველებმა, რომლებიც საკუთრივ სვანეთის სამთავროში განსახლდნენ, თან წაიღიანთი ტრადიციული ადგილობრივი კულტურა, რითაც დალელი სვანები ცდილობდნენ ადაპტირებას ზემო სვანეთთან. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი არის ერთი მოქმედი ტრადიციული ჩვეულება, რომელსაც დალის ხეობიდან, საკუთრივ სვანეთში იძულებით გადასახლებული ქართველები აღავლენდნენ. სვანთა ტრადიციული ლოცვის რიტუალის დასრულების შემდეგ, რომელიც სრულდებოდა ეკლესიებში, ან სახლებში, სალოცავ კუთხედ გამოყოფილ აღმოსავლეთის კედელში დატანებულ სარკმელთან, მლოცველები შემოტრიალდებოდნენ ჩრდილო-დასავლეთისაკენ, დალის ხეობის მიმართულებით და ლოცვას აღავლენდნენ დალში მდებარე სალოცავების (შეყერის წმიდა გიორგის ეკლესია, აჯარის წმ. გიორგის ეკლესია...) სახელზე, რომელთა მრევლიც ყოფილან მათი წინაპრები დალის ხეობაში ცხოვრების დროს (ბარდაველიძე 1939: 60–61). დღესაც დალის ხეობიდან დევნილ (უკვე მერამდენედ) მოსახლეობაში მსგავსი ფაქტი ფიქსირდება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ გარკვეულწილად კოდორელების ადაპტაცია მიმდინარეობს ბარში.

კოდორის ხეობიდან დევნილი მოსახლეობა, რომლმაც მიიღო საცხოვრებელი ფართი, პირობითად შეიძლება ორ წანილად გავყოთ: I – დევნილების ის წანილი, რომლებიც ჩაასახლეს ქვემო ქართლის სხვადასხვა რაიონში და II – დევნილები, რომლებიც ჩაასახლეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში/რაიონში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დევნილების ქვემო ქართლში ჩაასახლებას. ამიტომ ის დევნილები, რომლებიც ქვემო ქართლში კომპაქტურად ჩაასახლეს, შედარებით უფრო მეტად შეინარჩუნებენ ყველა იმ ტრადიციულ ყოფასა და კულტურას რაც ბოლო დრომდე ცოცხლობდა კოდორის ხეობაში. მათი გაფანტვის შემთხვევაში, მიუმეტეს, როდესაც არ ექნებათსაკარმიდამო მიწა, რთულია საერთო სახალხოდებების აღნიშვნა. მაშინ, როდესაც დალის სვანეთში ცხოვრების დროს მოსახლეობა „სკარს“ ანუ შეყრილობას მიმართავდა, რიგ-რიგობით გამოჰყავდა საკლავი და შესაბამისად მთელი სოფელი ერთად აღნიშნავდა დღეობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქვემო ქართლში ჩაასახლებულ დევნილებს აქ ძირითადი მოსახლეობა მაინც წლების წინ ჩამოსახლებული სვანები დახვდნენ. დალელი ქართველები (სვანები) ჩაასახლდნენ ათეული წლების წინ ეკომიგრანტი სვანების სიახლოეს, რაც ამ ადგილზე მათ ადაპტაციას უფრო გააადვილებს, რადგან ეს რეგიონი ეთნიკურად ძალზე ჭრელია. ქვემო ქართლში ჩაასახლებულებს აქვთ მცირე მეურნეობები, ამიტომ მათ უფრო მეტი საშუალება აქვთ გაიუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ყველაზე დიდ დამაბრკოლებელ ფაქტორად ქვემო ქართლში ჩაასახლებულების ადაპტაციისა არის საცხოვრებელი ფართის დაუკანონებლობა, რადგან დევნილები ცხოვრობენ იმ სახლებში, რომლებიც წლების წინ ეკუთვნიდათ ბერძნებს, ოსებს, სომხებს. გარდა ამისა, დევნილი მოსახლეობის ადგილობრივ მოსახლეობასთან ადაპტაციის წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს: 1. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრება. 2. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად განათლების მიღება. 3. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობა. ხოლო ზემო აფხაზეთიდან დევნილების ის წანილი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩაასახლეს, შედარებით უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ, რაც უფრო აადვილებს ადაპტირებას.

რადგან მათ საცხოვრებელი ფართები დაკანონებული აქვთ. ამასთანავე, ქალაქში უფრო ადვილია საკუთარი თავის რეალიზება, დასაქმება, სოციალური პირობებიც უკეთესია და ა.შ.

თვალს თუ გადავავლებთ ქვემო ქართლის მოსახლების დინამიკას 1939–2002 წლებში, ვნახავთ, რომ 1939 წლისთვის თუ ქვემო ქართლის საერთო მოსახლეობაში (219 603), ქართველები

28 245 ათასს შეადგენდნენ და რაოდენობით მეოთხე ადგილზე იყვნენ. უკვე 2002 წლის აღწერით ქვემო ქართლის საერთო მოსახლეობაში (497 530) ქართველების ხვედრითი წილი 222 450 ათასია და მეორე ადგილზე არიან (თოთაძე 2009: 47). მთელი XX საუკუნის განმავლობაში ქვემო ქართლის ეთნიკური სურათის შეცვლაში დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობამ (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი, ქსნისხევი) (თოფჩიშვილი 2002: 49–50). აგრეთვე ქვემო ქართლში სახელმწიფო ასახლებდა ეკონიკურანტებს, ნამაც მოსახლეობას სვანეთიდან, აჭარიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან. ყველაფერთან ერთად ქვემო ქართლში ეთნიკური ჯგუფების შემცირება გამოიწვია XX-ის 90-იან წლებში მომხდარმა ამბებმა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბერძნების, რუსების, სომხების რაოდენობა, თუმცა აზერბაიჯანელების რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა. ყველა ამ მოვლენამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქვემო ქართლის ეთნიკური სურათი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია საზღვრისპირა რეგიონისათვის.

სახელმწიფომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქვემო ქართლში ჩაასახლა, რადგან დევნილები, რომლებიც ქვემო ქართლში ჩაასახლეს, პოზიტიურ როლს შეასრულებენ, ამ მხარის ეთნო-დემოგრაფიული სურათის შეცვლაში. ამის მაგალითად 1939–2002 წლების მონაცემებიც კმარა, სადაც ნათლად არის ასახული, თუ როგორ, დადებითად, შეიცვალა დემოგრაფიული მდგომარეობა.

იძულებით გადადგილებული პირთა (ამ შემთხვევაში ზემო აფხაზეთიდან) მდგომარეობით დაინტერესებულია საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე, რასაკვირველია, სახელმწიფო, რომელმაც შეიმუშავა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია, ცდილობენ აღმოფხვრან განსხვავება დევნილებსა და ადგილობრივებს შორის, რათა ადგილნაცვალმა პირებმა საკუთარ მხარეში დაბრუნებამდე ღირსეულად იცხოვრონ. ამიტომ დევნილობის პერიოდში საჭიროა სახელმწიფომ იზრუნოს დევნილების სწავლა-განათლებისათვის, მათი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესებისათვის, ხელი შეუწყოს მათში შემორჩენილი ტრადიციული ყოფისა და კულტურის შენარჩუნებას. სწორედ ეს გახდება საწინდარი ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისაზოგადოებასთან ადაპტირებისა.

ლიტერატურა:

- ბარდაველიძე 1939:** ვ. ბარდაველიძე, ქართულ (სვანურ) ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, ტფ. 1939.
- გეორგია 1941:** გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ..I., ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხეჩიშვილმა, თბ., 1941.
- გუჯეჯიანი 2009:** რ. გუჯეჯიანი, დალის სვანეთის (კოდორის ხეობის/ზემო აფხაზეთის) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა, საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები, თბ., 2009.
- თოთაძე 2009:** საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, თბ., 2009.
- თოფჩიშვილი 2002:** რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოსტორიული საკითხები), თბ., 2002.
- მუსხელიშვილი 2004:** დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV–VIII საუკუნეებში, თბ., 2004.
- ქალდანი 1999:** მ. ქალდანი, მივსინიეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის. – აფხაზეთის მოამბე 2–3, თბ., 1999.
- ნეარო:** აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი

გიორგი გაფრინდაშვილი

საქართველოს საპატიოარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: როინ მეტრეველი

ერთი ქართველი მონარქის მიჩრეალული გმირობის ისტორია

„განუდგა¹ ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა და ლადონბითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი.“² ასე უილბლო გამოდგა ახალგაზრდა ქართველი მონარქის გიორგი I-ის მეფობის და-საწყისი, მეფისა რომელსაც ამ სიძნელის გარდა თავისი მეფობის ხანმოკლე ისტორიის მანძილზე კი-დევ უამრავ დაბრკოლებასთან მოუნია შერკინება. მაშასადამე, გამეფებიდან ცოტა ხანში ასე გამოიყურებოდა პრობლემები ქართველი მეფის წინაშე: მისთვის მტკიცნეული უნდა ყოფილიყო თბილისის საამიროს საკითხი, რომელიც დაახლოებით ორასი წლის მანძილზე გადაუჭრელად რჩებოდა ქართულ რეალობაში. ახლადგამეფებული მეფისთვის მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე თავის დროზე და-ვით კურაპალატის გამგებლობაში მყოფი ის მიწები, რომელიც ქართველი მეფის (დავით კურაპალატის) გარდაცვალების შემდეგ „დაიპყრა ბასილი მეფემან.“³ ამას დაემატა კახეთ-ჰერეთის სამეფოც, რომელიც ხელახლა შემოსაერთებელი გახდა. არც დიდებულები უნდა ყოფილიყვნენ მეფის დიდი ერთგულები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეფეს საშინაო პრობლემები თავზესაყრელად ქონდა, გადაწყვიტა ბიზანტიის მიერ დაკავებული ტერიტორიების დაბრუნებაზე ეზრუნა. მან ისარგებლა იმით, რომ ბიზანტიის მთელი ყურადღება ბულგარეთის ომისკენ ჰქონდა მიპყრობილი და ბიზანტიის მიერ დაკავებულ ქართულ ტერიტორიაზე ჯარი შეიყვანა. აღსანიშნავია, რომ არისტაკე ლასტივერ-ტეცის ცნობით გიორგი I-მა ასეთი გაფრთხილება მიიღო ბასილი II-გან: „რაც კი დავით კურაპალატის წილიდან მამაშენს ძლვნად მივეცი, თავი ანებე და მხოლოდ საკუთარი მამული განაგეო.“⁴ ამ ცნობის თანახმად ბასილი II-ს ბაგრატ III-ის გარდაცვალებისას დაუკავებია სხვა ქართული ტერიტორიებიც. ამ ფაქტზე ქართული წყაროები არაფერს ამბობენ. ჩემი აზრით, უფრო ლოგიკურია საუბარი ყოფილიყო მხოლოდ იმიერტაოზე, რადგან, როცა ბაგრატ III გარდაიცვალა, ბიზანტიიამ ომი ბულგარელებს დაუწყო და აღმოსავლეთით ტერიტორიების გაფართოებაზე აღარ ეცლებოდა. ასე იყო თუ ისე, გიორგი მეფემ არად ჩააგდო ბასილის გაფრთხილება. რადგან ბიზანტია ბალკანეთში იმით იყო დაკავებიული გიორგი I-ს მაშტაბური სამხედრო სამზადისი არ უნდა ჩაეტარებინა. ქართველ მეფეს ეცოდინებოდა, რომ ბასილი II-გან დიდ წინააღმდეგობას მაინც არ წააწყდებოდა. „მან დაიკავა ის სიმაგრეები და მხარეები, რომელიც მისმა ბიძამ დავით კურაპალატმა დაუთმო მეფე ბასილს.“⁵ ეს უნდა მომხდარიყო ბიზანტია-ბულგარეთის ომის დასრულებამდე ე. ი. 1018 წლამდე. უფრო კონკრეტულად, ჩემი აზრით, ამ მოვლენას შესაძლოა ადგილი ჰქონდა 1015 წელს, რადგან როცა არისტაკესი აღწერს დავით კურაპალატის მკვლელობას (საინტერესოა, რომ მკვლელობას და არა გარდაცვალებას, რომლის უკანაც ბასილი II იდგა) და ბასილი II-ის ლაშქრობას აღმოსავლეთში, იქვე

² სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი თბ. 2008 გვ. 371

³ სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი თბ. 2008 გვ. 370

⁴ არისტაკე ლასტივერ-ტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარენიშვილმა, თბ. 1974 გვ. 42

⁵ ი. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანში, „მაცნე“ 1968 წ. 4 გვ. 120

დასძენს, რომ ამის შემდეგ „ქვეყანამ მშვიდად განისვენა 14 წელი.“¹ თუ ლასტივერტეცი გულისხმობს, რომ ბასილი II-ის აღმოსავლეთით ლაშქრობიდან 14 წელი მშვიდობამ დაისადგურა ამ რეგიონში, მაშინ გამოდის, რომ გიორგი I-ს იგივე ტერიტორიებზე ბრძოლა 1015 წელს გაუჩაღებია.

და მაინც, სწორად მოიქცა თუ არა ახალგაზრდა ქართველი მეფე, როცა იგი ბიზანტიის დაუპირისპირდა. ჩემი აზრით, მისი გამტყუნება მიზანშეუწონელია. იგი იმიტომ დაუსპირისპირდა ასეთ ძლიერ მეტოქეს, რომ ჰქონდა წარმატების სრულიად საფუძვლიანი იმედი. მას ეგულებოდა მოკავშირეები ალ-ჰაჯიმისა და სომხური სამთავროების სახით. ამასთანავე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბიზანტია-ბულგარეთის დაპირისპირება, სადაც სულაც არ იყო გამორიცხული ბიზანტიის მარცხი. ბიზანტია რომ არ ყოფილიყო ბულგარელებთან ომში ჩაბმული და გიორგი I-ს რომ არ ჰქონოდა იმედი მოკავშირეებისა, მაშინ კი შეიძლება გაგვემტყუნებია ქართველი მონარქის ეს ნაბიჯი. ხოლო ასეთ ხელსაყრელ ეპიზოდში გიორგი I-ს, რომ არ დაეწყო საბრძოლო მოქმედებები მაშინდა იქნებოდა გასაკიცხი. მას სრულიად რეალური შანსები ჰქონდა ბიზანტიისთან და თუ რატომ ვერ გამოიყენა, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ. რაც შეეხება იმას, რომ საშინაო პრობლემების გადაჭრა მეორე ადგილზე დააყენა ქართველმა ხელმწიფემ, არც ეს ნაბიჯი მიმაჩნია წინდაუხედავად. იმდენად, რამდენადც ფუჭია გლეხის შრომა იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული აქვს ლობე და კარ-მიდამოდან ლორების განდევნას ცდილობს, ასევე ამაო გარჯა იქნებოდა მონარქის მხრიდან ქვეყნის შიდა პრობლემებზე ეზრუნა და ამ დროს საზღვრები მორღვეული ქონდა. ასე რომ გიორგი I-მა მიიღო იმ პერიოდისათვის საუკეთესო გადაწყვეტილება, როცა 1015 წლის ახლო ხანებში ბიზანტიის მიტაცებული ქართული მიწები დაიკავა.

ცხადია ამ მოქმედებით ქართველმა მეფემ ბიზანტიის იმპერია გადაიკიდა. ამასობაში ბალკანეთში მოვლენები ქართული მხარისათვის არასასიამოვნოდ განვითარდა. ბულგარელები სასტიკად დამარცხდნენ და ბასილი II ძლევამოსილი დაბრუნდა კონსტანტინოპოლში. ამის შემდეგ მან საქართველოსთვისაც მოიცალა. გიორგი I-მა უკან დახევა არ ისურვა, ამიტომ დაიწყო ბიზანტია-საქართველოს მოიცალა. გიორგი I-მა უკან დახევა არ ისურვა, ამიტომ დაიწყო ბიზანტია-საქართველოს ამი. ამ დაპირისპირების შესახებ ბევრ დროს არ დაკარგავ, მხოლოდ რამდენიმე ფაქტს გაუსვამ ხაზს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ქართველმა მეფემ „მისწერა ალ-ჰაჯიმს მასზე, რომ ერთად გამოსულიყვნენ საომრად მის (ბიზანტიის – ავტ.) წინააღმდეგ და ყოველი მათგანი გამართულიყო თავისი ქვენიდან.“² მართალია წყაროებში არ ჩანს, როგორ შეხვდა ამ წინადადებას ქაიროს მხარე, თუმცა ლოგიკურია ალ-ჰაჯიმი აპირებდა ბიზანტიის წინააღმდეგ გამოლაშქრებას. ამაზე მეტყველებს ორი ფაქტი: ჯერ ერთი ის, რომ ბასილი II-მ „გამოაცხადა მზადება საბრძოლველად სირიის ოლქებში. განამზადა სურსათი, ალაფი და იარაღი ანტიოქიაში (გასაგზავნად) საომრად მზადების ნიშნად.“³ როგორც ჩანს, ბასილი II რეალურად არ აპირებდა სირიაში გალაშქრებას, თუმცა მან შემთხვევით არ გაავრცელა ხმა ამ ლაშქრობის შესახებ. შესაძლოა მას სურდა შეეშინებია ალ-ჰაჯიმი, რადგან მან მხარი დაუჭირა გიორგი I-ის წინადადებას. ამას ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ალ-ჰაჯიმი უცნაურ ვითარებაში გაუჩინარების უკან კონსტანტინოპოლის სამეფო კარი იდგა. როგორც ჩანს, ბასილი კეისარმა ამ მეთოდით ჩამოიშორა ეგვიპტელი მეტოქე, რათა განემუხტა იქედან მოსალოდნელი საფრთხე, ის საფრთხე, რომელიც როგორც ფაქტები ცხადყოფს რეალური იყო და რომელიც, სხვათა შორის, გიორგი I-ის წისქვილზე დაასხამდა წყალს. აღსანიშნავია, რომ გიორგი I-მა ცადა იმპერიის შიგნით გამოეწვია ან გაემწვავებია უკვე არსებული არეულობა. როგორც ცნობილია, ქართულ-ბიზანტიური მხარის დაპირისპირებას დაემთხვა ნიკიფორე ქსიფიასის და ფოკას ძის ნიკიფორეს ჯანყი. თვითონ ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე არ მალავს, რომ „ხმები დადიოდა, ქსიფიას კაცები ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ

¹ არისტაკე ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ. 1974 გვ. 42

² ო. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, „მაცნე“ 1968 წ. 4 გვ. 128

³ იქვე.

აბაზების მთავართანო”¹. ქართველი მეფის ამ აჯანყებაში მონაწილეობის (ან მოთავეობის) შესახებ მეტყველებს ისიც, რომ ფოკას მოკვეთილი თავი „მიღებისთანავე ბასილი კეისარმა სასწრაფოდ გაუზიავნა გიორგი აფხაზს”². ეს აჯანყება, რომელიც ასე ნარუმატებლად დასრულდა, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო იმედი იყო ქართველი მეფისათვის საერთაშორისო სარბიელზე. ამის შემდეგ იგი მარტო აღმოჩნდა მრისხანე მტრის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, გიორგი მეფეს უკან არ დაუხევია და მაინც აგრძელებდა ბრძოლას, ბოლო შანსის ამონურებამდე.

ბიზანტია–საქართველოს ომში ყველაზე მნიშვნელოლოვანი ეპიზოდი იყო შირიმნის ბრძოლა. ამ ბრძოლაში ქართველი მეფე დაუპირისპირდა იმ იმპერიის ჯარებს, რომელიც ბალკანეთიდან მესოპოტამიამდე იყო გადაჭიმული. მაგრამ ყველაზე ყურადღება მისაქცევი და საოცარი ფაქტი ისაა, რომ უდიდესი გამოცდილებისა და რესურსის მქონე ბასილი II-ს დაახლოებით 19 წლის ახალგაზრდა მეფე ამარცხებდა. იმპერია, რომელიც სამი კონტინენტის რეგიონებს შეისის ზარს სცემდა, სამარცხვინო მარცხისთვის იყო განწირული პატარა საქართველოსთან. ბიზანტიური მხარე ისეთ კატასტროფულ მდგომარეობაში იყო, რომ „სივლოტოლად განემზადა ბასილი მეფე.”³ ასეთ გადამწყვეტ მომენტში გიორგი მეფეს არც მეტი არც ნაკლები უღალატეს. „სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდეს”⁴ და ასე აღნერს ამ საზარელ ეპიზოდს „მატიანე ქართლისაი.“ ამ მოვლენიდან კიდევ რამდენიმე ხანი გაგრძელდა ბიზანტია–საქართველოს დაპირისპირება. როგორც ზემოთ აღვნიშვნე სწორედ „მას უამსა იქმნა დიდი განდგომილება საპერძნელს.”⁵ გიორგი I ამ შეთქმულებაში მონაწილეობდა, თუმცა არაფერი გამოვიდა. როცა სხვა გზა აღარ იყო ქართველმა მონარქმა ზავი დადო, რომლის თანახმადაც „მისცა გიორგი მეფემან ძე თავისი ბაგრატ წელიწადსა სამისაი და ციხენი ... და ქუეყანაი, რომელ ქონდა დავით კურაპალატს.”⁶

ასე დამთავრდა ბიზანტია–საქართველოს ომი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო გათავებული ქართველი მეფის გუნებაში. მეფე, რომელმაც გამეფებისთანავე დაისახა მიზნად ტერიტორიების დაპრუნება, რომელმაც დაახლოებით რვა წელი შეალია ამ მიზნის განხორციელებას ასე ადვილად ვერ აიღებდა ხელს მასზე. მითუმეტეს ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. გიორგი I, ალბათ მოუთმენლად ელოდა სამი წლის გასვლას, რათა შვილი დაპრუნებოდა. ცხადია მანამ, სანამ ბაგრატ უფლისნული მძევლად იყო კონსტანტინოპოლიში ქართველი მონარქი ვერანაირ სამხედრო მოქმედებებს (მათ შორის ვერც მოსამზადებელს) ვერ ჩაატარებდა ბიზანტიის წინააღმდეგ.

1025 წლისათვის საქართველოში დაბრუნდა ბაგრატ უფლისნული. როგორც ჩანს, ამ დროს დაიწყო გიორგი I-მა ხელახალი ომისთვის მზადება. ამ დროს ახალი გარდაცვლილი იყო ბასილი II და ტახტი დაკავებული ქონდა მის ძმას კონსტანტინეს.

ცხადია ხელახალ ოში ქართული მხარისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა მოკავშირეების ყოლა. სწორედ ამიტომ, გიორგიმ კავშირი დაამყარა მინიმუმ სამ ძალასთან ქვეყნის ფარგლებს გარეთ – სომხეთთან, ოსეთთან და ბიზანტიის იმპერიის შიგნით კომნინოსთან. ამ უკანასკნელმა, არისტაკე ლასტივერტეცის ცნობით, „კაცმა მხნემ და მებრძოლმა, ... ბოროტება განიზრახა, გიორგის დაუკავშირდა აღმოსავლეთში გამეფებისათვის.”⁷ ძნელი სათქმელია, ზუსტად ასე იყო თუ არა ვითარება, თუმცა არალოგიკურია, ქართველ მეფეს ამ აჯანყების შესახებ არაფერი ცოდნოდა. სამწუხაროდ ეს აჯანყება წარუმატებლად დასრულდა, თუმცა ამ მოვლენას გადამწყვეტი როლი არ უნდა ეთამაშა

⁹ გეორგია, ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული თარგმანი გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა*, თბ. 1963 გვ. 47

² ი. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, „მაცნე“ 1968 წ. 4 გვ. 129

¹ უცნობი ავტორი, მატიანე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი თბ. 2008 გვ. 275

¹² იქვე

⁵ იქვე

⁶ იქვე, გვ. 276

⁷ არისტაკე ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარევიშვილმა, თბ. 1974 გვ. 54

ქართველთა ბანაკისათვის, რომელშიაც ქართველთა გარდა ალბათ რჩებოდა სომხური და ოსური მხარეები. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ გიორგი მეფე უკვე დაქორნინებული იყო ოს პრინცესაზე – ალექსე და განხორციელებული ქონდა ვიზიტი ანისის სამეფოში უფლისწულების შესარიგებლად. შესაძლოა, ქართველი მონარქი შესაფერის დროს ეძებდა, რათა გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებია ბიზანტიური მხარისთვის. ეს ყველაფერი ცნობილი იქნებოდა კონსტანტინოპოლის სამეფო კარის-თვისაც. იმპერატორ კონსტანტინეს ცხადია აღარ უნდოდა ახალი ომი იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან. მას ეს ძალიან დიდ დისკომფორტს შეუქმნიდა. ვერ ვიტყვით, რომ ომის დაწყების შემთხვევაში ბიზანტია განწირული იყო, თუმცა უფრო მოსალოდნელი იქნებოდა მისი მარცხი. ბასილი II-ის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტია აღარ იყო ძალიან ძლიერი იმპერია. სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად იმპერატორმა კონსტანტინემ გადაწყვიტა ქართველი მეფის ჩამოშორება. როგორც ჩანს გიორგი I შეთქმულების მსხვერპლი იყო, შეთქმულებისა, რომელშიც კონსტანტინოპოლის ხელი ერია.

რომ შევაჯამოთ, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოს მართავდა მეფე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქვეყნისთვის ზრუნვას შეალია. იგი ებრძოდა იმ იმპერიას, რომელიც შიშის ზარს ცემდა თითქმის მთელ მაშინდელ სამყაროს. გადამწყვეტ ეპიზოდში მას უბრალოდ არ გაუმართლა. ბიზანტია-ბულგარეთის ომი საქართველოს სასარგებლოდ რომ დამთავრებულიყო, ან აღ-ჰაემი არ გაუჩინარებულიყო, ან ბარდა ფოკას აჯანყება წარმატებით დასრულებიულიყო ან კიდევ კომწენოს გაემარჯვა, გიორგი I, ვფიქრობ, დაიბრუნებდა სამხრეთ ტაოს მიწებს. საერთასორიშო მოვლენები არ განვითარდა ქართველი მეფის სასარგებლოდ, თუმცა იგი მაინც შეძლებდა ბიზანტიის არმიის დამარცხებას მის ჯარში სულმოკლეობა რომ არ გამოეჩინათ და რომ არ ეღალატათ დიდებულების ნაწილს. აკი წერია „ქართლის ცხოვრებაში,“ შირიმნის ბრძოლისას სივ-ლტოლად განემზადა ბასილი მეფეო.

ქართველი მონარქების მიერ წარმატებით გადახდილი ბრძოლებიდან გამოირჩევა დიდგორი, ბასიანი... მაგრამ განა შეძლებდა დავით აღმაშენებელი ილ-ლაზის დამარცხებას ჯარის გარკვეულ ნაწილს (მაგალითად ყივჩადებს) რომ ეღალატა? ან მოიგებდა შამქორს, ბასიანს, თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი, მის ლაშქარში ერთსულოვნება რომ არ ყოფილიყო? რა თქმა უნდა, ვერა. ამიტომ არასწორად მიმაჩინია მხოლოდ შედეგების მიხედვით გიორგი I-ის ქმედებების შეფასება წინდა-უხედავ ნაბიჯად.

ეს კიდევ ყველაფერი არ არის. გიორგი I 1027 წელს რომ არ გარდაცვლილიყო (უფრო რეალურია ვიფიქროდ, შეთქმულებს რომ არ მოეკლათ), ჩემი აზრით, იგი შეძლებდა ტერიტორიების დაბრუნებას და შემდეგ საშინაო საქმეების მოგვარებაზეც იზრუნებდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მას უკვე ჰყავდა მოკავშირები ახალი ომისთვის. რა თქმა უნდა, რთულია ზუსტად თქმა წააგებდა თუ არა ბიზანტია ამ ომს, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ იმპერატორ კონსტანტინეს დროს აღარ იყო ბიზანტია ისეთი ძლიერი, როგორც ბასილი II-ის ეპოქაში, მაშასადამე რეალური იყო ამ ომის მოგება გიორგი I-ის მხრიდან. რადგან გიორგი I-მა 1025–26 წლის ახლო ხანებში შეარიგა ანისის მეფის ვაჟები და დაქორნინდა ოსთა მეფის ასულზე, ვფიქრობ, იგი 1028 წლის ახლო ხანებში აპირებდა იმი-ერტაოს ხელასლა დაკავებას. ასე, რომ იგი რომ არ მოეკლათ, ალბათ ჯერ იმიერ ტაოს დაბრუნებას შეძლებდა, შემდეგ კი თბილისის საამიროსა და კახეთ-ჰერეთის შემოერთებაზე დაიწყებდა ზრუნვას, რაც ლოგიკურად მიმაჩინა წარმატებით დასრულებულიყო.

გიორგი I-სა და ბასილი კეიისრის დაპირისპირება შეიძლება გავაიგივოთ ბიბლიური დავითისა და გოლიათის დაპირისპირებასთან, სადაც გიორგი I ისე წინდახედულად, გაბედულად და ვაჟკაცურად მოქმედებდა კეიისრის წინააღმდეგ, როგორც დავითი გოლიათთან.

მე არ დავიწყებ იმის მისტიკურ-ფილოსოფიურ გამოძიებას, თუ რატომ გაუმართლა გადამწყვეტ ეპიზოდში მაგალითად დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს და რატომ დააკლდა ერთი ნაბიჯი გიორგი I-ს ისტორიოგრაფიაში უდიდესი მონარქის სახელის დასამკვიდრებლად. შესაძლოა იგი არ ჩაითვალოს წარმატებულ მონარქად თავისი ქმედებების შედეგებით, მაგრამ იგი უდიდესია თავისი

საქმით, ვაჟკაცობით, სიმამაცით... მიუხედავად იმისა, რომ გიორგი I-ის მოღვაწეობის შესახებ ჩვენამდე მცირე ცნობებია შემორჩენილი, მისი სიდიადის თვალსაჩინოებისათვის საკმარისია მხოლოდ ის რამდენიმე სიტყვა, რომლითაც მისმა თანამედროვეებმა შეაფასეს – „უძიშ ყოვლითურთ, ვითარცა უხორცო.“¹ ამ კრიტერიუმებით იგი თამამად შეიძლება დავაყენოთ ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის და სხვა დიდი ქართველი მეფეების გვერდით, ხოლო თუ კარგად გავიაზრებთ „ქართლის ცხოვრების“ იმ ეპიზოდს სადაც წერია, რომ შირიმნის ბრძოლისას სივლტოლად განემზადა ბასილი მეფეო, მაშინ ეს ბრძოლა პირველ „ძლევაი საკვირველად“ შეიძლება მოვნათლოდ საქართველოს ისტორიაში.²

ლიტერატურა:

1. პირველი მეფეთა, ბიბლია, გამომც. „პალიტრა“ თბილისი 2013 წ.
2. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უზყება ბაგრატიონთა, ქართლის ცხოვრება, მთავარი რედ. რ. მეტრეველი, გამომც: „არტანუჯი“ თბ. 2008 წ.
3. უცნობი ავტორი, მატიანე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, მთავარი რედ. რ. მეტრეველი, გამომც: „არტანუჯი“ თბ. 2008 წ.
4. არისტაკე ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ფაგარეიშვილმა, გამომც: „მეცნიერება“ თბ. 1974 წ.
5. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული თარგმანი გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომც. თბ. 1963 წ.
6. ო. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, მაცნე“ 1968 წ. 4

¹ უცნობი ავტორი, მატიანე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი თბ. 2008 გვ. 275.

² შენიშვნა: ნაშრომის ბოლოს არ შემიძლია არ აღვიშნო კ. გამსახურდიას პოპოპულარული რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა.“ ჩემი აზრით, ამ ნაწარმოების მეოხებით ერთგვარი სტერეოტიპებია ქართველი ხალხის ცნობიერებაში შექმნილი გიორგი მეფესთან დაკავშირებით, რადგან მონარქი, რომელმაც მთელი სიცოცხლე ქვეყანას შეალია და რომელიც ქვეყნის ინტერესებისთვის უყოფმანოდ გამორდა საყვარელ მეუღლეს, დღეს ბევრში ღვინის, ქალების და დროსტარების მოყვარული ადამიანის ასოცირებას იწვევს. იგივე კ. გამსახურდია წერს, რომ მწერლობა გმირობის გამოსარჩებაა, მე კი ვთვლი, რომ ეს უფრო ისტორიკოსის ვალია, როცა საქმე ისტორიულ გმირს ეხება. ჩემი პატარა ნაშრომის ერთ-ერთი ფუნქციაც ესაა.

რუსულან ბიხანაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი პროფესორი: მამუკა ჯოლბორდი

გორის ისტორია გაეაღავებამდე

გორი საქართველოს ერთდერთი უძველესი ქალაქია, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მას დიდი სტრატეგიული და სავაჭროდეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აქ თავს იყრიდა როგორც დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, ასევე ჩრდილოეთიდან დიდსა და პატარა ლიახვზე გამავალი გზები. გორის განსაკუთრებული დანიშნულება ლიახვის ხეობის დაცვა იყო. ჯერ კიდევ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მოღვაწე ცნობილი გეოგრაფი სტრაბონი მიუთითებდა იბერიაზე გამავალი ოთხი გზის შესახებ, რომლებიც გორთან კვეთდა ერთმანეთს.

ჩვენს ნაშრომში არქეოლოგიური მასალების, საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, შევეცადეთ წარმოგვედგინა გორის ისტორია დავით IV აღმაშენებლის მიერ მისთვის ქალაქის სტატუსის მინიჭებამდე.

როგორც აღვნიშნეთ, გორი შიდა ქართლის მნიშვნელოვან თავდაცით ცენტრს წარმოადგენდა. ამიტომ მტერი თავგანწირვით იბრძოდა გორის ხელთვებისათვის. ყველა დამპყრობელმა კარგად იცოდა, რომ თუ გორს აიღებდა, მაშინ შიდა ქართლის დაკავებასაც ადვილად შეძლებდა. კიდევ უფრო დიდი იყო გორის მნიშვნელობა ქართლისათვის. ქართველები გორს უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ, ხოლო როცა დაცვა შეუძლებელი ხდებოდა, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელთ, თვითონვე ანგრევდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. [1:32] მართალია, ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი წყარო ამ დასახლებას ქალაქად XII საუკუნიდან მოიხსიებს, მაგრამ მკვლევართა ვარაუდით, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე გორის ტერიტორიაზე დასახლება არსებობდა. რასაც ადასტურებს გორის ციხის ნანგრევებზე სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე არქეოლოგიური ფენა. [1:29] როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, გორის ციხის ტერიტორიაზე მიკვლეული სიძველეები ადასტურებს, რომ ეს დასახლება ანტიკური და ელინისტური ხანისაა. [2:14]

როგორც აღვნიშნეთ, პირველი ცნობა, რომელშიც გორი იხსენიება, მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსს ჯუანშერს ეკუთვნის. მემატიანე თავის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა“ აღნიშნავს, რომ ქართლის ერისთავს სტეფანოზს ორი შვილი ჰყავდა და არჩილი და მირი. მთელი თავისი ქონება სტეფანოზმა შვილებს შუაზე გაუყო, ხოლო თვითონ ეგრისს წავიდა. არჩილის შესახებ ჯუანშერი წერს: „ნახევარი საქონელისა თუისისა მისცა არჩილს უმრწემესსა დესა თუისისა, ხოლო არჩილ დაფლა საგანძური უფროსი ხევსა კახეთისასა, ხოლო სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლისანი საგანძური ქართლისა და ჯავახეთისანი დასხნა გორს, რომელი მანვე ერაკლე განაჩინა სამალავად განძთა მათთუის, რომელი თანა ვერ წარქონდეს“. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჯუანშერისათვის გორი VII საუკუნეში რეალურად არსებული გეოგრაფიული პუნქტია, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს პუნქტი საკმაოდ გამაგრებულ ციხედსიმაგრედ ითვლება, სადაც სახელმწიფო ქონების დაცვა შეიძლება. ჯუანშერი ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ერთი შეხედვით ახსენებს გორს, რომელიც ბიზანტიის კეისარს ჰერაკლეს პირველად გამოუყენებია განძის სამალავად თანაც, სახელად და ტონთიო უწოდებია. („მთა ოქროსა“) „სახელი გორისა მის არს ტონთიო, რომელ არს თარგმანებით „მთა ოქროსა“. ვახუშტი ბატონიშვილმა არასწორად გაიგო ჯუანშერის ნათქვამი და მისი შემდგომი ინტერპრეტაცია მოგვცა: „ხოლო არჩილ საგანძური დაფლა უჯარმის ხევსა და საგანძური ქართლისა გორს, რომელი კეისარს ერაკლესავე განეჩინა“. ვახუშტი „გორის ქალაქის“ აღწერისას, მართალია, არ ახსენებს ჯუანშერს, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ მას გულისხმობს, როცა ამბობს: „ერაკლე კეისარმან უწოდა ტონთიო და ჰყო საფლველად საგანძურთა“. საყურადღებოა, ასევე გორის სახელმწი-

ფო ისტორიულდეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მეფე ვახტანგ VI-ის სიგელი საიდანაც ირკვევა, რომ იმ კლდეს, რომელზეც აგებულია ციხე, თამარ მეფის დროს კვლავ ტონთიო რქმევია.

პირველი ვინც ჯუანშერის „გორი“ საკუთარ სახელად არ ჩათვალა იყო ს. ყაუხჩიშვილი მან „ქართლის ცხოვრების“ | ტომის სახელთა საძიებელში არ მიუთითა, „გორი“, როგორც საკუთარი სახელი. აქ ვხვდებით მხოლოდ „ტონთიოს“, რომელიც მკვლევარმა ისევ ტექსტის მიხედვით განმარტა და აღნიშნა, რომ „მატიანე ქართლისაში“ დასახელებულია იმავე სახელწოდების სოფელი ჯავახეთში. მატიანეს ტექსტს თუ ჩავუკვირდებით ჩანს, რომ „გორი“ სახელი კი არ არის, არამედ გორი – ბორცვია“.

მტკვრისა და ლიახვის შესართავთან არსებული ქალაქის სახელი გორი ქართულ საისტორიო მწერლობაში XII საუკუნიდან ჩნდება, როცა დავით IV აღმაშენებელმა იგი ქალაქად აქცია. მანამდე არსებულ ქალაქს რა ერქვა ამის დადგენა ძნელია. სიმართლესთან უფრო ახლოსაა ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც გორის შესახებ ამბობს: „ამან სახელი მოიგო გორისაგან, რომელი აღმოსრულ არს მუნ დიდი“, თუმცა გორის შესახებ ცნობები ძალიან მნირია. ამ საკითხით ვახუშტი ბატონიშვილიც ყოფილა დაინტერესებული, მაგრამ მას პირდაპირი ცნობებისთვის ვერ მიუგვნია. ვახუშტი წერს: „ქალაქი გორი... არა არს უწყებული, ვისით აღმენდა პირველ“ [9:72] გორის წარმოშობის საკითხის გასარკვევად, ლიტერატურული ცნობები ნაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ არ ვიცით ვახუშტის ხელთ ჰქონდა თუ არა ჯუანშერის ცნობა, როცა ასეთ მოსაზრებას აყენებდა. იქნებ იგი სულ სხვა წყაროებით ხელმძღვანელობდა? ნარატიული ცნობებისგან განსხვავებით, ჩვენ მოგვეპოვება არქეოლოგიური მასალები, რომელთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ ქალაქ გორის წარმოშობის ქრონოლოგია.

გორში სპციალური არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ შემთხვევით მიგნებულმა სხვადასხვა ნივთმა, სამარხმა თუ ნაგებობამ საკმაო მასალა მოგვცა მისი უძველესი წარსულის შესასწავლად.

1946 წლის 5 თებერვალს გორის ციხის ჩრდილო ფერდობი მოზვავდა. მიწის ღრმა ფენებში აღმოჩნდა ალიზის კედელი, თხელკეციანი ქვევრები, წითლად შეღებილი ბრტყელი და ლარისებრი კრამიტი, შავპრიალა და წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ამავე ხანის სამრხები აღმოჩნდა ციხის აღმოსავლეთით, სადაც ნაპოვნია თიხის ჭურჭელი, მონეტები, მძივები, სამაჯურები და სხვა სამკაულები. აღმოჩნდა არქეოლოგიურ ძეგლებს შორის საყურადღებოა აღმოსავლური იერის ქვის მრგვალი ქანდაკების თავი, რომელიც ანტიკური ხანისა უნდა იყოს. ჩამოზვავებული ადგილები არქეოლოგიურად სრულყოფილად შესწავლილი არ არის, მაგრამ აღმოჩნდილი ნივთები ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას იძლევა. აღმოჩნდა საგნებს შორის ორი ტიპის კრამიტის უამრავი ნამტვრევებია, რომლებიც ძეგლის დათარიღების საშუალებას გვაძლევს. შავპრიალა ჭურჭლის მკვლევარები ძვ. წ. I ათასწ. პირველი ნახევრით ათარიღებენ. გორში აღმოჩნდილი კრამიტი სამთავროს, არმაზხევსა და ბაგინეთში აღმოცენილი კრამიტის ტიპისაა. შავლება და შავპრიალა ჭურჭლის ფრაგმენტები ახლოს დგანან სამთავროს, თრიალეთსა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე აღმოჩნდილ იმ ჭურჭელთან, რომლებიც ძვ. წ. I ათასწ. პირველ ნახევარს მიეკუთვნებიან. [1:7]

ცალკე უნდა განვიხილოთ გორში აღმოჩნდილი ნუმიზმატიკური მასალა: გასულ საუკუნეში გორის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. III-II საუკუნეების პართული დრაქმების განძი. მართალია, ჩვენთვის ცნობილი არაა განძის ზუსტი შემადგენლობა, მაგრამ ვიცით ის, რომ 30 ეგზემ-პლიარი ამ სამონეტო კომპლექტისა შეიძინა ი. ბართლომეიმ. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ განძის შემადგენლობა მრავალრიცხვანი ყოფილა. გარდა ამისა, ადრეული პართული დრაქმები, კერძოდ, მითოდატე I-ისა (ძვ. წ. 171-138), მიკვლეულია გორისა და ნასტაკისში. ამრიგად, ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან მაინც უნდა ვივარაუდოთ იბერიში პართული მონეტების გავრცელება. მეოცე საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდა ე.ნ. კოლხური სტრატერი (თრაკიის მეფის ლისიმაქეს სტრატერის მინაბაძი). [4:13] 1900დიან წლებში კი გორში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით იპო-

ვეს რამდენიმე მონეტა, რომელთა შორის იყო ანტონიუსისა და ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას (ძვ. წ 69დ 30) სახელით ანტიოქიაში მოჭრილი ტეტრადრაქმა.[2:9]

1939 წლის ივლისში საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის განყოფილებამ საკონტროლო გათხრები ჩაატარა გორის ციხეზე. აღმოჩნდა ძვ. წ 1 საუკუნის ქალაქის ქანდაკების ფრაგმენტი (ინახება გორის სახელმწიფო მუზეუმში) 1940 წელს მარტში გორის უნივერსიტეტის ნინ, ჭავჭავაზის ქუჩაზე, მინის სამუშაოების დროს აღმოჩნდა სამარხი, რომელშიც მიცვალებული პირდაპირ მინაში იყო ჩაფლული. საფლავში მოიძებნა მძივები, თიხი ჯამი. იმავე წლის აპრილში, იმავე ქუჩაზე(ახლანდელი უნივერსიტეტის, მეორე კორპუსის ნინ) აღმოჩნდა მეორე საფლავიც. საფლავში ადამიანის დაშლილ ჩონჩხთან ერთად აღმოჩნდა პართის მეფის გოტარზესის(ჩვ. წ. ა 1 საუკუნე) ვერცხლის დრაქმა, მძივები (ეგვიპტური პასტის, სარდიონის, ბროლის ნატეხები), ლი-თონის სამკაულები (ვერცხლის ბეჭედი ლალის თვლით, ბრინჯაოს კუშტული), თიხის ჯამი.[4:12]

ასევე 1950 წელს ქალაქ გორის ადმინისტრაციული სახლის (დღევანდელი გამგეობის შენობა) საძირკვლის მშენებლობისას აღმოჩნდა ნიადაგისეული სამარხები, ადამიანის ნაშთებთან ერთად ნაპოვნია მონეტები, მინისა და სარდიონის მძივები, თიხის ჭურჭელი და სხვ.

გორის სახელმწიფო ისტორიულდეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ეს ნივთები თარიღდება ძვ. წ 11-1 საუკუნეებით. ამრიგად გორის ციხედექალაქის, ისტორია ძვ. წ 1 ათასწ. მედ2 ნახევრიდან იწყება. გორში განვითარებული ყოფილა ხელოსნობა და ვაჭრობა. ამაზე მიგვითოთებს ქ. გორის და მისი ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ადგილობრივ დამზადებული თუ იმპორტული პროდუქცია. გორში არსებული ციხედსიმაგრე, რომელიც ამჯამად მნიშვნელოვნად დაზიანებულია ქრონოლოგიურად განსხვავებულ რამდენიმე სამშენებლო ფენას შეიცავს თუმცა არც ერთის თავდაპირველი სახით აღდგენა არ ხერხდება.[1:17]

დადგენილია, რომ შუა საუკუნეების ციხე აშენებული იყო ძველ ნაციხარზე, რომელიც მკვლევართა აზრით არმაზციხის ტიპის ნაგებობას წარმოადგენდა. ბორცვის შიდაციხის ზღუდეები ისეა ამოყვანილი, რომ ბორცვის თხემი შიგნით არის მოქცეული, რაც თავდამსხმელს ზღუდის საძირკვლის გათხრას უძნელებდა. საძირკვლის გამთხრელი კედლის შიგნით კლდეს ნააწყდებოდა და შიდაციხეში ვერ შევიდოდა ნაგებობა თარიღდება ძვ. წ უკანასკნელი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ახ. წ 1 საუკუნეებით.[5:153]

ეს ციხე ფერდობზეა განლაგებული, ორ პარალელურ კედელშია მოქცეული და მდინარეებთან ცილინდრული ფორმით მთავრდება. ციხე შიგ ხუთ თუ ექვს მონაკვეთად ნაწილდება. თითოეულ ამ ნაწილს ერთმანეთთან სპეციალური კარები აკავშირებდა. გამყოფი კედლები დღეს თითქმის დანგრეულია. ციხის დასავლეთით სამსართულიანი კოშკია, ხოლო სამხრეთ კედელზე მცირე ზომის ორი კოშკია მიმენებული.[1:19] დღესდღეობით უკეთაა შემონახული დასავლეთის ფერდობზე მდებარე ნაწილი, რომელსაც ადგილობრივები „ცხრაკარას“ ეძახიან. ისიც დაზიანებულია, მაგრამ ხერხდება ზოგიერთი დეტალის აღდგენა. XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილი გეგმის მიხედვით, „ცხრაკარას“ ჰქონია თავდაცვისათვის მოსახერხებელი მდებარეობა, გარდა ამისა, მას მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდადეს იყო გორის ციხის წყლის მომარაგება. ციხის ბოლოდან მდინარეზე ჩამოდიოდა გვირაბი. ადრეულ ჰერიოდში ციხეს შესასვლელი სად ჰქონდა არ ჩანს. აქ მდგარი კოშკიდან გადარჩენილია მხოლოდ კამაროვანი გასასვლელი. ციტადელი სამხრეთდაღმოსავლეთ მონაკვეთში მდგარა მცირე ზომის ეკლესია. ციხის დასავლეთ ნაწილში „ცხრაკარის“ მეორე განყოფილებაში დღესაც არის მოკლე გვირაბი, მაგრამ ამ გვირაბით სარგებლობა ვფიქრობ, მოუხერხებელი უნდა ყოფილიყო.

ასე რომ, გორის ციხე მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა. მისი დაუფლება ნიშნავდა, პოლიტიკურ ბატონობას მთელ შიდა ქართლზე.. მას მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა იმის გამოც, რომ იგი მდებარეობდა იმ მაგისტრალზე რომელიც აკავშირებს თბილის ახალციხესთან და იმერეთთან. გარდა ამისა, იგი გზას უღობავდა ჯავახეთიდან შემოსულ თავდამსხმელებს.[1:21]

ვარაუდობენ, რომ ციხეში საცხოვრებელი ნაგებობანიც უნდა ყოფილიყო. ციხეზე საცხოვრებლის არსებობაზე რამოდენიმე ცნობა მოგვეპოვება, დიმიტრი ბაქრაძის მიხედვით, ციხეში 150 ოჯახი თავსდებოდა. აშკარაა, რომ გორის ციხე ერთდერთი უძველესი ციხედსიმააგრე იყო საქართველოში და თავდასხმების დროს ის არა მარტო ქალაქ გორის, არამედ მახლობელი სოფლების მცხოვრებთა თავშესაფარსაც წარმოადგენდა.

დავით IV აღმაშენებლის მიერ თურქდსელჯუკთა ბატონობისაგან თბილისის გათავისუფლებამ (1122წ) და მისი საქართველოს დედაქალაქად გადაქცევამ, ციხედ ქალაქ უფლისციხეს დაუკარგა მნიშვნელობა. ამის შემდეგ იწყება გორის თანდათანობითი აღზევება, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით.

მან უფლისციხის ადგილი დაიკავა ქართლში. მოსახლეობის გაზრდის მიზნით, დავით აღმაშენებელმა აქ ვაჭარდხელოსნური მოსახლეობა ჩამოასახლა. მას განაგებდა მეფის მოხელე ქალაქის მოურავი. როგორც ფეოდალურ ქალაქს, გორს საკუთარი ციხის გარდა, ზღუდეც ჰქონდა შემოვლებული, რომელშიც დატანებული იყო ალაყაფის კარი. იგი მყუდრო თავშესაფარი გახდა თურქებისგან აწიოკებული სომეხი ვაჭარ ხელონებისათვის. თავიანთი სურვილით და დავით IV-დის ბრძანებით საქართველოში ჩამოყანილი სომხების ერთი ნაწილი გორშიც დაასახლეს. ქალაქის აღორძინებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ნაჭარმაგევში იყო დავით მეფის რეზიდენცია, რომლის რეზიდენციის მახლობლაად ვაჭარდხელოსანთა ფენის არსებობა სამეფო კარისთვის მრავალმხრივ ხელსაყრელი იყო. მეფის მიერ გორის ხელახლა გაშენება იმითაც უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, რომ ქვეყნის გაერთიანების შედეგად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა გორთან გამავალმა გზებმა.

როგორც ჩანს, სხორცედ გორის სტრატეგიულად მომგებიანმა ადგილმდებარეობამ უბიძგა დავით IV-ეს აქ დაეარსებინა ქალაქი, რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქციები (თავდაცვითი, ეკონომიკური, კულტურული) დაეკისრა საქართველოს შემდგომდროინდელ ისტორიაში.

ლიტერატურა:

1. გვრიტიშვილი 1954: დ. გვრიტიშვილი, „გორის ისტორია“, სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1954.
2. დუნდუა 2006: გ. დუნდუა თ. დუნდუა, „ქართული ნუმიზმატიკა“, ნაწილი I, გამომცემლობა „არტაუჯი“ თბ., 2006;
3. ზაქარაია 1973: პ. ზაქარაია, „საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები“, გამომცემლობა მეცნიერება თბ., 1973;
4. მამისთვალიშვილი 1999: ე. მამისთვალიშვილი „გორის ისტორია“, ტ. I, გამომცემლობა „ქართლი“, თბ., 1999;
5. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 1990: ტ. V, თბ., 1990;
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1990: ტ. I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბ., 1990;
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III;
8. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955 ბატონიშვილი ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1955

მარიამ ტუხაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: კახაბერ ლორია

სკანდინავის ქვეყნები გვიათი შუა საუკუნეების პერიოდში

ტერმინი „შუა საუკუნეები“ წარმოდგება ლათინური სიტყვა მედიუმ აევუმ – დან, მისგან მომ-
დინარებს მეცნიერების – მედიევისტიკის სახელწოდებაც, რომელიც შეისწავლის შუა საუკუნეების
ისტორიას.

განმანათლებლობის ეპოქის ისტორიკოსები პირველი იყვნენ, რომელთაც დოკუმენტური მა-
სალების კვლევის დროს სოციალური ისტორია წინ წამოსწინეს და ტერმინები „შუა საუკუნეები“ და
„ფეოდალიზმი“ ერთმანეთთან გააიგივეს. შუა საუკუნეები–ეს იყო დო, როცა გაბატონებული იყო
ფეოდალური, ანუ ლენური სისტემის საზოგადოებრივი კავშირები ფეოდალებს – მიწის მესაკუთრე-
ებს შორის.

მიღებულია შუა საუკუნეების დაყოფა სამ ძირითად პერიოდად, რომლებიც განსხვავდებიან
ერთმანეთისაგან სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების სხვა-
დასხვა დონით.

პირველი, ადრეული შუა საუკუნეების პერიოდი V საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის შუა-
სანებს მოიცავს. ეს არის ფეოდალიზმის საზოგადოებრივ სისტემად ჩამოყალიბების დრო, როცა გა-
ბატონებული იყო ნატურალური სამეურნეო ურთიერთობა. ეს იყო ბარბაროსული და ადრეფეოდა-
ლური სამეფოებისა და თანამედროვე სახელმწიფოს წარმოქმნის დრო.

მეორე, განვითარებული ფეოდალიზმის ხანა XI საუკუნის ნახევარსა და XV საუკუნის დასას-
რულს მოიცავს, ესაა ფეოდალური ურთიერთობის გაფურჩქინის პერიოდი, რომლისთვისაც დამახა-
სიათებელია ქალაქების მასიური ზრდა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება და ბი-
ურგერობის ჩამოყალიბება. პოლიტიკურ ცხოვრებაში დასავლეთ ევროპის უმრავლეს რეგიონში ფე-
ოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდის შემდეგ ყალიბდება ცენტრალიზებული სახელმწიფოები,
სახელმწიფოს ახალი ფორმა – წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია, რომელიც ასახავდა
ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და წოდებათა აქტივიზაციის ტენდენციას.

მესამე, გვიანდელი ფეოდალიზმის, ანუ ადრეული ახალი დროის პერიოდისათვის, XVI საუკუ-
ნესა და XVII საუკუნის პირველი ნახევრისათვის, დამახასიათებელია ფეოდალიზმის გახრნისა და
ადრეული კაპიტალისტური ურთიერთობების გენეზისის პროცესი. ამ დროს ყალიბდება ფეოდალუ-
რი სახელმწიფოს მესამე ტიპი – აბსოლიტური მონარქია. საზოგადოების სულიერ ცხოვრებას წარ-
მართავენ ადრებურულური რევოლუციები, გვიანდელი ჰუმანიზმი, რეფორმაცია და კონფირმე-
ფორმაცია. მნიშვნელოვანი წინსვლა ხდება ბუნებრივ მეცნიერებასა და რაციონალიზმში.

თითოეული ქვეყანა სამივე პერიოდის განმავლობაში თავისებურად ვითარდებოდა. განვიხი-
ლოთ სკანდინავიის ქვეყნები გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში, დაახლოებით XI-XV საუკუნეებში.-
ვიკინგების ლაშქრობების შეწყვეტამ ახალი სოციალური ურთიერთობები ჩამოაყალიბა. ჩამოყალი-
ბების პროცესში მყოფ ფეოდალთა კლასს ძველი დიდებულების ნაწილი და სამღვდელოება ავსებდა.
მასში შედიოდნენ, აგრეთვე, „ძლიერი ხალხი“ და „მძლავრი ბოდნები“, რომლებიც დიდად მიწას
ფლობდნენ. ბონდები – ეს ის ხალხია, რომელიც თავისუფალ მოსახლეობას გამოეყვნენ. ისინი, ჩვეუ-
ლებრივ, არა მარტო მიწათმოქმედებას ეწეოდნენ, არამედ მისდევდნენ მესაქონლეობას, იყვნენ მე-
თევზები, მონადირეები და უმეტესად გამოცალევებულ ხუტორებში ცხოვრობდნენ. თანდათანო-
ბით, მათი უმრავლესობა მიწის მესაკუთრეობიდან მიწის დროებით მფლობელად გადაიქცა. ისინი

შეთანხმების საფუძველზე, ამუშავებდნენ მინას. მეფეს ევალებოდა ჯარის შეკრების საქმე, აგებდა ციხე–სიმაგრეებს, რომელსაც მისი მოხელე – ფეოდალი იცავდა. სამხედრო სამსახური გლეხზეც ვრცელდებოდა, ის ვალდებული იყო, რომ გამოძახებისთანავე ჯარში წასულიყო.

გვიანი შუა საუკუნეები ნორვეგიაში ხასიათდება ხალხთა რაოდენობის ზრდით, მრავალი მშვენიერი ნაგებობების შენებით, ქალაქების ზრდითა და გამრავლებით, XII–XIII საუკუნეებში ნორვეგია სამოქალაქო ომებით გამოირჩეოდა. აქ ვერ მოხერხდა ერთიანი სახელმწიფო მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება, ამიტომ მეფის გვირგვინზე პრედენტებებს შორის მუდმივი ბრძოლები მიმდინარეობდა. საკმაოდ ძლევი იყო ამ პერიოდის ეკლესია. ის საკმაო სიმდიდრეს დღლობდა. ერთი მხრივ, მეფე, ხოლო მეორე მხრივ, ეკლესია, ითხოვდა სხვადასხა სახის გადასახადებს გლეხებისგან, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდათ მათ.

1177 წელს აჯანყდა შენუხებულ გლეხთა ერთი ნაწილი. მათ სათავეში სვერირი ჩაუდგა. ნორვეგიელთა დიდყაცობას, რომელთა სათავეში მაგნუსი იდგა, დანიელები დაეხმარნენ, მაგრამ გლეხებმა შეძლეს მათი დამარცხება და 1184 წელს მეფედ სვერირი აი არჩიეს. ეს აჯანყება „ბირკებეინერების აჯანყების“ სახელით არის ცნობილი, რადგან გაუსაძლის პირობების მყოფი გლეხები ფეხსაცმლის უქონლობის გამო ფეხზე არყის ხის ქერქს იხვევდნენ. სვერირი დაიღუპა 1202 წელს შეტაკების დროს, რომელიც მიმდინარეობდა მის მომხრეებს, ბირკებეინერებსა და ეკლესიის წინამდლოლთ შორის.

1217 წლამდე ამ ორმა დაპირისპირებულმა ძალამ ვერ შეძლო საერთო მეფის არჩევა. მხოლოდ 1217 წელს შეთანხმდნენ და ნორვეგიის სახელმწიფოს სათავეში სვერირის შვილიშვილი, ჰოკონ ჰოკონსონი ჩაუდგა (1217–1263).

სწორედ ჰოკონის დროს გადაწყდა, რომ ნორვეგია მემკვიდრეობითი სამეფო უნდა გამხდარიყო. ეს უჩვეულო იყო იმ დროის ევროპის ქვეყნებისათვის, მათ შორის, დანიისა და შვედეთისათვიც.

მისმა ვაჟმა მაგნუს ლოგაბორთემ გაავრძელა შუა საუკუნეების სამეფო ინსტიტუსის აღორძინება. ის აგრეთვე დაკავებული იყო კანონების მიღებითაც. 1200–იან წლებში მის მიერ მიღებული კანონმდებლობა წარმოადგენს საკმაოდ განვითარებულ სამართლებრივ იდეებს, რომლის მსგავსსაც ბევრმა სხვა ევროპულა ქვეყანამ გაცილებით გვიან მიაღწია. მაგალითად, შვედეთმა ასეთი კანონების კრებული მხოლოდ 1300 –იან წლებში მიიღო.

მისი უფროსი ვაჟი ეირიკი (1280–1299) აქტიურად იბრძოდა ეკლესიის ძალაუფლების შემცირებისთვის.

ნორვეგიის ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეფე იყო მაგნუს ერიკსონი, რომელიც სახელმწიფოს სათავეში იდგა 1300–იან წლებში, რომელიც ამავდროულად შვედეთის მეფედაც აირჩიეს.

1330–იან წლებში ორჯერ მოეწყო მის წინააღმდეგ აჯანყება. მისი თანამემამულეები მიიჩნევდნენ, რომ ის უფრო მეტად იყო დაკავებული საგარეო პოლიტიკითა და შვედეთის ინტერესებით, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ბედით.

აგრეთვე შვედეთშიც ხანგრძლივად მიმდინარეობდა სამეფო ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესი. მრავალი ხელისშემსლელი პირობა არსებობდა ამისთვის. ფეოდალებსა და მთავრებს არ სურდათ საკუთარი ძალაუფლების დათმობა.

1164 წვედებმა უფსალაში აირჩიეს პირველი მეუფე, წმინდა ერიკი, რომელიც მათი ეროვნული წმინდანი გახდა.

1200–იან წლებშიც კი არ შეგვიძლია შვედეთს ვუწიდოთ სახელმწიფო. 1250 წელს სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა ვალდემარი, რომელიც დაკავებული ფინეთის წინააღმდეგ წარმოებული ომებით, მიიღო ახალი წესები და კანონები და ერთ–ერთი სამეფო გამოითხოვა თავისი ძლევამოსილი ძმისგან – მაგნუს ლადულოსისგან.

მნიშვნელოვანი იყო შვედეთისთვის 1100–იანი წლების მიწურული, როდესაც დაიწყეს რკინის წარმოება. გერმანიიდან ჩამოდიოდნენ სპეციალისტები, რომლებიც ასწავლიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას მაღაროებში მუშაობას. სტოქჰომი, რომელიც აშენდა 1200–იან წლებში, ამ პროდუქტე-

ბის გამშვებ ნავსადგურს წარმოადგენდა. გერმანელი მოსახლეობა დასახლდა სტოქჰოლმსა და სხვა ქალაქებში, რომლებიც რკინის წარმოებით იყვნენ დაკავებულნი.

შუა საუკუნეების დანიის გამორჩეული მეფე იყო ვალდემარი, რომელიც გახდა ერთპიროვნული მმართველი 1157 წელს. მისი მმართველობის დროს გაიზარდა როგორც ფეოდალების, აგრეთვე ეკლესიის ძალაუფლება. ეკლესიამ მიიღო უფლება, რომ დამოუკიდებლად აერჩია ეპისკოპოსები და მიეღო ავტოკეფალია.

მისი გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ დაიწყო დაუსრულებელი კონფლიქტები მეფეს, ეკლესიასა და ფეოდალებს შორის. ერიკ მენვედს (1286–1319) სურდა, რომ დანიის ზეგავლენა გაევრცელებინა ჩრდილოეთ გერმანიასა და შვედეთზე, თუმცა მან ამ მიზანს წარმატებით ვერ მიაღწია.

XVI საუკუნის ბოლოს გერმანულ ჰანზას მონოპოლიზირებული ჰქონდა ვაჭრობა სკანდინავიაში. 1364 წელს შვედეთის უკანასკნელი მეფე – ფოლკენგების დინასტიიდან – მაგნუს ერიქსონი, რომელიც 1319 წლიდან ნორვეგიის მეფეც იყო, განდევნეს და გერმანიის ჰერცოგი ალბრეხტ მაკლენბურგელი აირჩიეს. სამეფო კარის უკმაყოფილო ნაწილმა მეფე ვოლდემარ ატერდაგის ქალიშვილი – მაგნუს ერიქსონის ვაჟისა და თანამმართველის, ჰოკონის ქვრივი – დედოფალი დანიისა მარგარიტა იწვია, რათა ტახტზე აეყვანათ უასაკო ვაჟ ოლაფთან ერთად.

1380 წელს დანია და მასზე ეკონომიკურად დამოკიდებული ნორვეგია მარგარიტა დანიელის მმართველობით პირად უნიაში გაერთიანდნენ. 1387 წელს მარგარიტას ვაჟი ოლაფი გარდაიცვალა; და მარგარიტა „შვედეთის სრულუფლებიან მთავრინად და კანონიერ მპრანებლად“ იქნა გამოცხადებული. 1389 წელს შვედეთის მეფე ალბრეხტი გაერთიანებულმა შვედურ-დანიურმა ლაშქარმა სძლია და იმხანად დანია-შვედეთის საზღვართან მდებარე კალმარის ციხესიმაგრეში უნის შექმნაზე მოაწერინა ხელის. შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის მეფე გახდა დედოფალ მარგარიტას მცირენლოვანი ვაჟი ერიკ პომერანელი.

ამ კავშირის შემდეგ კონფლიქტები არ დასრულებულა. 1435 წელს დალარნაში აჯანყება მოწეყო ენგელბრექტ ენგელბრექტსონის მეთაურობით, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ სამეფო კარის ლიდერმა კარლ კრისტიან ბუნდემ გააგრძელა. ეს აჯანყება გამოწვეული იყო მარგალიტას გადაწყვეტილებით. მან ჰანზას კავშირი სკანდინავიაში დომინანტად აღიარა. ერიკი (1412–1439) კი პირიქით, ლუბეკისა და ჰანზასგან ცდილობდა გათავისუფლებას, რამაც ომი გამოიწვია. ომებმა შლეზვიგ-ჰოლშტეინში, მაკლენბურგსა და პომერანიაში შვედეთის მოსახლეობისთვის ბეგარა გაზარდა და დაზიანა შვედეთიდან რკინის ექსპორტი. კარლ ბუნდე 1438 წელს რიკსდაგმა ქვეყნის მმართველად აირჩია. ერიკი გადააყენეს როგორც უნის მეფე და მისი ადგილი მისმა ძმისნულმა ქრისტოფერ ბავარიელმა დაიკავა. ქრისტოფერი უშვილო გამოდგა და მისი გარდაცვალების შემდეგ 1448 წელს ხელისუფლების ვაკუუმი შეიქმნა. შვედეთმა ახალ მეფედ კარლ კრისტიანი უნის შვედეთის მგვირგვინქვეშ ალორძინების მიზნით აირჩია. მომდევნო წელს კარლი ნორვეგიის მეფედ აირჩიეს, მაგრამ დანიის ახალი მეფე ქრისტიან I ოლდენბურგელი გახდა. მომდევნო 70 წელი შვედეთსა და დანიას შორის უნიაში პირველობისათვის ძიძილაობაში გაილია.

შვედეთის რეგენტის სტენ სტურეს გარდაცვალების შემდეგ 1503 წელს შინაომში ქრისტიან II დანიელი ჩაერია. 1517 წელს თავის შვედ მომხრეებზე დაყრდნობით მან უნიის აღდგენა სცადა. ორი უშედეგო (1517–1518 წნ) მცდელობის შემდეგ 1520 მან ტბა ოსუნდენზე ბრძოლა მოიგო, სადაც სასიკვდილოდ დაიჭრა მისი მოწინააღმდეგე სტენ სტურე; ქრისტიან დანიელმა სტოქჰოლმი დაიკავა. 1520 წელს აერიდა რა სტოკჰოლმში მომდევნო სისხლისლვრას გუსტავ ეიქსონ ვაზა სმოლანდის ტყეებში ახალ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში, შედეგად, შვედებმა 1521 წელს დანიელები ისევ განდევნეს. 1523 წელს სტრენგნესში გუსტავ ერიქსონი შვედეთის მეფედ აირჩიეს, რამაც საბოლოოდ დაშალა უნია.

კალმარის უნიის ნარჩენებმა 1536 წლამდე იარსება, როდესაც დანიამ ნორვეგია საკუთარ პროვინციად გამოაცხადა და დანიურ-ნორვეგიულ უნიას ჩაეყარა საფუძველი დანიის შესამჩნევი უპირატესობით. ნორვეგია საკუთარ კანონებსა და ზოგიერთ სახელმწიფო ინსტიტუტებს ინარჩუ-

ნებდა, მაგრამ, მისი კუთვნილი ტერიტორიები – ისლანდია, გრენლანდია და ფარერის კუნძულები დანიის მმართველობას დაექვემდებარა. 1814 წელს დანია იძულებული შეიქმნა ნორვეგია შვედეთის მეფისთვის გადაეცა. ამ მოვლენებმა XIX საუკუნის შუა ხანებში კალმარის უნიის ერთიან მონარქიად აღდგენის (ფინეთის გამოკლებით) მსურველთა მოძრაობები გამოიწვია.

ლიტერატურა:

1. კუტალია 1997, გ.კუტალია „შუა საუკუნეების ისტორია“. თბილისი, 1997
3. <http://www.wikipedia.org/scandinavians>

თორნიკე ბუბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ კვიჭინაძე

საამები სკანდინავიასა და მის მთავრობელ ქვეყნები

პირველი ისტორიული ცნობები საამების შესახებ გვხვდება, ცნობილ რომაელ ისტორიკოსთან კორნელიუს ტაციტუსთან ახ. წ 90 წელს. ის მათ უწოდებდა „ფენის“ (ენი), ტაციტუსი წერდა, რომ ისინი არ ამუშავებდნენ მიწას, ეცვათ ცხოველთა ბეწვი და ეძინათ მიწაზე.

მეორე ისტორიული წყარო იყო ბიზანტიელი პროკოპი კესარიელის ცნობები, რომელიც თარიღდება ახ. ქ. 550 წლით. ის წერდა სკანდინავიელ ხალხებზე, „სკრიდ ფინნებზე“ (Skrift Finns) – მონადირებზე რომლებიც ბეწვით იყვნენ შემოსილნი. შემდეგი ცნობა ეკუთვნის პავლე დიაკონს, რომელიც დათარიღდებულია მერვე საუკუნით. ის წერდა ისევ ფინებზე და მოგვითხრობდა თხილამურების შესახებ. მისი ცნობებით ფინები თოვლში გარეულ ცხოველებს ხის ფიცრებზე მდგარნი მისდევდნენ, იქ იყვნენ ცხოველები, რომლებიც გავდნენ ირმებს და ტანსაცმელს სწორედ მათი ტყავისგან იკერავდნენ.

ამის შემდეგ საამებზე ისტორიული ცნობები არ გხვდება 13 საუკუნემდე, სანამ სწორი სტურლასონმა არ მოიხსენია ისინი თავის საგებში, როგორც ხალხი რომელთაც ჰქონდათ ურთიერთობა სხვა სკანდინავიელებთან.

1543 წელს შვედეთის მეფემ გუსტავ ვასამ წერილში დაწერა, რომ საამებს შეეძლოთ ესარგებლად უფლებებით, თავიანთ ტერიტორიაზე „ლაპლანდიის საზღვარზე“. მალევე 1553 წელს გუსტავ ვასამ გადაწყვიტა, რომ სამომავლოდ საამებს დაეკისრებოდათ გადასახადი, რომელიც პირდაპირ სამეფო ხაზინას გადაეცემოდა.

რაც შეეხება თანამედროვე პერიოდს საამები შვედეთში მხოლოდ 1977 წელს ცნეს როგორც ადგილობრივი მოსახლეები. 1993 წელს კი დაარსდა საამების პარლამენტი შვედეთში. ფინეთში 1973 წელს, ხოლო ნორვეგიაში 1989 წელს. სკანდინავიის ქვეყნების მოსახლეობა საამების მიმართ რასისტულად იყო განწყობილი, მაგრამ მეოცე საუკუნეში ასეთი მიდგომა თითქმის აღარ არსებობდა და საამებმა შეინარჩუნეს თავიანთი იდენტობა.

საინტერესო ფაქტები საამებზე:

დროშა: საამებმა დროშა შექმნეს 1986 წელს. მასზე გამოსახული წრე განასახიერებს მზისა და მთვარის სიმბოლოს. მზის ფერი არის წითელი, ლურჯი კი მთვარისა. ეს ფერები საამების ტრადიციული ფერებია.

საამების ტერიტორია: მოიცავს 157,487 კვ2.

ვალუტა: შვედური და ნორვეგიული კრონა, ევრო და რუბლი.

შიდა-სამთავრობო ორგანოები: საამების პარლამენტი (სამმედიგი) არსებობს, შვედეთში, - ნორვეგიაში და ფინეთში.

საამების ნაციონალური დღე : 6 თებერვალი

რელიგია : პროტესტანტული ქრისტიანობა, ლუთერანიზმი მთავარი საქმიანობა: ირმების მოშენება, ხელობა (დოუდჯი), ნადირობა, თევზაობა და ტურიზმი.

ექსპორტი: ირმების პროდუქცია, ხელობა და მუსიკა.

ნაციონალური ტანსაცმელი: გაქტი, ტრადიციული ნაჭრის სამოსელი.

საამების წარმომავლობა და ისტორია

საამების ისტორია დიდ დროს ითვლის. არსებობს მოსაზრება, რომ ისინი ფენოსკანდინავიის ნახევარკუნძულზე 9000 წლით ადრე დასახლდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც დედამიწაზე დიდი გამყინვარების პერიოდი სრულდებოდა, შესაბამისად თუ ეს სიმართლეა ისინი ევროპის სხვა მოსახლეებისგან იზოლირებულად ცხოვრობდნენ დიდი დროის განმავლობაში. როგორც მრავალი მეცნიერი ამტკიცებს საამები არიან ევროპის უძველესი აბორიგენი მოსახლეობა, რომელებიც ევროპაში დაბრუნდნენ ბოლო გამყინვარების შემდეგ და დასახლდნენ თანამედროვე ნორვეგიის, შვედეთის, ფინეთისა და კოლის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე(თანამედროვე რუსეთი). საამების გენეტიკური წარმოშობა კიდევ ამოუცნობია, თუმცა ახლახან ჩატარებული კვლევები იძლევიან მინიშნებებს, რომ ისინი შესაძლოა აზიელი ხალხის გენეტიკის მატარებელი არიან.

საამებმა მოახერხეს ადაპტაცია ჩრდილოეთ ევროპის მძიმე კლიმატთან. მათი საკვების ძირითადი წყარო თევზი და ჩრდილოეთის ორემი იყო. ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციის თანახმად. ნორვეგიაში დღეს-დღეობით საამები ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ცხოვრობენ და წარმოადგენენ სრულუფლებიან მოქალაქეებს.

საამები შვედეთში

შვედეთში ცხოვრობს დაახლოებით 20 000 საამი. მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ჩრდილოეთის ირმების მოშენება, როგორც ნორვეგიაში. ისინი იმავე უფლებებით სარგებლობენ როგორც ჩვეულებრივი შვედი მოსახლეობა. 1993 წლის 1 იანვარს დაარსდა საამების პარლამენტი, რომელიც მდებაროებს კირუნაში. სხდომები იმართება საამების ენაზე. მის გახსნას პირადად დაესწრო შვედეთის მონარქი კარლ XVI გუსტაფი. სანამ პარლამენტი დაარსდებოდა 1989 წელს, შვედეთმა ცნო საამები როგორც ხალხი . მაგრამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციისა ხელი არ მოაწერა. 1998 წელს შვედეთმა ფორმალური ბოდიში მოუხადა საამებს არასწორი ქმედებებისთვის.

საამები ფინეთში

ფინეთის ჩრდილოეთ პროვინცია ლაპლანდია მიიჩნევა საამების რეგიონად. იქ დაახლოებთ 10 000 საამი ცხოვრობს. პროვინცია დაცულია ფინეთის კონსტიტუციის მიერ და აძლევს სრულ ავტონომიას კულტურისა და ენის სფეროებში. საამების რეგიონი შედგება ენონტეკიოს, უტსიოკის და ინარის მუნიციპალიტეტებისაგან. რომელიც მოიცავს ფინეთის ტერიტორიის 10%-ს დაახლოებით 35,000კმ²-ს. ფინეთში საამების პარლამენტი დაარსდა 1973 წლის 9 ნოემბერს, ხოლო ფინეთმა საამები ცნო როგორც „ადამიანები“ 1995 წელს, მაგრამ არც მათ მოაწერეს ხელი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციას. ფინელებმა 1992 წლიდან მიანიჭეს უფლებები საამებს ენობრივ საკითხში. ფინეთში საუბრობენ 3 საამების ენაზე: ჩრდილოურ საამურად, სკოლტის საამურად და ინარის საამურად. ფინეთში არ ვრცელდება რაიმე კანონი, რომელიც ზღუდავს ირმების მოშენებას, სხვა მოსახლეობისთვის გარდა საამებისა, როგორც ეს ნორვეგიასა და შვედეთშია. იქ ყველა ფინელს და მათ შორის საამებსაც შეუძლიათ მოაშენონ ირმები.

საამები რუსეთში

რუსეთში საამები ცხოვრობენ კოლის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ და ცენტრალურ რეგიონებში. დაახლოებით 2000 კაცი. სოფელი ლოვოზერო, რომელიც კოლის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, წარმოადგენს რუსი საამების, მთავარ ადმინისტრაციულ ცენტრს. ლოვოზეროში დაახლოებით 900 საამი ცხოვრობს. სოფელი მდებარეობს 180 კილომეტრის დაშორებით მურმანსკიდან. საამების ენა ისწავლება სკოლებში 1–4 კლასებში. ამის შემდეგ მოსწავლეები მას ნებაყოფლობითად აგრძელებენ. ამის მიუხედავად ენის სიტუაცია მძიმე პრობლემის წინაშე დგას. რადგან რუსი საამების

მხოლოდ 44 % საუბრობს თავის მშობლიურ ენაზე. საამები რუსეთშიც აქტიურად მისდევენ ირმების მოშენებას. ოფიციალური მონაცემებით საამების უმუშევრობა ძალიან დაბალია, მაგრამ სინამდვი-ლები უმუშევრობა საამებს შორის 50 %-ს აღემატება. სოციალური სიტუაცია რუსეთის საამებთან მდიმეა. ალკოჰოლიზმი ძალიან გავრცელებულია. სტატისტიკურად 10 დან 9 ადამიანი სწორედ ალ-კოჰოლისაგან კვდება. აღსანიშნავია. რომ რუსეთმა არ მოაწერა ხელი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციას ადგილობრივი და ტომობრივი მოსახლეობს შესახებ.

საამების ენა – “ისტორიული მისტერია”

საამების ენის ისტორია ჯერ კიდევ ამოუცნობია მრავალი ასპექტით. ძალიან ძნელია დავადგინოთ თუ სად ლაპარაკობდნენ მასზე ადრე და ვინ იყვნენ სხვა მოლაპარაკენი. მაგრამ ახლა დანამდვილებით ვიცით, რომ საამურ ენაზე საუბრობენ საპმიში უკვე მრავალი საუკუნეა და ძალიან ჰგავს ბალტიკურ და ფინურ ენებს.

როგორც ასეთი, საამების ენა არ არის მხოლოდ ერთი, ის რეალურად არის 3 განსხვავებული ენა. მათზე საუბრობენ : ნორვეგიაში, ფინეთში, შვედეთში და რუსეთის კოლის ნახევარკუნძუზე. ეს სამი ენა იყოფა ასევე დიალექტებად , როგორებიცაა ლულესამი ანუ სამხრეთ საამური და ჩრდილოეთ საამური. ეს დიალექტები და ენები ერთმანეთს საუკუნეების განმავლობაში თავისი გზით განვითარდა და შესაბამისად დაშორდა ერთმანეთს, თუმცა, რა თქმა უნდა, მსაგვსება ადვილი შესამჩნევია.

მრავალი ათასი წლის წინ პროტო-საამურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს კონტაქტი ჰქონდათ აღმოსავლეთ მონადირეებთან(ურალის ხალხთან). ზოგიერთი სიტყვა თანამედროვე საამების ენაში სწორედ მათგან დამკვირდა. მაგალითად: ჯუოლლა „ისარი“, უროკასა „მშვილდი“ და სხვა. ასევე ურალების ენაში საამების ენის ელემენტებიც აღინიშნება. ეს ურთიერთობა საამებსა და ურალელ მონადირეებს შორის პირველად დამყარდა 6000 დ 8000 წლის წინ!

როდესაც საამების ენაზე ვსაუბრობთ საინტერესოა განვიხილოთ იოკი (უოკი), რაც წარმოადგენს უძველეს მუსიკის ფორმას ევროპაში. დანია-ნორვეგიის მეფემ გამოსცა ბრძანება 1609 წელს, რომ ყველა საამი, რომელსაც ხელი ერია ჯადოქრობაში და თანაც იოკს ასრულებდა, აუცილებლად სიკვდილით უნდა დასჯილიყო. იოკი უკანასკნელ პერიოდში გახდა ისევ პოპულარული და ბევრი საამი ახალგაზრდაც მღერის. იოკი წარმოადგენს ერთგვარ ვოკალურ ბევრებს , ზოგჯერ ტექსტსაც შეიცავს, მაგრამ ძირითადად ადამიანი ბევრების საშუალებით გამოხატავს თავის სათქმელს. იოკი შეიძლება მიეძღვნას ადამიანს ცხოველს, აღწეროს გრძნობები , სიხარული ან სევდა. როგორც საამების ენაში, იოკების დიალექტიც განსხვავდება იმის მიხედვით თუ საიდან არის იოკის შემსრულებელი . 2014 წლის შვედეთის „ტალანტ შოუში“ სწორედ საამელმა ბიჭმა , ჯონ ჰენრიკ-მა გაიმარჯვა იოკის შესრულებისთვის.

რელიგია

საამებისთვის რელიგია ისეთი მნიშვნელოვანი აღარაა, როგორც თითქმის მთელ სკანდინავიაში, მაგრამ იყო დრო როდესაც რელიგია ძალიან დიდ როლს ასრულებდა საამების კულტურაში. სანამ საამები მიიღებდნენ ქრისტიანობას მათ ჰქონდათ საკუთარი რწმენა. საამებს მიაჩნდათ, რომ ყველა ცოცხალ არსებას ჰქონდა სული, ამიტომაც ადამიანებს უნდა ეცხოვრათ ბუნებასთან ჰარმონიაში. საამები ასრულებდნენ სპეციალურ რიტუალებს და ძალიან დიდ პატივს სცემდნენ ბუნების ძალებს.

მათი აზრით სამყარო იყოფოდა სამ სფეროდ: ქვესკნელი, ნამდვილი სამყარო და ზეციური სამყარო. ყველა სამივე სფეროს ჰქონდა თავისი მიზნები და სულები. ადამიანები და ცხოველები ცხოვრობდნენ ნამდვილ სამყაროში ხოლო როდესაც გარდაიცვლებოდნენ მიღიოდნენ ქვესკნელში.

საამები გატაცებულნი იყვნენ შამანიზმით. როდესაც ადამიანს სურდა სანადიროდ ან სათევზაოდ წავსლა ის აუცილებლად ასრულებდა სპეციალურ რიტუალს. აღსანიშნავია რომ ქართულ მითოლოგიურ ტრადიციაშიც ფიქსირდება ასეთი მომენტები, როდესაც ასრულებს რიტუალს.

შამანები ძალიან დიდ როლს ასრულებდნენ რელიგიურ ცერემონიებში და შუამავლები იყვნენ ხალხსა და ღმერთებს შორის. ისინი უკრავდნენ სპეციალურ დოლებზე, რომელიც მათი თქმით ეხმარებოდათ ღმერთთან კონტაქტის დამყარებაში, რადგან მის ხმას შეეძლო შამანი ტრანსში გადაეყვანა, რითიც ის მიღიოდა ზეციურ სამყაროში, გარდაცვლილთა სამყაროში ან სხვა ქვეყნებში. შამანებს უწოდებდნენ ნოაიდებს, ისინი იყვნენ ქურუმები, ექიმები და მცენარეების ექსპერტები.

ზოგ ადგილში ყველა ოჯახს ჰქონდა წმინდა დოლი, რომელსაც წინასწარმეტყველებისთვის იყენედნენ. ქრისტიანი მისიონერები, ნოადიების კონტაქტს სულებთან მიიჩნევდნენ ეშმაკთან ურთიერთობად.

საამებისთვის ბუნებრივი ფენომენები, როგორებიც იყო განსხვავებული ქვები, ქანები, ლოდები და სხვა ფორმაციები წარმოადგენდა წმინდა ადგილებს. ისინი ასეთ ადგილებს ირცევდნენ მსხვერპლშენირვის ადგილებად. მსხვერპლად კი ცხოველის სიხლს და ქონს სწირავდნენ ღმერთებს. პრექტისტიანი საამები ფიქრობდნენ, რომ დათვები იყვნენ წმინდა ცხოველები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მათთან არ შეიძლებოდა შებრძოლება და მუდამ ერიდებოდნენ ძლიერ სულებთან შერვინებას. თუ მაინც მოუწევდათ დათვის მოკვა ისინი სპეციალური რიტუალით ანეიტრალებდნენ მის სულს და შემდეგ ჭამდნენ. ამის შემდეგ კი ძვლებს აუცილებლად ისეთი პატივით მარხავდნენ როგორც ადამიანს, რადგან მათ ეშინოდათ, რომ თუ ასე არ მოიქცეოდნენ დათვი აუცილებლად სამაგიეროს გადაუხდიდა.

საამების გაქრისტიანება 17 საუკუნიდან იწყება. როდესაც პირველი ეკლესიები და სკოლები აშენდა ლაპლანდიაში. ქრისტიანი მეფეები იძულებით აქტისტიანებდნენ საამებს. მათ აიძულეს დაემარხათ წმინდა დოლები და ყველა რელიგიური ნივთები. გაუნადგურეს მსხვერპლშენირვის და სალოცავი ადგილები. შვედეთის ლაპლანდიაში 1723 წელს აშენდა სკოლა, რომელსაც მეფე აფინანსებდა. იქ ისწავლებოდა კითხვა და ქრისტიანობა.

ლიტერატურა:

1. Historical Synopsis of the Sami/United Nations Relationship – Christian Jakob Burmeister Hicks
2. www.samediggi.no; www.galdu.org The Sàmi People a Handbook, Karasjok 2006.
3. Indigenous peoples and rights d Stefan Ekenberg – Luleå University of Technology
4. The Saami and the national parliaments: Channels for political influence d Eva Josefsson
5. The Sami d an Indigenous People in Sweden – Project management: Karin Kvarfordt, Nils-Henrik Si~u and Michael Teilus in cooperation with the National Sami Information Centre, which is attached to the Sami Parliament.
6. Important Years in Saami History. <http://www.itv.se/boreale/history.htm>
7. www.sweden.se
8. www.wikipedia.org
9. www.ajtte.com
10. www.sametinget.se/english
11. www.samer.se
12. www.nordnorge.com/en/sapmi
13. Indigenous Peoples Right to Land d The Sàmi People in Finland and the Vedda People in Sri Lanka as Examples –Aune RUMMUKAINEN, Finland

ია ბაკურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: კახაბეგრ ლორია

ზემოთ მითი ისტორია ნორვეგიაში

როდესაც სქესთა შორის თანასწორობაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ სკანდინავიური ქვეყნების მოდელს და განსაკუთრებით, ნორვეგიას, ქვეყანას, რომელიც ამ კუთხით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია. თუმცა ამ მდგომარეობის მიღწევა იოლად არ მომხდარა, ნოვეგიელმა ქალებმა საკუთარი შეუპოვრობისა და ათწლეულების განმავლობაში მედგარი ბრძოლის წყალობით დაიმკვიდრეს საკუთარი, ბუნებრივი, თანასწორი პოზიცია საზოგადოებაში, რომელსაც საუკუნეების მანძილზე პატრიარქატული წყობის ნაჭდევი აჩნდა. ნორვეგიულ საზოგადოებაში ფე-მინისტრი საწყისები აქტიურად მეცხრამეტე საუკუნიდან იჩენს თავს, როდესაც ასპარეზზე გამოდიან ქალი მწერლები, რომლებიც მწვავედ სვამენ იმ საკითხებს, ასწლეულების მანძილზე რომ აწუ-ხებდა ნორვეგიის ქალ მოსახლეობას, ღიად დაიწყო საუბარი ქალთა ნება-სურვილსა და მათ უფლებებზე. ჩემი დღევანდელი პრეზენტაციის თემა სწორედ ნორვეგიულ ფემინისტებს ეხება, რომლებიც მთელი მონდომებით იბრძოდნენ თანამემამულე ქალთათვის იმ თანასწორი პირობების მოსაპოვებლად, რომლითაც დღეს სკანდინავია მთელ მსოფლიოში ინონებს თავს.

ქალთა მდგომარეობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში

ნორვეგიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა 1814 წელს „გრუნლოვენ“-ის, ანუ კონსტიტუციის მიღება გახლდათ, თუმცა ამ ახალ კონსტიტუციასაც არაფრი შეუცვლია სქესთა შორის არსებული უთანასწორობის საკითხში, მეტიც, კონსტიტუციაში საერთოდაც არ იყო ნახსენები ცნება „სქესი“, ერთადერთი, სახელდებოდა ის, რომ სახელმწიფო მემკვიდრეობა მამრობითი ხაზით გადადიოდა.

ამ პერიოდში ვაჟების მემკვიდრეობითი წილი ორჯერ მეტი იყო ქალიშვილების წილთან შედარებით. ქალები მთელი ცხოვრების მანძილზე „უასაკონი“ იყვნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ არ გააჩნდათ საკუთარი ფინანსების მართვის უფლება. ქალთა მიერ ნებისმიერი იურიდიული საქმის წარმოება დამოკიდებული იყო მეურვეზე. რომელსაც თავდაპირველად წარმოადგენდა მამა, გათხოვების შემთხვევაში – ქმარი. მხოლოდ ქვრივები იყვნენ სრულწლოვანნი, და ესეც იმ პირობით, თუკი მათ მამრობითი სქესის მეურვე ჰყავდათ.

1800-იანი წლების შუა წლებიდან ქალებმა მთელი რიგი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური უფლებები მოიპოვეს, რაც ინდუსტრიალიზაციასა და შედარებით ლიბერალური ეკონომიკის თანმდევ პროცესებში ძველი პრივილეგიების მოსპობას მოჰყვა. პირველ მსოფლიო ომამდე დარჩენილ ათწლეულებში ნორვეგია თანამედროვე საზოგადოებად გადაეწყო. ინდუსტრიალიზაციამ, კომუნიკაციის საშუალებების დახვენამ, ემიგრაციამ და ქალაქებსა თუ დაბებში გადასახლებამ სამუშაოდ ახალი შესაძლებლობები შექმნა.

ქალთა გამოყენება იაფ მუშახელად შეიძლებოდა ფაბრიკებსა თუ ქალაქურ ოჯახებში. გარკვეული დროის შემდეგ კი ქალებს შესაძლებლობა მიეცათ ისეთ სამსახურებშიც ეცადათ ბედი, სადაც მუშაობა განათლებას მოითხოვდა. ამან კანონთა სისტემის დარეგულირება მოითხოვა. მოდერნიზაციამ თან ლიბერალური აზროვნება მოიტანა, შესაბამისად ფართო ასპარეზი გაიშალა ინდივიდისა და მისი უფლებებისათვის. ინდივიდუალიზაცია და უფლებები ბოლოს და ბოლოს ქალთა საკითხსაც შეეხო.

პირველი მნიშვნელოვანი ცვლილება კანონმდებლობაში ნორვეგიელ ქალთა უფლებათა გაფართოების საკითხში ეხებოდა მათთვის თავის რჩენის პირობების შექმნას. 1839 წელს 40 წელს გადაცილებულმა ქვრივებმა და გაუთხოვარმა ქალებმა უფლება მიიღეს ხელსაქმით ერჩინათ თავი. 1842 წელს 25 წელს გადაცილებულმა მარტოხელა ქალებმა უფლება მიიღეს ევაჭრათ სახელმწიფოს შიდა პროდუქტით. 1860 წელს 25 წელს გადაცილებულმა მარტოხელა ქალებმა მიიღეს უფლება ხელსაქმით ერჩინათ თავი. ხოლო 1894 წელს უკვე გათხოვილ ქალებსაც მიენიჭათ ვაჭრობისა და ხელსაქმის წარმოების უფლება.

კანონები, რომლებიც მარტოხელა ქალებს შეეხებოდათ, განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე იქნა მიღებული. მოსახლეობა იზრდებოდა და იზრდებოდა იმის მოთხოვნილებაც, რომ ოჯახის რაც შეიძლება მეტ წევრს ჰქონოდა შემოსავალი და რომ ხანში შესული ქალები ოჯახს ტვირთად არ დასწოლოდნენ. საპირისპირო იყო სურათი გათხოვილ ქალებში, რამდენადაც თუკი ცოლი ხელსაქმით ან ვაჭრობით იქნებოდა დაკავებული, ქმარს შეეზღუდებოდა საერთო ქონების განვარგვის შესაძლებლობა.

ფემინიზმის პირველი ტალღა

1850-იან წლებამდე ქალთა სტატუსი ჯერ კიდევ განუსაზღვრელი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქალებს არ შეეძლოთ ხელშეკრულებების დადება, ფულის სესხება და საკუთარი კაპიტალის კონტროლიც კი. ქალებს არ ჰქონდათ უფლება და შესაძლებლობა ემუშავათ რომელიმე სახელმწიფო სექტორში. მარტოხელა ქალებს მუშაობა შეეძლოთ მეურვის ნებართვით. ქორწინებისას ქალი მამის ხელიდან ქმრის ხელში გადადიოდა. პირველი ნაბიჯები ქალთა ემანსიპაციისაკენ 1845 წელს გადაიდგა, „მარტოხელა ქალთა სრულწლოვანების კანონით“, რაც ქალებს 25 წლის ასაკიდან მეურვისაგან ათავისუფლებდა.

ამ პერიოდში ქალები დასაქმებული იყვნენ ტექსტილის, თამბაქოს ფაბრიკებში ან კვების მრეწველობაში, ანუ იქ, სადაც „მძიმე ხელი“ არ იყო საჭირო. ქალები მძიმე ინდუსტრიაში არ მუშაობდნენ,

ლიტერატურა, რომელც ამ პერიოდში ქალი მკითხველთათვის იქმნებოდა კვლავ ტრადიციული საზოგადოების ანარეკლს ნარმოადგენდა: ამ წიგნებში ერთადერთ მიზანს ქმრის პოვნა ნარმოადგენდა. ამ პერიოდის ქალ მწერალთა შორის აღსანიშნავია ჰანა ვინსნესი, მარი ვიქსელსენი და ანა მაგდალენე ტორესენი.

ქალთა ეკონომიკური მდგომარეობისათვის მნიშვნელოვან სხვა კანონთა ცვლილებაც ამ პერიოდში მოხდა. 1854 წელს გათანაბრდა მემკვიდრეობის უფლება ორივე სქესს შორის. (ამ დრომდე ქალიშვილებისთვის განკუთვნილი მემკვიდრეობის წილი ვაჟისაზე ორჯერ ნაკლებს შეადგენდა) ამ ახალმა კანონმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, თუმცა წინააღმდეგობის მიუხედავად იგი მაინც იქნა მიღებული, რაც ძიითადად პარლამენტში გლეხების ნარმომადგენელთა მხარდაჭერის წყალბით იყო. თუმცა არ შეცვილა კანონი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ 1972 წელს გადაიხედა და ქალი და კაცი თანასწორ პოზიციაზე დააყენა.

1854–1879 – ცნობიერების გამოღვიძება

ამ პერიოდში გამოვიდა ახალი კანონები და თუმცა მათ ქალთა სტატუსის რევოლუცია ერთბაშად არ მოუხდენიათ, ბარიერი მაინც რეგულარულად ირღვეოდა. თითქმის ორი თაობის მანძილზე ქალთა და მამაკაცთა უფლებები თითქმის გათანაბრდა. 1854 წელს სამეფო მემკვიდრეობის კანონი გამოვიდა. ქრისტიან მე-5-ის კანონი, რომელსაც მიხედვითაც ქალს მხოლოდ თანამშართველის სტატუსი შეიძლებოდა ჰქონოდა, გაუქმდა და ორივე სქესისათვის მემკვიდრეობის თანაბარი უფლება და კანონდა. თუმცა ეს ცხარე დებატებისა და მწვავე დისკუსიების გარეშე არ მომხდარა.

1863 წელს ახალი კანონი იქნა მიღებული სრულწლოვანების განსაზღვრასთან დაკავშირებით. იგი ნარმოადგენდა 1845 წლის კანონის გაგრძელებას და მის თანახმად ქალებისათვის სრულწლოვანების ასაკი, მამაკაცთა მსგავსად, 25 წლით განისაზღვრა, რაც ეხებაოდა ქვრივებს ანდაც განქორწინებულებს, ისინი სრულწლოვანებად ითვლებოდნენ ასაკის მიუხედავად. 1869 წელს სრულწლოვა-

ნების ასაკი 21 წლამდე შეამცირეს, თუმცა ამან ერთგვარი დებატებიგამოინვია. გაჩნდა კითხვა, რამ-დენად იყო ეს უსაფრთხო თავად ქალებისათვის, თუმცა საკანონმდებლო კომიტეტმა იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ქალები მამაკაცებზე ადრე მწიფდებიან, ეს კანონი გაამართლა.

თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, რითაც ქალები საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას ახერხებდნენ, ლიტერატურა იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია კამილა კოლეტი, რომელიც გასცდა იმ პერიოდში ქალთათვის და კანონებულ საზღვრებს და იმ დროისათვის საკმაოდ სკანდალურ თემა-ტიკას შეეხო. მისი ცნობილი ნოველა „პრეფექტის ქალიშვილები“ ეხება ბურუჟაზის წარმომადგენელი ქალების განათლების საკითხს მეცხრამეტე საუკუნეში, ამ ნოველის ცენტრალური კონფლიქტი გადის საზოგადოების შეხედულებებსა და ინდივიდის სურვილებსა და საჭიროებებს შორის. კოლეტის ფემინისტური მოსაზრებების ქვაკუთხედი იყო, რომ ქალი და მამაკაცი განსხვავებულნი არიან, მაგრამ ერთმანეთის ტოლფასი.

შემდგომი პერიოდის მწერლებმა, რომელთაც ქალთა საკითხი აიტაცეს, ინსპირაციის წყაროდ სწორედ კამილა კოლეტი დაასახელეს. ამგვარად დაიწყო ფემინიზმის პირველი ტალღა ნორვეგიაში.

ფემინიზმი ლიტერატურაში

მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე ნორვეგიულ საზოგადოებაში გაბატონებული იყო ტრადიციული შეხედულება ქალთა შესახებ. საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და მოლოდინი ქალისა და ცოლისაგან შემდეგი იყო: ქალის ერთადერთი ფუნქცია იყო ქორწინება, მათ არ შეეძლოთ ინტელექტუალურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, არ შეეძლოთ თავისუფლად განეკარგათ საკუთარი სხეული და წარემართათ საკუთარი ცხოვრება. ამ პრობლემას არაერთი მწერალი გამოეხმაურა.

აღსანიშნავია ჰენრიკ იბსენის შემოქმედება. „თოჯინის სახლსა“ და „საზოგადოების ბურჯინი“ – ში იგი სწორედ ქალთა საკითხს ეხება. განსაკუთრებით თვალსაჩინო ამ შემთხვევაში „თოჯინის სახლია“, რომელიც არაერთ ენაზე ითარგმნა და მსოფლიოს მასშტაბით უამრავჯერ დაიდგა. ასევე ბიორნისონმა დაწერა პიესა „ლეონარდა“, რომელშიც ავტორმა, „წარსულის მქონე ქალები დაიცვა“, თუმცა განსაკუთრებული გავლენა ნორვეგიულ საზოგადოებაზე მის პიესა „ხელთათმანს“ ჰქონდა. ნორვეგიული ფემინისტური ლიტერატურის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა ამლია სკრამი, რომელიც თავის რომანებში აღწერდა საზოგადოების სოციალისტურ ურთიერთობებსა და მის ფონზე ადამიანთა შინაგან ბრძოლას. იგი აღწერდა კლასობრივ საზოგადოებას, ეხებოდა ქალთა ჩაგვრასა და ორმაგ მორალს. რომანებმა, რომელშიც იგი ქალთა სექსუალობას ეხებოდა ნამდვილი სკანდალი გამოიწვია იმდროინდელ კონსერვატორულ საზოგადოებაში.

ბრძოლა ხმის უფლებისათვის

მამაკაცებმა საყოველთაო ხმის უფლება 1898 წელს მიიღეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ყოველ 25 წელს გადაცილებულ მამაკაცს შეეძლო ხმის მიცემაში მონაწილეობის მიღება(52 პარაგრაფის მიხედვით გამონაკლისს შეადგენდნენ უასაკოდცნობილნი, შემწეობაზე დამოკიდებულნი და დანაშაულისათვის ნასამართლევი პირები),

ამგვარი უფლება ჯერ არ ჰქონდათ ქალებს, თუმცა მდგომარეობა ნაბიჯ–ნაბიჯ იცვლებოდა და 1901 წლიდან ქალები ეტაპობრივად იღებდნენ სხვადასხვა სფეროში გარკვეული შეზღუდვებით ხმის მიცემის უფლებას. პირველ რიგში ეს ეხებოდა კომუნალურ არჩევნებს. 1913 წელს კი მიღებულ იქნა საყოველთაო ხმის უფლების კანონი, რომლის თანახმადაც ქალებს მამაკაცთა თანაბარი უფლებები ჰქონდათ საპარლამენტო თუ კომუნალურ არჩევნებში პაზიციის დაფიქსირებისა. (თუმცა უნდა აღონიშნოს, რომ ქალები მაინც იჩიგრებოდნენ, რადგან შემწეობაზე დამოკიდებულთა დიდ ნაწილს სწორედ ისინი შეადგენდნენ) თუმცა 1919 წლიდან კანონიდან ეს პუნქტი ამოიღეს. 52 პარაგრაფის სრული ანულირება კი 1954 წელს მოხდა. 1978 წლიდან ხმის უფლების ასაკმა 25-იდან 18 წლამდე დაიწია, ხალხს რომელიც ნორვეგიაში სამი და მეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა მოქალაქეობის გარეშე, უფლება მიეცათ კომუნალურ არჩევნებში მონაწილების მიღების.

ამ პერიოდისათვის (ხმის უფლებისათვის ბრძოლის დაწყებამდე) ქალებს საზოგადოებაში უკვე ჰქონდათ გარკვეული უფლებები. იყვნენ სრულწლოვანნი, ჰქონდათ მამაკაცთა თანასწორი მემ-

კვიდრეობის უფლება, შეეძლოთევაჭრათ და ენარმოებინათ ხელსაქმე. ასევე შეეძლოთ გამოსაშვები გამოცდის ჩაბარება და უნივერსიტეტში სწავლა. ძალაუნებურად იჭრებოდა კითხვა – რატომ არ უნდა ჰქონოდათ ქალებს სრული მოქალაქეობრივი უფლებები? „ქალებს ზუსტად იმგვარივე უფლება აქვთ იყვნენ ადამიანები და მიიღონ ადამიანური განათლება, როგორიც ჩვენ, კაცებს გვაქვს“ – განაცხადა ვიგო ულმანმა 1890 წელს პარლამენტში.

ხმის უფლებისათვის მებრძოლები ხმის უფლებას პირველ რიგში თანასწორობის საკითხად განიხილავდნენ. ქალს ჯერ „ადამიანის უფლებები“ უნდა მიეღო, რათა მამაკაცის თანასწორი და ნორვეგიის სრულფასოვანი მოქალაქე გამხდარიყო. ამ გადაწყვეტილების მონინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ქალი და კაცი ბიოლოგიურად განსხვავებული იყვნენ. ეს კი, მათი აზრით, ნიშნავდა იმას, რომ სხვადასხვა სქესს საზოგადოებაში სხვადასხვა ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული. – კაცებს შეეძლოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიეღოთ მონაწილეობა, როდესაც ქალები შინაურ, პრივატულ საკითხებზე იქნებოდნენ პასუხისმგებელი და თუკი ისნი ამ ბუნებრივ საზღვარს გადავიდოდნენ, თავადვე შეიქნებოდნენ უბედური. ამავე აზრს იზიარებდნენ სასულიერო პირები, რომლებიც წმინდა წერილის ფრიალით აცხადებდნენ, რომ ქალთათვის ხმის უფლების მინიჭება ლეთის სიტყვის წინაამდეგ წასვლის ტოლფასი იქნებოდა, რამეთუ ეს თან მოიყოლებდა ოჯახთა ნგრევას, მორალის ამოძირკვას და საზოგადოების საძირკვლის რყევას.

უმნიშვნელოვანების მოვლენა იყო 1905 წლის მარტის უნის დაშლასთან დაკავშირებით ჩატერებული რეფერენცული. ამ პერიოდში მამაკაცებს უკვე ჰქონდათ საყოველთაო ხმის უფლება მიღებული, თუმცა ქალები მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ გამოკითხვაში. აღმოჩენილი აღნება თვითნებურად წამოიწყეს ხელმოწერების შეგროვება და საბოლოოდ ხელმოწერათა რაოდენობამ თითქმის 280 000 შეადგინა.

ნორვეგული ფემინისტური გაერთიანება, როგორც უკვე აღვნიშნეთ 1884 წელს შეიქმნა, მოძრაობის ლიდერთა შორის ალსანიშნავია ანა ბუგე ვიკესლისა და ევა კოლსტადის როლი. თავად გაერთიანება გინა კროგისა და ჰაგბარდ ბარნერის მიერ ჩამოყალიბდა, თუმცა მათ შორის უთანხმოება არსებობდა, გინა კროგი ბევრად რადიკალურად იყო განწყობილი და სურდა გაერთიანებას ქალთათვის მამაკაცთა თანასწორი ხმის უფლების მოსაპოვებლადაც ებრძოლა, როდესაც ბარნერი მთავარ პრიორიტეტად ეკონომიკურ საკითხებს ასახელებდა. ამ განხეთქილებას მოჰყვა ახალი ორგანიზაციის – ქალთა ხმის უფლებისათვის გაერთიანების შექმნა, რომელსაც გინა კროგი 1897 წლამდე ხელმძღვანელობდა. ქალებმა ხმის უფლება 1913 წელს, გინა კროგის გარდაცვალებამდე 3 წლით ადრე მიიღეს. ნორვეგიული ფემინისტური მოძრაობის შექმნას არაერთისხვა დიდი ქალთა საკითხებზე ორიენტირებული გაერთიანების შექმნა მოჰყვა. თუმცა ქალთათვის ხმის უფლების მინიჭების შემდეგ ამ გაერთიანებებმა თავიანთი მიზნების გარკვეული ნაწილი დაკარგეს, თუმცა იმ საფრთხემ, რომელიც გათხოვილ ქალთა მუშაობის უფლების შეზღუდვას ეხებოდა, 1936 წელს მოძრაობის რეორგანიზება გამოიწვია და მას სათავეში მარგარეტ ბონევი ჩაუდგა. 1946 წელს გაერთიანება პარტიული პოლიტიკასაგან დამოუკიდებელი გახდა და მიზნად დაისახა ოჯახსა თუ საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცისათვის თანაბარი უფლებებისა და მოვალეობებისათვის ბრძოლა. მთავარ მიზანს კვლავაც და კვლავაც წარმოადგენდა დაოჯახებული თუ დაუოჯახებელი ქალებისათვის შემოსავლიანი სამსახურის შესაძლებლობის არსებობა. მომდევნო წლების განმავლობაში შეიცვალა კანონები ოჯახსა და

ბრძოლა აბორტის უფლებისათვის

ფემინისტთა ბრძოლა აბორტის უფლებისათვის 1913 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდში აბორტი უკანონო იყო და „კანონის დარღვევის“ შემთხვევაში ქალს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. ამის გამო ბევრი მიმართავდა ე.წ. „იატაქვეშა“ აბორტს და შესაბამისად საფრთხეში აგდებდა საკუთარ ჯანმრთელობას და ხმირ შემთხვევაში – სიცოცხლესაც.

პირველი კანონი აბორტის შესახებ 1959 წელს გამოვიდა და მის თანახმად ქალს შეეძლო ნაყოფი მოეშორებინა, თუკი ეს მის სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს, თუმცა ყველა ქალს საკითხი ჯერ

ორკაციანი კომიტეტისათვის უნდა გადაეცა განსახილველად, რომელიც გადაწყვეტდა ვის უნდა გა-ეკეთებინა აბორტი და ვის შეეძლო ორსულობის ბოლომდე მიყვანა.

ამგვარი კანონი დამამცირებელი იყო და 1970-იანი წლებიდან გააქტიურებულმა ახალმა ფემინისტურმა მოძრაობამაც პირველად მის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. წინა პლაზი იყო კითხვა – ვის უნდა გადაეწყვიტა ორსულობის საქმე, ექიმს თუ თავად ქალს.

ეს საკითხი რამდენიმე წლის განმავლობაში შეადგენდა მწვავე განხილვის საგანს, იმართებოდა აქციები აბორტის მიმხრეთა და მონინააღმდეგეთა მიერ. საბოლოოდ 1975 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი აბორტთან დაკავშირებით, თუმცა ექიმს უფლება ეძლეოდა უარი ეთქვა ოპერაციის ჩატარებაზე პირადი მოსაზრებებიდან გამომდინარე.

ქალთა ბრძოლა უფლებებისათვის 90-იან წლებამდე გრძელდებოდა და ამ პერიოდში მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი კანონები ქალთა სოციალურ თუ პოლიტიკურ უფლებებთან მიმართებით. 90-იანი წლებიდან ნორვეგიულმა ფემინიზმმა ერთგვარი სტაგნაცია განიცადა, თუმცა დღესდღეობით აქტიურია რამდენიმე ფემინისტური ორგანიზაცია, რომლთა ძირითად მოთხოვნებს ამ ეტაპზე სასკოლო განათლებაში „სქესის“, როგორც საგნის დამატება, ბილბორდებზე მოდელების რეტუშებული სურათების გამოყენების აკრძალვა და ორივე სქესისათვის შრომის თანაბარი ანაზღაურება შეადგენს.

ლიტერატურა:

1. https://snl.no/lov_om_svangerskapsavbrudd%2Fabortloven
2. <https://snl.no/.taxonomy/2967>
3. <http://www.nrk.no/skole/klippdetalj?topic=nrk:klipp/281851>
4. Per Thomas Andersen, 2001, *Norsk Litteraturhistorie*, Universitetsforlaget Oslo
5. <http://rødungdom.no/feminisme>
6. <http://www.nrk.no/skole/klippdetalj?topic=urn:x-mediadb:19909>

ლაშა მაჭარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ კვიშინაძე

შვედური კინო-კლასიკა და თანამედროვეობა

დაბადება

შვედური კინოს საფუძვლის ჩამყრელად კარლ მაგნუსსონი უნდა განვიხილიოთ. ის პროფესიით ფოტოგრაფი იყო, მისი პირველი ფილმები კი ასახავდა მომდერალთა გუნდებს, რომელებიც ნაციონალურ სიმღერებს ასრულებდნენ. მაგნუსსონს ძლიერ მოსწონდა ხმისა და გამოსახულების გაერთიანების იდეა. მან ამავე გუნდების სიმღერები ედისონის ფონოგრაფზე ჩაწერადა შემდეგ კი შეძლებისადაგვარ სინქრონში უშვებდა გამოსახულებასთან ერთად შვედურ კინოთატრებში. თუმცა აუდიოტქინების დაბალმა ხარისხმა ხელი შეუშალა მაგნუსსენს თავისი საქმიანობის გაგრძელებაში.

1907 წელს მაგნუსსონისავე ინიციატივით კრისტიანსტადში გაერთიანდნენ შვედური კინოთატრები და დაერქვათ: „შვენსკა იოგრაფტეატერნ“ ანდა უბრალოდ „შვენსკა იო“. სწორედ ამგაერთიანებამ დაიწყო 1909 წლიდან რეგულარულად ფილმების გადაღება.

ამ ახალი საქმის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი მაგნუსსონი იყო. ისდიდყურადღება-სუთმობდაარაიმდენად კომერციულრამდენადაც შემოქმედებითპროცესს.

არსებობის პირველწლებში „შვენსკა იო“ – ს კინოპავილიონი არ ჰქონდა, მხოლოდ 1912 წელს აშენეს ის სტოკჰოლმში. ამ ერთი შეხედვით ნაკლმა, შვედურ კინოს ერთ-ერთი გამორჩეული მახასიათებელი შესძინა დ რეჟისორები ძალიან ხშირად იღებდნენ ფილმებს ბუნებაში, საბოლოოდ კი სწორედ ს ბუნება იწვევდა აღტაცებას როგორც კრიტიკოსებში, ისე მაყურებელში. ამას გარდა, შვედური კინოს კიდევ ერთი მახასიათებელი ჰქონდა. შვედური ფილმები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ძლიერი რეჟისურით. მაგნუსსონმა ბრწყინვალედ იციდა შესაბამისი ადამიანების პოვნა და სწორედ მან მოიყვანა დიდ კინოში ისეთი რეჟისორები, როგორებიც იყვნენ ვიქტორ შოსტრომი და მორიც სტილერი.

ვიქტორ შოსტრომი.

შოსტრომი კინოში თეატრიდან მოვიდა და თავიდან მსახიობად მუშაობდა, 1912 წლიდან კი რეჟისორბაც დაიწყო. მისი მამაკაცური სახე, სწორი ნაკვთებით ყოველთვის შთამბეჭდავი იყო. მას მშვენივრად გამოსდიოდა განსახვავებულ უანრებში თამაში, განსაკუთრებით კი უბრალო, ბუნებასთან დაახლოებული ადამიანების როლების თამაში ეხერხებოდა. მისი პირველი აღსანიშნავი ფილმი იყო „ინგებორგჰოლმი“ (1913), რომელშიც იგი უშიშრად დაუპირისპირდა კლასობრივ ჩაგვრას, რომელიც მიმდინარეობდა იმდრო-ინდელ შვედეთში და შეუფარავად აჩვენა უბრალო მშრომელთა მძიმე ცხოვრება.

მის მომდევნო აღსანიშნავ ფილმში „ტარიევიგენი“ (1916), ის თავად თამაშობდა ჰეროიკული ნორვეგიელი მეთევზის როლს. ეს ფილმი ბრწყინვალე ნიმუშია ბუნების დემონსტირებისა შვედურ კინოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქარიშხლის სცენა სადაც შოსტრომა ეპიკურობა მიანიჭა იბ-სენის პოეზიას. „მთიელი ოივინდი და მისი ცოლი“ (1918) კიდევ ერთი შესანიშნავი სურათი იყო. ამ ფილმში როგორც შოსტრომის ბევრ მნიშვნელოვან სურათში, ოპერატორი იულიუ სიანზონი იყო. მისი პოეტური ხედვა ისეთ კრიტიკოსებსაც აკვირვებდა, როგორიც ლუი დე ლუკი იყო.

შოსტრომის შემოქმდებაში დიდი როლი ეკავა სელმა ლაგერლოფს. მან ლაგერლოფის მრავალი ნაწარმოები გადმოიტანა ეკრანზე. მათ შორის ყველაზე ცნობილი კი „კარეტა მოჩვენებაა“ (1921). მისტიკური დრამა შოსტრომმა სოციალური რეალობის ამსახველ სურათად აქცია. ოპერატორმა

იენცონმა კი კვლავ შეუდარებელი ხედვა აჩვენა.

კარეტა მოჩვენების შემდეგ შოსტრომს დიდი შემოქმედებითი კრიზისი დაეწყო. მისმა ფილმებმა ფეხი ველარ აუწყო თანამედროვეობას, მის ფილმებში აღარ აისახა ბურუუზიულ საზოგადოებაში მიმდინარე მემარცხენეული ცვლილებები მისი პერსონაჟები კვლავ პატრიარქალურ საზოგადოებაში აგრძელებდნენ ცხოვრებას. რამდენიმე სუსტი სურათის გადაღების შემდეგ იგი 1923 წელს ამერიკაში წავიდა, სადაც მისი მშობლიურ მინასმოშორებული ნიჭი მაღევე ჩაქრა.

მორიც სტილერი.

ჰელსინკიში დაბადებული ებრაელი 1907 წელს ჩავიდა სტოკოლმში თეატრში სამუშაოდ, 1912 წლიდან კი მაგნუსონთან გადავიდა ფილმების გადასაღებად.

განსხვავებით შოსტრომისაგან სტილერის სტილი ნაკლებად მამაკაცური და რადიკალური იყო. სტილერის ფილმები უფორმო, მსუბუქი და შეიძლება ფემინურიც კი იყო.

როგორც შოსტრომის, სტილერის შემოქმედებაშიც დიდია დგილიერავალაგერლოფს. "ბატონი არ-ნესფული" (1919) მისი პირველი ცნობილი სურათი იყო. ამ ფილმში ოპერტორი ი.იანზონი იყო. 1922 წელს გამოშვებულმა "გუნარ ჰედისაგამ" ნარუშლელი კვალი დატოვა შვედური კინოს ისტორიაში. ამ ფილმის რეჟისორული ოსტატობა, მონტაჟის ტექნიკა და ოპერატორის კლასი აოცებდა კრიტიკოსებს.

1923 წელს სტილერმა სელმა ლაგერლოფის ყველა ზეცნობილი რომანის "იოსტაბერ ლინგისსაგის" ეკრანიზაცია განახორციელა და სრული კრახი განიცადა. ერთადერთი აღსანიშნავი ფაქტი ამ ფილმზე მხოლოდ ის იყო, რომ აქ გამოჩნდა ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი ახალგაზრდა გოგონა გრეტალოვის აგუსტავსონი, შემდეგში კი ცნობილი, როგორც გრეტა გარბო.

მალე სტილერიც შოსტრომის გზას გაყვა და ამერიკაში გაემგზავრა, სადაც არაფერი განსაკუთრებული აღარ შეუქმნია 1928 წელს იგი 45 წლისა გარდაიცვალა.

1919 წელს "შვენსკა იო" გაერთიანდა "შკანდია" სთან და ნარმოიქმნა "შვენსკ ილმინდუსტრი". შოსტრომისა და სტილერის მიერ შვედეთის დატოვების შემდეგ მათი ადგილები მათმა მოსანაურებმა დაიკავეს, თუმცა შვედურმა კინომ თავისი ნათება უკვე დაკარგა. 1921 წელს მოინვიეს დანიელი რეჟისორები ბენიამინ კრისტიანსენი და კარლ თეოდორ რაიერი, თუმცა მათმა შვედურმა პროექტებმა ნარმატებას ვერ მიაღწია და მალე ორივე გერმანიაში წავიდა.

შვედური მუნჯი კინოს დაცემის მთავარი მიზეზი აქტუალური პრობლემების იგნორირება გახდა, რომელთა ეკრანებზე გამოჩნდა მაყურებელს ააღელვებდა. თუმცა მცირე ნაციონალური ბააზრის გამო ამის განხორციელება შეუძლებელი გახდა.

1928 წელს კარლ მაგნუსონი შვენსკ ილმინდუსტრი – ის ხელმძღვანელობიდან წავიდა, რაც საბოლოო აქტად იქცა შვედური მუნჯი კინოს დაისისათვის, ამის შემდეგ დიდხანს ბურუსი ჩამოწვა.

სმოვანიკინ

1927 წელს კინო აღაპარაკდა, 30 იანებში კი შვედურ კინოსაც მოუნია ხმის ამოღება. ამ პერიოდში შვედურმა კინომ მიატოვა თავისი შემოქმედებითი და საერთაშორისო ამბიციები და იქცა ძალიან პროვინციალურ, ეროვნულ კინოდ. ლიტერატურულ–შემოქმედებით წრეებში მას შვედური კულტურის სამარცხვინო ლაქადაც კი მოიხსენიებდნენ.

ომამდელი შვედეთის ყველაზე გამოჩნდილი რეჟისორად შეიძლება გუსტავ მოლანდერი ჩავთვალოთ. მან რეჟისორებთან, შამილ ბაუმანთან, პერაქსელ ბრანერთან და სხვებთან ერთად კინოში გააცილებლა ახალი შვედური პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა შვედეთის კეთილდღეობის სახელმწიფოდ გარდაქმნას გულისხმობდა.

მოლანდერის ყველაზე ცნობილი ფილმებია: "შარლოტა ლოვენშოლდი" (1930) – სელმა ლაგერლოფის კლასიკური ნაწარმოების ეკრანიზაცია – რომელიც, სხვათაშორის, ლაგერლოფის უკანასკნელი ეკრანიზაცია იყო მის (ლაგერლოფის) სიცოცხლეში; "ინტერმეცო" (1936) – ახალგაზრდა, მომავალში კი არა მარტო შვედური კინოს არამედ მთელი მსოფლიო კინოსვარსკვალის ინგრიდ ბერგმანისა და შვედური კინოს მეორე ლეგენდარული სახის იოსტა ეკმანისმონაწილეობით. "ქალის სახე" (1938), სადაც კვლავ ინგრიდ ბერგმანი მონაწილეობდა.

40 იან წლებში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომისდროს და შემდეგ შვედურ კინოში ახალი ტენდენციები შემოვიდა. როცა მთელი ევროპა ომის შვედურ კინოში – დაცვის ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა. ისეთმა რეჟისორებმა, როგორებიც იყვნენ ალფშებერგი და ჰასეექმანი კვლავ გააღვივეს იმედი, რომ შვედეთს ძალუძღვისა მნიშვნელოვანი კინო–სახელმწიფო გამხდარიყო.

ალფშებერგი, როგორც ყველა სხვა დიდი შვედი კინორეჟისორი, ისიც კინოში თეატრიდან მოვიდა და მისი სარეჟისორო დებიუტი 1929 წელს შედგა. 40–იანი წლების შვედურ კინოში მან წარუშლელი კვალი დატოვა ფილმებით “ზეციური თამაში” (1942) და “სკანდალი” (1944) – ეს უკანასკნელი შებერგის პირველი ფილმი გახდა, რომელმაც კანის კინოფესტივალზე გაიმარჯვა და ასევე ინგმარ ბერგმანის კინოდებიუტად ითვლება, სადაც ბერგმანი სცენარისტის როლში წარსდგა. თავად ფილმი კი პრწყინვალე სოციალური მაანიფესტია შვედეთის იმდროინდელი განათლების სისტემის წინააღმდეგ.

1951 წელს ალფშებერგმა მეორედ მოიგო კანის კინოფესტივალი, ამჯერად სტრინდბერგის “ფრენეჟულის” (1951) ეკრანიზაციით. იგი გახდა პირველი რეჟისორი რომელმაც ორჯერ შეძლო მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი კინოფორუმის ტრიუმფატორობა. ამ მიღწევის მთელ სიდიადეს ის ფაქტიგამოხატავს, რომ მხოლოდ 1979 წელს მოახერხა ამერიკელმა ფრენსის ფორდ კოპოლამ ამ მიღწევის გამეორება.

ინგმარ ბერგმანი

ნებისმიერი, ვინც რაღაც დონეზე მაინც ერკვევა კინემატოგრაფში, თხოვნაზე ჩამოტვალის მსოფლიოს უდიდესი კინორეჟისორები, არც ერთშემთხვევაში არ გამოტოვებს ერთ სახელს – ინგმარ ბერგმანს. ბერგმანი თავისი შემოქმედების თითქმის 4 ათწელულის განმავლობაში, შვედური კინოს სიმბოლოდ და ხარისხის ეტალონად იქცა. მისი შემოქმედება, რომელზეც უდიდესი გავლენა მოახდინა ავგუსტ სტრინდბერგმა, ჩრდილოური სიცივით ეხება რწმენას, ფსიქოანალიზს, ურთიერთობებს და კიდევ უამრავ ზოგადსაკაცობრიო საკითხს. ბერგმანზე დღესაც არ წყდება უამრავი კრიტიკული წერილისა თუ წიგნების წერა. ვუდი ალენი ბერგმანს “კინოკამერის გამოგონებიდან საუკეთესო კინოხელოვანს” უწოდებს.

უფასალაში 1918 წელს, პასტორის ოჯახში დაბადებულმა გენიოსმა ბავშვობიდანვე დაიწყო “ფილმების” კეთება მაგიური სანათით. მოგვიანებით კი ისიც თეატრში წავიდა, საიდანაც დაიწყო კიდეც ბერგმანის რეჟისორული კარიერა. კინოში ის 1946 წელს მოვიდა, როცა სცენარი დაწერა ალფშებერგის წარმატებული ფილმის “სკანდალისთვის”. ამას მოჰყვა მისი სადებიუტო ფილმები, რომლებიც პირველი წლების განმავლობაში არანაირ შესამჩნევ მხატვრულ ღირებულებას არატარებდნენ. 1950 წლისთვის ბერგმანი შეიძლებოდა მხოლოდ დაბალი დონის მელოდრამების რეჟისორად მიგვეჩნია. თუმცა ესპრობლე მამალევე გაქრა, როგორც ფელინისთან და სხვა დიად რეჟისორებთან.

მისი პირველი გახმაურებული სურათი იყო 1955 წლის “ზაფხულის ღამის ღიმილები” – სოციალური სატირა, რომლისთვისაც ბერგმანმა კანში სპეციალური პრიზი მიიღო საუკეთესო პოეტური იუმორისთვის.

1957 წელიებოქალური აღმოჩნდა შვედური და საერთოდ მსოფლიო კინოსთვის. ამ წელს გამოჩნდა ინგმარ ბერგმანის 2 ღეგენდარულისურათი, რომლებმაც სამუდამოდ დატოვეს რეჟისორის სახელი მსოფლიო კინოსისტორიაში.

“მეშვიდე ჭდე” – შუა საუკუნეებში განვითრებული ისტორიაა რაინდისა, რომელიც სიკვდილს შეება ჭადრაკში საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, ეს ფილმი კინოში ბერგმანის ფილოსოფიური ვიოაჟის დასაწყისია. ფილმმა პოპულარულ კულტურაში წარუშლელი კვალი დატოვა თავისი შესანიშნავად დადგმული კადრებით – როგორიცაა სიკვდილთან ჭადრაკის თამაშის სცენა და დასასრულში სიკვდილი სცეკვა. ფრანგი რეჟისორი დაკრიტიკოსი ერიკ რომერი მეშვიდე ჭდეს: “მსოფლიოს ულამაზეს ფილმს” უწოდებდა. “მარწყვისმდელო” – მეორე შედევრი იყო რომელიც ბერგმანმა 1957 წელს გადაიღო. აღსანიშნავია, რომ ამფილმში მთავარ როლს შვედური მუნჯი კინოს ღეგენდა, ვიქტორ შოსტრომი ასრულებს. ეს არის ისტორია მოხუცი კაცისა, რომელიც ერთი დღის განმავლობაში მთელს თავის განვლილ ცხოვრებას გადახედავს და ბევრ მტკივნეულ ამბავს აღმოჩენის საკუთარი თავის შესახებ. ფილმის ყვე-

ლაზე ცნობილი ეპიზოდია სიზმარი, როცა ეტლი შემოდის ქუჩაში, რომელსაც მთავარი პერსონაჟის კუბო მოაქვს. ამ ფილმისთვის ბერგმანმა ბერლინში ოქროს დათვი მოიგო.

ამის შემდეგ ბერგმანმა თითქოს ფრთხები შეისხა და მომავალი 15 წლის განმავლობაში 10 –მდე შედევრი შექმნა.

1960 წელს ბერგმანმა მეორე და უკანასკნელი ფილმი გამოუშვა, რომელიც შუასაუკუნეებს ეხებოდა – “ქალწულისწყარო”. ის სახალხო თქმულების ეკრანიზაცია და იმიშვიათ ფილმთაგანი იყო, რომელშიც ბერგმანს სცენარი არ დაუწერია. ეს იყო პრიველი ფილმი, სადაც ბერგმანი გაერთიანდა დიდ შვედ მპერატორთან, სვენ ნიკვისტთან და საფუძველი დაუდო 20 წელზე მეტ ხნიან საერთო მოღვაწეობას, რომლის დროსაც ამ უკანასკნელმა (ნიკვისტმა) 2 ოსკარი მოიგო.

1961 წლიდან ბერგმანი უშვებს თავის რწმენის ტრილოგიას, რომელიც ბერგმანული ფისოქოლოგიზმის მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს. ფილმებში: “ჩაბნელებულ ფანჯარაში” (1961), “ზამთრის სინათლე” (1963) და “სიჩუმე” (1963) – ბერგმანი ადამიანური ბუნების ყველაზე ბნელ სიღრმეებში შეიჭრა და ეჭქვეშ დააყენა საკითხები, როგორებიცაა რწმენა, ემპათია და ფსიქიური ჯანმრთელობა.

1966 წელს გამოვიდა ბერგმანის ყველაზე ექსპერიმენტული სურათი “პერსონა” სადაც პირველად მიიღო მონანილეობა ბერგმანის მომავალმა მუზამ და სიყვარულმა, ლივულმანმა. პერსონას მოჰყვა, ბერგმანი–ულმანის შავ–თეთრი ფილმების მთელი სერია – “სირცხვილი” (1968), “მგლის საათი” (ბერგმანის ერთადერთი საშინელებათა ფილმი) (1968), “ანას ვნება” (1969).

1972 წელს ბერგმანი უშვებს “ჩურჩულსა დ აკივილს”, მისი საყვარელი მსახიობი ქალების მთელი დასით – ლივულმანის, ჰარიეტ ანდერსონის, ინგრიდ თულინის მონანილეობით. ამ ფილმში ბერგმანი ქალის ფსიქოლოგიას იკვლევს, თან კი ეხება კვლავ მისთვის აქტუალურ თემებს – რწმენასა და მონანიებას.

70–იან წლებში ბერგმანს შვედურ პოლიციასთან პრობლემები შეექმნა, ის ცოტა ხნით დაკავებულიც იყო და შემდეგ კი თავისივე ინიციატივით ემგრაციაში წავიდა გერმანიაში.

1978 წელს იგი შვედეთში დაბრუნდა და გადაიღო. ფსიქოლოგიური თრილერი “შემოდგომის სონატა”, რომელშიც ინგრიდ ბერგმანი და ლივულ მანი მონანილეობდნენ.

1982 წელს კი ბერგმანმა გადაწყვიტა მხატვრულ კინოში მოღვაწეობა შეეწყვეტა. წასვლამდე კი მსოფლიო კინოს თავისი უკანასკნელი შედევრი დაუტოვა – “ფანი და ალექსანდერი”. ეკდალების ოჯახის 3 საათიანი ეპიკური ისტორია, რომელიც შეიძლება ითქვას, ერთგვარი მოგზაურობაა ბერგმანის ფანტაზიაში, მოგონებებსა და შემოქმედებაში.

1982 წელს ბერგმანმა კი შეწყვიტა მხატვრული კინოს გადაღება, თუმცა მუშაობა მას კიდევ დიდხანს არ დაუსრულებია. იგი კვლავ მოღვაწეობდა ტელევიზიასა და თეატრში.

ბერგმანის შემოქმედებას ეს მცირე დისკურსი არ ეყოფა აღსანერად და განსახილველად. ჩვენ მხოლოდ მისი რამდენიმე – გამორჩეული ფილმის შესახებ ვისაუბრეთ, თუმცა არაფრი გვთქვამს მის კიდევ ბევრ აღსანიშნავ ფილმზე, მაგალითად: “პირისპირ” (1976), “სცენები ქორნინებიდან” (1973) დეა ა. შ.

ინგმარ ბერგმანი 2007 წელს გარდაიცვალა 89 წლის ასაკში.

ბერგმანს მიღმა

მიუხედავად იმისა, რომ ბერგმანის კინო ბრწყინვავდა და წლიდან წლამდე უმჯობესდებოდა, 50–60 იანი წლების შვედური კინოს დანარჩენი წარმომადგენლები ვერაფრით გამოირჩეოდნენ. შვედური კინო ლრმაკრიზის განიცდიდა, რაც ძირითადად ტელევიზიის გამოჩენით იყო გამოწვეული.

1963 წელს შვედეთის მთავრობამ კულტურულ–პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ერთგვარი რეფორმა იყო შვედური კინოსთვის. ამ რეფორმის მიხედვით ხარისხიანი შვედური კინოს შესაქმნელად მთავრობამ სერიოზული დაფინანსება გამოჰყო. ამ რეფორმის საშუალებით კინოში ახალი ტაობის რამდენიმე ძალიან კარგი კინორეჟისორი ისეთი გამოჩნდა, როგორიც იყო ბუვიდერბერგი, იანტროელი, ვილგორშემანი დაა.შ.

ვიდერბერგის ფილმები: “ყორნისდასასრული” (1963) და “კაცისახურავზე” (1976) შვედური კინოს კლასიკადა მიჩნეული. მისი რამდენიმე ფილმი ოსკარზეც კი იყო წარდგენილი თუმცა ვერ მოახერხა გამარჯვება.

იან ტროელი თავიდან ვიდერბერგის ოპერატორი იყო თუმცა მაღლე საკუთარი ფილმიც გადაი-

ღო: “აქ არის შენი ცხოვრება”(1966). 1971 წელს მან გადაიღო ფილმი “ემიგრანტები” ბერგმანის საყვარელი მსახიობებით – მაქს ფონ სიდოუს და ლივულ მანის მონანილეობით შვედ ემიგრანტებზე ამერიკაში. 1982 წელს მან გადაიღო ფილმი “არნივის გაფრენა” შვედ მოგზაურზე სალომონ აუგუსტანდრეზე და მისპოლარულ მოგზაურობაზე. ხოლო მისი შემდეგი აღსანიშნავი ფილმები კი იყო გახმაურებული “იღ ჩაპიტანი” (1991) და “ჰამსუნი” (1996) დ „ბიოპიკი“ კნუტ ჰამსუნის შესახებ.

ამ სამეულიდან ყველაზე ცნობილი და წარმატებული კივილ გოტშემანი იყო. მისი სოციალურად ანგაუირებული და სექსუალური დევიაციებით გაჯერებული ფილმები უდიდესი პოპულარობითა და სკანდალურობით გამოირჩეოდა. მისი ფილმები შეიძლება იწოდოს ფრანგულ ახალ ტალღად თავისი ავანგარდით, რომელშიც ბერგმანის ღრმადემოციურ პერსონაჟებს ვხვდებით. მისიფილმი “491” (1964) – რომელშიც იმ დროისთვის თითქმის წარმოუდგენელი, ჰომოსექსუალური გაუპატიურების სცენას ვხვდებით შვედეთში აიკრძალა. არანაკლებ სკანდალური იყო მისი “მე უცნაური ვარ–ყვითელი” (1967), რომელიც ამერიკაში პორნოგრაფიადაც კი მონათლეს. თუმცა როდესაც 1969 წელს აკრძალვა მოიხსნა ფილმი ფინანსურად ყველაზე წარმატებულ შვედურე ქაბურტად იქცა ამერიკაში. ცოტა მოგვიანებით აღსანიშნავი კინორეჟისორები არიან ლასეპალს ტრომი და როი ანდერსონი.

ანდერსონის “შვედურისიყვარულის ისტორია” (1970) – რომელიც ჩეხოსლოვაკიური ახალი ტალღისგან იყო ძირითადად შთაგონებული შვედეთსა და შვედეთს გარეთაც წარმატებული აღმოჩნდა. მისი “სიმღერები მეორე სართულიდან” (2000), სეზარვალებოს ლექსებით სავსე სურათი შვედეთის თანამედროვე ცხოვრებაზე, კანის კინოფესტივალზე იყო ნომინირებული.

ლასეპალსტრომის “ჩემიძალლურიცხოვრება” (1985) ევროპული და მსოფლიო კინოს კლასიკად ითვლება. ლეგენდარული ამერიკელი მწერალი კურტ ვონეგუტი ამ ფილმსთავის ფავორიტებში მოიხსენიებდა. თუმცა ამ ფილმის წარმატების შემდეგ ჰალსტრომი ამერიკაში გაადავიდა თავისი უამრავი წინამორბედი კოლეგის მსგავსად.

აღსანიშნავია ლუკას მუდისონის 1998 წლის დრამა „მაჩვენე სიყვარული“, რომელმაც კრიტიკოსების მაღალი შეფასებები დაიმსახურა და კანის კინოფესტივალზეც იყო ნომინირებული.

თანამედროვეობა

თანამედროვაშვედურიკინოევროპაშიერთერთიყველაზეპატივსაცემადდამაღალიდონისადითვლება. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი ცნობილი შვედი რეჟისორის ჰანს ანდერსონის შვილები, დანიელ და ტომას ანდერსონის ფილმებია. შვედი მწერლის სტიგლარსონის კრიმინალური „მილენიუმის ტრილოგიის“ მიხედვით, ჯერ ნილს არდენოპლევმა შემდეგ კი დანიელ ანდერსონმა კრიტიკულად ძალიან წარმატებული ტრილოგია შექმნეს. ტრილოგიის მთავარი პერსონაჟის, ახალგაზრდა ჰაკერი გოგონას – ლიზბეტ სალანდერის როლის შემსრულებელმა – ნომინირ აპასმა კი ფილმის შემდეგ ძალიან მაღალი პოპულარობა მოიპოვა და ჰოლივუდში გააგრძელა კარიერა.

კიდევ ერთი თანამედროვე შვედი მწერლის, ამჯერად კი ჯონ აივიდელინდქვისტის მსოფლიო ბესტსელერის: „შემომიშვის“, ბრწყინვალე ეკრანიზაცია შექმნა დანიელ ანდერსონის ძმამ, ტომას ალფერდსონმა. საშინელებათა უანრის ამ ფილმმა უდიდეს წარმატებასმიაღწია როგორც ფინანსურად ისე კრიტიკულად.

თანამედროვე შვედური კინოს ერთერთი მნიშნველოვანი წარმომადგენელია სტელანს კარსორი, რომელიც ერთდროულად შეიძლებაჩათვალის როგორც შვედურიკინოს, ისე სრულად სკანდინავიური დაჰოლივუდისვარსკვლავადაც. მისი ვაჟები, გუსტავ და ალექსანდერ სკარსგორებიც აქტიურად მონანილეობენ როგორც სკანდინავიურ ისე ამერიკულ პროექტებშიც.

ლიტერატურა:

1. Peter Cowie d Scandinavian Cinema: A survey of the films and filmmakers of Denmark, Finland, Iceland , Norway and Sweden.
2. s. lomhro Á – ისტორია ჰერი არქიტექტურის კინო. том 1
3. s. lomhro Á – ისტორია ჰერი არქიტექტურის კინო. том

სოფიო მახარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ კვიშინაძე

სკანდინავია – დღესასწაულები და საინტერესო ზარალები

სკანდინავია – ამ სახელის გაგონებაზე ადამიანთა უმრავლესობას ცივი და თოვლით დაფარული, შორეული ჩრდილოეთი წარმოუდგება. ზოგს „სახურავის ბიჭუნა“ გაახსენდება ან „თავწითელა პეპი, ვილა ყიყლიყოდან“.

სკანდინავია ცნობილია საოცარი ბუნებრივი ფენომენებით:

ჩრდილოეთის ციალი: ვხვდებით, სკანდინავიის ქვეყნებში. ზუსტი სახელწოდებაა ლდ ლშ. ტრომსოში და ფინმარკში ჩრდილოეთის ციალის ნახვა შესაძლებელია ყოველ მოწმენდილ ღამეს, ხოლო სამხრეთ ნორვეგიაში – თვეში რამდენიმეჯერ.

შუალამის მზე: იგივე პოლარული დღები. გვხვდება ისლანდიაში, ჩრდილოეთ შვედეთში, ნორვეგიაში – ჩრდილოეთის კონცხზე (76 დღის განმავლობაში არ ღამდება). პოლარული დღეების პერიოდი ზაფხულის დასაწყისშია. (მაისი, ივნისი, ივლისი).

პოლარული ლამეები: ჩრდილოეთ სკანდინავიაში ზოგჯერ 2–3 თვე გრძელდება. ნორვეგიის ქალაქ ჰაմერფესტში მზე 1,500 საათის განმავლობაში არ ჩანს.

დღესასწაულები: აღდგომა

შვედეთში სააღდგომოდ სხვადასხვა ფრად ღებავენ კვერცხებს. ბავშვები გრძელი სამოსით, ფერადი თმისსახვევებითა და წითლად შეღებილი ლოყებით აღდგომის ჯადოქრებად გარდაიქმნებიან. ისინი მეზობლებს საკუთარ ნახატებს ჩუქნიან, რამე საჩუქრის სანაცვლოდ. სააღდგომოდ სახლებს ტირიფის ან არყის ხეების პატარა ტოტებითა და წერელებით რთავენ. წმინდა შაბათს მიირთმევენ ქაშაყს, ორაგულს, კარტოფილს, კვერცხებს და ა.შ. სააღდგომოდ ოფისები იკეტება.

სკანდინავიურ აღდგომაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ფერი, ყვითელია. დანიაში სახლებს ყვითელ და მწვანე ფერები რთავენ. ტრადიციულად, ყოველ აღდგომას დანიელები ერთმანეთს თავსატეხ წერილებს უგზავნიან, საიდუმლო პოეზია, რომელიც ანონიმურად ეგზავნება სხვას. იმ შემთხვევაში თუ ადრესატი გამოიკინობს წერილის ავტორს, საჩუქრად კვერცხის ფორმის ჯილდოს მიიღებს. ტრადიციული საჭმელებია: კვერცხი, ქათმის, თევზის ან ბატქინის ხორცი.

ნორვეგიელები სააღდგომოდ დიდხანს ისვენებენ. ამ დროს აქვეყნებენ დეტექტიურ წიგნებს, რძის თუნუქებზეც მკლელობის ამბებია გამოსახული. ნორვეგიელები ამ დროს, სათხილამუროდ მიემგზავრებიან.

ფინეთში ბავშვებისათვის სააღდგომო კვერცხებზე „ნადირობას“ აწყობენ. სახლის ან სახლის ეზოში, მშობლები მალავენ კვერცხებს. მპოვნელი იტოვებს „მოპოვებულ განძს“. ყვითელი ფინეთშიც გავრცელებული სააღდგომო ფერია. ხშირად ფინელები ბალახს თესავენ პატარა ქოთანში და როდესაც გაიზრდება, მასზე კვერცხს დებენ. (ქართული ჯეჯილი). ფინელი ბავშვები სხვადასხვა მორთულობით დაიარებიან მეზობლებთან და მონეტებს სთხოვენ. ტრადიციული სააღდგომო საჭმელია: ლორი, შინაური ფრინველის, ბატკინის ხორცი.

სააღდგომო სეზონი ისლანდიაში წმინდა ხუთშაბათით იწყება. ამ დროს, ზოგიერთი მაღაზიისა და კინოთეატრის გარდა, ყველაფერი იკეტება. ბევრი აღდგომის გატარებას, საზღვარგარეთ არჩევს. ბავშვებს ბაბია–ბაბუები შოკოლადის კვერცხებს ჩუქნიან.

შობა:

შობა შვედეთში 13 დეკემბერს, წმინდა ლუსის დღესასწაულით იწყება. სიტყვა ლუსია ნიშნავს სინათლეს, ლუსის დღესასწაული კი სიმბოლურად – სიბრძეებზე გამარჯვებას. ტრადიციულად, შვედები ამ დღესასწაულისთვის ირჩევენ გოგონას, ლუსიას, რომელსაც წითელსარტყელშემოვლებული თეთრი კაბა აცვია და თავზე სანთლებისაგან გაკეთებული გვირგვინი ადგას. ლუსია მომღერალთა გუნდს მიუძღვის წინ, რომელთაც ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ. გუნდი „ სანტა ლუსიას“ და სხვა ტრადიციულ სიმღერებს ასრულებს. გუნდის შემადგენლობაში შემავალ ბიჭებს, ვარსკვლავთბიჭუნებს უნიდებენ. მათ თავზე ვარსკვლავის მსგავსი ქუდები ახურავთ. ამ დღისათვის მზადდება განსაკუთრებული საკვები. ყიდულობენ მზესავით ყვითელ შაფრანის ჰურს. ამზადებენ სუნელებიან პეჩენიებს. შვედები ბრჭყვიალა წვიმებითა და ტანსაცმლით გადიან გარეთ, ულოცავენ ერთმანეთს, არიგებენ ტკბილეულს და მიირთმევენ ტრადიციულ სასმელ, გლოგს. წმინდა ლუსის დღესასწაული შობის მოახლოებაზე მიანიშნებს. სახლებს რთავენ წითელი ტიტებითა და სხვადასხვა მოსართავით. ფანჯრებში კიდებენ საშობაო ვარსკვლავებს. ტრადიციული საშობაო კერძებია: თაფლაკვერი, ლორი, თევზი, ტკბილეული, ბრინჯის ფაფა ნუშით. ტრადიციული რწმენით, ვინც ფაფაში ნუშის იპოვის, ის მომავალ წელს დაქორწინდება.

ადრეულ შვედეთში, საშობაო სადილის შემდეგ საშობაო გნომებივით იცვამდნენ, რომელიც მითის მიხედვით ფერმაში ან ტყეში ცხოვრობს, გარეგნულად სანტას ჰეგავს და საჩუქრების დარიგებასთან ერთად გარითმულ ლექსებსაც ამბობს. დღეს საშობაო გნომი კარგავს თავის ძველ როლს.

შობას მავნე დანიელი ელფები სხვებს ხრიკებს უტარებენ. საშობაო გნომი, ნისსე, როგორც თავად უნიდებენ, შვედი გნომის მსგავსად, ფერმაში ცხოვრობს, ნაცრისფერი მატყლის ტანსაცმლი აცვია და თავზე წითელი ქუდი ახურავს. ჩვეულებრივ, ფერმერებს ეხმარება და კარგად ექცევა ბავშვებს. შობას მას უტოვებენ ბრინჯის ფაფას, პუდინგს, რომ იხუმროს. ტრადიციული საშობაო საჭმელია: იხვის ან ბატის ხორცი, წითელი კომბოსტო, კარტოფილი, დესერტად ბრინჯის ფაფა ნუშით. დანიაში ნუშის მპოვნელი საჩუქრდება შოკოლადით ან მარციპანით.

ტრადიციული ნორვეგიული შობა ჰეგავს დანიურ და შვედურ შობას. ნორვეგილ ფერმერებსაც ჰყავთ ნისსე, რომელსაც თუ გააბრაზებ, ცხოველებს ზიანს მიაყენებს. ისინიც ამზადებენ მარციპანს, ბრინჯის ფაფას ნუშით, სხვა ტრადიციულ საშობაო საჭმელებს და გლოგს.

ფინეთში საშობაო სეზონი დეკემბრის პირველ კვირას იწყება. 13 დეკემბერს ფინეთშიც წმინდა ლუსის დღესასწაულს აღნიშნავენ, თუმცა არა ისე, როგორც შვედეთში. ტრადიციულად, ფინელები შობას ფინურ საუნაში მიდიან. ფინური საუნა პატარა ოთახია, რომელსაც 700–100 გრადუსზე აცხელებენ. ცხელ ქვებზე ასხამენ წყალს. ქალები და მამაკაცები სხვადასხვა კაბინებში შედიან. ამ დროს იწევს სისხლის წნევა, წყალს მომადუნებელი ზემოქმედება აქვს კუნთებზე, კანს შორდება ტოქსინები. ზოგს საუნა სახლებსა და სასტუმროებშიც აქვთ. შობას ფილები გარდაცვლილთა მოსაგონრად სტუმრობენ სასაფლაოებს. მიირთმევენ ნუშიან ფაფას, რომლის მპოვნელა უნდა იმღეროს სიმღერა. შობიდან 13 დღეში საშობაო სეზონი სრულდება.

ისლანდიაში საშობაოდ მრავალი ძველი ტრადიცია აქვთ შემონახული. მათ შორის, 13 სანტა კლაუსი. თითოეულ მათგანს განსხვავებული სახელი, ხასიათი და დანიშნულება აქვს. ისინი ქალაქში ჩამოდიან და საჩუქრებს არიგებენ. პირველი სანტა შობამდე 13 დღით ადრე ჩამოდის მთიდან ბარში, დანარჩენები კი მას მოჰყვებიან. შობის შემდეგაც ასე რიგრიგობით მიდიან. ისლანდიური შობა-ახალი წლის სეზონი 26 დღის მანძილზე გრძელდება. ისლანდიული ბავშვები 12 დეკემბრერს ფანჯარასთან ფეხსაცმელს კიდებენ და ელოდებიან სანტას, რომელიც ფეხსაცმელში საჩუქარს ჩაუდებს მათ. ყველას არ ხვდება საჩუქარი. ბავშვები, რომლებიც ცუდად იქცეოდნენ, სანტასგან, საჩუქრის ნაცვლად, მოუხარშავ კარტოფილს იღებენ. საშობაოდ ისლანდიაში დიდი რაოდენობით წიგნი იბეჭდება, რასაც „წიგნის წყალდიდობას“ უწოდებენ. ამ დროს, ისლანდიულები ერთმანეთს წიგნებს ჩუქნიან. საშობაო საჭმელია თევზი, რომელიც ზღვის ფსკერზე ბინადრობს და რომელსაც ცხვრის ქონითა და კარტოფილით ამზადებენ. ასევე მიირთმევენ ცხვრის ხორცის სპეციალურ სოუსთან და ბოსტნეულ-

თან ერთად. სასმელად ამზადებენ გლოგს. საშობაო სეზონი 6 იანვარს სრულდება. ამ დღეს ისლანდიელები დიდ კოცონს ანთებენ და ისლანდიურ სიმღერებსა და ცეკვებს ასრულებენ. მიიჩნევენ, რომ ზემოს ელფები და ტროლებიც უერთდებიან.

ტრადიციული სკანდინავიური საჩქრები:

ჩლოგ – ფეხსაცმელი ხის ლანჩებით, რომელიც ძალიან გავრცელებულია სკანდინავიაში;

ნორვეგიული სვიტრი – ძალიან ლამაზი, თბილი, თუმცა ტურისტებისთვის მეტად ძვირი;

ფოტოსურათები – უყვართ პეიზაჟები;

ანგელოზის ზარები – სითბო სანთლებიდან ადის ზარებში და ამოძრავებს ანგელოზებს;
და ხის ცხენი.

საინტერესო ფაქტები:

➤ 1632 წელს შვედებმა დაარსეს ალმამატერ– ტარტუს უნივერსიტეტი. ბალტიისპირეთის უკიდურეს ჩრდილოეთში მათ შეიტანეს წიგნების ბეჭდვა და ტარტუ ჩრდილოეთის ჰაიდელბერგად აქციეს. ესტონელები შვედური მმართველობის საუკუნე ნახევარს „ოქროსხანად“ მოიხსენიებენ. საკუთარი ინიციატივით, ესტონელებმა ძეგლიც კი დაუდგეს დამპყრობელ გუსტავ II ადოლფს. შვედები შეცვალეს რუსებმა, რომლებმაც ესტონეთში ბატონიყმობა შეიტანეს, ხოლო ივანე მრისხანეს ზარბაზნებმა ტარტუში უძველესი კათედრალის კედლები ჩამოანგრიეს.

➤ ვიკინგ ლაიფ ერიქსონს გეზი გრენლანდიისაკენ ჰქონდა აღებული იმის გასარკვევად, იყო თუ არა იქ სიცოცხლე. მაგრამ მიმართულება აერია და ამერიკის კონტინენტს მიადგა. ეს მოხდა 1003 წელს, მართალია განუზრახველად, მაგრამ ამერიკის პირველ აღმომჩენად მაინც ერიქსონი ითვლება და არა ქრისტიფორე კოლუმბი.

➤ 1866 წელს იოჰან ვალერმა გამოიგონა ქალალდის სამაგრი. დაპატენტდა 1899 და 1901 წლებში. ნორვეგიის ქალაქ სანდვიკში ამის ალსანიშნად, ქალალდის სამაგრის ძეგლი დადგეს.

➤ 1998 წელს ბარდ ლოტვეიტმა გამოიგონა ავტომობილის „ნინდა“, რომელიც გამოიყენება ზამთარში ჯაჭვების ნაცვლად.

➤ 1972 წელს პიტერ ოპსვიკმა შექმნა ხის მაღალი სკამი ბავშვებისათვის.

➤ ქრისტიანობის გავრცელებამდე ნორვეგიაში ადიდებდნენ ლმერთ ოდინსა და მის შვილს, თორს.

➤ ნობელის პრემია ყოველ წელს შვედეთში გაიცემა. ნობელი მშვიდობის დარგში გაიცემა ოსლოში.

➤ ნორვეგიელმა ხალხმა ორჯერ თქვა უარი ევროკავშირის წევრობაზე. (1972 და 1994 წლებში).

➤ პროდუქტებზე ფასების სიძვირით, ნორვეგიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მაგალითისთვის, 1 ბოკალი ლუდი საშუალოდ 15 დოლარი ღირს, სიგარეტის კოლოფი – 20 დოლარი.

➤ ნორვეგიაში შემორჩენილია არტას კლდის ხელოვნება. ეს არის ქრისტეშობამდე 4200–500 წლებში კლდეზე გაკეთებული ათასობით ნახატი, რომლებიც მათ საქმიანობას ასახავს.

ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია და ისლანდია სკანდინავიის რეგიონის ქვეყნებია. საგები, მეტალი, ვიკინგები, ლიტერატურა, კინემატოგრაფია, თანასწორობის იდეები – მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმისა, თუ რატომ უნდა გვაინტერესებდეს სკანდინავია და ვსწავლობდეთ სკანდინავიურ ენებს. სკანდინავიის რეგიონი მთელი თავისი საოცრებებით, მრავალ ტურისტს იზიდავს წელიწადის ყოველ დროს.

ლიტერატურა:

1. <http://www.nrk.no/skole/klippdetalj?topic=nrk:klipp/281851>
2. Per Thomas Andersen, 2001, Norsk Litteraturhistorie, Universitetsforlaget Oslo
3. <http://rødungdom.no/feminisme>

თორნიკე ბაქაქური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ხელმძღვანელი პროფესორი: კახაბერ ლორია

სკანდინავიური ეთნოგრაფის გენდერული პოლიტიკა

გლობალური გენდერული დისბალანსის ინდექსი პირველად 2006 წელს გამოჩნდა მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე. იგი ქვეყნების რანჟირებას გენდერული „უფსკრულის“ მიხედვით ახდენს ეკონომიკის, პოლიტიკის, ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში, სკალაზე მათი მონაცემები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ქალსა და მამაკაცს შორის არსებული უთანასწორობის მაჩვენებელი, რომელიც ნელ-ნელა მცირდება. ამ სკალაზე 2013 წლის მონაცემებით პირველ 4 ადგილს შესაბამისად ინანილებენ ისლანდია, ფინეთი, ნორვეგია და შევედეთი, ხოლო დანია მხოლოდ სამი ადგილით ჩამოუგარდება მათ. გენდერული თანასწორობის საკითხში სკანდინავიური ქვეყნების წარმატება დღეს აღარავის უკვირს, მაგრამ ამ წარმატების მისაღწევად მათ დიდი გზა განვლეს – აქტიური პოლიტიკა უკვე 30 წელიწადს ითვლის. საარჩევნო ხმის უფლების მოპოვება კი სკანდინავიელმა ქალებმა მე-20 საუკუნის ადრეულ წლებში მოახერხეს¹.

ნორდიკულ ქვეყნებში თანასწორობის ცნება საკუთარ თავში ჩაირთავს ძალის, ზრუნვისა და გავლენების თანაბარ გადანაწილებას. მამაკაცებს და ქალებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები, ვალდებულებები და შესაძლებლობები ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. თანაბარი ღირებულება, პატივისცემა, გაგება და იდენტობა არის ფუნდამენტალური ღირებულებები, რომელთაც გენდერული თანასწორობა ეფუძნება. ნორდიკულ ქვეყნებში ეს იმას ნიშნავს, რომ თანაბარი სამუშაოსთვის ხელფასიც თანაბარი უნდა იყოს ორივე სქესს შორის, სამუშაოს მშობლის ფუნქციებთან შეთავსების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს როგორც ქალს, ისე მამაკაცს, დაუშვებელია სქესზე დაფუძნებული ოჯახური ძალადობა და ა.შ. მაგრამ აქვე ვაწყდებით ერთ დიდ სირთულეს, – სკანდინავიური იმიგრანტული ბუმის შედეგად ძნელია ამ გამოცდილების გაზიარება და დაცვა სხვა სოციალური, ეთნიკური და რელიგიური პირობების ქმნე საზოგადოებრივი და სუბკულტურებში. ნორდიკული რეგიონი ცდილობს გენდერის საკითხებზე ითანამშრომლოს არამხოლოდ შიდა ჯგუფებთან არამედ საერთაშორისო დონეზეც, ბალტიის რეგიონთან ერთად ეწყობა ყოველწლიური ფორუმები და მუშავდება ახალი კოოპერაციული პროგრამები. ამჟამად დღის წერიგში ისევ ქალთა მიმართ ძალადობის, ტრეფიკინგისა და გენდერულად სეგრეგირებული შრომის ბაზრის პრობლემათა მოგვარება დგას. ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის ფარგლებში გაერო ყოველწლიურად ცდილობს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ნორდიკული გამოცდილების გავრცელებას მთელ მსოფლიოში.

სკანდინავიის ქვეყნებში არსებობს სტრუქტურები, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ გენდერული თანასწორობის კანონის სათანადო აღსრულებას. ისლანდიაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში მთავარი ფუნქცია აკისრია გენდერული თანასწორობის ცენტრს. მას ევალება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების მონიტორინგი. ეს ორგანო მუშაობს გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრაზე. ისლანდიის კანონის მიხედვით, ყოველ სამინისტროში ინიშნება ექსპერტი გენდერული თანასწორობის სფეროში. მისი ფუნქციაა მეინსტრომინგის განხორციელება სამინისტროს მიერ ადმინისტრირებულ შესაბამის სფეროებში.

¹ შვედეთში – 1919 წელს, ნორვეგიაში – 1913 წელს, ისლანდიასა და დანიაში – 1915 წელს, ხოლო ფინეთში – 1906 წელს.

ნორვეგიის კანონმდებლობის მიხედვით, თანამშრომლობის ცენტრი არის უწყება, დანიშნული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის სამინისტროს მიერ. ნორვეგიის მეფე ადგენს საბჭოს რეგულაციებს. ქვეყანაში ნარმოდეგენილია გენდერული თანასწორობის საპერაციო საბჭოც-შვედეთში გენდერული ასპექტების რეგულირება და მოგვარება ეკისრება ომბუდსმენსა და თანაბარი შესაძლებლობების კომისიას, რომელიც ინიშნება მთავრობის მიერ. დანიაში ნარმოდეგენილია გენდერული თანასწორობის საბჭო და გენდერული თანასწორობის კვლევითი და საინფორმაციო ეროვნული ცენტრი. მისი მიზანია გენდერული თანასწორობის შესახებ ხალხის მაქსიმალური ინფორმირება. ხელს უწყობენ თემის ირგვლივ დებატებისა და დისკუსიების მოწყობას, ღონისძიებების დაგეგმვას. ფინეთის თანასწორობის კანონის ალსრულებას მონიტორინგს უწევს თანასწორობის საბჭო და ომბუდსმენი.

საინტერესოა შრომითი ურთიერთობების დარეგულირების საკითხი სკანდინავიის ქვეყნებში. ისინი მეტდნაკლებად მსგავსია, მაგრამ არის განსხვავებებიც და აქცენტუაციები სხვადასხვა საკითხებზე. სკანდინავიის ქვეყნებში კანონმდებლობა ავალდებულებს დამსაქმებელს მიიღოს ყველა ზომა, რათა თავიდან იქნას არიდებული გენდერული დისბალანსი და სქესის მიხედვით დისკრიმინაცია მაღალ პოზიციებზე. დამსაქმებელი ვალდებულია თანაბარი ანაზღაურების სისტემა შეიმიშაოს თანაბარი შრომისთვის. მნიშვნელოვანია, რომ თანაბრად შეესაბამებოდეს ოჯახური და პროფესიული ვალდებულებები ერთმანეთს. სამუშაო დრო არ უნდა ზღუდავდეს დროს სოციალური აქტივობებისთვის. ისლანდის კანონის ფარგლებში იკრძალება ვაკანტურ ადგილზე ისეთი შინაარსის განაცხადის გაკეთება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს კონკრეტულ სქესს. კანონმდებლობა ითვალისწინებს დასაქმებულისთვის სათანადო პირობებისა და ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქალისა და მამაკაცის თანაბარი ნარმომადგენლობა ეროვნულ და საკანონმდებლო კომიტეტებში. ისლანდიაში, აღნიშნულ კომიტეტებში, ნარმოდგენილი უნდა იქნას ქალისა და მამაკაცის მეტ-ნაკლებად თანაბარი რაოდენობა თითოეულისთვის არა-ნაკლებ 40%-ით. თუ კომიტეტი ორი ან სამი წევრისაგან შედგება ნარმოდგენილი უნდა იყოს ორივე სქესი. ხუთი წევრის არსებობის შემთხვევაში ორივე სქესის ნარმომადგენელთა რაოდენობა მინიმუმ ორი კანდიდატი უნდა იყოს. თანაბარი ნარმომადგენლობის პრინციპი ვრცელდება დანიაშიც. ფინეთის მუნიციპალიტეტებში ნარმოდგენილი უნდა იყოს ქალების სულ მცირე 40%.

გვინდა შევეხოთ ქალთა პოლიტიკური ნარმომადგენლობის გაზრდის სტრატეგიებს და ნორვეგიის მაგალითზე დაყრდნობით მიმოვხილოთ აღნიშნული საკითხი.

1969 წელს ნორვეგიის პარლამენტში ქალები მხოლოდ 9%-ით იყვნენ ნარმოდგენილნი. 1970 წელს ადგილობრივ თვითმმართველობებში იყო 17% ქალი, 1975 წელს ეს რიცხვი 25% გახდა, ხოლო 1983 წელს 33%. საინტერესოა, ქალთა პოლიტიკაში წინსვლის რა ხელშეწყობი სოციალური და პოლიტიკური წინაპირობები არსებობდა? ამისათვის შეიძლება გამოიყოს ისტორიული დაკულტურული ფაქტორები: ისტორიულად ნორვეგიაში ძლიერია თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის ღირებულებები. მათი რწმენით სახელმწიფო უნდა ასრულდებდეს ეკონომიკური და სოციალური განსხვევებების გამართიანებლის როლს და ეხმარებოდეს იმ ჯგუფებს, რომელსაც ნაკლებად მიუწვდება ხელი საზოგადოებრივ რესურსებზე. ამ პირობებში, ქალთა მიერ სქესთა შორის თანასწორობის მოთხოვნები ლეგიტიმურად აღიქმება.

ნორვეგიული საზოგადოება ძალიან ორგანიზებულია. არსებობს სხვადასხვა ტიპის ბევრი ასოციაცია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეობის მაღალ ხარისხს. ქალები ნარმოდგენილნი იყვნენ უამრავ საზოგადოებაში, მათ შორის დიასახლისისა და სოფლის ქალთა ასოციაციებში, საქველმოქმედო სააგენტოებში. ამგვარმა ჩართულობამ ქალებს განუვითარა პოლიტიკაში მონაწილეობისათვის საჭირო უნარებდრივებები: საჯარო სიტყვის ნარმოთქმა, ლობირება, შეხვედრების მართვა.

ზოგადად ნორვეგიაში პოლიტიკური აქტივობების მაღალი დონეა. საარჩევნო და პარტიული სისტემა შედარებით ღიაა და მონაწილეობითია. აქ გვხვდება პოლიტიკურ პარტიათა ფართო სპექტრი რადიკალული მემარცხენებიდან მემარჯვენებამდე. არჩევნები ტარდება პროპორციული სისტემით, საარჩევნო სიები დგება ღია შეხვედრებზე და პარტიის ნებისმიერ წევრს შეუძლია დაასახე-

ლოს კანდიდატურა. პროპორციული სისტემის დროს ქალები უფრო ადვილად მოდიან პოლიტიკაში, რადგან მაჟორიტარული სისტემის დროს, როცა ერთ ადგილზე მხოლოდ ერთი კანდიდატი უნდა შეირჩეს, ქალებს უჭირთ უპირატესობის მოპოვება.

60-იან წლებში სკანდინავიის ყველა ქვეყანაში ფართო დისეუსია გაჩაღდა გენდერული როლებისა და თანასწორობის შესახებ. მომზადდა ოფიციალური ანგარიშები ქალთა სტატუსის შესახებ, 1959 წელს დაასრდა თანაბარი ანაზღაურების საბჭო, მეცნიერებმა და აქტივისტებმა პოპულარიზაცია გაუწიეს სქესთა შორის თანასწორობის იდეას.

1971 წელს მოეწყო მეორე მნიშვნელოვანი აქცია. ისტებლიშმენტის ქალებს შეუერთდნენ ფემინისტები. პოტენციურ ამომრჩეველთან მუშაობა იგივე სტარტებით გაგრძელდა, სიახლე იყო მათთან მუშაობა ბიულეტენის შევსებასთან დაკავშირებით. საარჩენო კანონი კანდიდატის ჩამატების საშუალებასაც იძლეოდა. ამ აქციებზე ფემინისტები თავიანთი გამოსვლებით საზოგადოებაში ქმნიდნენ კლიმატს ქალთა პოლიტიკაში წინსვლისთვის, ისტებლიშმენტის ქალები კი ინსტრუმენტალურ მუშაობას ეწეოდნენ, როგორიცაა კანდიდატების შერჩევა, პარტიების დათანხმება, ამომჩეველთან მუშაობა. კოალიციამ პარტიებზე ზეწოლით მიაღწია იმას, რომ დაიწყეს გენდერული ქვოფის შემოტანა. კოალიციას გვერდით ფემინისტური მოძრაობა ედგა. კოალიცია 18 თვის განმავლობაში მოქმედებდა. პარლამენტში ქალთა რიცხვმა 24%-მდე აიწია.

ქალთა წარმომადგენლობის ზრდა პოლიტიკაში გაგრძელდა და კულტურული მიაღწია გროვენორდნენ სოციალდედემოკრატიული პარტიის მიერ შედგენილი მმართველი კაბინეტის 44%-ს.

ნორვეგიაში ქრისტიანული პარტია შედარებით ძლიერი იყო შევდეთსა და დანიასთან შედარებით, რომელთაც სეკულარიზაციის მკვეთრი კურსი ჰქონდათ აღებული, ამიტომ 70-იან და 80-იან წლებში გენდერული პოლიტიკა ამბივალენტური იყო, – ადვილად მოხდა თემატიკის ინსტიტუციონალიზაცია, მაგრამ პოლიტიკის სოციალურ, კულტურულ თუ საგანმანათლებლო ცხოვრებაში გატარებამ გაცილებით დიდი დრო მოითხოვა.

საოჯახო და გენდერული პოლიტიკა ნორვეგიაში, დანიასა და შვედეთში განსხავავებულ ხედვებს ემყარება. „ოჯახში ფულის შემომტანის“ უნივერსალური უნიპოლარული მოდელისგან განსხვავებით აღმოცენდა ქალის როლის გადაფასების მოდელიც, რომელიც დეკრეტულ შვებულებებსა და ბავშვთა მოვლის ინფრასტრუქტურის განვითარებას ითვალისწინებს. მესამე მოდელი კი მამაკაცის მზრუნველი, მომვლელი როლის გაზრდაზეა ორიენტირებული. მაშინ როდესაც დანია და შვედეთი რომელიმე ერთი მოდელისკენ იხრებიან, ნორვეგია აქაც შუალედურ პოზიციას იკავებს და სამივე მოდელს ითვალისწინებს.

ისმის კითხვა – არის კი სკანდინავიური მოდელი ექსპორტირებადი? 1960–80-იან წლებში ეს ქვეყნები ფაქტობრივად ლაბორატორიულად მუშაობდნენ და დარგში წამყვანი როლი ჰქონდათ, მაგრამ დღეს მაგალითად, ისეთ საკითხებში, როგორიცაა ოჯახური ძალადობა და ტრეფიკინგი, მხოლოდ შვედეთია პროაქტიური. სკანდინავიური გამოცდილება გვცემს პასუხს კითხვებზე – რა მუშაობს და რა არა? მაგრამ გასათვალისწინებელია დრო, კონტექსტი და პოლიტიკური სტრუქტურები, როდესაც მათი მოდელების გადატანა და მორგება ხდება სხვადასხვა ქვეყნებში. სწორედ ამ საკითხზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა გაეროში ნროდიკულ და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

როდესაც საუბარია სკანდინავიურ გამოცდილებასა და დემოკრატიულ პრინციპებზე, ალბათ უმნიშვნელოვანესია ცნებათა ოპერაციონალიზაცია, საკითხის ღრმად შესწავლა, შრომა და კვლევა წლების განმავლობაში, თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების ერთგულება. თანასწორობა არ წიმნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას, პირიქითდ დემოკრატიულ პლურალისტულ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, სხვადასხვა

¹ gro harlem brundtlandi (Gro Harlem Brundtland – დაიბადა 1939 წლის 20 აპრილს) - ნორვეგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ამჟამად სპეციალური წარმომადგენელი გაეროში.

საჭიროებები და ცხოვრების წესი, მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით. ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. წარმატებული დემოკრატია გულისხმობს საზოგადო საქმეების წარმართვისას ქალსა და მამაკაცს შორის ჭეშმარიტ თანამშრომლობას, მათ თანასწორ და შემავსებელ საქმიანობას, ურთიერთგამდიდრებას თავიანთი განსხვავებულობით.

ლიტერატურა:

1. „Gender Equality in the Nordic countries“ (<http://www.norden.org/en/about-nordic-co-operation/areas-of-co-operation/gender-equality/gender-equality-in-the-nordic-countries>)
2. „Scandinavian gender equality: Competing discourses and paradoxes“ – Anette Borchorst (http://vbn.aau.dk/files/16672755/freia_wp_69.pdf)
3. „The Global Gender Gap Report 2013“ (http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2013.pdf)
4. „genderuli Tanasworoba d saqarTvelosa da saerTaSoriso kanonmdeblobis mimoxilva“ – nargiza arjevanidze (http://css.ge/files/documents/publications/Nargiza_Arjevanidze,_Gender_Equality_-_legislation,_August_2012_Geo.pdf)
5. „genderi da politika“ – lela xomeriki (<http://www.ucss.ge/publication/019%20Genderi%20da%20Politika.pdf>)